




ჩვენი მსურობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

7 თებერვალი 2014

№3 (211)



ლიანა ელიავას რომანი
ჯიბრანის სიბრძნის საღაროდან
რონალდ რეიგანის საუკეთესო როლი
ელგუჯა თავბერიძე სამსონ თოფურიძე
იბრაჰიმ ასლანის სოფლის ფოსტალიონი
ამირან არაბული — ხევსურეთის მეციხოვნე
გიორგი სოსიაშვილის მემუარული ჩანახატი
მსოფლიოს მერვე, ქართული საოცრება
არქიმანდრიტი ადამი ესმა ონიანზე
ვარლამ შალამოვის ესეი პროზაზე
ლია მოლარიშვილის ნოველა
ანდრო ბუაჩიძის ლირიკა

შინაარსი

ასევე	2	ვარლამ შალამოვი პროზის შესახებ
ამსარან-ინტერვიუ	6	კობა ცხაკაია „ნიჰავით უმანკონი, ვითარცა ჩვილი“ (მოამზადა ნატა ვარადაძე)
მოგონებათა სივრდი	7	გიორგი სოსიაშვილი მათე სართული (ოთარ ჩხეიძესთან სტუმრობის გახსენება)
პროზა	8	ლიანა ელიავა როდის მივდივართ ბარსელონაში?!
	15	ლია მოლარიშვილი სუფთა ფურცელი
პოეზია	19	ანდრო ბუაჩიძე მუზა სოფელ დიღმიდან და სხვა ლექსები
ერი და პედისწერა	23	როსტომ ჩხეიძე რონალდ რეიგანის საუკეთესო როლი (ავტობიოგრაფიული რომანი „ამერიკული ცხოვრება“)
სად წიყვან სადაუსრა	30	მარიამ მარჯანიშვილი ცრემლებით სავსე სული (ლეო ქვიშვილი — არგენტინაში მოღვაწე ქართველი შემოქმედელი)
თეატრალური ცხოვრება	34	მანანა ტურიაშვილი ეს სანუკვარი უნონადოვა (რობერ ლეპაჟის სპექტაკლი „მთვარის უხილავი მხარე“)
დილოგი	36	პარს ზამთარი მომდგომია... (ივანე ამირხანაშვილს ესაუბრება გიზო ზარნაძე)
წუთები და წლები	39	ელგუჯა თავბერიძე ოცნების მორაქვი (სამსონ თოფურია)
ანონსი	46	ეკატერინე ტოგონიძე ეკონომიკა და პედინერება — გერმანული შთაბეჭდილებები
ხელოვნის პორტრეტი	47	ეკა ბუჯიაშვილი „წუთები, რომლებიც უნდა შეაბროვო“ (ნინო ზაალიშვილი)
კრიტიკა	52	მზეო გოგოჭური ხევისურათის მეციხოვნე (ამირან არაბული — როგორც მემბტიანე)
რეპორაჟი	55	ნინო დეკანოიძე პოეზიის ჩარდახში (ნუკრი ბერეთელის პოეზიის საღამო)
კრიტიკა	59	მაია იანტბელიძე ჭიშმარიტების მკაცრადი ცრემლი (ინგა მილორავას პოეზია)
გამონათქვამი	61	სერგი ლომაძე ძველი-ახალი თემა: გალაკტიონი და გრანალი
სილუატი	62	არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე) აქ ისე თბილა, როგორც შინ (ესმა ონიანის ლირიკული ხილვები)
თემა მართლისა	64	პაატა იაკაშვილი მსოფლიოს მერვე, ქართული საოცრება (საყდრისის უძველესი მალარი)
ჩვენი პროზა, წუთისოვანი	65	ეკატერინე ტუკვაძე ლეო ანთაქის ვარსკვლავიც ანთია
უსხოური ნოველა	67	იბრაჰიმ ასლანი სოფლის ფოსტალიონი
ახალი თარგმანები	68	ჯიბრალ ხალილ ჯიბრანი ქვიშა და ქაფი
ამ მთისა და იმ გარისა	71	მანი, მანი, მანი...



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 21 თებერვალს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომაგა თეკი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანი

გარეკანზე: კობა ცხაკაია, ოსებ მჭედლიშვილის ფოტო
ბუენოს-აირესი (არგენტინა)

ვარლამ შალამოვი

პროზის შესახებ

საუკეთესო თანამედროვე მხატვრული პროზა — ეს არის ფოლკლორი. მაგრამ ფოლკლორი — ესაა შემსხვრეული, აფეთქებული რომანი და მხოლოდ მწერლურ მძვინვარებას მიჰყავს საქმე ბოლომდე, ნამსხვრევთაგან სამყაროს ასაგებად.

რომანი მოკვდა. და მთელს მსოფლიოში ვერავითარი ძალა ვერ აღადგენს ამ ლიტერატურულ ფორმას.

ადამიანებს, რომლებმაც გამოიარეს რევოლუციები, ომები და კონცლაგერები, არაფერი ესაქმებათ რომანთან.

ავტორის ნება, მიმართული გამოგონილი ცხოვრების აღსაწერად, ხელოვნური კოლიზიები და კონფლიქტები (მწერლის მნიერი პირადი გამოცდილება, რასაც ვერ მიჩქმალავ ხელოვნებაში) ალიზიანებს მკითხველს და იგი განზე გადადებს ფუნქციულ რომანს.

მოთხოვნილება მწერლის ხელოვნებისა შემონახულა, მაგრამ ნდობა ბელეტრისტიკისა შერყეულია.

რომელ ლიტერატურულ ფორმას აქვს არსებობის უფლება? რომელი ლიტერატურული ფორმა ინარჩუნებს მკითხველის ინტერესს?..

მთელს მსოფლიოში უდიდესი გატაცებით კითხულობენ მემუარულ ლიტერატურას — ესაა ხმა დრო-ჟამისა, ნიშანი დრო-ჟამისა. დღევანდელი ადამიანი თავის თავს ამონებს, თავის ქცევას განსჯის არა ჟულიენ სორელის, ან რასტინიაკის ანდა ანდრე ბოლკონსკის თარგზე, არამედ ცოცხალი ცხოვრების მოვლენათა და ადამიანთა მიხედვით, იმ ცხოვრებისა, რომლის მოწმე და მონაწილე თავად მკითხველიც გახლდათ.

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ავტორი, ვისიც სჯერათ, უნდა იყოს, ნილს ბორის გამონათქვამი რომ გამოიყენოთ, „არა მარტო მოწმე, არამედ მონაწილეც ცხოვრების დიადი დრამისა“. ნილს ბორმა ეს ფრაზა წარმოთქვა მეცნიერებთან დაკავშირებით, მაგრამ სავსებით სამართლიანად ეხება ხელოვანთაც.

ნდობა მემუარული ლიტერატურისადმი უსაზღვროა. ამ ჯიშის ლიტერატურას სწორედ ის „დასწრების ეფექტი“ სჩვევია, ტელევიზიის არსს რომ შეადგენს. მე არ შემიძლია ვუყურო ფეხბურთის მატჩს ვიდეოგრაფით მაშინ, როდესაც ვიცი მისი შედეგი.

დღევანდელი მკითხველი ეკამათება მხოლოდ დოკუმენტს და რწმუნდება მხოლოდ დოკუმენტით. დღევანდელ მკითხველს მოეპოვება ძალ-ღონეც, ცოდნაც და პირადი გამოცდილებაც ამგვარი კამათისათვის. და ნდობაც — ლიტერატურული ფორმის მიმართ. მკითხველი არა გრძნობს, რომ იგი მოატყუებს, როგორც ხდება ხოლმე რომანის კითხვისას.

ჩვენს თვალწინ იცვლება მთელი შკალა მოთხოვნილებათა ლიტერატურული ნაწარმოების მიმართ, იმ მოთხოვნილებათა, რომელთა შესრულება ისეთ მხატვრულ ფორმას, როგორიცაა რომანი, არ ძალუძს.

ფაშფაშა, სიტყვაზავარიელი აღწერილობა ის მანკია, რომელიც ხაზს გადაუსვამს მთელ ნაწარმოებს.

აღწერა ადამიანის გარეგნობისა ამუხრუჭებს ავტორისეული აზრის გაგებას.

პეიზაჟს ხომ ვერა და ვერ ეგუებიან. მკითხველს არა სცალია იფიქროს პეიზაჟურ ნიაღვრალათა ფსიქოლოგიურ მნიშვნელობაზე.

თუკი პეიზაჟი გნებავს, ძალზე ეკონომიურად უნდა გამოიყენო. ნებისმიერი პეიზაჟური დეტალი ხდება სიმბოლო, ნიშანი და მარტოოდენ ამ პირობით ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, სიცოცხლიანობას, აუცილებლობას.

„ექიმი ჟივავო“ — უკანასკნელი რუსული რომანია. „ექიმი ჟივავო“ — ესაა მსხვრევა კლასიკური რომანისა, ლევ ტოლს-

ტოს სამწერლო მცნებათა მსხვრევა. „ექიმი ჟივავო“ ინერებოდა ტოლსტოის სამწერლო რეცეპტებით, მაგრამ შეიქმნა რომანი-მონოლოგი, „ხასიათებისა“ და XIX საუკუნის რომანის სხვა ატრიბუტთა გარეშე. „ექიმი ჟივავოს“ ფურცლებზე იმარჯვებს ტოლსტოის ზნეობრივი ფილოსოფია და მარცხდება ტოლსტოის მხატვრული მეთოდი.

ის სიმბოლისტური მოსახამეში, რითაც პასტერნაკმა თავისი გმირები შებურა, თავისი ლიტერატურული სიჭაბუკის იდეებთან რომ აბრუნებდა, — უმაღლეს აკინებენ, ვიდრე ამაღლებენ „ექიმი ჟივავოს“ ძალას, რომელიც, ვიმეორებ, რომანი-მონოლოგია.

დააყენო საკითხი „განვითარებაში მყოფ ხასიათებზე“ და ა.შ., არა მარტო ძველმოდურია, არამედ არც არის საჭირო და მასადადამე — მავნეა. თანამედროვე მკითხველი ორიოდ სიტყვითაც გაიგებს, თუ რაზეა ლაპარაკი, და არა სჭირდება დანვრლებითი გარეგანი პორტრეტი, არა სჭირდება სიუჟეტის კლასიკური განვითარება და ა.შ. როდესაც ანა ახმატოვას ჰკითხეს, თქვენი პიესა რით მთავრდებაო, მან უპასუხა: „თანამედროვე პიესები არაფრითაც არ მთავრდება“. და ეს მოდა როდია, ან — ხარკი „მოდერნიზმისა“, უბრალოდ მკითხველს არა სჭირდება ავტორის ძალისხმევა, რომ სიუჟეტს „ბოლო მოაბას“ იმ გათელილი გზებით, რომლებიც ცნობილია მკითხველისათვის ჯერ კიდევ საშუალო სკოლიდან.

თუკი მწერალი აღწევს ლიტერატურულ ნარმატებას, ნამდვილ ნარმატებას, არსებით ნარმატებას და არა საგაზეთო მხარდაჭერას — მაშინ ვისი რა საქმეა, არის თუ არა „ხასიათები“ ამ ნაწარმოებში, არის თუ არა „გმირთა მეტყველების ინდივიდუალიზაცია“.

ინდივიდუალიზაციის ერთადერთი სახეობა ხელოვნებაში — ესაა თავისებურება ავტორის სახისა, მისი მხატვრული ხელწერის თავისებურება.


მკითხველი ეძიებს, ისევე როგორც უწინ ეძიებდა, პასუხებს „მარადიულ“ კითხვებზე, მაგრამ მან დაკარგა იმედი პასუხის პოვნისა ბელეტრისტიკაში. მკითხველს არა სწადია იკითხოს არაფრისმთქმელი ნიკიბიკონი. იგი მოითხოვს სასიცოცხლო მნიშვნელოვანი საკითხების გადჭრას, ეძებს პასუხს სიცოცხლის აზრის თაობაზე, ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთკავშირზე.

ოღონდ ამ შეკითხვით მიმართავს არა მწერალ-ბელეტრისტებს, არა კოროლენკოს და ტოლსტოის, როგორც ეს იყო XIX საუკუნეში, არამედ ეძებს პასუხს მემუარულ ლიტერატურაში.

მკითხველი აღარ ენდობა მხატვრულ წვრილმანებს. დანვრლება, წვრილმანი თუკი არ შეიცავს სიმბოლოს, არასამაქნისად გამოიყურება ახალი პროზის მხატვრულ ქსოვილში.

დღიურები, მოგზაურობანი, მოგონებები, სამეცნიერო აღწერილობანი მუდამ ქვეყნდებოდა და დიდი ნარმატებითაც სარგებლობდა მუდამ, მაგრამ ამჟამინდელი ინტერესი მათ მიმართ მართლაც უჩვეულოა. ეს გახლავთ მთავარი განყოფილება ნებისმიერი ჟურნალისა.

საუკეთესო მაგალითი: „ჩემი ცხოვრება“ ჩარლი ჩაპლინისა — ლიტერატურული თვალსაზრისით უდიდამო რომ არის — გახდა ბესტსელერი ნომერ პირველი, რომელმაც ყველა და ყველანაირ რომანს გაუსწრო.



ასეთია ნდობა მემუარული ლიტერატურის მიმართ. კითხვა: ახალი პროზა უნდა იყოს დოკუმენტი თუ დოკუმენტზე უფრო მეტი?

საკუთარი სისხლი, საკუთარი ბედი — აი, მოთხოვნილება დღევანდელი ლიტერატურისა.

თუკი მწერალი წერს საკუთარი სისხლით, აღარ არის საჭირო შეგროვება მასალისა, ვიზიტი ბუტირკის ციხეში ან საციხე „ეტაპებზე“, აღარ არის საჭირო შემოქმედებითი მივლინებანი რომელიმე ტამბოვის ოლქში. თავად პრინციპი მოსამზადებელი მუშაობისა, წარსულში რომ არსებობდა, უარყოფილია. ეძიებენ არა მარტო გამოსახვის სხვა ასპექტებს, არამედ ცოდნისა და შემეცნების სხვა გზებსაც.

მთელი „ჯოჯოხეთი“ და „სამოთხე“ მწერლის სულში, აგრეთვე მდიდარი პირადი გამოცდილება, იძლევა არა მარტო ზნეობრივ უპირატესობას, არა მარტო წერის უფლებას, არამედ განკითხვის უფლებასაც...

კოლიმური მოთხრობების პროზას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ნარკვევთან. ნარკვევისეული ნაკვეთები ჩაფრქვეულია იქ, რათა სახელი გაითქვას დოკუმენტმა, მაგრამ მხოლოდ ალაგ-ალაგ, და ყოველთვის დათარიღებით, გამიზნულად. ცოცხალი ცხოვრება წარმოიქმნება ქალაქში სრულიად სხვა ხერხებით, ვიდრე ნარკვევში. „კოლიმურ მოთხრობებში“ არ გვხვდება აღწერილობანი, არ არის ციფრებით გადატვირთული მასალა, დასკვნები, პუბლიცისტიკა. „კოლიმურ მოთხრობებში“ საქმე ეხება ახალ ფსიქოლოგიურ კანონზომიერებათა ასახვას, საზარელი თემის მხატვრულ კვლევას, და არა „ინფორმაციას“ თუ ფაქტების შეგროვებას. თუმცა „კოლიმური მოთხრობებში“ ყოველი ფაქტი, რა თქმა უნდა, უცვლელია.

„კოლიმური მოთხრობებისათვის“ არსებითია ისიც, რომ იქ ნაჩვენებია ახალი ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი, სიასხლენი ადამიანის ქცევაში, იმ ადამიანისა, რომელიც დაუკნინებით პირუტყვის დონემდე — თუმცა პირუტყვებს ქმნიან უკეთესი მასალიდან და ვერცერთი პირუტყვი ვერ გადაიტანს იმ ტანჯვას, რაც ადამიანს გადაუტანია. ნაჩვენებია ადამიანის ქცევაში ახალი — მიუხედავად უზარმაზარი ლიტერატურისა ციხეებსა და პატიმრობაზე.

ეს ცვლადებანი ფსიქიკისა შეუქცევადია, ისევე როგორც მოყინვობანი. მესხიერება გნინკის მოყინული ხელივით, პირველივე ცივი ქარის ამოვარდნისას. პატიმრობიდან დაბრუნებულთა შორის ვერავის ნახავთ, ვისაც ერთი დღეც არ გაუტარებია ისე, რომ არ გაახსენდეს ლაგერი, იქაური დამამცირებელი და საშინელი შრომა.

„კოლიმური მოთხრობების“ ავტორი ლაგერს მიიჩნევს უარყოფით გამოცდილებად ადამიანისათვის — პირველი წუთიდან უკანასკნელამდე. ადამიანმა არ ეგების იცოდეს, არ ეგების თუნდაც სმენდეს, ამბავი ლაგერისა. ლაგერში ყოფნის შემდეგ არავინ ხდება არც უკეთესი და არც ძლიერი. ლაგერი — უარყოფითი გამოცდილებაა, უარყოფითი სკოლა, გახრწანა ყველასთვის — უფროსობისთვისაც და ტუსაღათათვისაც, ბადრავისათვის და მაყურებელთათვის, გამვლელ-გამომვლელისათვის და ბელეტრისტიკის მკითხველთათვის.

„კოლიმურ მოთხრობებში“ გამოყვანილ არიან ადამიანები უბიოგრაფიოდ, უწარსულოდ და უმომავლოდ. ხომ არ ნააგავს მათი ანმყოფი მხეცურ არსებობას თუ სწორედ ესაა ადამიანური ანმყოფი?

„კოლიმურ მოთხრობებში“ არაფერია, რაც არ იქნებოდა ბოროტების გადალახვა, სიკეთის ზეიმი — თუკი დავაყენებთ საკითხს მსხვილი პლანით, ხელოვნების პლანით.

სხვა მიზანი რომ მქონოდა, ვიპოვიდი სრულიად სხვა კილოს, სხვა საღებავებს — იმავე მხატვრული პრინციპით.

„კოლიმური მოთხრობები“ — ესაა ბედი წამებულთა, რომლებიც არ ყოფილან, არც ემარჯვებოდან და ვერც გახდნენ გმირები. უაღრესად დიდია მოთხოვნილება ამგვარ დოკუმენტებზე. ყოველ ოჯახში, სოფლადაც და ქალაქადაც, ინტელიგენციას-

ში, მუშებსა და გლეხებში, ხომ იყვნენ ადამიანები, ან ნათესავები ან ნაცნობები, რომლებიც დაიღუპნენ პატიმრობაში. სწორედ ეს არის ის რუსი მკითხველი — და არა მარტო რუსი — ჩვენგან რომ ელოდება პასუხს.

საჭიროა და შესაძლებელიც დაწერა მოთხრობისა, რომელსაც ვერ გაარჩევ დოკუმენტისგან. ოღონდ ავტორმა თავისი მასალა საკუთარ ტყავზე უნდა გამოცადოს — არა მარტო გონებით, არა მარტო გულით, არამედ ყოველი ნერვით, კანის ყოველი ნასვრეტით.

ტვინში დიდხანია ძვეს დასკვნა, რალაც განსჯა ადამიანის ცხოვრების, ადამიანის ფსიქიკის ამა თუ იმ მხარეზე. ეს დასკვნა მოხვეჭილ იქნა დიდი სისხლის ფასად და ინახება, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ცხოვრებაში.

დგება წამი, როდესაც ადამიანს ეუფლება გადაულახავი წადილი, რომ ეს დასკვნა ამონიოს ზემოთ, მიანიჭოს ნაღდი სიცოცხლე. ეს აკვიატებული წადილი იძენს მნებელობითი მისწრაფების ხასიათს...

მაშინ იწყებ სიუჟეტის ძიებას. ეს ძალზე უბრალო რამ არის. ცხოვრებაში იმდენი შეხვედრებია, მათგან იმდენი შემოუნახავს მესხიერებას, რომ პოვნა აუცილებლისა იოლია.

ინყება ჩანერა — სადაც ძალზე მნიშვნელოვანია შეინარჩუნო პირველადობა, სწორება-სწორებით არ გააფუჭო. კანონი, რომელიც პოეზიისათვის მოქმედებს — იმის თაობაზე, რომ პირველი ვარიანტი მუდამ ყველაზე გულწრფელია, აქაც მოქმედებს, აქაც შემონახულა.

სიუჟეტური დასრულებულობა. ცხოვრება — უსასრულოდ სიუჟეტურია, ისევე როგორც სიუჟეტურია ისტორია, მითოლოგია; ნებისმიერი ზღაპრები, ნებისმიერი მითები გვხვდება ცოცხალ ცხოვრებაში.

„კოლიმური მოთხრობებისათვის“ მნიშვნელობა არა აქვს, სიუჟეტურნი არიან თუ არა ისინი. იქ სიუჟეტური მოთხრობებიც მოიპოვება და უსიუჟეტოც, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ მეორენი ნაკლებად სიუჟეტურია და ნაკლებად მნიშვნელოვანი. საჭიროა და შესაძლებელიც დაწერა მოთხრობისა, რომელსაც ვერ გაარჩევ დოკუმენტისგან, მემუარისგან.

ხლოდ უფრო მაღალი, უფრო მნიშვნელოვანი აზრით, ნებისმიერი მოთხრობა ყოველთვის დოკუმენტია — დოკუმენტი ავტორზე — და აი, სწორედ ეს თვისება, ალბათ, გვაიძულებს, რომ „კოლიმურ მოთხრობებში“ დავინახოთ გამარჯვება სიკეთისა და არა ბოროტებისა.

გადასვლა პირველი პირიდან მესამეზე, შემოტანა დოკუმენტისა, გამოყენება ხან ნამდვილი, ხანაც გამოგონილი სახელებისა, გარდამავალი გმირი — ყოველივე ეს ის ხერხებია, რომლებიც ერთ მიზანს ემსახურებიან.

ყველა მოთხრობას აქვს ერთიანი მუსიკალური ნწყობა, ავტორისათვის ცნობილი. არსებითმა სახელებმა-სინონიმებმა, ზმნებმა-სინონიმებმა უნდა გააძლიერონ სასურველი შთაბეჭდილება. კრებულის კომპოზიცია აწონ-დაწონილია ავტორის მიერ. ავტორმა უარი თქვა მოკლე ფრაზაზე, ლიტერატურში არისო, უარი თქვა ფლობერის ფიზიოლოგიურ საზომზე — „ფრაზას კარნახობს ადამიანის სუნთქვა“. უარი თქვა ტოლსტოისეულ „რომ“-ზე და „რომელ“-ზე, უარი თქვა ჰეინგუის მიგნებებზე — დაგლეჯილი დიალოგი, შესამებული ფრაზასთან, რომელიც ჭკუის სწავლებამდე, პედაგოგიურ მავალითამდე გაჭიანურებულია.

ავტორს ენადა ასახვა მხოლოდ ცოცხალი ცხოვრებისა...

თანამედროვე ახალი პროზის შექმნა ძალუძთ მარტოოდენ იმ ადამიანებს, რომლებმაც სრულყოფილად იციან თავიანთი მასალა, რომელთათვის დაუფლება მასალისა, მისი მხატვრული გარდაქმნა არ წარმოადგენს პირწმინდად ლიტერატურულ ამოცანას, არამედ — ვალია, ზნეობრივი იმპერატივი.

მსგავსად იმისა, როგორც ეგ ზიუპერიმ ადამიანებს გაუხსნა ჰაერი — ცხოვრების ყოველი მხრიდან მოვლენ ადამიანები, რომლებიც შეძლებენ მოგვითხრონ ის, რაც იციან და განუცდიან, და არა მხოლოდ ის, რაც უნახავთ და გაუგონიათ.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ მწერალმა თავისი მასალა არც უნდა იცოდეს ძალზე კარგად, უაღრესად კარგად და ძალიან ახლოს; რომ მწერალმა მკითხველს უნდა მოუთხროს სწორედ იმ მკითხველთა ენაზე, ვისი სახელითაც მწერალი მოვიდა ამ მასალის საკვლევადა; რომ შეცნობა დანახულისა ძალიან არ უნდა დაშორდეს მკითხველთა ზნეობრივ კოდექსსა და თვალსაზრისს.

ორფეოსი, ჩასული ჯოჯოხეთში და არა პლუტონი, ამოსული ჯოჯოხეთიდან.

ამ მოსაზრებისამებრ, თუკი მწერალს ძალზე კარგად ეცოდინება მასალა, იგი გადავა მასალის მხარეზე. შეიცვლება შეფასებანი, გადანაცვლება მასშტაბები. მწერალი შეუდგება ცხოვრების გაზომვას ახალი საზომებით, რომლებიც გაუგებარი იქნება მკითხველისათვის, დააფრთხობს მას, ააფორიაქებს. მწერლისა და მკითხველის ურთიერთკავშირის დაკარგვა გარდუვალი გახდება.

ამ მოსაზრებისამებრ — მწერალი ყოველთვის ცოტათი ტურისტია, ცოტათი უცხოელი, ხოლო ლიტერატორი და ისტატი — ოდნავ მეტი, ვიდრე საჭიროა.

ნიმუში ამგვარი მწერალ-ტურისტისა გახლავთ ჰემინგუეი, რაგინდ ბევრი არ ეომა მადრიდში. შეიძლება იომო და იცხოვრო აქტიური ცხოვრებით, მაგრამ, იმავდროულად, რჩებოდე „გარეთ“, სულერთია — „ზედ“ თუ „განზე“.

ახალი პროზა უარყოფს ტურიზმის ამ პრინციპს. მწერალი არც მზირია და არც მყურებელი, არამედ მონანილეა ცხოვრების დრამისა, ოღონდ მწერლის იერით და მწერლის როლში როდი მონანილეობს.

პლუტონი, ამოსული ჯოჯოხეთიდან და არა ორფეოსი, ჩასული ჯოჯოხეთში.

საკუთარი სისხლით განცდილი გადმოდის ქალაღზე, ვითარცა დოკუმენტი სულისა, ტალანტის ცეცხლით გარდაქმნილი და განათებული.

მწერალი ხდება მსაჯული დრო-ჟამისა და არა ვიღაცის ხელქვეითი, და სწორედ უღრმესი ცოდნა, გამარჯვება ცოცხალი ცხოვრების უძირო სიღრმეებში აძლევს წერის უფლებასა და ძალ-ღონეს. მეთოდსაც კი კარნახობს.

ისევე როგორც მემუარისტებმა, ახალი პროზის მწერლებმაც თავი ყველაზე მაღლა არ უნდა დააყენონ, თავი ყველაზე ჭკვიანი არ უნდა ეგონოთ, მსაჯულის როლი არ უნდა დაიჩემონ.

სწორედ რომ პირიქით — მწერალი, ავტორი, მთხრობელი ყველაზე ქვემოთ უნდა იდგეს, ყველაზე მეტად დაიმციროს თავი. მხოლოდ ასე მოიხვეჭს წარმატებასა და ნდობას. ესაა თანამედროვე პროზის მოთხოვნა — ზნეობრივად და მხატვრულიც.

მწერალს უნდა ახსოვდეს, რომ ამქვეყნად არსებობს ათასი სიმართლე.

როგორ მიიღწევა სასურველი შედეგი?

უწინარეს ყოვლისა — სასიცოცხლო მნიშვნელოვანი თემის სერიოზულობით. ამგვარი თემა შეიძლება იყოს სიკვდილი, დაღუპვა, მკვლელობა, გოლგოთა... და ესენი უნდა მოუთხრო თავდაჭერილად, დეკლამაციის გარეშე.

სიტყვაძვირობით, უბრალოებით, მოკვეთით ყველაფრისა, რასაც შეიძლება ეწოდოს „ლიტერატურა“.

პროზა უნდა იყოს უბრალო და ნათელი. უზარმაზარი აზრობრივი და, რაც მთავარია, უზარმაზარი დატვირთვა გრძნობისა არ გააჭაჭანებს სხაპასხუპს, ნიკიპიკოსს, ჩხარუნას. აუცილებელია, რომ აღდგეს გრძნობა. დიახ, გრძნობა უნდა დაბრუნდეს, დაამარცხოს დროის კონტროლი, შეფასებათა ცვალებადობა. მხოლოდ ამ პირობით არის შესაძლებელი აღდგომა სიცოცხლისა.

პროზა უნდა იყოს უბრალო და ნათელი გადმოცემა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანისა. მოთხრობაში შეტანილ უნდა იქნეს, ჩაინერგოს დეტალები — უჩვეულოდ ახალი დანვრელებანი, ახლებური აღწერილობანი. თავისთავად სიახლე,

სისწორე, სიზუსტე ამ წვრილმანებისა გაიძულებს ერწმუნო მონათხრობს, ყოველივე დანარჩენს, არა როგორც ინფორმაციას, არამედ როგორც გულის ღია ჭრილობას. მაგრამ მათი როლი გაცილებით დიდია ახალ პროზაში. ეს ყოველთვის არის დეტალი-სიმბოლო, დეტალი-ნიშანი, მთელი მოთხრობა რომ გადაჰყავს სხვა პლანში და გაძლევს „ქვეტექსტს“, რომელიც ემსახურება ავტორის ნებას და წარმოადგენს მხატვრული გადწყვეტის, მხატვრული მეთოდის მნიშვნელოვან ელემენტს.

„კოლიმურ მოთხრობებში“ საქმის მნიშვნელოვანი მხარეა ნაკარნახევი მხატვართაგან. გოგენი „ნოანოაში“ წერს: თუკი ხე მწვანე ფერისად გჩვენებთ — აიღეთ ყველაზე საუკეთესო მწვანე საღებავი და ხატეთ. თქვენ არ შეცდებით. თქვენ უკვე მიაგენით. თქვენ უკვე გადანყვიტეთო. აქ ლაპარაკია ტონის სინმინდზე. პროზასთან მიმართებაში ეს საკითხი გადაიჭრება ყოველივე ზედმეტის განდევნით არა მარტო აღწერილობაში (ლურჯი ნაჯახი და ა.შ.), არამედ „ნახევარტონების“ მთელი ჩენჩოს მოკვეთითაც — ფსიქოლოგიის გამოხატვაში; არა მარტო ზედსართავ სახელთა სიმშრალესა და ერთადერთობაში, არამედ მოთხრობის თავად კომპოზიციამში, სადაც მრავალი რამ მსხვერპლად ეწირება ტონების ამ სინმინდეს. ყველანაირი სხვა გადწყვეტილება გვაშორებს ცხოვრებისეულ სიმართლეს.

კოლიმური მოთხრობები — ესაა ცდა, დააყენო და გადაჭრა რაღაც მნიშვნელოვანი ზნეობრივი საკითხები დროისა, საკითხები, რომლებიც უბრალოდ შეუძლებელია გადაიჭრას სხვა მასალაზე.

საკითხი ადამიანისა და სამყაროს შეხვედრისა, ადამიანის ბრძოლა სახელმწიფო მანქანასთან, სიმართლე ამ ბრძოლისა, ბრძოლა საკუთარი თავისათვის, ბრძოლა შენში და შენს გარეთ. შეიძლება თუ არა აქტიური ზეგავლენა შენს ბედზე, სახელმწიფო მანქანის კბილანები, ბოროტების კბილანები რომ ფქვავენ, ილუზორულობა და სიმძიმე იმედისა. შესაძლებლობა იმისა, რომ დაეყრდნო სხვა ძალებს, ვიდრე იმედი.

ავტორი ანგრევს საზღვრებს ფორმასა და შინაარსს შორის, უფრო სწორად, განსხვავება არ ესმის. ავტორს ჰგონია, რომ მნიშვნელობა თემისა თავად კარნახობს გარკვეულ მხატვრულ პრინციპებს. „კოლიმური მოთხრობების“ თემა გამოსავალს ვერ პოულობს ჩვეულებრივ მოთხრობებში. ამგვარი მოთხრობები — თემის გაუხამებაა. მაგრამ მემუარის ნაცვლად „კოლიმური მოთხრობები“ გვთავაზობს ახალ პროზას, ცოცხალი ცხოვრების პროზას, რომელიც იმავდროულად — გარდაქმნილი სინამდვილეა, გარდაქმნილი დოკუმენტი.

ეგრეთნოდებული თემა ლაგერისა — ეს ძალზე დიდი თემაა, სადაც დაეტევა ასი ისეთი მწერალი, როგორიცაა სოლჟენიცინი, ხუთი ისეთი მწერალი, როგორიცაა ლევ ტოლსტოი. და ვინოდ არავინ იქნება.

„კოლიმური მოთხრობების“ ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მწერლისათვის მთავარია შენარჩუნება ცოცხალი სულისა.

კომპოზიციური მთლიანობა — არცთუ მცირე ღირსებაა „კოლიმური მოთხრობებისა“. ამ კრებულში შეიძლება შეცვალო და გადაადგილო მხოლოდ ზოგიერთი მოთხრობა, ხოლო მთავარი, საყრდენი მოთხრობები თავთავიანთ ადგილზე უნდა იდგნენ. ყველამ, ვინც კი ნაიკითხა „კოლიმური მოთხრობები“ მთლიან წიგნად და არა ცალკეულ მოთხრობებად — აღნიშნა დიდი, უძლიერესი შთაბეჭდილება. ამას ამბობს ყველა მკითხველი. ეს აიხსნება შერჩევის არაშემთხვევითობით, კომპოზიციისადმი საგულდაგულო ყურადღებით...

„კოლიმური მოთხრობები“ — ესაა ადამიანთა ქცევაში ახალ ფსიქოლოგიურ კანონზომიერებათა გამოხატვა ახალ პირობებში (რჩებიან თუ არა ისინი ადამიანებად? სად არის საზღვარი ადამიანისა და პირუტყვის შორის?)...

ეს კანონზომიერებანი — ახალია, ახალი, მიუხედავად უზარმაზარი ლიტერატურისა ციხეებსა და ტუსაღებზე. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება ძალა ახალი პროზისა, მისი

აუცილებლობა. დოკუმენტის დაძლევა დამოკიდებულია, რა თქმა უნდა, ტალანტზე, მაგრამ მოთხოვნილებანი ტალანტის მიმართ, და უზინარეს ყოვლისა, მართებული მხრიდან, ლაგერის თემამი ძალზე მაღალია.

ეს ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი შეუქცევადია, ისევე როგორც III და IV ხარისხის მოციხულობა. ავტორი თვლის, რომ ლაგერი უარყოფითი გამოცდილება ადამიანისათვის — უარყოფითი პირველი წუთიდან უკანასკნელამდე, და ნანობს, რომ იძულებულია საკუთარი ძალები მიმართოს სწორედ ამ მასალის დასაძლევად.

ავტორს ათასჯერ, მილიონჯერ უკითხავს ყოფილ ტუსაღთათვის — ყოფილა თუ არა მათ ცხოვრებაში თუნდაც ერთი დღე, როცა არ გაუხსენებიათ ლაგერი. პასუხი ერთნაირი იყო — არა, ასეთი დღე მათ ცხოვრებაში არ ყოფილა.

მაღალი გონებრივი კულტურის ადამიანებიც კი, ლაგერში ნამყოფნი — თუკი არ გასრესილან და შემთხვევით გადარჩენილან — ცდილობდნენ აღემართათ ბარიერი ზუმრობისა, ანეკდოტისა; ბარიერი, რომელიც გაუფრთხილებოდა მათ სულსა და გონებას. მაგრამ ლაგერმა ისინიც მოატყუა. მან ეს ადამიანები გადააქცია პრინციპული უპრინციპობის მქადაგებლებად და მათი ცოდნის უზარმაზარი კულტურა საგნად ემსახურებოდა საშინაო გონებრივ გართობას, გონების გიმნასტიკას.

„კოლიმური მოთხრობების“ ანალიზი თავად უანალიზობაა. აქ გამოყვანილ არიან ადამიანები ბიოგრაფიის გარეშე, წარსულის გარეშე, მომავლის გარეშე, გამოყვანილ არიან მათი ანმყოფი მომენტები — რომელი ანმყოფი, მხეცურის თუ ადამიანურისა? და ვის უფრო მიერგება მასალა — მხეცებს, პირუტყვებს თუ ადამიანებს?

„კოლიმური მოთხრობები“ — ესაა ბედი ნამებულთა, რომლებიც არ ყოფილან და არც გამხდარან გმირები.

„კოლიმურ მოთხრობებში“ — ასე ჰგონია ავტორს — არაფერია, რაც არ იქნება ძლევა ბოროტებისა, ზეიმი სიკეთისა.

სხვა რამ რომ მინდოდეს — სრულიად სხვა კილოს და სხვა საღებავებს ვიპოვიდი, იმავე მხატვრული პრინციპის გამოყენებით. საკუთარი სისხლი — აი, რამ შეადუღაბა „კოლიმური მოთხრობების“ ფრაზები... მესხიერებამ შემოინახა ათასობით სიუჟეტური ვარიანტი პასუხისა და მე ისლა დამრჩენია, რომ ამოვარჩიო შესაფერი და გადავათრიო ქალღმერთი. განა საიმისოდ, რომ აღვწერო რაღაც, არამედ იმიტომ, რომ გავცე პასუხი. მე აღწერილობისათვის არა მცალია.

„კოლიმურ მოთხრობებში“ ერთი სტრიქონი, ერთი ფრაზაც კი არ არსებობს — „ლიტერატურული“ რომ იყოს...

ყველა განმეორებანი, ყველა ნაცდომიანი, რასაც მკითხველები მსაყვედურობდნენ — შემთხვევით, დაუდევრობით თუ აჩქარებით როდი გამიკეთებია...

ამბობენ, რომ განცხადება უკეთ გამახსოვრდება, თუკი მასში ორთოგრაფიული შეცდომია. მაგრამ მხოლოდ ეს არაა გასამრჯელო დაუდევრობისა.

თავად უტყუარობა, პირველადობა მოითხოვს ამგვარ შეცდომებს.

სტერნის „სენტიმენტალური მოგზაურობა“ წყდება შუა ფრაზაზე და ამას არავინ არ იწუნებს.

მამ რატომღაა, რომ მოთხრობაში „როგორ იწყებოდა ეს“ ყველა მკითხველი თავისი ხელით უმატებს, ასწორებს ჩემს დაუშთავრებელ ფრაზას: „ჩვენი ჯერ კიდევ ვმუ...“

და როგორ უნდა იბრძოლო სტილისთვის, აკრძალო ავტორისეული უფლება?

სინონიმების, ზმნებ-სინონიმების და სინონიმ-არსებითი სახელების გამოყენება ემსახურება იმავე ორმაგ მიზანს — მთავარის ხაზგასმას და მუსიკალურობის, ბგერითი საყრდენის, ინტონაციის შექმნას.

როდესაც ორატორი სიტყვას წარმოთქვამს — ახალი ფრაზა იბადება ტვინში, სანამ ენის წვერზე მოგადგებიან სინონიმები.

უჩვეულოდ მნიშვნელოვანია პირველი ვარიანტის შენარჩუნება. დაუშვებელია სწორება. უმჯობესია დაელოდო გრძნობის ახალ აღზევებას და ხელახლა დაწერო მოთხრობა პირველი ვარიანტის ყველა უფლებით.

ყველამ, ვინც წერს ლექსებს, იცის, რომ პირველი ვარიანტი — ყველაზე გულწრფელია, უშუალო, და ჩქარობს გამოთქვას ყველაზე მთავარი. შემდგომი გაშალაშინება — სწორება (სხვადასხვა მნიშვნელობით) — ესაა კონტროლი, აზრის ძალადობა გრძნობაზე, აზრის ჩარევა. მე შემიძლია ნებისმიერი დიდი რუსი პოეტის ლექსის 12-16 სტრიქონში გამოვიცნო, თუ რომელი სტროფია პირველადია...

აი, ამ პროზისთვისაც, პროზობითად „ახალს“ რომ ვუნოდებთ, უჩვეულოდ მნიშვნელოვანია პირველი ვარიანტის იღბალი...

იტყვიან: ყოველივე ეს არაა საჭირო შთაგონებისათვის, გაბრწყინებისათვისო.

ავტორი პასუხობს: გაბრწყინება მოგვევლინება მხოლოდ უსათუო ლოდინის, დაძაბული მუშაობის, ძიების, ძახილის შემდეგ.

ღმერთი მუდამ დიდი ბატალიონების მხარეზეა. ასეა ნაპოლეონის მიხედვით. პოეზიის ეს დიდი ბატალიონები მწყობრში დგებიან და მარშით დადიან, სწავლობენ სროლას საფარში, სიღრმეში.

ხელოვანი მუშაობს მუდამ, მასალის გადამუშავება მიმდინარეობს ყოველთვის, გამუდმებით. გამობრწყინება — ესაა შედეგი ამ მუდმივი მუშაობისა.

ხელოვნებაში, რასაკვირველია, არის საიდუმლოებანი. ესაა — ტალანტის საიდუმლოებანი. არც მეტი და არც ნაკლები.

ჩემი ნებისმიერი მოთხრობის სწორება, „გაშალაშინება“ უჩვეულოდ ძნელია, რამეთუ მოეპოვება განსაკუთრებული, სტილური ამოცანები.

ოდნავ, სულ ოდნავ შეასწორებ და ირღვევა ძალა უტყუარობისა, პირველადობისა...

სწორია თუ არა, რომ ახალი პროზა ეყრდნობა ახალ მასალას და ამ მასალით არის ძლიერი?

რა თქმა უნდა, „კოლიმურ მოთხრობებში“ არ გვხვდება ნიკიბიკონი. ავტორი ფიქრობს, თუმცა შესაძლოა ცდება, რომ საქმე მარტოოდენ მასალაში როდია და იმდენადაც მასალაში როდია...

ავტორს აქვს მოთხრობა „ჯვარი“ — ესაა ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობათაგან თავისი კომპოზიციური დასრულებულობით, არსით, გამომსახველობით. „ჯვარში“ არავითარი ლაგერი არ ჭაჭანებს, მაგრამ ახალი პროზის პრინციპები დაცულია და მოთხრობა, ვგონებ, ურიგო არ გამოსულა.

რატომ ლაგერის თემა? ლაგერის თემა მისი ფართო განმარტებით, მისი პრინციპული გაგებით — ეს არის ძირითადი, მთავარი საკითხი ჩვენი დროისა. განა ადამიანის განადგურება სახელმწიფოს მეოხებით — არაა მთავარი საკითხი ჩვენი დროისა, ჩვენი მორალისა, საკითხი, რომელიც ყოველი ოჯახის ფსიქოლოგიაში შეჭრილა? ეს საკითხი ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ომის თემა. ომი, რაღაც აზრით, ფსიქოლოგიური კამუფლიაჟის როლს თამაშობს (ისტორია გვაუწყებს, რომ ომის დროს ტირანი და ხალხი ერთმანეთს უახლოვდებიან). ომის სტატისტიკით, ყველანაირი ჯურის სტატისტიკით ლამობენ „ლაგერის თემის“ მიჩქმალვას.

როდესაც მკითხებიან, რას წერო, ვპასუხობ: მე მოგონებებს არა ვწერ, „კოლიმურ მოთხრობებში“ არავითარი მოგონებანი არაა. მე არც მოთხრობებს ვწერ — უფრო სწორად, ვცდილობ მოთხრობა კი არ დაწერო, არამედ ის, რაც არ იქნება ლიტერატურა.

დოკუმენტის პროზა კი არა, არამედ პროზა, დოკუმენტით გამოტანჯული.

რუსულიდან თარგმნა
თამაზ ნატროვილი

კობა ცხაკაია

„იყავით უმანკონი ვითარცა ჩვილნი“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

- როცა შენი არავის ესმის და როცა არც შენ გესმის ვინმესი.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- იქ სადაც ვცხოვრობ.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- როცა არ გეშინია ხვალინდელი დღის.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- თოლია ჯონათან ლეინგსტონი.
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- გრიგოლ ხანძთელი და ალბულა ათაბაგი.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- გოია, ვარაზი, ფიროსმანი
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- ბახი, ჰანს ციმმერი, ლალიძე... ძალიან ბევრია.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?
- დღეისათვის ესაა დროის შეგრძნება — ანუ როცა იცი, როდის უნდა თქვა საჭირო სიტყვები, რომელიც საქმეს გააკეთებს.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- საკუთარი თავის და გარემოს სწორად შეფასებას.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი?

— სამართლიანობა. სამართლიანობა, რომელიც ხშირად კანონის საპირისპიროცაა.

- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- ჩემი საქმის კეთება.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?
- ყველა ვისაც მინდა ვგავდე აღარ არიან, ჯერჯერობით არყოფნას არ ვგეგმავ.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- სამწუხაროდ, ვარ არაკომუნიკაბელური.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- სიმართლეს.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- არაკომუნიკაბელურობა.
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- ამის გამხელა არ ღირს — ადვილი სამართავი გავხდები, ანუ შეიძლება ილუზია რეალობად მომაჩვენონ...
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- არც ამის გამხელა ღირს — ადვილი დასამარცხებელი გავხდები.

- როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?
- სამართლიანი, ძლიერი, ღია.
- თქვენი საყვარელი ფერი?
- შინდისფერი.
- ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?
- ვარდი.
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- ბელურა.
- თქვენი საყვარელი მწერლები?
- ჯოისი, ჯონათან სვიფტი, ბასილ მელიქიშვილი, რობა-ქიძე, დოსტოვესკი, ჩეხოვი, ოთარ ჩხეიძე... ბევრია კიდევ.
- თქვენი საყვარელი პოეტები?
- გრანელი, ვაჟა, დანტე, ჭანტურია.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

- ივდითი.
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
- კოსტავა, ჭავჭავაძე, შარტავა, რუსეთთან წარმოებულ ორივე ომის გმირები, პატრიარქი ილია მეორე.
- კიდევ — დავითი, რომელმაც იპოვა თავისი რეალური გოლიათი დასამარცხებლად...
- დონ კიხოტი, რომელმაც ვერაფრით იპოვა დასამარცხებელი გოლიათი და ილუზიებს შეებრძოლა.



— და ბოლოს გულივერი, რომელმაც შეძლო ორივე მხარეს აღმოჩენილიყო.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

- ცხრა ძმა ხერხეულიძის დედა, რომლის სახელი სამწუხაროდ ისტორიას არ შემოუნახავს.
- საყვარელი სახელები?
- თორღვა, იაკობი, გრიგოლი, თამარი, ერეკლე, ლევანი, ნინო, ქეთევანი, მარიამი.
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- ამპარტავნობას. როცა იმდენად სულელი ხარ, რომ თავი ყველაზე ჭკვიანი გგონია!

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— სერგო ორჯონიკიძე და მის აქ შობილი და აღზრდილი შვილები, რომელთაც საქართველოს კეთილდღეობა თავისი პირადი კომფორტისა და ანგარების იქით ვერ წარმოუდგენიათ...

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?

- ომი — თუკი ის გარდუვალია — უნდა მოხდეს... მაგრამ ამ ომში პირველ რიგში ის უნდა იბრძოდეს და იბრძოდეს რეალურად, ვინც ომი გამოაცხადა...
- რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
- საბჭოთა კავშირის დაშლა, შეთანხმება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის...

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?

- ფრენის ნიჭი, ფრენის და არა გაფრენის.
- როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?
- როცა ამისთვის ვიქნები მზად და როცა მეცოდინება, რომ მზად ვარ.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

- არ ვიცი, რა იქნება ხვალ.
- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— სიტუაციას, მოტივაციას და დროს გააჩნია.

— თქვენი დევიზი?

— ერთხელ მეუფე ელისემ მითხრა ეს სიტყვები ბიბლიიდან — იყავით ბრძენნი ვითარცა გველნი და უმანკონი ვითარცა ჩვილნი.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— მშობელს დიდი ხნის განშორების მერე რომ ხვდები, რას ამბობ და რას აკეთებ? ეს ქმედებები ხომ მხოლოდ მონატრებასა და დიდ სიყვარულზე დაფუძნებული და არანაირ წინასწარ გეგმას არ ეფუძნება. წარმოიდგინეთ, ღმერთს როცა ხვდები, იქ იმდენი მონატრება და სიყვარულია, რაიმეს თქმას აზრი აქვს?

მარშან გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში გაიმართა ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი საუნივერსიტეტო საპროგრამო კონფერენცია. თავყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა გორის უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი სოსიაშვილმა. სიტყვით გამოვიდნენ: ოთარ ჩხეიძის სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის ხელმძღვანელი მარინე გიგაშვილი-ცერცვაძე და სტუმრები ქუთაისიდან — ელგუჯა თავბერიძე და ლია კუხიანიძე, აგრეთვე როსტომ ჩხეიძე. კონფერენციის მსვლელობაში მონაწილეობდნენ ლიტერატორები და ენათმეცნიერები: ამირან არაბული, ვიანორ ახალაია, გიორგი გოგოლაძე, თამარ გოგოლაძე, კლარა ელჩიბეგაშვილი, ნინო ვახანია, თამილა ზვიადაძე, ეთერ თათარაიძე, ანა იმნაძე, მარინა კაკაჩია, სალომე კაპანაძე, მარიამ კობერიძე, ნანა კუცია, მურად მთვარელიძე, ნიკოლოზ ოთინაშვილი, სოსო სიგუა, თამარ სიღამონიძე, მარინე ტურავა, ნესტან ფიფია, თამარ ყალიჩავა, ქეთევან შენგელია, პაატა ჩხეიძე, მარინე ცერცვაძე, თამარ წონორია, იოსებ ჭუმბურიძე, გია ხოფერიძე.

კვლევის თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი გახლდათ და მოიცავდა მწერლის რომანებს („ბორიაყი“, „ბურუსი“, „ნაკრძალი“, „ამალღება“, „ჩემი სავანე“, „არტიტული გადატრიალება“, „თეთრი დათვი“, „მორჩილი“, „ლაზერმოუ“, „იტალიური დღიურები ბაირონისა“), ნოველების ციკლს „ჩემი სოფლის ეტიუდები“, პიესას „სოლომონ ანუ მსაჯული მეფისა“, ცალკეულ პუბლიცისტურ თუ ლიტერატურულ ესეებს, მის სტილურ-ენობრივ თავისებურებას, აგრეთვე როსტომ ჩხეიძის მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებას „ორი მდინარის შესაყარზე“ (ოთარ ჩხეიძის „ჩემი სავანის“ თავისებური ვარიაცია-კომენტარები). მეცნიერებმა წარმოადგინეს ახლებური და მრავალმხრივ მნიშვნელოვანი დაკვირვებანი და მიგნებანი და ამიტომაც მათი მოხსენებები წიგნადაც გამოიცემა, ისევე როგორც ქართული ლიტერატურის ინსტიტუტსა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები გამოქვეყნდა ცალკე კრებულებად.

ამჯერად გთავაზობთ ბიორგმი სოსიაშვილის მემუარულ ჩანახატს, უახლოეს ნომერში კი მომავალი კრებულიდან წინასწარ გააცნობთ სოსო სიგუასა და ეთერ თათარაიძის მეცნიერულ ნარკვევებს.

გიორგი სოსიაშვილი

მაათა სართული

პირველი, მეორე, მესამე... ვითვლი საფეხურებს. თან მივდივართ, თან ვითვლი.

— ლიფტი არ მუშაობს, რა დაემართა? — წუნუნებს ახლოური.

— ალბათ უნდა გაფუჭებულიყო, — ჩავილაპარაკე.

— რას ნიშნავს „უნდა გაფუჭებულიყო“, — გაკვირვებით შემომხედა დათომ.

— აქ რომ მოვედით, იმიტომ გაფუჭდა. ასე ინება ლიფტი. ლიფტსაც სული უდგია და რალაც-რალაცებს ეგეც გემავს მამ... დიდ ადამიანთან ლიფტით ასვლა ვის გაუგია.

— ვერ გავიგე, რა სული უდგია. ან ლიფტმა რა უნდა დაგეგმოს. — მხრები აიჩეჩა.

მივდივართ, მივყვებით კიბეს. გზადაგზა მიცოცხლდება „კეისრის“ გმირები. თავანკარა ქართულის სურნელი ტრიალებს სადარბაზოში. თითქო ზოსიმეს ენის ტაძარში შევდივართ, სადაც დიდი ქურუმი გველოდება. ისეთი შერძენი მაქვს, ცას შედგმულ კიბის საფეხურებს ვიტოვებთ უკან. ფეხით უნდა ავიდეთ მეათე სართულზე, ფეხით უნდა ავალწიოთ თანამედროვე ლიტერატურის ლეგენდასთან, რომელმაც ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის არსებობის მანძილზე ყველაზე უფრო მეტად გახედნა ქართული ენა, ყველაზე უფრო მეტად დაგემა ქართული სიტყვა. პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე... მივდივართ და ასე მგონია, ყველა სართულს თავისი სახელი ჰქვია: მეჩეჩი, გამოცხადებაი, ვენეციური ჭალი, აღმართ-დაღმართი, კვერნაქი, ჩემი სავანეც ანერია ერთ-ერთ სართულს, ყველა ნანარმოების სახელწოდება, ბუნებრივია, ვერ ეტყვა. ეგრე ცათამბჯენი გამოვიდოდა, ცათამბჯენზე კი ცხოვრობს ოთარ ჩხეიძე, რომელსაც მე და დათო ახლოური უნდა შევხვდეთ სულ მცირე ხანში და „ჩემი სოფლის ეტიუდების“ ავტორთან შეხვედრა სამუდამოდ ჩარჩება მესხიერებაში, მისი გაცისკროვნებული სახე, დრო-ჟამთან ჭიდილში გამარჯვებული შემოქმედის მისტიკური გამოხედვა სამუდამოდ შემორჩება ხსოვნას. მანამდე ახლოს არ მყავდა ნანახი. ნაკითხვით კი ბევრი რამ მქონდა ნაკითხული. როგორც ახალგაზრდა მწერალი... გაცოცხლები? ალბათ უფრო სხვა სიტყვა მოუხდებოდა (ვერ მავრდებდა) დავრჩეილვარ მისი მწერლური ოსტატობით. მისი მწერლური ხერხებით. ბელეტრისტიკა, რომელმაც ქართული სიტყვით სავსე ზედაშე დაუდგა ქართველ მკითხველს და დიდ საიდუმლოებას აზიარა თავისი ხალხი. გასაოცარი თხრობა... როდესაც მის ნაწერებს კითხულობ, სხვა საქარ-



გიორგი სოსიაშვილი სტუმრად ოთარ ჩხეიძესთან

თველოში ცხოვრობ, ეს არ არის თანამედროვე ქვეყანა. მისი თხრობის სტილი მისტიკაა. ამ მისტიკურ საბურველს თუ განევ, აღთქმულ ქვეყანას დაინახავ, იმ ქვეყანას, რომელშიც ცხოვრებასაც ნატრობდა დიდი პოლიტიკოსი ოთარ ჩხეიძე. არაბუნებრივი, სასწაულებრივი თვალით დაინახულ და გასაოცარი ფერებით დახატულ გმირებს კანთიელად შეხედავ, ყველას თავთავისი ვნებებით დაინახავ. ძალიან ძნელია ოთარ ჩხეიძის, როგორც მწერლის, მოაზროვნის, დიდი ფილოსოფოსის გაგება. იმიტომ რომ მისი გაგება სხვანაირ განათლებას მოითხოვს, აქ არ არის საუბარი ოდენ ბიბლიის, მითოსის, ფილოსოფიის, ლიტერატურის ღრმა ცოდნაზე. აქ თანდაყოლილი ნიჭიც არის საჭირო. მისი გაგება ძალიან რთულია, მაგრამ სამაგიეროდ — ენითუთქმელი სიამოვნების მომგვრელი. სხვა საქართველოს მკვიდრი ხდები. ეს ერთეულთა ხვედრია.

თეთრი ქათქათა თმა, გამჭოლი მზერა, ოდნავ ლიმილიანი. ლიმილში იმალება ფეხიზელი თვალი, რომელსაც არავინ და არაფერი რჩება ყურადღების მიღმა, ეს ალბათ „ათასწილიანი“ კი არა(თამაზ ჩხენკელს რომ დავესესხო), მთელ არწივთა მოდგმის მზერაა. ეს ლიმილი მხოლოდ კეთილი მოხუცის ლიმილი არ არის. ამ ლიმილს ბევრი საიდუმლოა ამოფარებული. მისი თვალები, გამოხედვა, ლიმილი მისი სტილივითაა. თითქო ერთი შეხედვით მარტივი, ადვილად მისახვედრი და გასაგები, მაგრამ ამავდროულად ღრმა, შეუცნობელი, მრავალმხრივი. შრეების აღმოჩენა კი თვით მკითხველზეა დამოკიდებული. რაც უფრო ნიჭიერია მკითხველი, გონებაგახსნილი და განათ-

ლებული, უფრო და უფრო ბევრი შრე ეხსნება მის ტექსტებში. ჩადის და ჩადის დაბლა გასაოცარ სიღრმეებში.

გავეცანით გორელი ახალგაზრდა მწერლები „ბორიასის“ ავტორს, რომელიც მცირე ხანში წამოდგა. მისაღები ოთახიდან გავიდა და რამდენიმე წუთში წიგნებამოიღოლიავებული უკან დაბრუნდა. „თეთრი დათვი“, „არტიტული გადატრიალება“, „ბერმუდის სამკუთხედი“ — „მატიანე ქართლისას“ ციკლის რომანები გვისახსოვრა ახალგაზრდა ავტორებს. მერე უფრო დაწვრილებით გამოიკითხა ჩვენი ვინაობა, დაინტერესდა, რა საკითხებზე ვმუშაობდით. ერთი ეგ იყო, იმ შეხვედრის ხინჯად რომ დამარჩა და დღემდე არ მასვენებს. ოთარ ჩხეიძის სამყაროში მოხვედრილებმა ვერ გავუბედეთ ცოცხალ კლასიკოსს სამახსოვრო წარწერა გაეკეთებინა ნაჩუქარ წიგნებზე. წიგნები წამოვიღეთ, ოღონდ ოთარ ჩხეიძის ხელმოწერის გარეშე. მესხიერების გარდა, ერთადერთი, რამაც დიდ მწერალთან შეხვედრის წამი შემოინახა, ოთარ ჩხეიძისთან ერთად გადაღებული ფოტოსურათია, რომელიც დღემდე ამშვენებს ჩემს არქივს და სიამაყით მავსებს, რადგანაც ოთარ ჩხეიძისთან შეხვედრილი ვარ, მასთან ლიტერატურაზეც მისაუბრია. „დღევრძელი იყავი“, ბატონი ოთარის ხმა ახლაც ჩამესმის ყურში, მეთაუ საართულიდან წამოყოლილი ხმა.

უხარიათ. სიამით ევსებათ გული.

— ნაიკითხე?

— ნავიკითხე, ნავიკითხე. როგორ იუველირის სიზუსტით დაუხატავს ყველაფერი. მე, მე აღარ მახსოვდა ჩემი თავისა ბევრი რამ, დრომ თითქოს გამოორეცხა მესხიერების სკივრი, ამას კიდევ... ესე ზუსტად, ესე თანმიმდევრულად. იტყვი ეხლა ხდება ყველაფერიო. სულ თვალწინ მიდგანან. სულა, დამლაგებლიან-რექტორიანად, ყოჩაღ მაგასა, ყოჩაღ. ხარაუელიც თვალწინ დამიდგა, ასე მეგონა რო ვკითხულობდი, იქვე მიდგა. ცხონებული. ღმერთმა გაანათლოს.

— სულ დეტალურად, ეტყობა იწერდა ყველაფერს, დღიურებს აკეთებდა. აგროვა, აგროვა და ბოლოს გამოადგა. აბა, დღიურების წერა არც კი მიფიქრია. ისე აუცილებელია. ყოველი დღე ისტორიაა. ბევრი ისეთი რაღაცის გახსენება მინდა, ვიხსენებ, ვიხსენებ და ველარ ვიხსენებ. აი, ოთარმა შექლო. გორის პედაგოგიური სასწავლებლის მატინეა, აქა-იქ სიმწარეა, ხანდახან მაინც წაუწინაკებს ხოლმე.

— მაგის გარეშე არ გამოვიდოდა. სუფრები, სუფრები, რექტორის თათბირები, შეხვედრები, ხარაულის ხასიათი. ზედმიწევნითა. ცოტა ადვილი ენით რო იყოს, უფრო კარგად გავიგებდით, როგორ აქვს შეფასებული ის წლები. მაგრამ უცნაურად წერს, სიმართლე გითხრა, ვერც ვიგებ, როგორ აქვს დანახული.

ხელიდან ხელში გადადის „ჩემი სავანე“, ზედ ცხრაკარაა გამოსახული. კადრებივით ურბენთ თვალწინ ოთარ ჩხეიძის მახვილი თვალით დანახული სინამდვილე. ოღონდ ძნელი გასარჩევია, ძნელი — მშობლიურ სასწავლებელზე გულაყრილი მწერლისა და მასწავლებლის შეფასებები, ტკბილ-მწარე შეფასებები. ეს მარტო ნოსტალგიათა და იქ მოღვაწე ლექტორების თუ ადმინისტრაციულ პერსონათა მონატრებით დაწერილი წიგნი არ არის. წიგნს კარგი მკითხველი სჭირდება, მითუფრო ოთარ ჩხეიძის წიგნს, გახსნილი, თანდაყოლილი მხრეკეული გონების მქონე და განათლებული მკითხველი.

დრო ხანდახან ტირის. არა, არ მეჩვენება. მისი ქვითინი ღამეული ზმანება არ არის. დაუმარცხებელი დრო ხშირად დიდ შემოქმედებთან რკენაში ფარ-ხმალდაყრილია და ამ მარცხს ვერ ეგუება. ქართული სიტყვის ყელქცეულელმა ქურუმმა მეთაუ საართულზე ღმერთთან ჩურჩულში დატოვა საწუთრო და დროსთან საბრძოლველად საგზაად დაგვიტოვა უზარმაზარი მემკვიდრეობა.

არასოდეს დამავინწყდება მეთაუ საართული.



ლიანა ელიავა

როდის მივდივართ ბარსელონაში?!

არ დავთმოთ, რა ვქმნათ, სევდასა, მითხარ, რა მოვუგვაროთა? თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთა.

შოთა რუსთაველი

პირველი ნაწილი

1.

ზამთრის ერთ სუსხიან დღეს ფინეთში მე და ჩემი მეუღლე — რეინო კომპიუტერთან ვისხედით. ჩვენი ფართო ფანჯრის ჩარჩოში ზამთრის ცოცხალი პეიზაჟი მოჩანდა, ქარი არხვედა თოვლით დახუნძლულ ნაძვისა და არყის ხის ტოტებს. ჩვენ კი თბილ ბინაში შილიფად ჩაცმულები, მიგრებოდით კომპიუტერის ეკრანს და დავსეირნობდით ბარსელონას წარმოსახულ ქუჩებში.

განსაკუთრებით მოგვაჯადოვა ანტონიო გაუდის გენით შექმნილმა არქიტექტურულმა შედეგებმა. გუელის პარკში მისი ადრეული ლანდშაფტური ხაზების ბუნებრიობითა და ფერადოვნებით დავტკბით. გვიანდელმა გაუდიმ კი გაგვაოცა უსასრულო „Sagrada familia“-ს ქვაში ნაკვეთობით. შედარებით იაფი სასტუმრო Granvia-ც შევივალეთ მეტროსთან ახლოს. ავიაბილეთებილა დაგვრჩა ასაღები. უკვე ხმელთაშუა ზღვის პირას, მსოფლიოს უმშვენიერესი ქალაქში რომ წარმოვიდგინეთ თავი, თბილისიდან დამირეკეს.

იმდენი ტრაგედიის მონაწილე თუ არა, მომსწრე მაინცა ვარ, ამიტომ ყოველთვის მეშინია მოულოდნელი ზარის, მით უფრო თბილისიდან, სადაც ლოგინად ჩავარდნილი და მეგულება. უცხო ხმის გაგონებაზე გული შემიქანდა. რა ხდება, სადაა მომვლელი? ალბათ ისევ გავარდა თავის სახლში და მართო დატოვა. რა არ ვიფიქრე და წარმოვიდგინე. კიდევ კარგი, შევცდი. უცხო ხმით მომესალმა და გამომეცნაურა კინოცენტრის დირექტორის მოადგილე ქალბატონი:

— ფრაიბურგის საერთაშორისო კინოფესტივალისთვის თქვენს „ბზიანეთს“ ითხოვენ და თქვენი იმიელი გვჭირდება, რეჟისორთან უნდათ დაკავშირება.

შიშის ადგილას უცებ დაისადგურა შვებამ, გოცებამ თუ სიამაყემ. საერთოდ დამავინწყდა ასე საოცნებო ბარსელონა. დაუყოვნებლივ ვუკარნახე ელექტრონული ფოსტის მისამართი.

— დაელოდეთ, მოკლე ხანში მიიღებთ მესიჯს ფრაიბურგიდან. გისურვებთ წარმატებას!

ალტაცებულმა იმ წამსვე რეინოს ვახარე:

— თბილისიდან დამირეკეს, სასწრაფო მესიჯს დაელოდე-
თო ფრაიბურგიდან. ჩემს „ბზიანეთს“ ინვევენ ფესტივალზე.

— აჰა, რომ იხახდი, სულის ზეიმი მენატრებაო, ხომ აგიხ-
და? ბარსელონაში ჯობია, ზაფხულის მინურულს წავიდეთ და
გინდა მონსერრატის მთაზე, გინდა კოსტა-ბრავას სანაპირო-
ზე აღვნიშნოთ შენი დაბადების დღე! — მდიდარი კაცის როლ-
ში შეიჭრა ჩემი ქმარი.

— რატომ სანაპიროზე, არ ჯობია, შუა ზღვაში, საკუთარ
იახტაზე, — ვცადე მისი გამოფხიზლება, მერე ცივი წყალიც
გადავასხი, — ზამთარში იმიტომ მივდიოდით, რომ უფრო
იაფია. ზაფხულში უთუხპირი ეღირება ყველაფერი.

მოკლეთ, ასე, თუ ისე, რეინომ დახურა „ფინეარის“ გვერ-
დი და კომპიუტერის ფოსტა გახსნა. იქ უკვე იდო ფესტივა-
ლის ორგანიზატორის — ანნე დელსეტის ნერილი ინგლისურ
ენაზე. იგი იტყობინებოდა, რომ „ბზიანეთი“ მინვეულია ფრა-
იბურგის საერთაშორისო კინოფესტივალზე, რომ ფესტივალის
გაიმართება 2011 წლის 19-26 მარტს. საჭიროა მანამდე ად-
გილზე გაიგზავნოს ფილმის დისკი.

რეინომ „გულში“, სადღაც საფრანგეთ-შვეიცარიის
საზღვარზე მოძებნა ქალაქი ფრაიბურგი, თავისი ხედები-
თურთ. პატარა, თავისი სიძველით მომხიბლავი ქალაქი აღმო-
ვაჩინეთ. ბოლოს ფესტივალის მონაცემებიც ვიპოვეთ და ქა-
ლაქის რუკაც გადავათვალიერეთ.

პირველმა ემოციამ რომ გამიარა და გავიახრე, რაც ხდე-
ბოდა, საგონებელში ჩავვარდი. გავაცნობიერე, რომ ფესტივა-
ლისთვის აუცილებელი იქნებოდა „ბზიანეთი“ ინგლისური
სუბტიტრები, მე კი მხოლოდ ქართული გამაჩნდა, ისიც სხვა
ფილმებთან ერთად ჩაწერილი. საჭირო იყო მისი გამოცალკე-
ვება და ინგლისური სუბტიტრების დართვა.

— არ ვიცი, რა ვქნა, საიდან გავაჩინო ახლა „ბზიანეთი“
ინგლისურად? — ჩემი გასაჭირი გაუზიარე რეინოს. წამიერი
დუმილის შემდეგ თვითონვე მოვძებნე გამოსავალი, — სხვა
გზა არ არის, თბილისში უნდა გავფერინდე!

— შენი ბედი, რომ ბარსელონაში ბილეთების აღება ვერ
მოვასწარით! — ისევ კომპიუტერისკენ შეტრიალდა რეინო;
გამგები კაცია და ბევრი ჩიხინი არ დასჭირვებია, ეგრევე შე-
უდგა თბილისისკენ იაფი ბილეთის ძებნას.

მგზავრობა შეუფერებელ დროს, ზამთრის ყინვასა და
ქარში მიწვედა (საქართველოში ყოველთვის ხავერდოვანი შე-
მოდგომით მივემგზავრებოდი ხოლმე, მეუღლესთან ერთად,
ადრე მცირე ხნით ურეკში დასვენებასაც ვახერხებდით), ბარ-
სელონისთვის გამოზოგილი ფულიც მენანებოდა, მაგრამ მა-
ინც მიხაროდა, სამშობლოში რიგგარეშე გამგზავრების საბა-
ბი რომ მომეცა. თან დასაც მოვინახულებდი, სამკურნალო,
თუ სხვა საყოფაცხოვრებო საკითხებს მოვუგვარებდი. წინა
დამით, სატელეფონო საუბრისას, მისი მომვლელი — ეთერი,
თავისი აუცილებელი საჭიროებისთვის, წინასწარ ასი დოლა-
რის გავზავნას მთხოვდა, ხელფასის ანგარიშში. იმასაც ფულს
პირდაპირ ხელში მივცემდი.

— იქნებ შენც წამოსულიყავი, — შევთავაზე რეინოს, ბი-
ლეთის აღებაზე რომ მიდგა საქმე.

— წამოგყვებოდი, მაგრამ ხომ იცი, მე თუ „Подмосковные
вечера“ არ წავილიდინე ხოლმე, ისე ვერ გავძლებ, ლამარა კი
ამას ვერ გადაიტანს, — ჩამიარაკა მეუღლემ.

— კარგი ახლა, აპატიე ავადმყოფ ქალს, — ვცადე შემერ-
ბილენა მისი მწარე მოგონება.

საქმე ისაა, რომ იმ ავადსახსენებელი რუსულ-ქართული
ომის დროს, ჩემი მარტოხელა და, რუსული თვითმფრინავე-
ბიდან მოსალოდნელი დაბომბვის შიშით, კინალამ შეირყა
თურმე. თავისი განაპირა ოთახიდან აივნიან სასტუმრო
ოთახში გადმობარგებულა, აქ უფრო დაცული ვიქნებოი, თა-
ნაც რამე რომ გამიჭირდეს, აივნიდან უფრო მივანვდენ ხალხს
ხმასო. ქალს, რომელსაც ლვოვში რუსულად ჰქონდა დისერ-
ტაცია დაცული, იმ რამდენიმე დღეში ისე შესძულდა რუსული

ენა, რომ გაგონება არ უნდოდა. ჩვენი ბედი, მისი სიძულვილი
არ გადასწვდენია რუს კლასიკოსებს, თორემ თაობების შენა-
ძენი ბიბლიოთეკა გაგვინადგურდებოდა.

საომარი მოქმედების შეწყვეტისთანავე, მე და რეინო თბი-
ლისში ჩამოვფრინდით. საძინებელში რომ მოვხვედრილიყა-
ვით, ძალაუნებურად უნდა გავველო სასტუმრო ოთახი, სა-
დაც ლამარა ინვა. რაც არ უნდა ფეხაკრეფით შევპარულიყა-
ვით ჩვენს ოთახში, ის მაინც წამოყოფდა თავს და გვესროდა
გამჭოლ მზერას. განსაკუთრებით აღიზიანებდა ჩვენი რუსუ-
ლი საუბარი. ფინურად კი ჩვენ მხოლოდ იმას ვეუბნებოდით
ერთმანეთს, რაც სხვას არ უნდა გავყო.

ჩემს ქმარს ერთადერთი ფინური სიმღერა ჰქონდა აჩემე-
ბული და იმასაც იშვიათად, ნაბახუსევს წაიმღერებდა ხოლმე.
ეს იყო ბავშვობიდან გამოყოლილი „Isanmaa, Inkeri“ („მამუ-
ლო, ინკერი“, სასიყვარულო სახელია ინგერმანლანდიის —
პატარა ფინური სახელმწიფოსი, რომელიც შემდგომში ლე-
ნინგრადის ოლქად იქცა). როგორ გადასხვაფერდა იგი ლამა-
რას ქვეცნობიერში რუსულ „Подмосковные вечера“-დ, არ
ვიცი. შეიძლება, ჩვენი რუსული იყო ყველაფრის თავი და თა-
ვი. ეტყობა, ლამარას ავადმყოფ ტვინს საერთოდ დაავინყდა
ჩემი ქმრის ფინელობა, დაქვეითებული სმენა კი მორუსულე
ადამიანისგან ნამდურ ფინურსაც რუსულად აღიქვამდა. ეს
ერთადერთი რუსული სიმღერა ახსოვდა, რომელიც თავის
დროზე იმდენად ღრმად ჩაბეჭდოდა მეხსიერებაში, რომ ვერც
ვერაგულ ომს, ვერც საშინელ ავადმყოფობას ვერ წაეშალა.
იქნებ სულაც ამერიკელი ვირტუოზი პიანისტის — ვან კლი-
ბერნის წყალობით, რომელმაც თელ საბჭოეთს შეაყვარა იგი.

— ჩემს გასაგონად მაინც ნუ მღერის ამ „Подмосковные
вечера“-ს! — გამოაცხადა ერთ დღეს, ნაქეიფარი რეინოს ლი-
ლინით გაღიზიანებულმა, ლამარამ ხმამაღლა.

რეინო ვერ მიხვდა, რა კავშირი ჰქონდა მას ამ რუსულ სიმ-
ღერასთან, რაღა მის გამოჩენაზე ახსენეს. მე კი ავუსხენი მი-
ზეზი, მაგრამ ამის შემდეგ იგი უკვე თბილისში წასვლას თავს
არიდებდა. მეც არ ვაძალებდი და მარტო მიწვედა მგზავრობა.

რეინოს გულშემატკივრებმა მირჩიეს, დააბრუნე ავადმ-
ყოფი თავის ოთახში, ვერც გაიგებს, შენი მეუღლე ჩამოსულია
თუ არაო. გული მეთანაღრებოდა, მაგრამ მიკიბულ-მოკიბულ-
ლად მაინც მივახვედრე რეინო, რომ ასეთი გამოსავალიც არ-
სებოდა. თუმცა მეექვსეობდა, რომ მას ესარგებლა ამ სისას-
ტიკით. მართლაც ძალიან შორს დაიჭირა:

— არც იფიქრო, მაგის ცოდვაში როგორ ჩავდები?!
გამეხარდა, რომ გუმანმა არ მიმტყუნა.

ახლა ისევ დავბრუნდეთ რეალურ დროში. გულმოდგინე
ძიების შემდეგ, მეუღლემ მეორე დღისთვის იპოვა, გააფორმა
და ამომიბეჭდა ბილეთი.

ათასგვარ საფიქრალში ჩაფლულმა, ვერც კი გავიგე, რო-
გორ გაილია ღრუბლიან ზღვასა, ნისლით ჩამობურულ ბარსა
და თოვლით შეგლესილ მთებს ზემოთ, თბილისამდე გზა. ბო-
ლოს ბურუსიდან გამონათებული თბილისის ულამაზესი ფე-
რადოვანი პანორამაც გამოჩნდა.

დილა-უთენია უკვე თბილისის აეროპორტში ვიყავი. თოვ-
ლი არ იდო, მაგრამ ყინავდა. ძმისშვილის ქმარი — რატი დამ-
ხვდა თავისი მანქანით და ცარიელი პროსპექტით ავტომობი-
ლის სიჩქარით გამაქროლა სახლამდე. ისეთი გრძნობა
მქონდა, თითქოს თვითმფრინავიდან არც გადმოვსულვარ.
ხელბარგიც არ დამანება, ჩემოდანთან ერთად შეიტანა ლიფ-
ტში. თვითონ არ შემოსულა, სამსახურში ეჩქარებოდა.

— იქნებ, როცა მოიცლი, სასაფლაოზე გამყევე. ხომ იცი,
ავთოს საფლაზე რომ ვერ ავდივარ ფეხით, — ვთხოვე, სანამ
ათიანის ღილაკს დავაჭერდი თითს.

— შაბათს წავიდეთო, — დამამიმედა.
სწრაფად ავსრიალდი მეთაე სართულზე. ლიფტიდან გად-
მოვათრიე ბარგი და ჩემი გასაღებით დავაპირე ბინის კარის
გაღება. ეთერმა დამასწრო, იცოდა, რომ ჩამოვდიოდი და ფეხ-

ზე დამხვდა. არც ჩემს დას ეძინა. სანოლზე ჩამოვუჯექი, ლოყაზე ვაკოცე და მოვეფერე. ხელი ჩამკიდა და დიდხანს არ მიშვებდა, სანამ ეთერი არ დაგვადგა თავზე, რომ სასაუზმოდ მოემზადებინა. როგორც შევატყვე, უკვე თავისით ველარ ჭამდა.

— სალამოს ექიმს დავურეკე, რომ გნახოს, — ვუთხარი ლამარას.

სულის მოთქმა ვერ მოვასწარი, რეინომ დამირეკა მობილურზე. წამოვდექი და ლამარასკენ ზურგით (ჩემი რუსულით რომ არ გამელიზიანებინა), დავამშვიდე, უფათერაკოდ ჩამოვალნიე, ლამარასაც არა უშავს-მეთქი.

ბოლოს ჩვენს საძინებელში შევიტანე ბარგი. დიდი ოთახისგან განსხვავებით, აქ ციოდა. გაზის გამათბობელი არ ჰყოფნიდა მთელ ბინას. ჩემთან ელექტრორადიატორი ჩავრთე. დამტვერილი გადასაფარებელი გადავადრე ლოგინს, ტანგაუხდელად წავიხურე საბანი და მხოლოდ ფეხების გასამართად, წამოვწექი, მაგრამ ისე ვიყავი დაღლილი, მაშინვე მომერია ძილი. მობილურის მალევიდარა რომ არ ჩამერთო, ნალდად გამოემპარებოდა სამუშაო დღის დასაწყისი.

მალევიდარას დაჟინებულმა მოთხოვნამ "დროა გაიღვიძოთ!" არ დამაყენა ლოგინში, ავედექი, ვჩქარობდი, რათა მომესწრო ყველაფერი. ლამარა და ეთერი რომ არ გამელვიძებინა, არც კი მისაუზმია. უპირველესად ავკრიფე კინოცენტრის დირექტორის მოადგილის ნომერი, თავი შევასხენე და შევუთანხმდი სასწრაფო მიღებაზე. ეს დაწესებულება ჩემსობას არ იყო, ნამყოფიც არ ვიყავი და ბევრი რომ არ მებოდილა მოლიპულ ქუჩებში, ტაქსით წავედი.

მოადგილე კეთილგანწყობილი ახალგაზრდა ქალი აღმოჩნდა. დრო არ ითმენდა და პირდაპირ საქმეზე გადავედი. ავუხსენი, რომ მჭირდებოდა ჩემი სამფილმიანი ქართული დისკიდან „ბზიანეთის“ გამოცალკეება და ინგლისური სუბტიტრების დართვა. იგი თვითონ წამომყვა სუბსიდირების დეპარტამენტში და უშუალოდ უფროსს — ბატონ გოჩას ჩააბარა ჩემი თავი.

ბატონმა გოჩამ ყურადღებით მომისმინა, მერე დისკის ნახვა მოისურვა, თავის კომპიუტერში ჩართო. როგორც კი შეავლო თვალი გამოსახულებას, სახე მოელუშა და მკითხა:

— ეს სადაა ჩაწერილი?

— თბილისის ერთ-ერთ კერძო სტუდიაში, — არ დამიზუსტებია სტუდიის სახელი.

— ამის გაგზავნა არ შეიძლება! ფესტივალისთვის ტექნიკურად უფრო სრულყოფილი დისკი უნდა დაიბეჭდოს! — განაცხადა მან.

მერე დაიბარა პროექტების დაფინანსების მენეჯერი და ისე ადამიანურად აუხსნა ჩემი გაჭირვება, რომ თანამაზრედ დავეგულე.

ჩვენი მოსასწრაფად გვექონდა საქმე, დამფინანსებელმა ქალბატონმა კი გრძელი დისტანციისთვისაც თითქმის გადაულახავი დაბრკოლებები ჩამოგვითვალა: ხარჯთაღრიცხვა, კონკურსი, ჟიური, დასკვნა...

განა მარტო მე, დიდი გამოცდილების მქონე, ბატონ გოჩასაც უიმედოდ ერგენა ეს გზა, დაითხოვა ქალბატონი და დამოუკიდებლად შეუდგა საქმის მოგვარებას. რადგან ფილმი სატელევიზიო იყო, თვითონ დარეკა ტელევიზიაში ნაცნობ მოხელესთან და სთხოვა დახმარება, რომ „ბზიანეთის“ ნეგატივი დაუყოვნებლივ გაემზადებინათ დასაბეჭდად. ეტყობა, იქიდან დრო ითხოვეს. ბატონმა გოჩამ ყურმილი დადო და მითხრა:

— ექებენ, როგორც კი იპოვიან, დამირეკავენ.

ამ დაძაბულ მოლოდინში ისე გაიწელა დრო, მომეჩვენა, საათობით ველოდით ზარს. ბოლოს, როგორც იქნა, დაირეკა:

— ვერ იპოვეს, ადგილზე არ აღმოჩნდა.

გამეორება არ იყო საჭირო, ისე ვიყავი მიყურადებული, თვითონაც გავიგონე გულგრილად ნათქვამი გამაოგნებელი ცნობა. განსაკუთრებით ინტონაციამ გადამრია. მეგონა, ქვეყანა დაიქცეოდა, იქ არც შეტოკებულან.

ბატონმა გოჩამ არ იცოდა, რა ღონე ეხმარა. ტელევიზია ხომ სხვა დაწესებულება იყო, მას არ ექვემდებარებოდა.

მე ვერავითარი ლოგიკით ვერ დავიჯერე დაკარგვის რეალობა. ნეგატივი ინახება მხოლოდ ლაბორატორიაში, შესაბამისი ტემპერატურისა და ტენიანობის დაცვით. სხვაგან არ შეიძლება მისი არსებობა. გადავწყვიტე, თვითონვე მომეძია. ბატონმა გოჩამ შემატყო, რომ ასე ადვილად არ დავყრიდი ფარხმალს და მომამარაგა საჭირო სავიზიტო ბარათებით, თან დამპირდა, რომ დარეკავდა, ვისთანაც ხელი მიუწვდებოდა.

— თქვენისთანა გულისხმიერი ადამიანი კინოსამყაროში ნამდვილად იშვიათია, — გულწრფელი სიმპათია გამოვხატე, გამომშვიდობებისას.

ვერ მოვიტმინე და გზიდანვე დავურეკე ერთ-ერთი სავიზიტო ბარათის მფლობელ, მაღალი რანგის მოხელეს. თავი წარვუდგინე, როგორც ფილმ „ბზიანეთის“ რეჟისორმა და ნეგატივის ამბავი ვკითხე.

— ახლა მომასხენეს, რომ ვერსად ვერ იპოვეს, — აუღელვებლად მიპასუხა იმანაც.

— როგორ ვერ იპოვეს? — უკვე რეალური საშიშროება ვიგრძენი და ვერ დავმალე აღშფოთება. ჩემთვის ფილმის ნეგატივის დაკარგვა, გალერეიდან სურათის გაქრობის ტოლფასი იყო.

გამასხენდა მუნკის „მადონა“ რომ გაიტაცეს ოსლოს გალერეიდან და წარმოვიდგინე, რა რეაქცია ექნებოდა მხატვარს, რომ ეთქვათ, თქვენი „მადონა“ გაქრაო. კარგად ვიცი, არც მე ვარ მუნკი და არც ჩემი „ბზიანეთია“ — „მადონა“, მაგრამ არა მგონია, თავისი სულიერი ენერგიით შექმნილის დაკარგვას რომელიმე შემოქმედი გულგრილად შეხვდეს.

— რუსეთში კი იქნება (ოთხმოცდაათ წლამდე გადაღებული ყველა ქართული ფილმის ნეგატივი იქ ინახება, საქართველოში მხოლოდ დუბლნეგატივებია), მაგრამ, ხომ იცით, რუსებთან როგორი ურთიერთობაც გვაქვს, — ისე, სხვათაშორის, ჩაილაპარაკა მაღალი რანგის მოხელემ, — ალბათ პოზიტივიდან უნდა დაიბეჭდოს ახალი ნეგატივი. როგორც მითხრეს, პოზიტივის ფირები თითქმის ახალია.

„რა გაცვებდა, როცა არ აჩვენებენ“ — გავიფიქრე. ეს გამოსავალი საბოლოოდ მაინც არ იყო სახარბიელო.

— რალაცა ხომ უნდა მოიმოქმედოთ, რომ იპოვოთ! ნეგატივია ბოლოსდაბოლოს! — მისი სიმშვიდით ნერვებმოშლილმა მოვიტხოვე, ოფიციალური სახე მიეცათ ამ დანაკარგისათვის.

— მაშინ დაწერეთ განცხადება უფროსის სახელზე! — გამინაწყენდა იგი.

სხვა გზა არ იყო, უფროსს უნდა ვხლებოდი. გავიკითხ-გამოვიკითხე ვინაობა.

აღმოჩნდა წარსულში წარმატებული ტელერეჟისორი. პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ გამეგონა მის შესახებ, გამიხარდა, მეტი გაგებით მოეკიდება საქმეს-მეთქი. აღვწერე საქმის ვითარება და განცხადებით ხელში, უფროსის კაბინეტს მივადექი.

ახალგაზრდა მდივანი ქალი გადამიდგა მოსაცდელში, თვალეში სინათლე ჰქონდა დაკარგული:

— ამერიკელ სტუმრებს ველოდებით ნუთი-ნუთზე, არავითარი მიღება! გთხოვთ, მიბრძანდეთ!

უსიტყვოდ გავცალე იქაურობას. ვდგავარ შუა დერეფანში და არ ვიცი, რა ვქნა: დავხიო ეს განცხადება, თუ კანცელარიაში ჩავაბარო. გონების კარნახით, კანცელარიისკენ წავედი. ერთ უბედურებას მეორე მოსდევს ხოლმე. ამ დროს მირეკავს ეთერი:

— ლამარამ გონება დაკარგა, სასწრაფოდ მოდით!

ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, დავტოვე განცხადება კანცელარიაში და ტაქსით რამდენიმე წუთში შინ გავჩნდი.

ლამარა მოსულიერებული დამხვდა. იმედით მომაპყრო თვალეები. ეთერს მაშინვე სასწრაფო გამოვადახებინე, ლამარას თავითი დავუჯექი და ხუმრობით ვკითხე:

— მაინც რა მიგეჩქარებოდა იმ ქვეყანას?
— მამამაც ეგ მითხრა... შენ აქ რა გინდაო... ხელი მკრა და უკან გამომავდო, — სვენებ-სვენებით მიპასუხა. დამბურძგ-ლა. ეთერმა პირჯვარი გადაისახა.

ამ დროს ზარიც გაისმა, სასწრაფოს ბრიგადა შემობარგდა ოთახში. დააზუსტეს, საერთოდ რა სჭირდა და ახლა რა მოუვიდა. მერე ტემპერატურა და წნევა გაუზომეს, ნემსი გაუკეთეს, აბები გამოუწერეს, მისაღები მიიღეს და წავიდნენ. წამლის ფული ცალკე იდო მაგიდის გადასაფარებლის ქვეშ. ეთერმა ფული აიღო და აფთიაქში წავიდა. მე უბის წიგნაკში მოვებენე ლამარას მკურნალი ნევროპათოლოგის ნომერი და დავრეკე:

— გამარჯობათ, ლამარას და განუხებთ.
— საიდან რეკავთ? — ახსოვდა, რომ საქართველოში არ ვცხოვრობდი.

— თბილისიდან, დილას ჩამოვედი.
— ხომ მშვიდობაა?
— ახლა არა უშავს, მაგრამ დღისით გონება დაუკარგავს.
— მაგისტრის სიხარულიც ისეთივე დატვირთვაა, როგორც ნერვიულობა.

— შეგიძლიათ, ჩვენთან მობრძანდეთ?
— რა თქმა უნდა! წინასწარ დაგირეკავთ. აბა, დროებით! აფთიაქი ახლოს იყო. ეთერმა სწრაფად მოუბრუნინა წამლები, დავაღვეინეთ, მივიძინა.

სალამოს ეთერმა მთხოვა, მეორე დღილამდე შინ წავალო. ჩაინყო ჩანთაში ჩვენს სარეცხმანქანაში დარეცხილ-დაქათ-ქათებული თავისი თეთრეული და წავიდა.

რომ დავნექი და ავწონ-დავწონე ყველაფერი, მივხვდი, ვერ მოვახერხებდი ფესტივალზე დისკის გაგზავნას. ჩემთვის პირველი არ იყო ამგვარი იმედგაცრუება. უარესებიც გადამხდენია. ვენციის ფესტივალზე წაუსვლელობას შევეგუე და ფრაიბურგი რაღაა, რომ ვერ შეველიო?! ამ ფესტივალზეც ჩავიქნე ხელი და მთელი არსებით ჩემი დის მდგომარეობაზე გადავერთე.

უკვე მეხუთე წელი იყო, რაც ლამარას „ენციფალოპათია“ (თავის ტვინთან დაკავშირებული ავადმყოფობა) დაემართა. ომის შედეგად ისედაც ტვინშერყეული, ჩქარა პედაგოგიურ საქმიანობასაც ჩამოაშორეს ინსტიტუტში. გაუთხოვარმა, ცხოვრების ერთადერთი აზრიც რომ დაკარგა, ვერ აიტანა. ამას დაერთო მენჯის ძვლის მოტეხილობა. ჩემს აქ არყოფნაში უსიამოვნება მოსვლია მომვლელ — ეთერთან.

— ყველაფერი გაზიდა სახლიდან, — შემომჩვილა ერთხელ ტელეფონში. ყველაზე მეტად წიგნების დაკარგვას განიცდიდა. სხვები როცა ოქროსა და ბრილიანტებს იძენდნენ, იგი ძვირადღირებულ წიგნებს ინერდა. პირველად გამქარაიო-ყო მისი ბოლოდროინდელი სამაგიდო წიგნი ყიფშიძის „შინაგანი სწეულებანი“. არ არის გამორიცხებული, იგი ეთერის წავლო, რადგან იმ წელს მისი გოგო მოეწყო სამედიცინო სასწავლებელში. რომ ეთხოვა, შეიძლება მიეცა კიდევ და ამხელა დავიდარაბა არ ამტყდარიყო, მაგრამ, მოგეხსენებათ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია. ლამარამ თავის მომვლელს რომ შენიშნა ხელმწიფობა, მერე ეტყობა, დაუწყო თვალთვალი. იმ საბედისწერო დღესაც სკამზე დაყრდნობით მიჩოჩებულა წიგნის თარობებთან. დაუთვლია რომელიღაც ათტომეული, ორი ტომი დაკლებია და გადარევას იყო.

უპერანგოს გულზე საკინძს ავლევდნენო, ისე იყო მისი საქმე, მაგრამ რადგანაც წამგლეჯიც უქონელი იყო, ისევე ჩემი დის დაშოშმინება ვცადა.

— ლტოლვილია და წაიღოს, შენიჭირიც წაუღია!
ვინ დაგიჯერა! იმას მტერი ვერ უზამს, რასაც კაცი თავის თავს ავნებს. ჩემს ჯიუტ დას, არ ვიცი, რისი იმედით, დაუთხოვია ეთერი, თან სახლის გასაღებიც ჩამოურთმევია. მეორე დღეს ის მაინც მოსულა, ზარიც ურეკია, უბრაზუნებია კიდევ, მაგრამ კარი რომ არავინ გაუღო, ლიკასთვის დაურეკავს. ძმისშვილსაც არ ჰქონია თურმე გასაღები. მეხანძრე-



ჩვენი ყოველ ჰბბბს
ლობამძკრალაღის ჭივჭიღს
ბკაოხნობაბოლბა როს,-
თვალბიუხვბდინელ
ბანხბკოღბბბ ბონხიღლი.

მხატვარი აივენგო ქელიძე

ბის მეშვეობით, როგორც იქნა, შეუღწევიათ მეათე სართულზე ბინაში და რას ხედავენ, ლამარა იატაკზე აგდია და კვნესის. თურმე დილით ზარის ხმა რომ მოესმა, წამოდგომა დააპირა, მაგრამ თავი ვერ შეიმავრა და დაეცა. მეხანძრეების გამოჩენამდე რამდენიმე საათი იატაკზე გდებულა ცოცხალ-მკვდარი. ლოგინზე დაუწვენიათ და მოუსულიერებიათ. ყოველ განძრევაზე კიოდა თურმე. მერე უკვე რენტგენის სურათმა აჩვენა მენჯის ძვლის მოტეხილობა. ოპერაციას ვერ გადაიტანსო და ვერ გარისკეს. ისედაც უმოძრაო ადამიანი ვილაც დარეგისტრირებულმა ექიმბაშმა თავისი წამლით გაუღწეოდა საფენებში გამოკრა, თან უბრძანებია, თვალ-ყური ადევნეთ, არ გაინძრესო. მე ყოველდღე ვრეკავდი. ეს რომ მითხრეს, რალაც არ მომეწონა და მაშინვე დავეკითხე ნაცნობ ექიმს. არაფრით არ შეიძლება საერთოდ გაუნძრევლობაო — მიპასუხა. მართლაც საშინელი ნაწილები გაუჩნდა. საფენები კი მოაშორეს, მაგრამ ისე გაურთულდა მდგომარეობა, ამ ნაწილების მოსაშორებლად, მაინც შეიქნა საოპერაციო. შემდეგ კი საერთოდ ჩანვა და აღარც ამდგარა, ლოგინს მიეჯაჭვა. სხვა რა გზა ჰქონდა! როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო. ისიც შეურიგდა ბედს და ეთერსაც.

2.

დილით ადრე ჩემი დის მკურნალმა ნევროპათოლოგმა დარეკა, ნახევარ საათში თქვენთან ვიქნებო და მართლაც ჩქარა მოვიდა. ურთიერთმოკითხვის შემდეგ, ორივენი ავადმყოფის ოთახში შევედით.

— გამარჯობათ, ქალბატონო ლამარა, მიცანიო?

— დიახ, ექიმი...

— სად მუშაობდით ადრე, ქალბატონო ლამარა?

ვერ გაიხსენა, მეხსიერება კარგა ხანია ლალატობდა. უმოძრაობამ და ფსიქოტროპულმა წამლებმა კი საერთოდ გამოფიქა. ექიმმა გულსა და ფილტვებს მოუსმინა. შემდეგ ხელები და ფეხები აუნია რიგრიგობით. ეგრევე ჩამოუვარდა ძვალ-ტყავად ქცეული კიდურები ლოგინზე. არაფრის ძალი არ ჰქონდა, კისერსაც კი ვერ იჭერდა. გასინჯვის შემდეგ ექიმი აბაზანისკენ წავიდა, ხელების დასაბანად, მანიშნა გავყოლოდი. ისე, რომ ავადმყოფს არ გაეგონა, მითხრა:

— ამას არ უნდა გეუბნებოდეთ, მაგრამ თქვენც ხედავთ, რა დღეშია. ეტყობა, ძლიერი სული აძლებინებს, თორემ სიცოცხლის არაქათი აღარა აქვს უკვე.

არც ეს მონოლოგი იყო პირველი ჩემს ცხოვრებაში. ადრე დედაზე მოვიხმინე მსგავსი რამ და ახლა ისე ტრაგიკულად არ აღმიქვამს.

— იქნებ რამით მოვალნიეროთ! — შევევედრე ექიმს და უხმარი პირსახოცი გავუწოდე.

— ერთადერთი — გადასხმები შემიძლია დაფუნიშნო, — ხელები გაიმშრალა მან.

ოთახში დაბრუნებული ექიმი რეცეპტის წერას შეუდგა.

— ბარემ დღესვე დავიწყოთ. იმავე ექთანს, ადრე რომ დადიოდა თქვენთან, დაფუძახოთ. ეთერმა იცის ტელეფონი, — იგი პორთფელში ხელსაწყოების ჩალაგებას შეუდგა.

სიტუაციით დათრგუნულს, უცებ დამკრა თავში — ფული! საძინებელში შევვარდი და ხელჩანთას ვეცი.

— ნახვამდის! — მომესმა დერეფნიდან ექიმის ხმა.

კარებში დავენიე და ჩავუდე ჯიბეში დადგენილი გასამრჯელო.

ასეთ დროს გუნებაში ყოველთვის ფინეთის მთავრობას ვლოცავ, უსასოოდ (იგულისხმეთ, უსახსროდ) რომ არ მტოვებს ამ ქვეყანაზე.

სანამ ეთერი მოვიდოდა, ლამარას ჩაი დავალევი, ხაჭაპურთან ერთად. მერე ტელეფონს მივუჯექი და ახლობლებს ჩემი ჩამოსვლის ამბავი ვაუწყე.

თორმეტი საათისთვის ეთერიც გამოჩნდა. ჩემი მობილურით გამოიძახა ნაცნობი ექთანნი. მაგიდაზე ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტი შენიშნა, ისევ წავიდა აფთიაქში. ამოიტანა გადასხმისთვის საჭირო მილები, ნემსები, სითხეები. ფულის შოვნის შანსი რომ მიეცა, ექთანიც მაშინვე გაჩნდა. თავის მხრივ იმანაც დაუნიშნა რაღაც ნემსები. მგონი გითხარით, რომ არ მიყვარს მკურნალობისას თვითშემოქმედება და გადასამონებლად, ისევ დავრეკე მკურნალ ექიმთან. ის მიხვდა, ექთნის ოინებს და მის გასაგონად ხმამაღლა განაცხადა, თუ ორივეს ერთად გაუკეთებს, არაფერს ავნებს, თუ არადა, არაა საჭიროო (ექთანმა ერთი-ორი ნემსის ცალკე გაკეთება და დამატებითი ანაზღაურების გამოძალვა მაინც მოახერხა).

ექთანი წავიდა თუ არა, ლამარას ჩაეძინა. მე და ეთერი სადილად დავსხედით. ნასადილევს ჩემი საბუღალტრო ჩანანერები გამოვიტანე და ეთერს შევთავაზე:

— მოდი, ბარემ ანგარიში გავასწოროთ.

შევახსენე წინა ჩამოვლავზე მომავალი ხელფასის ანგარიშში მიცემული ფული:

— გახსოვს, შემოდგომაზე ასი დოლარი რომ მოხოვდა და მე გითხარი, ასე დავთრები ამერევა, ბარემ ერთი თვის ხელფასამდე შეგივსებ ლარებით მაგ ასდოლარიანს-მეთქი?

— არა. არ ყოფილა ეგეთი რამე, — არც კი დაფიქრებულა, უარი მტკიცა მაშინვე.

— ისიც არ გახსოვს, მე რომ გითხარი, დოლარის კურსი გამიგე, რომ ვიცოდე, რამდენი ლარი უნდა დავამატო ხელფასამდე შესავსებად-მეთქი და შენ რომ ამბავი მოიტანე — ასსამოცდაათი ლარიაო. ამის დავინწყება როგორ იქნება?

— რაც არ ყოფილა, საიდან მესხომება.

— აბა, მე ვიგონებ ამხელა ტყუილს?

— რატომ გამოგართმევდით, არაფრისთვის არ მჭირდებოდა?!

— როგორ არ გჭირდებოდა? მაშინ არ იყო მულიშვილს შვილი რომ შეეძინა და ოქროს საყურეები უყიდეთ, თან მეც მაჩვენეთ თქვენი საჩუქარი?

სხვათაშორის, ისიც კი გამახსენდა, რომ ისე ვიყავი მაშინ იმ საჩუქრით გაოცებული, ერთ ახლობელს გავუზიარე კიდევ შთაბეჭდილება:

— წარმოგიდგენია, ამ ლტოლვილებს ჭერი არა აქვთ თავზე და ასეთ ძვირფას საჩუქარს ყიდულობენ შორეული ნათესავისთვის.

რას ვიფიქრებდი, რომ ეს ლტოლვილი თურმე ჩემთვის აპირებდა ამ საჩუქრის შეწერას!

— თქვენ რატომ გთხოვდით, როცა თქვენს მოცემულ ფულს არ ვხარჯავდი, დედაჩემისთვის მქონდა მიბარებული.

მტყუანს ტყუილის კარამდე მისდიეო, გამიგონია და მეც არ შევეშვი:

— შე დალოცვილო, თუ ფულს ინახავ და გაქვს, რად მირეკავდი ორი დღის წინ ჰელსინკში და რადა მოხოვდი კიდევ ასდოლარიანს? ტვინს მირევი? ლამარაში ხომ არ გეშლები?..

მიხვდა, რომ ჩიხში მოექცა, მაგრამ მაინც არ გატყდა, შეუვალად დუმდა. იმით ავხსენი ყოველივე, რომ ადრე ცხინვალში ბაზარში იდგა თურმე და ყიდდა ვლადიკავკაზიდან ჩამოტანილ საქონელს. ეტყობა, მაშინ გამოიმუშავა ადამიანის გადაგდების ეს ხერხი. გამოჭერილი ვყავდი, იცოდა, რომ ამ მოკლე დროში მე ვერ მოვასწრებდი ვინმეს მოძებნას.

ტყუილად კი არაა ნათქვამი, ადამიანი ფულში გამოსცადეო. აჰა, გამოცდის შედეგიც! მას ხომ არ გავეჯიბრებოდი და გაუთავებლად ვიბაზრებდი. ისევ მე დავიხიე უკან. ლტოლვილობა მაინც ბევრ რამეს ამართლებდა მისნაირთა საქციელში.

— იცი რა, არც შენ ავაშენებს ეს ფული და არც მე დამაქცევს. იყოს, როგორც შენ განწყობ!

ერთხელ უკვე გადახდილი ხელფასი ხელმეორედ მივათვალე დანარჩენს და საძინებელში გავედი. ხელბარკის ამოლაგებას შევუდექი. ვახარისხებდი და ცალ-ცალკე პარკებში ვანწყობდი საჩუქრებს ყველასთვის, ეთერის გამოკლებით. ჩემთვის ბევრჯერ მოუპარავთ, წაურთმევიათ, მაგრამ ასე აშკარად არავის გავუტყუტურაკებიავარ. ბრაზმორეული ვფიქრობდი:

„ის დრო წავიდა, დაუმადლებლად რომ ვჩუქნიდი რაღაცებს, ტყავის ჩექმებიდან დანყებულნი... არ ღირს დანვრილმანება!“ — ბეჭედი დავუსვი და ავუკრძალე თავს ამაზე ფიქრი. დავნექი, მაგრამ ისევ ამიტაცა ფიქრების ტალღამ. ყველაზე მეტად ვერ გამეგო ერთი რამ:

„ქალი, რომელიც დადიოდა ეკლესიაში, ლოცვებს კითხულობდა, ზედმინეწით იცავდა მარხვას, აღსარებას ამბობდა, ეზიარებოდა, არაფრად რომ აგდებდა ათ მცნებას...“

როგორ დააკარგვინა ხალხს ღირსება მშობლიური წიაღიდან ამოძირკვამ, სარჩო-საბადებლის განადგურებამ... დანაშაულისკენ ისედაც მიდრეკილებს კი საერთოდ აალებინა ნამუსზე ხელი... რატომ ჰგონიათ აქ უცხოეთში მცხოვრები ყოველი ადამიანი მდიდარი? მართალია, თეთრებს არ ვითვლი, მაგრამ ასდოლარიანები?.. ყველა სათვალავში მაქვს ჩაგდებული! ვის უნახავს ლექსის წერით გამდიდრებული ადამიანი?! ჩვენი როგორღა ავშენდებოდი ფინეთში ჩვენი რუსულ-ქართული ლექსებით?! მე ხომ იქ ფილმებს არ ვიღებ, არც ჩემი ქმარი პროფესორობს ხელფასისთვის ძველებურად. უბრალო პენსიონერებად ვითვლებით... კურდღელს აეკიდება ჩვენი ავლა-დიდება...“

ფიქრების გასაფანტად, ნამოვჯექი, მუხლებზე ნეთბუკი დავიდე, ქართული არხები მოვძებნე და პირველივე ჩავრთე.

გადაცემა მიჰყავდა კოლხური გარეგნობის, მშვენიერ ქალბატონს. ასევე მშვენიერი ქალიშვილები ხელოვნების ნიმუშად ქცეულ, ძვირფას სამოსელებს უჩვენებდნენ მაყურებელს. მათ მშვენიერებაში ნამდვილად არ შემპარავია ეჭვი, მაგრამ რა ვქნა, მომკალით და ვერ დავიჯერე ცხოვრების მშვენიერება ნაგვის მქექავი, თუ ხელგანვდილი მათხოვრებით სავსე ქვეყანაში. გამოვრთე ნეთბუკი და ისევ დავნექი. არ გამომელა საფიქრალი და საკამათო:

„მდიდარი, ლამაზი და ნიჭიერიც რომ იყო, მაინც არაა ცხოვრება მშვენიერი. თუ შენი თვალსაწიერი არაა შემოფარგლული ირგვლივ მყოფთაგან მაღალი კალავნით (სხვათაშორის, ფინეთში არსად შემინიშნული საცხოვრებელი სახლის გარშემო ვალავანი)... მხოლოდ წამებია ამ ნუთისოფელში მშვენიერი...“ ფიქრებმა დამალა და ჩამეძინა.

ჩვენს სანახავად ყველას დაასწრო მოსვლა ჩემმა სტუდიელმა მეგობარმა, მემონტაჟე — ქეთინომ. თუმცა ფეხებზე ვენები ჰქონდა გაგანიერებული, სიარული უჭირდა, მით უფრო ზამთარში, ტაქსის ქირაობაზე ხომ ოცნებაც არ შეეძლო, მაინც გვინახულა.

ერთ დროს იგი თავისი საქმის ისეთი ოსტატი იყო, რომ რეჟისორები ერთმანეთს ვეცილებოდით მის ჭკვიან ხელებს. ამ-

ჟამად კი ძმისშვილების იმედითა და ასლარიანი პენსიით ძლივს გაჰქონდა თავი. ქეთინო ყოველთვის გვაოცებდა თავისი ნაშრომ-ნაღვანის დახვეწილობით. ნაკეთებს ვერ დაარქმევდი მისი ხელებით ნაქანარს. ამჟამად ხილფაფებზე, მურაბებსა და წვეწვებზე მაქვს საუბარი. ტყე-ტყე ნაბოჭი, უაღრესად სასარგებლო ხილით დამზადებული, ისინიც შემოქმედების ნაყოფი იყო. მეც ჩამომქონდა ჰელსინკიდან საჩუქრები მისი საყვარელი შვილიშვილებისთვის (ჩემი არ იყოს, ისიც შვილებად მიიჩნევდა ძმის ნაშვილებს), მაგრამ მასთან დაკავშირებით, ყოველთვის ბიბლიური დედაბრის სანთლები მაგონდებოდა და დავალებულად ვგრძნობდი თავს. ამჯერადაც ასე იყო. მართალია, ეკლესიური ცხოვრებით არ, თუ ვერ ცხოვრობდა, მაგრამ ბუნებით ნამდვილი ქრისტიანი გახლდათ. თავთან დაუჯდა ჩემს დას და თავისი ხელით აჭამა მისივე მორთმეული ბოსტნეულის სალათი, ზედ მაყვლის წვენიც დააყოლებინა. ლამარასაც უყვარდა მისი სტუმრობა.

— ამასწინათ ძმისშვილმა ჟურნალი "ჩვენი მწერლობა" მომიტანა. გურამ პეტრიაშვილის ლექსი იყო შიგ გაუთხოვარ ქართველ მამიდებზე. პირდაპირ ჩვენზეა ზედგამოჭრილი.

— ვიცი... — თითქოს გამოცოცხლდა ლამარა, კიდევ უნდოდა რალაცის თქმა, მაგრამ თავი ვერ მოაბა. ეთერი მიეშველა.

— დაქალმა გადმოუნერა ეგ ლექსი ჟურნალიდან. ხანდახან მაკითხებს ხოლმე.

— გახსოვს ბიჭვინთაში, პატარა ლიკა რომ ბუზღუნებდა, დავილალო და გურამმა მხრებზე შესმული ატარა ლიტფონდიდან კინოსახლამდე, — დავურთე მე. გამომეტყველება არ შეცვლია. მივხვდი, ეს სასიამოვნო შემთხვევა ვერ შერჩენოდა მის გონებას.

— ხშირად ვერ მოვდივარ, მაგრამ რამდენჯერაც მოვსულვარ, სულ დაკრიალებული ჰყავს, — აღნიშნა ქეთინომ. რაც მართალია, მართალია, ეთერს ამ უმნიშვნლო თვისებას ვერ წაართმევთ, სისუფთავის მოყვარული ქალია.

ვერ გამოვხატე მადლიერება, თითქოს მე ვყოფილიყავი რალაცაში დამნაშავე, თვალებს ვერ ვუსწორებდი. ამასწინანდელი უსინდისი ხრიკი მიშლიდა ხელს. მას კი, ეტყობა, ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა იგი, სულ არ შეცვლია გუნება-განწყობილება.

— ახლობლები არ ნახულობენ, თორემ... — ნათესავებს გადასწვდა ქებით გათამამებული ეთერი. მაშინვე სხვა თემაზე გადავიტანე საუბარი. ქეთინოს ვთხოვე:

— რა იქნება, შენ რომ აიღო ხოლმე ჩემ მაგივრად კავშირის დახმარება. გზის ფულად მაინც გამოგადგება, ფეხით რომ დადიხარ.

ჩვენი კინოკავშირი კვარტალში ერთხელ კავშირის წვერებისთვის იმეტებდა ოცდაშვიდ ლარს. ეს თანხა ჩემს ხარჯებთან სასაცილოდ გამოიყურებოდა, სატირალიც რომ არ ყოფილიყო.

— როგორ გეკადრება, მე მაგათი მათხოვარი ვარ?! — განინმატდა ქეთინო.

ცალკე მე შემრცხვა, ასეთი უმნიშვნელო თანხა რომ შევთავაზე, ცალკე — იმას, რომ უარი მითხრა და რომ ჩაეფარცხა ეს უხერხულობა, მკითხა:

— ერთი გამაგებინე, თვითონ როგორ აუდიხარ ამხელა ხარჯებს?

— მე ეკონომიკის ეკვილიბრისტი ვარ.

ქეთინოს გაეცინა, ეთერმა ცალყბად გაიღიმა. სრულიად გაუთვალისწინებლად გამოვიდა სამაგალითო გაკვეთილი ყველასთვის.

ნაშუადღევს მოვიდა ლიკა, თავისი გაზრდილ-დამშვენებული გოგო-ბიჭითურთ. ხომ იცით, სისხლი როგორ ყვიის! მივესიყვარულე დიდი ხნის უნახავებს. მოზრდილი ჩანთით იმათაც მოიტანეს მოსაკითხი. ეთერმა ეგრევე მაცვივრისკენ გააცუნტულა.

— ველოდებოდით, სანამ დედა სადილს გაამზადებდა, — მოიბოდღიმა ლიკამ, მერე ეთერს მიადევნა, — დედამ ადრინ-

დელი ქილებიც უკან გამომიგზავნოსო, შემდეგისთვის აღარ დაურჩა.

ამ სიტყვებიდან დავასკენი (ეთერი ხომ არ გაამხელდა, საქმლის ფული რომ ეზოგებოდა), რომ ჩვენი ყოფილი რძალიც უგზავნიდა თურმე მოძულე მულს თავის ნახელავ საქმელ-სასმელს.

— რა მალეები და ლამაზები არიან! დედას ჰგვანან, — ქათინაურებით შეამკო ბავშვები ქეთინომ.

— ჩვენი მამიკოც ლამაზი და სიმპატიურია, — დაიცვა მამის პრესტიჟი ნანუკამ.

— ხო, არ შემარგო ახლა! — ხუმრობით შეეპასუხა ლიკა.

ლამარა თვალმოუშორებლად მისჩერებოდა მათ. ბავშვები ავადმყოფთან დიდხანს არ დარჩენილან, მეორე ოთახში გავიდნენ, საჩუქრები აინტერესებდათ. მეც გავყვიე, ორივეს თავ-თავისი პარკი გადავცეცი. მაშინვე თვალსიერივით შეუდგნენ. არ ვამტყუნებ, რაც არ უნდა გულდასაწყვეტი იყოს ასაკოვანი ხალხისთვის, ცხოვრება თავისას ითხოვს, გრძელდება.

— ვერ მოვდივარ ლამარასთან, სხვა ქალი წევს მგონია, — მოთხრა ნიკომ.

— მეც სხვა მგონია, მაგრამ მაინც ჩამოვდივარ.

— შენ იცოდი, სტუდენტობისას შეყვარებული რომ ჰყოლია, — ნამეჭორავა ნანუკა, — ეთერს უპოვია მაგის საბუთებში იმ ბიჭის წერილი.

— ვიცი, თანაკურსელი იყო. სოფლელია, ფეხებზე სუნი აქვსო და ზურგი აქცია.

— იყოს ახლა და აკითხინოს ეთერს მისი წერილი!

მომენონა, ნანუკას რომ ჭკუის სასწავლებლად მიუჩნევია ეს ამბავი. ლამარას კვენსა მომესმა და ისევ დავბრუნდი უკან.

ექთანი მოსულიყო და დაძაბულობისგან ცხვირწანვეტილი ლამარასთვის ვენაში ნემსი გაერჭო, ახლა კი მილებს აერთებდა.

— მე ვიზაფრები და ბავშვები როგორ გაუძლებენ ამ საცოდაობას! რომ გამახსენდება, ღამე კომპარები მესიზმრება, — თითქოს თავს იმართლებსო, თქვა ლიკამ.

— იცი რა გამახსენდა, ლამარას, რომ ნალვლის ბუშტი ამოაჭრეს, საკაცზე დასვენებული გამოიყვანეს საოპერაციოდან და შენ რომ გული წავივიდა, — მსგავსი შემთხვევა მომავლად ამ სიტყვებმა.

— აბა, რა მომივიდოდა! პატარა ვიყავი და თვალმდებარე-ჭული, მკვდარი მეგონა.

— ის როგორ იყო, მამიდაშენის სურათს ბალიშქვეშ რომ ამოიდებდი და ისე იძინებდი? — ახლა ქეთინომ შეასვენა ბავშვობის ჩვევა.

— სამაგიეროდ, ახლა მაგი ელოლიავება ჩვენს სურათებს. საგანგებოდ დააკიდინა თავთან ეთერს, იშვიათად მოდიან და სურათებს მაინც შევხედავო. რა ვქნა, ყველაფერთან ერთად, სამსახურიც ისეთი მაქვს, სულ მივლინებებში ვარ, ბავშვებს კი მარტო მოსვლა ეშინიათ.

— დარეკვას მაინც რა უნდა, — ჩაილაპარაკა, ვითომ სხვათაშორის, ეთერმა, როგორც კი ლიკა და ბავშვები წავიდნენ.

ვიცი, ყველაფერს ვხედავ და ვგრძნობ, მაგრამ მაინც არ მსიამოვნებს, სხვა რომ გაუსვამს ხაზს ჩემი სისხლ-ხორცის გულგრილი მოუცლელობას. ისევ სხვა რამეზე გადავიტანე ყურადღება:

— რალაც ქავილმა შემანუხა ამ ბოლო დროს ფეხებზე, მუხლის არემი.

თავ-თავისი გამოცდილებით, ყველამ სხვადასხვა მალამო მირჩია.

ამასობაში წვეთოვანი ჩამოიწრიტა. ექთანს გასამრჯელო მივეცი და წავიდა. ჩქარა ქეთინოც დაგვემშვიდობა. საჩუქართან ერთად, იმანაც წაიღო ცარიელი ქილები, სამომავლოდ. ლამარაზე წვეთოვანმა, ძილის წამალივით, იმოქმედა.

შაბათ დღეს, როგორც დავთქვით, რატიმ დარეკა:

— მოვდივართ და ქვევით დაგვხვდი, სასაფლაოზე წავიდეთ.

სასწრაფოდ ჩავიცვი პალტო და ჩქეჩეები. ლამარას არ უყვარდა ჩემი სახლიდან წასვლა და უკმაყოფილო მზერა გამომაყოლა. მეც ჩავედი და მანქანაც მოვიდა. გამიხარდა ლიკა და ნანუკაც რომ დავინახე მანქანაში. რატიმ ჩვეული სიჩქარით გაგვაქანა.

საბურთალოს სასაფლაოს მოსახვევში მანქანა გავაჩერებინე, ნანუკაც გადმომყვა, თვითონ ამირჩია ხასხასა წითელი ვარდები, თითო-თითო ყველასთვის და გზა განვაგრძეთ.

რატის გამზრდელი ბებიის საფლავზე მოუნდა გასვლა. ლიკამ სახლიდან წამოღებული სანთლები მასაც უწილადა. დავნანილდით, ბავშვები მამას გაყენენ სასაფლაოს სიღრმეში, მე და ლიკამ მთავარ შესასვლელთან, ხელმარჯვნივ ჩავუხვით.

სასაფლაო ახალგაზრდა იყო, ჩემი მშობლები (ლიკას ბებია-ბაბუა) რომ დაიკრძალა აქ. მამინი მათი საფლავები გზიდან მოჩანდა. მერე და მერე ახალი საფლავები გაიჭრა, გზა დავინროვდა და ჩვენები ჩაიკარგნენ სადღაც. ადვილად რომ მიგვეგნო, გზის მაჩვენებლად მოვიინიშნეთ ახალგაზრდა ქალის ბიუსტი თეთრ მარმარილოში. ყოველ წელს გზის სავალი ნაწილი უფრო და უფრო ვინროვდებოდა, შესაბამისად, ქალის ბიუსტიც შორდებოდა წარმოსახულს. მეორე მაჩვენებელი დაგვჭირდა. შავ მარმარილოს დაფაზე მალა დამაგრებული, კაცის ბურთივით თავი გამოგვადგა საამისოდ.

ამ ჩამოსვლაზე გზა ბილიკად ქცეულიყო და ბურთივით თავიც საძებარი შეგვექნა, ქალის ბიუსტს კი ადვილად მივაგენით. იქვე იყო ჩვენების საფლავები. წინა ჩამოსვლაზე გავურიგდი მომვლელ ქალს, ფულიც გადავუხადე, რომ საფლავები სარეველებისგან გაესუფთავებინა და შავი მიწა მოეყარა ზედ. ყველაფერი გაკეთებული დაგვხვდა. თავთან დავუწყე ორივე მშობელს ვარდები, ლიკამ სანთლები აანთო. ჩვენთვის ვლოცულობდით, რომ მომვლელი ქალი გამოჩნდა, შორიახლოს გაჩერდა და გვიცდიდა. ლოცვა რომ დავამთავრეთ, ქალს შევუქე სიმარჯვე:

— კარგად გაგიკეთებიათ.

— აქ ერთი ქალი იყო, ამათი შვილი... ფინეთში ვცხოვრობო, შემოდგომაზე ჩამოდის... იმან შემიკვტა, — მოგვახსენა ქალმა.

მივხვდი, რომ ვერ მიცნო, მაგრამ ვერ გავიგე, ამ სიცივეში რას უცდიდა, რატომ არ მიდიოდა. უცებ რაღაც მაკვარანცხულმა აზრმა გამიელვა და ისე, გამოსაცდელად ვკითხე:

— ხომ გადაგიხანდა, რაც გეკუთვნოდა?

— რას დაიმახსოვრებ, იმდენი საფლავი მაბარია... მგონი, ნახევარი დარჩა მოსაცემი. გამორჩენის იმედით, ქალი კვლავ არ აპირებდა წასვლას. ლიკამ ვერ მოითმინა:

— ახლა არაფერი შეგეშალოს! აქ არავინ გაგიკეთებს რამეს, თუ წინასწარ არ მიეცი მთელი ფული.

— შენ მიკირტიჩიანი არა ხარ? — მივაჩერდი ქალს, — მე ვერ მიცანი, ფრუნზიკას ნათესავი ხომ არა ხარ-მეთქი, რომ გკითხე?

— უი, როგორ შეცვლილხარ! — შეიცხადა მან და სასწრაფოდ გაგვშორდა.

„ამას ნამუსი მაინც ეყო, ეთერივით, ბოლომდე არ გაეტანა თავისი,“ გავიფიქრე.

— გამომძალველები გაივსო ქვეყანა! — თითქოს ჩემი ფიქრები წაიკითხა ლიკამ.

სასაფლაოდან გამოსულელებს დანარჩენები მანქანაში დაგვხვდნენ. გავეშურეთ ჩემი ძმის, ანუ ლიკას მამის საფლავისკენ. აქაც არ გაუმართლა უბედურ ავთოს! საფლავი თითქმის მთის წვერზე იყო. მანქანა ზევით ვერ ადიოდა და ამ დაკიდებულ აღმართზე ოღრო-ჩოღრო, ალაგ წყვეტილი კიბეებით უნდა ასულიყავი. თან უკვე საკმაოდ აცივდა. მე ზაფხულშიც ვერ ავდიოდი ზევით და ახლა ამ მოლიპულზე ჩემი მთამსვლე-

ლობა გამორიცხული იყო. მანქანაში დავრჩი დარაჯად, დანარჩენები აღმართს აუყვნენ.

— ეკლესია მოუპარავთ, — თითქმის ერთხმად მაცნობეს მთიდან დაბრუნებულებმა.

ძმის საფლავზე მეგობრების ნაჩუქარი, თუჯის თუ სპილენძის პატარა ეკლესია იდგა. ჯართად ის არ გამოდგებოდა. სხვა საფლავზე გადაინაცვლა ალბათ. სასაფლაო თავისთავად სევდის მომგვრელია, ეს ცნობაც რომ დაერთო, ცუდ გუნებაზე დავექეთ. სახლამდე უბრად მიმაცილეს.

ლამარაც ნაწყენი დამხვდა.

— ჩემს სანახავად ჩამოხვედი, თუ სასეირნოდ? — მისაყვედურა.

— სასაფლაოზე ვიყავი, — რამდენჯერმე გავუმეორე, მაგრამ ვერაფერი გავაგებინე.

მაგიდაზე ეთერის წერილი დამხვდა: „ლამარას ვაჭამე, დავბანე, ხვალ დილას მოვალ“.

თავი რომ ავნიე, კედლის სარკეში დავლანდე გამხდარი, ფერმკრთალი ჩემი სახე. რატომღაც აქამდე არ შემიხედავს შორიდან. ვიღაც სასაფლაოს მომვლელი რას მიცნობდა, როცა თვითონ ძლივს ვიცანი თავი.

სამზარეულოში ლიკას მოტანილი სულუგუნიათა ლომითა და ნიგვზიანი ბადრიჯნით დავნაყრდი. ისევე შემოგებრუნდი ოთახში. ლამარას ეშინოდა უშუქობის და ლამის ნათურა ავუნთე.

— ხომ არ გინდა რამე? — ჩავკითხე. თავი გააქნია. შუბლზე ვაკოცე და საძინებელში გავვდი.

ქავილი გამიძლიერდა და ამ საღამოსაც გამიტყდა ძილი. ლოგინში ვფორიაქობდი და ვფიქრობდი:

„ეს ქავილი ალბათ ნერვიულობის ბრალია... სადაც სამართალია, მე ახლა ფრაიბურგში წასასვლელად უნდა ვემზადებოდე... გრძელ, სადღესასწაულო სამოსს ვიკერავდე... თუ არადა, ლამარას ბულვარზე მივსეირნობდე ბარსელონაში, ცოცხალ ძეგლებსა და ფლამენკოს მოცეკვავეებს შორის... მე კი თითქოს ჭაობში ვარ ჩაფლული... ყოველდღიურობა მახრჩობს... აი, რატომ ვერ ვუყრი აქ სტროფებს თავს“, — მივაკვლიე უცებ ჩემი უმაქნისობის მიზეზს. მომინდა, მეჯობნა ხელისშემშლელ გარემოებათათვის.

ტუმბოზე მედო ქალაღზე ფანქრით დანერილი აუცილებელ საქმეთა ჩამონათვალი. გადავბრუნე ფურცელი და მეორე მხარეს დავინყე წერა. თითქოს გამიარა ყველაფერმა, მთელი არსებით მივენდე სულიერ მოთხოვნილებას, რომელსაც მაღალფარდოვნად მუზას უწოდებენ. ფინეთიდან გამომყვა სახეები ლობემძვრალა ბელურებისა და ხის კენწეროებზე მოქანავე ფრთოსნების. იქ შემინიშნავს ავტობუსის მოლოდინში, მოპირდაპირე მხარეს ბუჩქნარ ლობეებში შეხიზნული, ბელურების ნიოკობა და ასევე მიდევნება თვალი ჩემი ფანჯრიდან, ხის კენწეროებზე ჩიტების ლალი კონწიალისათვის, ქარიან ამინდში. ეს სახეები გამომადგა ახლა სინამდვილესა და ოცნებას შორის დასაპირისპირებლად. დავწერე რამდენიმე სტროფი, ერთი დავტოვე, სხვები წავშალე და ასე მრავალჯერ... შავი სამუშაო ჩვეულებრივი მკითხველისთვის არ იქნება საინტერესო-მეთქი, ვიფიქრე (მგონი, ახმატოვას ნათქვამია, „из какого сора растут стихи“ — „რა ნაგავისგან იზრდება ლექსები“) და დაწუნებული სტროფები კიდევ ერთხელ ფვარედინად გადავხაზე. დარჩეულები რატომღაც იაპონური წყობის ლექსად შეიკრა:

**ჩვენი ყოფა ჰგავს
ლობემძვრალეების ნივნივს,
გვეოცნებებოდა როს, —
თვალმიუნვდენელ
კენწეროებზე კონწიალი.**

დასასრული შემდეგ ნომერში

ლია მოლარიშვილი

სუფთა ფურცელი

ის ზაფხული გახსოვთ?

აი, ზღვაზე ყოფნისას ფული რომ შემოგვაკლდა და სანგინითა და ნახშირით პორტრეტების ხატვა დავიწყე... ადგილობრივებისა უფრო, რადგან სეზონი ნაადრევად დამთავრდა (კოკისპირული წვიმების გამო) და დამსვენებლებიც აიბარგნენ.

ჩვენ კი მთელი წელიც არსად გვეჩქარებოდა. აკი უმუშევრები დავრჩით. უბოდიშოდ დაგვიტხოვეს სამსახურიდან: არასაიმედო პოლიტიკური მდგრადობისა თუ არამდგრადი საიმედოობის; გნებავთ — სრულიად არშემდგარი პოლიტიკური ხედვისთვის (აქ ხომ სიტყვების მონაცვლეობით ჯამში ერთნაირი უაზრობა მიიღება). თუმცა ეს უკვე სულ სხვა თემაა...

გახსოვთ, როგორ ჩამოგვდიოდა (უბრალოდ კი არ დიოდა) წვიმა ჭერიდან — ლოგინებში, ტუალეტის მაგიდაზე, ჩემოდნებზე... კუთხეში დაწყობილ ფეხსაცმელებში ტკაპ-ტკაპით, ჯიუტად, ონავრულად წვეთავდა და, რაც მთავარია, ძალღერი ერთგულებით დაგვდექდა თან, საითაც უნდა გაგვეჩოჩებინა ისედაც მრავალტანჯული, ფეხებმორყეული სანოლები, დამშუული ჩრჩილი რომ ნეტარებით ხრავდა ღამლამობით.

— პირდაპირ ღია ცის ქვეშ ხომ არ გაგვეთია ღამე? — ასეთი აზრიც გვებადებოდა, — დიდი განსხვავება მაინც არ არის. — როგორ არა — გარეთ ძილი უფასოა!

— უთავმოყვარო ადამიანის გარდა აქ ვინ იცხოვრებდა?

არც არავინ... ოღონდ ჩვენი მწირი ბიუჯეტით (უკვე ხელისგულზე ვითვლიდით ხურდებს) ნეტა როგორ უნდა გვემოვა რიგანი ბინა? ისედაც რალა დროს სადმე გადასვლა იყო — მიიწურა სეზონი.

მაგრამ მაინც ვცდილობდით გაგვეხანგრძლივებინა ზაფხული, როგორც დიდი ხნის ნანატრი არდადეგების ილუზია, რადგან ავი ნინათგრძნობა გვეკარნახობდა, რომ სავსებით შესაძლებელი იყო ამიერიდან მთელი ცხოვრება ერთ გრძელ, თანაც უხელფასო შვებულება გადაგვექცეოდა.

და აი, სწორედ მაშინ, არარსებული კუპიურების ძებნისას, სამგზავრო ჩანთის ერთ-ერთ საიდუმლო ჯიბეში, ვინ იცის, როდის ჩადებულ მუყაოს პატარა კოლოფს წავაწყდი, რომელიც სანგინით, ნახშირითა და ფერადი ცარცის ნატეხებით იყო სავსე. გულაჩუყებულმა ამოვიღე და აღბათ იმიტომ, შეცბუნება რომ დამეფარა, პათეტიკურად ვუნოდე „ძველი დიდების ნაშთი.“

მერე კი, მონყენილობისგან, რამდენიმე პორტრეტის კონტურები ზედიზედ მოვხაზე თაბახის პატარა ფურცლებზე, რატომღაც გროვად რომ ეყარა ჩვენი მოკრძალებული საცხოვრებლის ნესტიან შემოსასვლელში.

მეზობლის ცნობისმოყვარე ბავშვებმა (ისინი, ათასგზის თხოვნის მიუხედავად, მაინც ზურგსუკან მედგნენ ხატვისას და თანდათან მავინრობდნენ) აღტაცებული წამოძახილები და შენიშვნები არ დაიშურეს. და, აბა როგორ დავზარდებოდი, ქალაღზე მათი აღელვებული, მთელი არსებით დასერიოზულებული და ამიტომ უფრო სასაცილო ბავშვური სახეებიც აღმებეჭდა.

ეს იყო და ეს... წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირება, როდესაც მეორე დილით ამ ყმანცილების არანაკლებ აღელვებული მშობლები გამომეცხადნენ და მტკიცედ შემომთავაზეს სამაგიერო პატივისცემა. ბოლოს კი მორიდებით (მაგრამ ისე, უარი რომ არ გაგივა) გამომხატეს პოზირებისთვის სრული მზადყოფნა.

მუდამ მაოცებდა ადამიანთა სურვილი (თითქმის სიხარბე), მხატვრის შესრულებული მაინცადამაინც ის გამოსახულება დაესაკუთრებინათ, რომელსაც ისედაც ყოველდღიურად ხედავდნენ სარკეში.

რა თქმა უნდა, უარი არ მითქვამს... არც გასამრჯელო მიხსენებია, მაგრამ ორმა ფული გადამიხადა (თუმცა უხერხულად გავასავსავე ხელები). თქვენ კი ამ დროს სიხარულით ცქმუტავდით და მსახიობის ოსტატობის გაკვეთილზე ნასწავლი ჟესტიკულაციით მანიშნებდით — დათანხმდით.

პატარა კაფეს მეპატრონემ საოჯახო პორტრეტი დამიკვეთა და რაკი მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავდა, გულუხვი წინადადება მოგვცა: მისი სახელგანთქმული ხატაპურით (და არა მხოლოდ ამით) გვესაუზმა ყოველ დილით.

კვების საკითხი მოგვარებული იყო. და როცა ბოლოს და ბოლოს მონატრებული მზის სხივიც დამნაშავესავით შემოიპარა სარკმელში გამთენიისას, სრული ბედნიერების განცდა დაგვეუფლა.

იმ დილით სწორედ კაფეში ვისხედით, ღია ტერასაზე. ნოყიერად ვისაუზმეთ და ყავის მოლოდინში უდარდელად ვლაპარაკობდით. თუმცა არა, მე ჩუმად ვიჯექი, თქვენზე განწყენებული — აკი სულ არ გენადგლებოდათ, ასე მშვენივრად დაწყებული დღის რამდენიმე გრძელი საათი ჩვენი მასპინძლის ტყუპი გოგოების ხატვისთვის რომ უნდა დამეთმო.

უნდა გენახათ ეს გოლიათი ქალიშვილები, რათა მიმხვდარიყავით, რაოდენ უხალისო შრომადღე მელოდა.

იმათ მშობელი დედაც ვერ განასხვავებდა, მაგრამ როცა სრულიად არაორაზროვნად, კეთილი განზრახვით ვურჩიე: შეგიძლიათ მხოლოდ ერთი თქვენგანი დარჩეს სეანსზე, ან ერთმანეთს მალმალე შეენაცვლოთ-მეთქი, საშინლად იწყინეს, თითქოს გაუგონარი შეურაცხყოფა მიმეყენებინოს, რაკი დაუფიქრებლად გავაიგივე ერთი მეორესთან.

ასე რომ, რიგრიგობით ვხატავდი ორივეს. ისინი კი ერთნაირად მოუსვენრად ტრიალდნენ სკამზე; მთქნარებისა და უმიზეზო ხითხითის შუალედში მისვამდნენ ზუსტად ერთნაირ პიკანტურ კითხვებს, წარამარა ისწორებდნენ ერთნაირ მოკლე ვარცხნილობასა და სიცხისგან დაჭმუჭნილ სამოსს.

ნამდვილი, კაბაში გამონყობილი, რაბლეს პერსონაჟები... როცა, როგორც იქნა, სეანსებს მოვრჩი, მეშინოდა, გაორება არ დამმართნოდა. და საერთოდ, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ამდენ ხანს ნავსადგურის მუშასავით მიძიმე ტვირთს ვეზიდებოდი და აჰა, ბოლო ტომარაც მოვიცილე მხრეშიდან.

ტყუებმა კი სუნამო მაჩუქეს და სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს ჩემთან. ახლაც მაქვს. ქუჩაში ნაპოვნი, დარეტინებული კნუტივით ვარ ჩაჭედილი მათ შორის და შეშინებული თვალებით ვიყურები. ხოლო ისინი საგანძურით მხვევენ შთამბეჭდავი ზომის მკლავებს და მთელი მონდომებით ილიმიან.

არა, უთუოდ გულიანი გოგოები იყვნენ.

ისევ გადავუხვიე...

აი, თქვენ სიცილით გარბიხართ პლაჟზე. უბრალოდ, არ გცხელათ ჩემთვის. მსუბუქ პარეოებს მიაფრილებთ, ჰაეროვან კოცნას მიგზავნით ჰაიპარად და როგორღაც ყველაფერი მსუბუქი, გამჭვირვალე და ზედაპირულია თქვენს ირგვლივ. მიიჩქარით... მე კი ვზივარ და დაეჭვებული ვფიქრობ: მეგობრობა ნამდვილად უანგარო, თანასწორი ურთიერთობით აღზრდილი გრძნობაა (ხომ გაგივათ — „გრძნობათა აღზრდა“) თუ ზოგჯერ ისიც ცალმხრივია — სიყვარულივით?

მეორე ფინჯანი ყავა მოვიტხოვე. თუმცა სულ არ მიწოდდა. უბრალოდ, კიდევ ერთხელ სიამოვნებით შევისრუტავდი მის ოხმივარს და გავიხანგრძლივებდი უმოქმედობის, გარინდების მშვენიერ წუთებს.



ვილაცამ სველი სანდლების ფრატუნით ჩამიარა. მერე შეჩერდა და თოკზე გამობმული ახალდაჭერილი, დიდრონი, ვარდისფერი თევზები ასწია ზევით, ჩემს დასანახად. მხრები ავიჩეჩე. ისლა მაკლდა, თევზის საფასურად ამ ახალგაზრდა მებადურის ცოლ-შვილი და ნათესავები მეხატა კიდეც. ხმამალლა გამეცინა საკუთარ წარმოსახვაზე. ახლა მეთევზემ აიჩეჩა მხრები — რა იცოდა ჩემი ფიქრებისა და სავალალო უფულობის (როგორც იტყვიან, სრული მსყიდველუნარობის) თავი და ბოლო.

ტერასის სამსაფეხურიან კიბეზე მთვლემარე თეთრი ფინია გამოფხიზლდა და წერვიულად შეჰყეფა დაუპატიჟებელ სტუმარს, მაგრამ როგორც კი იმან კუთხეში შეუხვია და სარკესავით ელვარე თევზების ასხმულა თვალს მიეფარა, გულგრილი მთქნარებით გაიმოტა ძველ ადგილას.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

დილა კი შეუდარებელი მეჩვენებოდა. ზღვის სუნი შთანთქავდა ყოველგვარი სანელებლებისა და მოხალული ყავის სურნელს. თვითონაც შეგუბებული ლეღვით ხმაურობდა სადღაც ახლოს. საკმარისი იყო წამომდგარიყავით, რამდენიმე ნაბიჯი გადაგედგათ წინ და დაინახავდით კიდეც.

— გამარჯობა! — მომესმა სულ ახლოს, თითქმის ყურთან.

— გაგიმარჯოთ! — მოულოდნელობისგან შევეკრთი.

არც კი ვიცო, როგორ, საიდან მომიახლოვდა ეს ადამიანი. ეგებ აქვე მდგარი ფიკუსის ქოთინიდან ამოიზარდა ჯინივით. მგონი, მართლა მიამსგავსებდით აღმოსავლური თქმულებებიდან გამოცხადებულს. წარმოიდგინეთ: გადაბმული ხშირი წარბები, ბამბასავით თეთრი წვერი შავგვრემან სახეზე და მარლის განიერი, გრძელი პერანგი. ხელში ალუბლების მსგავსი მძივის კრიალოსანი ეჭირა. მორიდებით მიღიმოდა და შევამჩნიე, რომ მიუხედავად ასაკისა (სამოცდაათის მინც იქნებოდა), შესანიშნავი კბილები ჰქონდა.

— თქვენ ხართ მხატვარი?

„ესლა მაკლდა!“

— ნუ გამაწილებთ!.. რამდენსაც მეტყვით, გადაგიხდით, ოლონდ უარით არ გამიშვით!

ისეთი მუდარა ედგა ხმასა და თვალეში, რომ მაშინვე დაეყარე ფარ-ხმალი.

— გნებავთ დაგხატოთ?

— მე?.. არა, ღმერთმა გიშველოს. რაში მჭირდება... რად მინდა დახატვა.

— დაბრძანდით, გთხოვთ!

მოხუცი დაჯდა. პლასტმასის სკამი ჩემსკენ მოსწია. მერე კიდეც... მარჯვენა გამომიწოდა და მეც ჩამოვართვი. მან კი რალაც ჩამიდო ხელში. ცივი, ბასრი საგანი. მაშინვე ჩხვლეტა ვიგრძენი. ჩუმად შევიკვილე და ხელისგული გავეშალე. ზედ პატარა, ოვალური გულსაბნევი მედო, მუქი თაფლისფერი კამეა. თმა — გველები, თავზე კი — უცნაური ფრთები. გორგონა! გორგონა მედუსა...!

— უბრალო არ გეგონოს, ძველი ნივთია... ბოდიში, რომ ასე მოგაჩეჩე ხელში. ალესილი შესაბნევი აქვს, კი... კამეა ისევ ამ უცნაურ კაცს მივუწიე.

— თქვენია ეგ, — მითხრა თვალმოშორებლად.

— რისთვის? — შევლას ველოდი. მივიხედ-მოვიხედე.

თითქოს განგებ არავინ ჩანდა.

— ნახატის საფასურია. გთხოვთ, ძალიან გთხოვთ! — გულზე დაიკრიფა ხელები (ისინი კი — სანამდეც თვალი მიმინვდებოდა და პერანგის სახელო არ უფარავდა — სულ მჭიდრო ტატუირებით ჰქონდა დაფარული), — ვნახე თქვენი სურათები. იქ სული ჩანს... მეც ზუსტად ეს მინდა — სული!

— სული? — დაბნეულმა გავიმეორე. რალაც ხომ უნდა მეთქვა.

გულისჯიბიდან პატარა კონვერტი ამოიღო. ჯერ ფული მეგონა. ალბათ, ესეც უნდა გადმომცეს-მეთქი და უარესად აენერვიულდი. მაგრამ არა, ფრთხილად გასწნა და ღრმად ამოისუნთქა.

— აი, ეს მინდა, რომ დამიხატოთ.

— ეგ რალაა?

— სურათი... აქედან ხომ შეგიძლიათ გადაიხატოთ?

„კი, ბატონო, — გავიფიქრე, — ჩემთვის უფრო ადვილია...“

მაგრამ სურათს რომ დავხედე, გაცხებულმა ვკითხე:

— ეს რაა, სხვისი ნახატია გადაღებული?

— როგორ?.. აჰ, არა, ნახატი არ არის. მე თვითონ გადავუღე.

— ვის?

— ჩემს ცოლს.

ღმერთო, როგორ წარმოთქვა: „ჩემს ცოლს...“

კარგად დავაკვირდი და მართლაც — ჩვეულებრივი ფოტოსურათი იყო, ობიექტივში მოქცეული ადამიანის გამოსახულებით და არა ნახატის ასლი ან ღია ბარათი... მაგრამ ვერავინ დამარწმუნებდა, რომ დედამინაზე შობილ ქალთაგანს ოდესმე ჰქონოდა ეს ასეთი მალალი ყელი და გადაკალმული წარბები.

ეს ქალი იცინოდა და ერთდროულად ძალიან ბუნებრივად იყო და არარეალურიც. უბრალოდ, დაუჯერებელი...

სურათს უკანა მხარეს ქიმიური ფანქრით ეწერა: ბახმარო. 1962 წ.

— სამოცდაორში დავქორწინდით, — თავი დამიქნია მოხუცმა, თითქოს კვერი დამიკრა.

ქალს მალლა აზიდული მკლავებით ეჭირა შავი, სქელი თმის ბულული და თავგადანეული, ლალად, თამამად შემოგვხაროდა. თითქოს გავიგონე მისი სიცილიც.

— აბა, რას იტყვით?

— ასეთი არავინ მინახავს, — ვუთხარი უბრალოდ გულწრფელად კი არა, მტკიცედ, სასვებით დარწმუნებულმა, — არც კინოში... არსად! ალბათ, ყველა ამას გეუბნებათ.

— არავისთვის მიჩვენებია.

— როგორ?!

მან გაშლილი ხელისგული დააფარა სურათს. აღარაფერი მიპასუხა, მხოლოდ იმგვარად მიყურებდა, როცა ფიქრით სხვავან არიან. მერე კი შემცბარმა დახარა თვალეში. ჩანდა, როგორ გამწარებით ეძებდა სიტყვებს.

უცნაური, უცნაური ადამიანი... განა გულისამაჩუყებელი არ იყო მისი საქციელი? ალბათ, პორტრეტი ცოლს უნდა აჩუქოს; ამდენი წლის მერე, მაღლიერებით. დაუჯერებელი არსების გვერდით გატარებული ხანგრძლივი ცხოვრებისთვის. ახლა, როცა კვალაც აღარ დარჩა ამ ქალის ადრინდელი სილამაზისგან. ცხადია, უბრალოდ ცხოვრობენ. ხელებზე ხომ ეტყობა — მშრომელი კაცია. ქალიც შეიცვალა — არსებობისთვის ბრძოლაში ყველა იცვლება...

— შეილები გყავთ? — უფრო ჩემს ფიქრებს გამოვეხმაურე. ძალიან მომიწონდა გამეგო, ვინმეში გაგრძელდა, გადადინდა თუ არა — როგორც ტალღა ტალღაში — ეს ხელები, ყელი, თვალეები, სიცილი...

— კი... მხოლოდ ჩემთან არ არიან. თავთავიანთ გზაზე ნავიდნენ. მე აგერ, აქვე მაქვს ბინა, აგურის შენობაში, ხედავთ? — საითკენღაც გამითითა.

— მომისმინეთ! — ვუთხარი გადაჭრით. თან ზუსტად არ ვიცოდი, რის თქმას ვაპირებდი კიდეც, — ამის გადახატვა არაფერში გჭირდებათ, გესმით? თუ გინდათ, შინ გესტუმრებით და თქვენს ცოლს დაეხატავ. უფრო კარგი გამოვა, დამიჯერეთ. ეს სურათი კი ჩარჩოში ჩასვით და გამოსაჩენ ადგილზე დაკიდეთ.

უცებ ენერგიის მოზღვავება ვიგრძენი, გავხალისდი. მივხვდი, მართლა სიამოვნებით ვენვეოდი შინ და ამისთვის სულ არ მჭირდებოდა გორგონას დაჟინებული მზერით შთაგონება. მან საჩქაროდ ჩამომარცვლა კრიალოსანი.

— კარგია, კი... კარგი იქნებოდა, მაგრამ ცოცხალი აღარ არის.

— დიდი ხანია? — ვიგრძენი, როგორ დამწყდა გული.

— ორმოცი წელია.

შეცვდი, როცა წარმოვიდგინე, რომ ის ქალი შეიძლება დაბერებულიყო.

თეთრი ფინია ზოზინით მოგვიახლოვდა, გახამებული სუფრის კიდე დაყნოსა და ძალიან დაინტერესებულმა მოგვაპყრო მოცვის ნაყოფის მსგავსი თვალები.

— ახლა ხომ ხვდებით, რატომ მინდა მისი სურათის დახატვა? — მოხუცმა ხელი მექანიკურად გადაუხვია ძაღლს თავზე.

ნეტა რას უნდა მივმხვდარიყავი... ყველას აქვს განსაკუთრებული მიზეზი, სურდეს რამე (თუკი სურვილს ახსნა მოეძევა).

— კარგი, დამიტოვეთ.

მან ისე გამილიმა, მივხვდი, გულზე მოეშვა. მაინც რა სიხარულს მოუტანდა უბრალო ნახატი? იქნებ უნდოდა სხვების თანაზიარი გაეხადა ორმოცი წლის წინათ გაუჩინარებული, სამუდამოდ გამქრალი სილამაზე? თუ ასეა, მაშინ სჯობდა ათასობით ეგზემულარად გადაემრავლებინა ფოტო და ყველა გამვლელისთვის მიეჩვენებინა ხელში, როგორც მე გადმომცა კამერა. დაე ყველას გულში გაევილო ბასრ შთაბეჭდილებას, სამკაულის ალესილი შესაბნელებით.

— ცარიელია უმისოდ დედამინა, გესმით? — გავიგონე უცებ საოცარი სიტყვები, — აღარაფერი არსებობს. და თუკი რამეა ირგვლივ, ასე მგონია, მარტო იმიტომ — ყოველ წუთს გამახსენოს, რომ ის იყო და აღარ არის.

გული კინაღამ შემიღონდა; სიბრაღულით და კიდეც იმის შეგნებით, რომ ძალიან მეცნობა სწორედ ეს აღსარება. იქნებ ნამიკითხავს, ან ყური მომიკრავს, მაგრამ ნამდვილად გამივიდა. და რომ ასეთი რამ მარტო წიგნებში არ ხდება, არა!..

— მაინც კარგია, — ვცადე მეც მომეძებნა შესაფერისი წინადადება, — რამდენიმე წელი ხომ იყავით თქვენი ცოლის გვერდით და ყოველდღე უყურებდით ასეთ... ასეთ... — მაინც დავიბენი. სახელი ვერ მოვუძებნე იმ ქალის გარეგნულ ხატს.

— ბრმა რომ ვყოფილიყავი, მაინც მივხვდებოდი. ნამდვილი სილამაზე შეხებით გამოიცნობა, არ იცოდით?

— როგორ? — ცოტათი შევეკრთი, მაგრამ ისეთი ცნობის-მოყვარე ვარ...

— ხელს რომ ჩამოვუსვამდი ყვრიმალეზე... ქუთუთოები, ნიკაპი... ხან მგონია, სველი თიხა რომ მომცა, სულ ადვილად გამოვძქრნავ და მერე სულს ჩავებრა... ექვსი წელი ვიცხოვრეთ ერთად და შემიძლია ვთქვა, რა არის სამოთხე. თუნდაც მერე გამოვლილი ორმოცწლიანი ჯოჯოხეთის ფასად.

— მომიყევით რამე მასზე! — ვთხოვე ბავშვურად.

ახლა მისი შეცბუნების ჯერი დადგა.

— ნახატისთვის თუ გამოვადგებათ, მაშინ... — ქალაღის ხელსახოცს დაუნყო ნვალება, — რა ვიცი... სულ კარგ გუნებაზე იყო, ყველაფერი ახარებდა. გრძელი თმა ჰქონდა, სქელი ისეთი... და სულ იის სუნი ასდიოდა თმაზე. ცეცხლს ჰყრის ხელიდანო, რომ ამბობენ... ძალიან იოლად აუდიოდა საქმეს. ეზოში ონკანი გვექონდა და იქ რეცხავდა სარეცხს. უნდა გენახათ, ბავშვები ფეხებში რომ ედებოდნენ — ერთს ხმამალა დატუქსავდა და მერე ჩაკოცნიდა, მეორეს ცხვირს მოსწმენდა. პატარა ნამოიტირებდა — იმას ძუძუს მოაწოვებდა, თან სიცილ-სიცილით. ასე იყო იმ დღესაც...

— რომელ დღეს?

— სტუმარი ჩამოგვივიდა. ჩემი ჯარის ამხანაგი. მოულოდნელად დაგვადგა თავს. ხელში გიტარით. გამიხარდა. მემამუებოდა ოჯახი: შვილები... და ცოლი — სამი შვილი გაანი-ნა და კი არ ნახდა, ასჯერ უკეთესი გახდა. მეც უკვე ცნობილი წყალბურთელი ვიყავი, ნაკრებში ვთამაშობდი.

სტუმარი ორი კვირა დარჩა ჩვენთან... გამოგიცდია ეჭვიანობა?

— არა.

— მაღლობა ღმერთს... ჩემი ამხანაგი ნაწილში ყველას უყვარდა. ეშინოდათ კიდეც მისი. სამსახიობო დაამთავრა, მაგრამ სამუშაო ვერ იშოვა თუ ვერ მოიკიდა ფეხი. ერთხელ



მხატვარი ირაკლი ჩიქოვანი

სადღაც გადაიღეს კიდეც მთავარ როლში და მორჩა. დანყვე-ლილი ვარო, მეუბნებოდა. ჯიბეში სასმლით სახსე ჯარისკა-ცული მათარა ედო. ხელმოცარული მეგობრის ნახვაზე უარე-სი რაღაა. ვეცადე გადამერჩინა, ჩემი ჭკუით... რამე სამსა-ხურს კი ვუშოვიდი, სპორტსკოლაში ან... ყველგან ნაცნობები მყავდა. მაგრამ ასე მითხრა: ჩემი პროფესია სულს მირჩე-ნიაო. მართლაც, დღეს ისეთი გამოჩენილი მსახიობია, სადაც დაინახავენ, ხალხს კრუნჩხვა ემართება ბედნიერებისგან. სი-ცოცხლეშივე გახდა კლასიკოსი.

მაშინაც კი შეეძლო ზემოქმედების მოხდენა. უმუშევრო-ბის, უფულობისა და მუდმივი ნაბახუსევის მიუხედავად. ისე ჩაგაგონებდა რამეს... პირდაპირ არ გეტყოდა, მაგრამ ასე გა-მოდიოდა: „შენ რა, ვერაფერს ატყობ? თვალები სად გაქვს? არა უშავს, მე შენს გვერდით ვარ. ცხოვრება ასეთია, რას იზამ...“

მერე მივხვდი, ლოსაც თამაშობდა. დიდებულად თამაშობ-და. თვალები კი ფხიზელი ჰქონდა, ჩასაფრებული ვარანივით.

სახეში არც შეუხედავს ჩემი ცოლისთვის, თავდახრილი ელაპარაკებოდა.

ორ კვირაში აღარ არსებობდა ჩემი შეჩვეული, დალაგებული სამყარო, სადაც მშვიდი და ბედნიერი ვიყავი. სულ ორ კვირაში...

აქამდე გატრუნულმა ფინიამ ყურისნამლებად დაიყვია და გადარეულივით გამოენთო პატარა ბიჭებს, ყვითელ გასაბერ ნავს რომ მიათრევდნენ. და ისე კარგად მახსოვს — სწორედ იმ წამს ქარმა დაუბერა, ორპირივით. გეგონება უხილავი ფანჯრე-ბი გაიღო ისედაც ღია სივრცეში და მაგიდაზე დანყობილი ხელ-სახოცები ააფრიალა. ფოტოსურათს დროზე შევაშველე ხელი.

— ორი კვირის მერე რა მოხდა?

— თვრამეტ ივლისს? — ჩამეკითხა ჩემი მოსაუბრე და მეც უნებურად თავი დაფუქნიე, — თვრამეტ ივლისს მე ის მოვკა-ლი.

სკამიანად უკან გავინიე.

— ჩემი ცოლი მოვკალი. გამთენიისას... მზის ჩასვლისას კი საპატიმროში ვიჯექი. სანყალ დედაჩემს აღარავინ დარჩა. ბავშვები ჩემი ცოლის მშობლებმა წაიყვანეს.

მან ხელები გაშალა, თითქოს მითხრა: „ესაა და ეს!..“ მაგ-რამ მაშინვე აღაპარაკდა:

— ისეთ ადგილას ვიხდიდი სასჯელს, სადაც ბევრი ვერ გა-დარჩებოდა. ციმბირი თუ გავიგია? მაგრამ გაუძელი. რკინის ჯანმრთელობა მქონდა. არც კი ნამომიხველებია. გავკაჟდი როგორღაც. მერე ხე-ტყის დამუშავებაზე გადამიყვანეს. რაც

უფრო მძიმე საქმე გამოჩნდებოდა, მით უკეთესად ვგრძნობ-
დი თავს. შეუსვენებლად ვმუშაობდი.

ნამდვილი ტანჯვა მაშინ იწყებოდა, როცა ნარზე ვწვებო-
დი დასაძინებლად. სად იყო ძილი. იყო მხოლოდ ჩემი ცოლი.
მისი ღიმილი. და ერთ ღამეს ისე ცხადად ვიგრძენი ღოყაზე
მისი თმის შეხება და იის სურნელი, რომ ნამოვხტი და გიჟივით
დავიყვირე.

მერე კიდევ იქაური ბიჭები, პატიმრები, სულ ლაპარაკობ-
დნენ, რომ ჯოჯოხეთში მოკლულები ანამებენ მკვლელებს,
დაუსრულებლად... და მეც ვლოცულობდი ყოველ ღამე — მა-
ლე მოვხვდებოდი იქ. რადგან რა უნდა ყოფილიყო უფრო
დიდი ბედნიერება, ვიდრე მისი ხელით მოყენებული ტკივილი,
ჭრილობები... იმ დანით რომ ვენამებინე, უსასრულოდ, უკუ-
ნითი უკუნისამდე. ყოველდღე, ყოველ წუთს ხელახლა მკლავ-
დეს მარადისობაში, მე კი იმას თვალმოუშორებლად ვუყუ-
რებდე — აი, რა იქნებოდა ღვთის ყველაზე დიდი ნყალობა
ჩემთვის. მაგრამ ეგ ხომ მიტევენა და ვიცი, ასე არ მოხდება...
იქ ალბათ, ბნელ ლაბირინთებში ვივლი, მობოროტად ლანდებს
შორის დაუწყებებ ძებნას ბრმასავით, ხელისცეცებით და ვე-
რასდროს ვიპოვი...

უკანასკნელი სიტყვები უცაბედად მოვარდნილ ხმაურში
ჩაიხშო. გაეღვებასავით შევასწარი თვალი — ახალგაზრდა
მოტოციკლეტისტი ისე ლაღად გადაევიდა აბიზინებული ყვა-
ვილების გაზონს, თითქოს განვრთნილი ცხენი გადაახტუნა
ბარიერზე.

ერთი მოსმით დავცალე გაციებული ყავით სავსე ფინჯანი
და, როგორც მჩვეოდა, დარჩენილი ნალექი აქეთ-იქით მიმოვ-
ღვარე ჭიქაში, სადაც უმაღლე გაჩნდა მწვერვალები, დაკლაკ-
ნილი გზა (ან იქნებ მდინარე თავისი შენაკადებით) ოთხივე
მხარეს. და სახეები, სახეები...

— ცხოვრების თავიდან დანყება რომ შეიძლებოდას, —
ჩამესმა ისევ, — სულ თავიდან, როგორც სუფთა ფურცლიდან
იწყებენ ხატვას... ამის უფლება რომ გექონდეს...

„ოჰ, რა ცოტა ნებას ადამიანს! — გავიფიქრე გაბოროტე-
ბულმა, — მაშინ ხომ უარეს შეცდომებს ჩავიდნდით.“

მინდოდა მეკითხა, ვინ იყო ის მსახიობი... მაგრამ არ
ვიკითხე.

საშინლად მსურდა გამეგო, როგორ მომნიფდა ის განთი-
ადი — ამხანაგმა უსაქმურობით, ვერაგი ბუნების გავლენით,
უმიზეზოდ ჩააგონა რამე თუ (ვინ იცის) თავი დაკარგა მეგობ-
რის ცოლის გამო? იქნებ შეეცადა ერთად გაქცევაზე დაეყო-
ლიებინა ქალი და უარი რომ მიიღო (იქნებ დაცინვაც), გაბო-
როტებულმა მოიფიქრა შურისძიების გეგმა?

„თუ ჩემი არ იქნები, არც სხვასთან გაგახარებ!..“
ხოლო ქალი?

შეუძლებელია ამ თვლების, მბრძანებლურად მოღერებუ-
ლი ყელის პატრონი, დრამის პასიურ პერსონაჟად წარმოვიდ-
გინო. როგორ დავიჯერო, რომ ცხვარივით მორჩილად დანვა
სამსხვერპლოზე. იქნებ ქმარსაც დასცინა, ჩვეული პირდაპი-
რობით, ცხარე საუბრისას, იმ გადამწყვეტ წუთებში... და
ვერც მოასწრო განცვიფრება დანის დანახვისას...

— ნაილეთ თქვენი ფოტო, უკვე დავიმასხოვრე. — ვთქვი
რაც შეიძლება ალერსიანი ხმით, თან უნებურად ბზრილასავით
ვატრიალებდი ფინჯანს, — მენდეთ! — დავუმატე სწრაფად,
როცა შევამჩნიე, როგორ დაიძაბა ის, ვისაც მივმართავდი.

— მაშინ მე ნავალ... ნამდვილად დახატავთ უსურათოდ?
— ნამდვილად.

— კარგი... — როგორღაც მოუხერხებლად ნამოდგა
(ეტყობა, ფეხი აწუხებდა. ტკივილისგან სახე შეეჭმუნა კი-
დეც) და კრიალოსანი დაუვარდა. სისხლივით წითელი, მსხვი-
ლი მარცვლები გაიფანტა ქადრაკის დაფასავით შავ-თეთრ
ფილაქანზე.

მათი შეგროვება არ დამანება:
— არ ღირს... ნახვამდის!

— მოიცათ! — ნამოვხტი და გულსაბნევი გავუნოდე, —
ესეც ნაილეთ!

— არ მოგეწონათ?

— არა, ძალიანაც მომწონს, მაგრამ არ მინდა. ცოტა მეში-
ნია მისი. თანაც, რა საჭიროა, ისედაც დაგიხატავთ.

რა მსუბუქად, მოჩვენებასავით გამომეცხადა, ახლა კი
დიდხანს, მძიმედ და მოუხერხებლად მტოვებდა, შებორკილი-
ვით. ისე ჩაიარა კიბის ორი საფეხური, გეგონება თვალდახუ-
ჭული ადგამდა ნაბიჯს. ან იქნებ ზურგსუკან მიდევნებული
ჩემი მზერა აქვავებდა, როგორც აი, იმ მითიური მედუსას
თვალები.

გამიხარდა, როცა ბარის მაგიდასთან გარგანტუას ქალიშ-
ვილები გამოჩნდნენ...

თითქმის საღამოვდებოდა, სანაპიროზე რომ გავედი. კან-
ტი-კუნტად შემორჩენილი დამსვენებლები გამოორიყული თევ-
ზებივით დუნედ იწვნენ ჯერ კიდევ თბილ ქვიშაზე.

ფოსფორისგან ზღვა ისე ციმციმებდა, თითქოს წმინდა
ვერცხლის მტვერი მოაფრქვიეს ზემოდან. სულ აღარ ლელავ-
და, ოდნავადაც არ...

თქვენც იქ იყავით. მართალია, იმ დღეს კინაღამ მზის დაკ-
ვრა მიიღეთ, იმდენ ხანს ინექით პლაჟზე, მაგრამ მაინც დიდ-
სულოვნად მომაცილეთ საბანაოდ.

ჰოდა, ორივე ნაღვლიანად ისხედით შეზღონებზე, არა-
ბუნებრივად გამართული ბეჭებით (ძალიან გენვოდათ, ალ-
ბათ), ნრუპავდით ცივ, გაზიან სასმელს და განითლებული, მა-
ლამონასმული ცხვირები გიპრიალებდათ. ზუსტად ერთნაი-
რად — გამეცინა კიდევ — ჩემი ტყუბი მენატურებივით.

— მომკლავს ჩემი ქმარი — ამოიხრეთ რომელიღაცამ, —
სულ მეუბნება, ზომიერება გაკლიაო. ტყავს გამამძრობს.

— ტყავი ისედაც გაგძვრებათ ორივეს, — დაგამშვიდეთ
ვითომ, — თანაც ცხრაპირი.

ჩემთვის კი გავიფიქრე: „ასე ადვილად არ კლავენ, არა!..
არც შენი ქმრისნაირები იმეტებენ საკუთარ თავს განსაცდ-
ლისთვის.“

წყალი ხავერდოვანი აღმოჩნდა, რბილი და ალერსიანი. მე-
გონა, თბილ რძეში ვბანაობდი.

„... მოივადმყოფა თავი დედოფალმა... მაშინვე მოაწვე-
ლინეს მსახურებს ირმები...“

ჩავეყინთე (მართალია, მხრებამდე წყალში ვიდექი) და
ფართოდ გავახილე თვალები, თუმცა აქ დასანახი არაფერი
იყო — მხოლოდ მოლივლივე მუქი ჩრდილები. უცებ გამახსენ-
და: „ბნელ ლაბირინთებში... მობოროტად ლანდები...“ სწრა-
ფად ამოვეყვირე თავი და ღრმად ჩავისუნთქე.

ნაპირზე რომ გამოვედი (მიეყარს, როცა თუნდაც მუხლამ-
დე დინებას მთარღვევ, დაბრკოლებასავით. თქვენ არ დაკ-
ვირვებხართ, რომ წყლიდან ამოსვლისას თითქოს დიდ სიმ-
ძიმეს იშორებ; ნაბიჯ-ნაბიჯ, მისხალ-მისხალ მაღლები, თა-
ვისუფლდები და ხელახლა იბადები? ზღვა ხომ, როგორი წყნა-
რიც უნდა იყოს, ბოლომდე გეჭიდება თვალთ უხილავი მარ-
წუხებით), სახეზე ნურწურით ჩამომდიოდა ცრემლებივით
მლაშე წყალი. თმა გადავიწიე და სველი ხელისგული მოვისვი
შუბლზე, საფეთქელზე; მერე ყელზე, სადაც რომელიღაც ჯი-
უტი ძარღვი ფეთქავდა მთელი ძალით. მომეჩვენა, რომ სისხ-
ლის ჩქეფამ ყველა ხმა გადაფარა. თვითონ სიცოცხლე ბო-
რავდა, ხმაურობდა და უნდა ეხმაურა...

გაუნძრევლად ვიდექი. და მახსოვს იმ წუთას თქვენი შემ-
ფოთებული სახეები: „კარგად ხარ?!“ მაგრამ მე კარგად ვიყა-
ვი, რა თქმა უნდა; მხოლოდ სიგრილემ ნამოუბერა ზღვიდან
და, ვიდრე თქვენს შორის დავჯდებოდი აკანკალებული, ტერ-
ფებით მაგრად ვეკვროდი სველ, მცოცავ ქვიშას და ისე მინდო-
და, რომ ერთი წამით მაინც ვყოფილიყავი არაამქვეყნიურად
ლამაზი, თავდავიწყებით მოცინარი, ახალგაზრდა და ბედნიე-
რი ამ მშვიდი, მრავლისმნახველი და მგრძობიარე ცის ქვეშ...



შეგვიძლია ვინინასწარმეტყველოთ: თანამედროვე ქართულ პოეზიაში თუ ნუარის სტილი დამკვიდრდა, ამ საქმის პიონერი უთუოდ ანდრო ბუაჩიძე იქნება. კაცმა რომ თქვას, ღამის ესთეტიკა ჩვენი ლიტერატურისთვის უცხო არ არის, გავისხენოთ თუნდაც გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელის, ვალერიან გაფრინდაშვილის მისტიკური გადახვევები, მაგრამ აქ საუბარია მსოფლმხედველობრივ ფენომენზე, როდესაც ღამე არის გამოსატყვის ფორმა, შინაარსი, აზროვნების სტილი.

ამას წინათ ანდრო ბუაჩიძემ „ლიტერატურულ გაზეთში“ დაბეჭდა მოთხრობა „ოთხ კედელში“, ჩვენი აზრით, საინტერესო, ეფექტური პროზაული ცდა, რომელშიც 90-იანი წლების აბსურდული ყოფაა ასახული. მოთხრობაში არის ეპიზოდები, რომლებიც ჩარღვნიან ლოკალურსა და სტენლი კუბრიკის ნუარისტულ კადრებს მოგვავსებენ. ამჟამად, წყვილადის მეტაფორიზაცია ანდრო ბუაჩიძის მხატვრული აზროვნების წესია, პრინციპია, მთავარი ნიშან-თვისებაა. მისთვის წყვილი ნათლის ალტერნატივა კი არ არის, არამედ საწყისი, რომელსაც მივყავართ ფორმულამდე: აბსოლუტური წყვილი როგორც სინათლე.

გასაკვირო არაფერია იმაში, რომ ანდრო ბუაჩიძე მეტაფორულ ღამის სახლს სხივებით აშენებს: „ეს ბნელი ღამე ჩემი სახლია, თეთრი სხივებით არის ნაგები. ჩემი სახლია უშველებელი, რომელშიც მუდამ დავიკარგები“.

სინათლეში საგანი შინაარსისგან განცალკევებით, ზედაპირულად აღიქმება.

„წმინდა სინათლის დიად ბადეში ისე ცოტაა გასაგებელი, როგორც რომ წმინდა სინყვიადეში“ (გალაკტიონი). იდეალისტური საზრისის მოშველიება სულაც არ არის საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ ბნელში ხედავ უფრო ინტენსიურია. დღის შუქით განათებული საგანი ცარიელი ფორმაა, სქემა, ცივი ვიზუალია; ბნელში დანახული კი შინაარსია, ფორმიდან გარეთ გამოტანილი, გამოცალკეებული რაობა. ბნელში საგანს სულით ხედავ, შეიგრძნობ, განიცდი.

ანდრო ბუაჩიძის პოეტური ნუარი, მისი ლექსის მუდმივი ანტურაჟი — სასაფლაო, კვიპაროსები, ძაღლები, გზა, ქვაფენილი და, სხვათა შორის, ელნათურებიც — სხვა არაფერია, თუ არა სინათლის მეორე მხარე.

ანდრო ბუაჩიძე

* * *

სანოლის უკან გადაგდებულო, ჩემო ლექსების ძველო რვეულო, შენ ხომ ყველაზე უკეთ გებულობ რას ამბობს ღამით სამზარეულო.

ვიდრე გაქრება, უნდა შემცირდეს დარდი სხივივით მოუთოკავი, ისევ შენ ისმენ ასე წვეთინვეთ რას ჭირვეულობს ღამით ონკანი.

რა ამოვილო ჩემი ყოფნიდან, რა ამოვწერო მწუთხე იღბლიდან, არ ვიცი, რაღაც ისმის სოფლიდან, ამ ხმაგაკმენდილ სოფელ დიღმიდან.

სანოლის უკან გადაგდებულო, ჩემო ლექსების მკრთალო რვეულო, შენ ხომ ყველაზე უკეთ გებულობ, სად არის ღამე გამორღვეული.

იქნებ იქ ცვდება ჩემი იღბალი, გადაგდებული ხარის ტყავივით, იმის ნაგდებზე მალე იხარებს საზარლად მქისე სუნის ყვავილი.

არ ვიცი, ჩემო ძველო რვეულო და დამტვერილო მკრთალო ფურცლებო, უკვე მე თვითონ ველარ ვგებულობ, რატომ ცახცახებს სხივი უმწეოდ.

რა სასჯელი აქვთ მაგ კვიპაროსებს, ასე მკაფიოდ ბნელში აშვეტილთ და რატომ ისმის სამარადისოდ ყეფა, — წყევლაა ეს თუ საშველი?

ჩემო ლექსების ძველო რვეულო, ირგვლივ მტვერი რომ შემოიკრიბე, მანდვე, სოფელში, სახლის ერდოზე მინავლებული შუქი ლიფლიფებს.

ღამის ნათელი თავს დასცახცახებთ ბნელში დაყრღლებს, როგორც ჭერებსებს, იქნება სძინავთ უკვე გამძღარებს, რომ იქორწინებს ან იქელებს.

ყასაბმა ბანრით მიბმულ უშობელს ამ დილით ყელი გამოალადრა, მაყუთს აწყობდნენ, მერე მრუშობდნენ, მერე კი თავი მისცეს სალათას...

მომბეზრებია ასე კირთება დიღმის ველობზე ჩამჯღარ მიკიოტს, ალბათ, იმასაც ვილაც სჭირდება, რომ სიბნელეში გზა გაიკვლიოს.

თავს ველარ ვართმევ მძიმე ძილ-ბურანს, ჩემო ლექსების ძველო რვეულო, და ვატყობ უკვე კვლავ შემობრუნა, წყვილადს რომ ვეძმო ან შევეულო.

* * *

ეს ბნელი ღამე ჩემი სახლია, თეთრი სხივებით არის ნაგები, ჩემი სახლია უშველებელი, რომელშიც ჩუმად დავიკარგები, ჩემი მკლავები, როგორც სამრობი, შუალამისას ინოვს სიცივეს, რადგანაც ღამე ჩემი ხვედრია, ასე უეცრად ვერ მოვიცილებ. ჩემი ხვედრია გზაჯვარედინი, რომელსაც შუქი აპობს ირიბად, უეცრად მოწყდა და ყრუ ჰაერში მოულოდნელად გაიშლილფა. ჩემი ხვედრია, ჩემი წერაა, ღამე ვიარო ამ კლოაკაში, წყვილი ირგვლივ ჩუმად ანთია, ატეხილია ჩემი განგამი, შუალამისას სახლში ვბრუნდები და უკან მრჩება ბნელი ბაგები და შუქჩამქრალი სახლები ჩანან, როგორც უფორმო სარკოფაგები. ჩემი ცხოვრების ნახევარგზაზე ვილაცამ კარზე დამიკაკუნა, ჩემი ცხოვრების ნახევარგზაზე ბნელში კაკუნი ბედმა მარგუნა, სულ ახლოს ვაკის სასაფლაოა, წყნარი სინათლის მიღმა პლატოა, თითქოს იღბალმა ღამის პირისპირ მოულოდნელად განმამარტოვა. და ახლა ვდგავარ გზაჯვარედინზე განათებული ვით შუქნიშანი, არც მონანიე და არც მონალვე, არც მომლოდინე, არც მოშიშარი, გამოდი, შენი სახლის ერდოზე, გამოიტანე შენი ფარანი, რადგან მე თუნდაც მაგ სიშორიდან არ გამინათებს გზას სხვა არავინ. რადგან წყვილადში გადავანყვდები ჩამქრალ ფანჯრებს და დამწვარ ჯიხურებს, რადგან ვილაცას უნდა ცხოვრება დარაბასავით სწრაფად მიხუროს, რადგან ვბრუნდები სახლში დალილი და უკან მრჩება ბნელი ბაგები, იქვე კი ვაკის სასაფლაოა და ჩემი ძველი ამხანაგები...

* * *

მაინც რას ერჩი ამ შუალამეს, რა მოგიტანა? ხომ არაფერი, გამოდი გარეთ, ნუ დაახანებ და დაადექი ჩუმად ქვაფენილს.

მაინც რას ერჩი ამ უაზრობას, ყელზე ათასი დანის დამბჯენელს, ხომ არც გათბობდა და არც გაზრობდა, ჰოდა, ყასიდად ნუ შეაჩვენებ.

მაინც რას ერჩი ამ ელნათურებს, გემუდარები, ჩამოესხენი, ამ ბნელში ხელებს რას აფათურებ, შენ ალბათ გინდა შეთხზა ლექსები.

და რაზე შეთხზავ, თუ არა ისევ,
სინანულზე და მეძაგებზე,
როცა მოგისწრებს დილასისხამი
დასდე კალამი, რაღას დაეძებ.

დილა გატყდება რძის ბოთლიანად
და საყვედური ქურთი მეგზვეის,
შეეზინება ქურთის მთლიანად
და აი, მაშინ შეთხზე ლექსები.

და ეს, ნეტავი შეგაძლებინა
ლექსების წერა ლავგარდანებზე,
თითქოს ცხოვრება იცი ზეპირად,
ილაპარაკე, რაღას დაეძებ.

მაინც რას ერჩი ამ ლავგარდანებს,
ლავგარდანებსაც ჩამოეხსენი.
და სასმელივით სანამ არ დალევ
ცხოვრებას, მანამ არ თქვა ლექსები.

რას ემართლები ამ შუალამეს,
რა მოგიტანა? ხომ ყველაფერი,
გამოდი გარეთ, ნუ დაახანებ
და დაადექი ჩუმად ქვაფენილს.

და დაადექი ჩუმად ქვაფენილს,
რომელიც ახლაც გეუცხოება,
შენი ცხოვრება აქ იწყებოდა,
აქ დამთავრდება შენი ცხოვრება.

ვილაცა შეკრებს მერე ნამსხვრევებს
და დაანებებს ალბათ ქალაღზე,
მაინც რას ერჩი... კვლავ გადაწერე,
შენში სინათლე რასაც ალაგზნებს.

წვიმა საბურთალოს კანთონში

1.
და აი, უკვე უსტვენს ჩიტი, ის უცნაური,
რომელიც არის გაზაფხულის უბრალო მაცნე
მზიან ფერდობზე, სადაც დგანან მრუდე ნაძვები,
მდინარე ვერეს ხეობაში ჩრდილწამოსხმულნი.
შენი ადგილიც ხომ მანდ არის, ხეობის პირას,
რა უცნაური სამყოფელი გარგუნა ბედმა,
ლამეებს როგორ ეგუები, როცა წყნეთიდან
უბერავს ქარი ხეობაში და აშრიალებს
ასკილის ბუჩქებს, ხმელ ფოთლებს, ჩუმ ადგილსამყოფელს.
როგორ უხდება საბურთალოს პანთონს წვიმა,
ბაგების მხარეს კორპუსების ჩრდილები წვება,
სწორედ ისეთი ამინდია, შუქჩრდილებს როცა
ცივი ციმციმი გადაჰკრავს და ნალველს უმატებს.
ბაგების მხარეს, ზედ ხეობის პირას, ხვეულად
იჭრება ცაში ტყისპირიდან ასული კვამლი.
ფეხსაცმელების ფაბრიკაა იქვე, სულ ახლოს,
დიდი ხანია ყველასაგან მიტოვებული,
დიდი ხანია იქ ეზოში ყფის ერთი ძალი
და მისი ყფა კარგად აღწევს შენს სამკვიდრომდე,
სად არის ნეტავ იმ ფაბრიკის წყნარი დარაჯი,
შინ წავიდა თუ ჩაეძინა შენის ლუმელთან.
ეს რა უცნაურ გარემოში დაიდე ბინა,
დატოვე შენი ოთახი და საწერ-მაგიდა,

და იქვე დარჩა უნუგემოდ შენი ნივთები:
მაჯის საათი, სათვალე და უბის წიგნაკი,
რომელიც უკვე არაფერში არ დაგჭირდება.

მართლაც უცნაურ გარემოში დაიდე ბინა,
ხეობის პირას, ღია ცის ქვეშ, გამლილ ადგილზე...
ის შენც შეგეხო, უხილავი და უჩრდილებო,
თავის გრძნეული და უხორცო, უძრავი ხელით,
შენც მოგანიჭა სიმკაცრე და პირქუში შუქი.
საკვირველია, რომ შენ ჩემი აღარ გესმოდეს...
და აღარც გესმის... საკვირველია, რომ მდინარე ვერე
დღეიდან შენს სიახლოვეს ძველებურად მიედინება.
საკვირველია, რომ უბერავს ქარი ტყეებში
მანდ, წყნეთის ქვემოთ და ხეობას შუბლით ეხლება.
მანდვე მიქრიან მანქანები ვინრო ტრასაზე
და ეს ლანდშაფტი ალბეჭდილი ამოებით
წვიმის წვეთებით ინამება შენს სიახლოვეს.
შენ ახლა უფრო უკეთ გესმის, რა არის წვიმა,
შენ ახლა უფრო უკეთ გესმის, მარადისობა
როგორ გადმოდის შენში და თან როგორ ციმციმებს,
ეს რა უცნაურ გარემოში დაიდე ბინა,
შენი ჭერია ვარსკვლავებით მოჭედული ცა.

ეს იყო ადრე, როდის იყო, აღარც კი მახსოვს,
და რომც მახსოვდეს, არაფერი არ შეიცვლება,
გადავდიოდით საბურთალოს სასაფლაოდან
ვაკისკენ. დაღმა დავეჩანეთ ვინრო ბილიკით.
მაშინაც ჩიტი, გაზაფხულის უბრალო მაცნე
ხალისიანი ხმით ავსებდა მონუსხულ ჰაერს.
გადავიარეთ ბენვის ხიდი, მდინარე ვერეს
გავცდით და დინჯად შევუყვებით მდუმარე აღმართს.
პალტომოსხმული შენც მდუმარედ მოაბიჯებდი.
და სწორედ მაშინ, როცა უკვე შეგეძქით თხემზე
ეზოდან ყფით აგვედევნა ფეხდაფეხ ძალი...

ეს რა უცნაურ გარემოში დაიდე ბინა —
როდესაც ქარი ჩამოუვლის კარ-მიდამოებს,
მოპირდაპირე მხარეს, სადაც ხეობის გასწვრივ
საღამოობით ვეებერთელა ჩრდილი ეცემა —
ნალვლისმომგვრელი, ნუთუ გესმის შორი ფუსფუსი,
ეზოებიდან გაყოლებით დაძრული ჩქამი,
ეს ხმაც ხომ პირველმაცნე არის გაზაფხულისა,
ფორიაქით რომ დააბერტყავს კალთას საფლავებს
და ვაშლის თეთრი ყვავილებით გააფიქებული
თავის ჭრელ ფარდაგს ეზოებში ჩამოატარებს.

როგორ უხდება საბურთალოს პანთონს წვიმა,
ნუთუ არყოფნა დაგეუფლა, ნუთუ შენ იცი,
რომ აქ აღარ ხარ, სადაც დგანან მრუდე ნაძვები,
სადაც შენს ახლოს მინის მუშებს და ქვის ოსტატებს
პირდაპირ მოლზე გაუშლიათ პატარა სუფრა,
ხორხოცობენ და ჭიქებს ცლიან თანმიყოლებით,
და მენანები, რომ შენც აქვე, აქვე ხარ მათთან,
ამ ტლანქ და უცხო, ამ უხიავ, უნდო კაცებთან.
თითქოს ცხოვრება რაღაც მყიფე სათამაშოა
და ის იმსხვრევა უცაბედად და უნებლიეთ,
ხომ შეიძლება შენ თვითონაც რომ გაგეცინოს
ასეთ რამეზე, რომ შეგეძლოს ახლაც სიცილი,
რომ შეგეძლოს და არ იცოდე, ამ ტრიალ ველზე,
ნერვიულ ქარში გაცინება უხერხულია.
სხვები ხომ უფრო იფერებენ შენს სხვაგან ყოფნას,
ვიდრე შენ თვითონ. შენ სიჩუმის გაგრძელება ხარ.

როგორ უხდება საბურთალოს პანთეონს წვიმა,
როგორ უხდება ეს საღამო ხეობის კალთებს.
ელნათურები მთელი ღამე იციმციმებენ
და ეს იქნება უსასრულოდ გრძელი სიმღერა
იმაზე, რასაც ვერასოდეს ვერ დავიბრუნებ...

2.
წვიმიანი დღე სველ ეკლესიის
გუმბათს ასველებს და ბალახს ალტობს,
შენი სამკვიდროც მანდვეა და შენც
უცხოებს შორის მანდვე ხარ მარტო...

მგონი განუხებს ეგ სიუცხოვე,
ნაუცბათევი და უხერხული
საუბარივით. ალბათ განუხებს
და საკუთარ ჩრდილს მორცხვად შეჰყურებ.

რა უცნაური კაცი ხარ, მანდ ხომ
უხერხულობას არა აქვს აზრი,
მანდ ხომ ვერ აღწევს სამრეკლოს ზარი
ანდა ხმაური მოედნის, ბაზრის...

რას საქმიანობ, ნუთუ სულ ფიქრობ,
ხომ დაგტანჯავდა ამდენი ფიქრი
არარსებულზე. რაც კი არსებობს,
ქრება ამ მყიფე სამყაროს იქით...

მე უფრო ხშირად სიზმარში გხედავ,
სიზმარი არის ბნელი გვირაბი,
სადაც ხანდახან ჩემს და შენს შორის,
გრძელი სხივები ტყდება ირიბად.

ანდა მომესმის შენი ფეხისხმა
კიბეზე. უკვე არ მოგელოდი.
არ შეიძლება წასული კაცის
ასე უეცრად მოსვლა გვეროდეს...

შინ შემოხვედი. მოულოდნელად
დაბრუნდი სახლში და მე მიკვირდა
ეს დაბრუნება მოულოდნელი,
საიდანაც შენ მოხვედი, იქიდან...

მერე დაღამდა, ყველგან დაღამდა,
მერე დაყეფა ეზოში ძაღლმა
ხმაჩახრინწულმა. შენ იკავებდი
დარდს და ხელებზე მოდებულ ცახცახს...

წვიმიანი დღე სველ ეკლესიის
გუმბათს ასველებს და ბალახს ალტობს,
და შენც მანდვე ხარ, მაგ მიდამოში
უცხოებს შორის სულ მარტოდმარტო.

3.
როცა ამ სახლში აღარ იქნები,
ამ ოთახებში, სადაც შენ ინექ,
განსაცვიფრებლად იდგება სივრცე,
შენ კი ოთახში აღარ იდგები.

წვეთ-წვეთად უნდა აკენკონ წვიმა
სარეცხის თოკზე მსხდარმა ჩიტებმა,
შენ გახსენება გაგიჭირდება,
რატომ ცხოვრობდი ამ ქერქვეშ წინათ.

შენ გახსენება გაგიჭირდება
შენივე ფიქრის, ჯავრის და ნაღვლის,
და ცარიელი იქნება სახლი,
თუ არ წაიღეს წვიმა ჩიტებმა.

როცა ამ სახლში აღარ იქნები,
ამ ოთახებში, სადაც შენ ინექ,
რა უცნაურად იდგება სივრცე,
შენ კი წვიმაშიც აღარ იდგები.

მუზა სოფელ დიღმიდან

აბა, რას მეტყვი ამ ახალ ღამეს,
ანდა საიდან მომეახლები,
აქვე კედელზე აკრულო სანყლად
და დანავსულო ღამის ძაღლებით.

საიდან გაჩნდი ჩემს სარეცელთან,
მაინც რომელი მხრიდან მოხვედი,
როგორ მომძებნე ხელის ცეცებით
სიბნელის მთხრელი და გამომრღვევი.

მე მგონი ისევ ძაღლების ყეფას
ანდა ფარების შუქს ამოჰყევი,
შენი ეფვანი სიბნელეს ება,
ფეხქვეშ გეფინა ბნელი ნოხები.

რის მაქნისი ხარ? თუ სულ ეგ არის
და მხოლოდ ყოფნით შემემუქვლები?
გაყინულ ჯვარზე რომ გაეკარი
და უკუნეთის წიაღს შეები.

მადლობას გწირავ თანაგრძნობისთვის.
სხვა არ მოსულა ასე არავინ.
მოვძებნი ფურცელს, ცოტას მოვიციდი,
უკვე ხელთა მაქვს სანერ-კალამი.

ცოტას მოვიციდი. მსურს შეგამჩნიო
ანდა შეგიგრძნო, ვით სინოტივე,
მე მინდა თვალი შენ მოგაბჯინო
და მე თვითონვე შენთან მოვიდე.

შენ სულ სველი ხარ და შემცივნილი,
და ზედ აკვირხარ კედელს ერთთავად, —
თანდათან ღღვები, როგორც ყინული
და მეც თანდათან უფრო შენთან ვარ.

აბა რას მეტყვით ვითომ ამღამეს,
სიხარული გაქვთ თუ გაქვს ნაღველი,
რით დამალონებ ან გამახარებ,
დაფეთებულო ზორბა ძაღლებით.

დაუგდე ყური, ერთი მათგანი
ამ სინყნარეში როგორ წკავენკავენებს,
მოლიავებულ ბნელში დამდგარი
ალბათ, თვისტომს თუ ეძებს სანყალი.

შემწეს თუ ეძებს, — კაცს, ადამიანს,
რომ შეენივოს ან შეეხიზნოს,
და რადგან ბნელზე ბნელი ღამეა,
ის აყურადებს მხოლოდ ფეხისხმას.

შენც ხომ ამგვარად აყურადებდი,
რომ გადმოლახე ღამით გორები
და ალაღბედად გამკრთალ ნათელზე
ადამიანთა ცრემლს აგროვებდი.

ჰოდა, იმღერე ამ ყველაფერზე —
გამომწვარი გაქვს, ვიცი, გულ-ღვიძლი, —
ვინც შენ დაგეძებს ან შენ დაეძებ,
და მე მოგისმენ, როგორც უვიცი.

შეთხზე სიმღერა ავხორც ხიზანის,
მდედრს რომ მიაბჯენს თავის სარცხვინელს
და მდედრი გმინავს დილასისხამზე, —
ვარსკვლავები ხომ მათაც აბრწყინებს.

იმღერე ლოთზე, ყელჩახრინული
ბოლთას რომ სცემს და იხოკს ეგზემას,
აკი ცხოვრება ექცა მინურად...
იმღერე, შეთხზე ღამის ლექსებად.

იმღერე შენი გრძელი სიმღერა,
მუზავ, მოსულო სოფელ დიღმიდან, —
წყვიტადმა უკვე შენც მოგიხელა
და ილლიდან გამოგიღლიტა.

გაბერაძის ქალი

თვალეებში ნალველშეგუბებულო,
ცხოვრებისაგან ნაგვემო ძაღლო,
უკვე ყველაფერს კარგად გეზულობ,
უტყუარია ძაღლური ალლო.

და შხამიანი ნესტარი იჭვის
არ გინდა, გულთან რომ გედოს ახლო,
შენ რას დაგაკლებს პატარა ხიჭვი,
დაღონებულო ბებერო ძაღლო.

შენს სახეს, როგორც ირიბი ხაზი —
დაქანებული იარა ღარავს,
შენ შეიძლება მოგანვეს ბრაზი
და ამ ბრაზითვე გაუძლებ ღალატს.

შენ უკვე იცი, რა უქნა ნალველს,
როცა ღამდება და როცა შუქი
ფანჯრებში თავის სინათლეს ამღვრევს...
შენ უნდა ნალველს აქციო ზურგი.

შენ უნდა იდგე ზურგშექცეული,
როცა სინათლე ანათებს ფანჯრებს
და შეაჩვიო ჩრდილებს სხეული
ამ გაფანტული სინათლის ხარჯზე.

მეგობრის ხსოვნას

შენ ახლა იქნებ უკეთ გაიგო
ამქვეყნიური ცხოვრების ყადრი,
ამ უბნელესი ღამის ტარიგო,
კვიპაროსებში ჩაფლული ბადრი.

იქნებ იხუმრო და ამ ხუმრობით
უცბად შემფოთდეს შრიალით ნიშა

სიბნელის ღრუში და ახმაურდნენ
კვიპაროსები ნუხილის ნიშნად.

შეხედე, ვილაც მოჩანს გზისპირას,
ყურისმგდებელი გარეთ და შინაც,
გაჩერდა, თითქოს შენ მოგისმინა —
მაგ სიბნელეში რა მშვიდად ფშვინავ.

ვინ არის ნეტავ? ადამიანი?
შენი სახელი არც იცის, ალბათ,
გაჩერდა — უცბად არ გაიარა,
თითქოს შეესწრო უცნაურ ამბავს.

ვინ არის? იქნებ ძაღლია, ძაღლი,
რომელიც ჩუმად ედება შარას,
და ასე მწარედ ნათრევს და დალილს
თალხის ნაფლეთი ანვევა შავად.

სხვა ვინ იქნება, მანდ რომ აყოვნებს.
მაგ სოფელ დიღმის გზაზე რომ დადგა,
რადგან შენი ხმა ამოაყოლეს
კვიპაროსებმა შრიალით ნათქვამს.

შენ ახლა იქნებ უკეთ გაიგო
ამქვეყნიური ცხოვრების მაღლი
და ქართან ერთად ჩამოარიგო
შენი სიტყვები ხეებში, ბადრი.

იქნებ ნამოდგე, უხმოდ იარო
და ფეხათრევით დაადგე შარას,
მაგ ადგილების თანაზიარო,
სადაც ფანჯრებში ღანდები ჩანან.

ანდა შეხედო დარდიან თვალით
ეზოში როგორ იღვრება შუქი,
და შინ ვილაცა წრიალებს მთვრალი...
შენი არყოფნა არავის უკვირს.

მასივისაკენ დაეშვა იქნებ,
ბენზინგასამართ სადგურის უკან,
ცხოველის ლეში აგდია იქვე —
ნაგაზებისთვის ქცეული ლუკმად.

მასივს კი სძინავს, სძინავს და სძინავს,
კუშტი ძილქუმის ბეჭედი აზის
და ელნათურა ისე, ვით წინათ
ზრინავს და ძუნნად ანათებს გამზირს.

მეც ბნელში ვწევარ და შრიალს ვისმენ,
ავად ვარ, ხელი დამრია სენმა,
თვალი და ყური მანდეთ მაქვს ისევ
და ქცეული ვარ მთლიანად სმენად.

და ვფიქრობ, იქნებ უკეთ გაიგო
ამქვეყნიური ცხოვრების ყადრი,
ამ უბნელესი ღამის ტარიგო,
კვიპაროსებში ჩაფლული ბადრი.



როსტომ ჩხეიძე

რონალდ რეიგანის საუკეთესო როლი

(ავტობიოგრაფიული რომანი
„ამერიკული ცხოვრება“)

მხოლოდ რვა წლის შემდეგ მიხვდებოდა რონალდ რეიგანი, თუ რა სევდა შემოსწოლოდა იმ დღეს ჯიმი კარტერს: 1981 წლის 20 იანვარს — ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციისას.

მანქანაში ან უკვე ყოფილი პრეზიდენტი თავაზიანი იქნებოდა, მაგრამ ვიდრე კაპიტოლიუმისაკენ მიდიოდნენ, რეიგანს ხმასაც არ გასცემდა და ეს კი მისი დუმის გამართლებას იმ მოტივით შეეცდებოდა: შესაძლოა ნინა ლამით, როდესაც ამერიკელ ტყვეთა თაობაზე ირანელებს ესაუბრებოდა და ცდილობდა ეს გაუთავებელი მოლაპარაკებები დაესრულებინა, ძალიან გადაიღალაო.

რამდენიმე დღით ადრე კი რონალდ რეიგანი და მისი მეუღლე ნენსი თეთრ სახლს რომ ეწვეოდნენ, იმის ნაცვლად, კარტიერებს მათთვის მომავალი საცხოვრებელი გაცნობო, ცივად დატოვებდნენ.

მაშინ მომავალი პრეზიდენტი თავს შეურაცხყოფილადაც კი იგრძნობდა.

და მხოლოდ რვა წლის შემდეგ უნდა გაეგო, რასაც გრძნობდა იმ დღეს კარტერი.

მართლაც ძალზე მწარე განცდა უნდა იყოს, როდესაც შენს ქვეყანას მთელი არსებით ემსახურები, ცდილობ ილონო ყველაფერი, რაც სწორად მიგაჩნია და შემდეგ, ამომრჩეველთა ხმების დათვლის შედეგად, იძულებული ხდები თეთრი სახლი დატოვო.

თუმცე სამუდამო რა ყოფილა, პრეზიდენტობა რომ იყოს!.. რეიგანს ის გარემოება უფრო ეამაყება, თუ როგორ მიეღწია ამერიკას იმ დიდებული ყოფისათვის — უდრტინველად რომ შეუძლიათ პრეზიდენტის ძალაუფლება სხვას გადაულოცონ, ყოველგვარი დაპირისპირების, მითუფრო სამოქალაქო ომის გარეშე.

და მაინც: მხოლოდ რვა წლის შემდეგ უნდა მიხვედრილიყო რეიგანი, თუ რა სევდა შემოსწოლოდა იმ დღეს კარტერს.

ვაშინგტონის მონუმენტისა და ლინკოლნის მემორიალის ფონზე ათასობით ადამიანს დროშა უნდა ეფრიალებინა.

და კაპიტოლიუმთან დაუვიწყარი სანახაობის მონაწილე უნდა გამხდარიყო ახალი პრეზიდენტი.

სახეზე მზის სხივების სიმხურვალეს იგრძნობდა, დედის ნაქონ ბიბლიას გადაშლიდა და წაიკითხავდა:

— და ჩემი ერი, რომელიც ჩემი სახელით იწოდება, ქედს მოიდრეკს, ილოცებს, ძებნას დამინყებს და შემობრუნდება თავისი უკეთური გზიდან, მაშინ ციდან მოვუსმენ, მივუტევებ და განვეკურნავ მათ ქვეყანას.

ამ პასაჟისათვის გვერდით დედას ასეთი რამ მიეწერა: ერის განსაკურნებლად ყველაზე მშვენიერი ლექსიაო.

ინაუგურაციის შემდეგ კაპიტოლიუმში პრეზიდენტის ოთახში რომ შეჩერდებოდა, პირველ ოფიციალურ აქტს მოაწერდა ხელს — ნავთობისა და ბენზინის ფასებზე კონტროლს მოხსნიდა. და ეს იქნებოდა ეკონომიკის გათავისუფლების მისი პირველი მცდელობა.

თეთრ სახლს, რკინის გისოსებიანი გალავნითა და მწვანე მდელოთი, მისთვის ყოველთვის მისტიკური და რელიგიური აურა ჰქონდა. იქ პირველად როგორც დელეგაციის წევრი, ისე დადგამდა ფეხს ჰარი თრუმენთან შესახვედრად. მაშინაც მოხვედრილიყო, ლინდონ ჯონსონისა და რიჩარდ ნიქსონის პრეზიდენტობისას, მაგრამ — როგორც შეატყობდა — ის და ნენსი მაინც არ იყვნენ მორალურად მზად, თეთრ სახლში სულ ცოტა ოთხი წელი ეცხოვრათ.

რა აღავსებდა სიხარულით? ნებისმიერ ამერიკელ ბავშვს საშუალება ეძლეოდა მიეღწია იმისათვის, რასაც თვითონ მან — რეიგანმა — მიაღწია — საიდან სად ატყორცნილიყო, უკიდურესი სილატაკიდან საზოგადოებრივი ყოფის მწვერვალზე.

მეუღლესთან ერთად ხელჩაკიდებული რომ მოივლიდა თეთრი სახლის მთელ მეორე სართულს, ირგვლივ რალაცნაირად რუზველტის, თრუმენის, ეიზენჰაუერის, უილსონისა და, განსაკუთრებით, ლინკოლნის არსებობას იგრძნობდა. და ოვალურ ოფისში რომ შეაბიჯებდა, დაკისრებულ ტვირთს მთელი სიმძიმით შეიგრძნობდა და ღმერთს შეევედრებოდა: შენ მიშველო!..

ინაუგურაციის აღსანიშნავად გამართულ საღამოს წვეულებაზე იმდენს იცეკვებდა, ფეხზე დადგომა გაუჭირდებოდა. მეორე დღით კი უკვე საქმეს შეუდგებოდა.

— ვაშინგტონში ჩემი პროგრამით მივედი და ერთი სული მქონდა, მუშაობა დამეწყო.

იმ პრეზიდენტთა ჩამოთვლისას, რომელთა არსებობასაც შეიგრძნობს თეთრი სახლის თვალყურება-თვალყურებისას, ცხადია, საკუთარ რჩეულ ხუთეულს ადგენს, რომლის სათავეშიც აბრაამ ლინკოლნი ეგულება.

განსაკუთრებით... თეთრ სახლში დამკვიდრებისას გაიფანტებოდა ის მისტიკური და რელიგიური შეგრძნება, შორიდან რომ იწვევდა ეს შენობა.

მაგრამ მისტიკური სული მთლად არ გაქრებოდა და ახალი პრეზიდენტი საკუთარ თავზე გამოცდიდა იმ განწყობილებას, რაც იქ გამეფებულიყო, არადა, ამას თავიდან ხუმრობა ეგონა.

ერთ დღესაც ნენსი ლინკოლნის საძინებელში რომ შევიდოდა, ტრავიკულად აღსრულებული პრეზიდენტის საყვარელი ნახატი მოღრეცილი დახვდებოდა. ამჟამინდელი პირველი ლედი შეეცდებოდა ნახატი გაესწორებინა, ამასობაში კი ოთახში მოახლე შევიდოდა და ეტყოდა: ხედავთ, ისევ მოსულაო.

ასე გაცხადდებოდა რონალდ რეიგანისათვის თეთრი სახლის ლეგენდა: მეორე სართულზე აბრაამ ლინკოლნის მოჩვენება ცხოვრობსო.

რა — სერიოზულად აღექვა ეს აზრი? მაგრამ ერთ საღამოს სასტუმრო ოთახში რომ ისხდებოდნენ, ძალი რექსი უეცრად ყურებს ცქვეტდა და რალაცას მიამტერდებოდა. შემდეგ ადგებოდა და დერეფანს გაუყვებოდა, თან თვალს არ მოაშორებდა ერთ წერტილს. პრეზიდენტი დაინტერესდებოდა: ნუთუ ისეთ რამეს ხედავს, რაც ჩვენგან არ ჩანსო?! და რექსს გაეფენებოდა, მაგრამ ვერაფერს დაინახავდა. ის კი ისევ რალაცას მიმტერებოდა და ყფდა. ლინკოლნის საძინებელს რომ გაუსწორდებოდნენ, რეიგანი კარს შეაღებდა. რექსი ყვფით შევარდებოდა, მერე ღრენას დაინყებდა და თან უკან-უკან დაიხვედა. საბოლოოდ შეშინებულ მოკურცხლავდა.

ეს ყველაფერი პრეზიდენტს ძალზე უცნაური მოჩვენებოდა. და თუმცე ვერ დაიჩემებდა, რომ ლინკოლნის აჩრდილი ცოცხალი გახლდათ და თეთრ სახლში თავს კარგად გრძნობდა, არ შეეძლო ეს ეპიზოდი არ მოეთხრო მკითხველისათვის

ავტობიოგრაფიულ რომანში „ამერიკული ცხოვრება“ (თამარ ჭილაძის მიერ ქართულად ჩინებულად ამეტყველებულ ვერსიას ქართული ბიოგრაფიული ცენტრი გაგვაცნობდა) და დაედასკვნაც მას გამოეთანა, ვისთვისაც შექმნილიყო მოგონებათა ეს წიგნი, და შექმნილიყო არა მოდური განწყობილების გავლენით — ბოლო ხანს პრეზიდენტისათვის მემუარების წერა ტრადიციული რომ გახდებოდა — არამედ იმ შეგნებით, რომ თვალნათლივი და მიუკერძოებლად გადმოცემული ყოფილიყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჟამი არამარტო ამერიკის შეერთებული შტატების, არამედ კაცობრიობის ცხოვრებაში: ბოროტების იმპერიად შერაცხილი საბჭოთა იმპერიის დაშლა-დამხობის გარემოებანი, ის მიზანმიმართული პროცესი, რომელიც რამდენიმე ათეული წლის წინათ დაწყებულიყო ფრანკლინ რუზველტისა და უინსტონ ჩერჩილის მიერ და მოელოდა ღირსეული დამაგვირგვინებლის გამოჩენას, სწორედ ისეთისა, რონალდ რეიგანი რომ გახლდათ, ქვეყნისათვის თავგადადებული პიროვნება, ადამიანის მოყვარული, გულმართალი, ნრფელი... და ყველა ღირსებასთან ერთად, თავმდაბალიც, „ამერიკული ცხოვრება“ ამ სულით რომ განიმსჭვალებოდა... და დაგვრჩებოდა უადრესად სანდო დოკუმენტი იმ კაცის ცხოვრებისა, ვისი ადგილიც სახელმწიფოს სათავეში იყო, სწორედაც სახელმწიფოს სათავეში — კაცობრიობის ბედის გადამწყვეტის. გარეგნულად რაოდენ დაშორებულიც უნდა ყოფილიყო მისი საქმიანობა — მსახიობის კარიერა — პოლიტიკურ იერარქიაზე საფეხურებრივ ზეასვლას.

წრფელი და ალალი მზერით გადახედვა გამოვლილი ცხოვრებისა ჩვენ რას გაგვაკვირვებს, იმისთანა დოკუმენტი მოგვეუბნება ამ მხრივ დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ სახით, აღსარებისაც და პოეტური ძეგლისაც... დასავლური აზროვნებისათვის კი ამის ქრესტომათიული ნიმუშია მარკუს ავრელიუსის „ფიქრები“, იმპერატორისა და ფილოსოფოსის... თუმც ის, რაც ნიშანდობლივია ძველი დროისათვის, დღესდღეობით ვეღარ აზიდულა იმ სიმაღლეზე, ის კი არა, პოლიტიკოსთა მემუარები გადაიქცა ტენდენციურობის, გაყალბებისა თუ თვითგანდიდების გამოვლინებად. თვითგანდიდება თვით ნაპოლეონ ბონაპარტეს მოგონებებიდანაც უსიამოვნოდ ჩაგვრჩენია ხსოვნაში, და მითუფრო რალა უნდა ითქვას მათზე, ნაპოლეონის ფრჩხილადაც რომ არა ღირან!..

ერთ დროს მიკერძოებულობის, ცრუპენტელობისა და უზომო ტრაბახის ნიმუშად ნოე ყორდანისა „ჩემი წარსული“ მიმაჩნდა. ემიგრაციაში გამოცემულ ამ წიგნს ისიც კი ვერაფერს უშველიდა, რომ საიდუმლოდ მომიწევდა მისი გაცნობა.

შემდეგ მას უკან მოიტოვებდა კანდიდ ჩარკვიანის მოგონებანი — „განცდილი და ნაზრევი“ — და ვერც წარმომედგინა, მასაც თუ გადაუსწრებდა ვინმე.

მაგრამ ედუარდ შევარდნაძის ავტობიოგრაფია — „ფიქრები წარსულსა და მომავალზე“ — ჩამოიტოვებდა იმ მოგონებებს.

თუმც არა მგონია, რომ ამ მხრივ პირველობა შეინარჩუნოს, თუკი მიხეილ სააკაშვილის მემუარებიც გამოქვეყნდება — აი, ის იქნება თუ იქნება ცრუპენტელობის, უზომო ტრაბახისა და თვითგანდიდების ნიმუში, რომელშიც შესაძლოა ერთი სიტყვაც კი არ აღმოჩნდეს დასაჯერებელი.

და გულსატკენი ისაა, რომ ედუარდ შევარდნაძის მოგონებებს სხვა მოცილეებიც გამოუჩნდება.

სხვა პოლიტიკოსები — თუნდ რეიგანის მიერ ნაგულისხმევ ავტობიოგრაფიულ თხზულებათა ტრადიცია — ეგებ ამგვარ უკიდურესობებამდე არ დამდაბლებულიყვნენ, მაგრამ მათთვის სრულიად მიუღწეველია ის სიმართლისმოყვარეობა და მიუკერძოებლობა, რაც ნიშანდობლივია უინსტონ ჩერჩილის („მეორე მსოფლიო ომი“), მაჰათმა განდისა („ჩემი ცხოვრება“) და რონალდ რეიგანისათვის.

მისტიკური სული მთლად არ გაქრებოდაო... მითუმეტეს, შთამაგონებელი პოლიტიკური მოღვაწეობის გზაზე რეიგანისათვის უპირველესად ლინკოლნი გახლდათ. ნეტა ამასაც თუ გამოუჩნდება კარლ სენდბერგივით ბიოგრაფოსი?

არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე დიდი შემოქმედი დაინტერესდეს მისი ცხოვრებითაც, მითუფრო, გზამკვლევადა „ამერიკული ცხოვრება“ ძალიან ნაადგება.

აი, პოეტური დითირამების გმირობა კი არ ეღირსებოდა. არ მოინდომებდა რომელიმე თვალსაჩინო პოეტი, პანეგირისტად დადგომოდა, ისე, როგორც უოლტ უიტმენი ლინკოლნს, რომელსაც ეპიკური თხზულების გმირად თუ არ აქცევდა, ლირიკულ ციკლს ხომ მოქსოვდა მისი სახელის გარშემო.

ეს სახელი რეიგანსაც გამოემდებოდა რომ უტრიალებდა გონებაში, ამიტომაც იყო, ფორდის თეატრში წარმოდგენის მსვლელობისას უნებურად რომ ახედავდა პრეზიდენტის ლოჟას, სადაც ლინკოლნი მოკვდა, და პირველად გაუჩნდებოდა ეს აზრი: თუ ადამიანს მტკიცედ აქვს გადამწყვეტილი პრეზიდენტის მოკვლა, წინ ვერაფერი აღუდგებაო.

და იმ დღეს „ჰილტონში“ სიტყვით რომ გამოვიდოდა და გვერდითა შესასვლელიდან მიატოვებდა შენობას, სადაც ჟურნალისტები დგანან ხოლმე, ის-ისაა მანქანას მიუახლოვდებოდა, რომ მარცხნიდან რალაც სუსტი ტკაცანის ხმა შემოესმოდა. მიტრიალდებოდა და იკითხავდა: რა ჯანდაბააო? — მაგრამ მიტრიალებას ძლივს მოასწრებდა, რომ საიდუმლო სამსახურის უფროსი ჯერი პარი ნელში ეცემოდა, ლიმუზინის უკანა სკამზე შეაგდებდა და თვითონ ზემოდან გადაეფარებოდა. და რეიგანი, რომელიც იმ წუთას ვერაფრით მიხედებოდა თუ რა ხდებოდა, ბეჭმი აუტანელ ტკივილს რომ იგრძნობდა, ყვირილით უსაყვედურებდა: მომცილდი, მგონი ნეკნი ჩამიმტვრიეო!.. და გასისხლიანებულ ხელისგულებზე რომ დაიხედავდა, კიდეც ერთხელ დატუქსავდა: მარტო ნეკნი კი არ ჩამიმტვრიე, მგონი ფილტივც გამიხეთქეო. სისხლის დანახვისას ჯერი მძლოლს თეთრი სახლისკენ კი არა, ვაშინგტონის უნივერსიტეტის ჰოსპიტალში უბრძანებდა წასვლას. რეიგანს სუნთქვა სულ უფრო გაუძნელდებოდა, მუხლებიც მოეკეცებოდა და ისლა დაამახსოვრდებოდა, რომ გულალმა ინვა და ახალ კოსტიუმს ტანზე აჭირდნენ.

...თვალს რომ გაახელდა, ნენსი დაჰყურებდა, და მისი დანახვა რომ გამოაცოცხლებდა, იმ ხალამოს დლიურში ჩაინერდა: — ღმერთო, ნურასოდეს გამითენებ ისეთ დღეს, ნენსი გვერდით თუ არ მეყოლება.

თურმე ჯერი პარს დაუფიქრებლად გადაედო თავი პრეზიდენტის გადასარჩენად.

ჯერი, ისევე როგორც საიდუმლო სამსახურის აგენტი თიმ მაკართი, პრეზიდენტის წინ სამიზნესავით აღიმართებოდა. თიმს ტყვია მკერდის არეში მოხვდებოდა, პრესმდივანი ჯიმ ბრედი თავში დაიჭრებოდა, პოლიციელი თომ დელეჰანტი კი — კისერში. და ეს ყოველივე იმ ახალგაზრდას ჩაედინა, ვინც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა — კარგ ოჯახიშვილს ფსიქიკა მთლად მონესრიგებული არ ჰქონდა, პოპულარობა კი ერთი მსახიობი ქალის თვალში მოსახვედრად სჭირდებოდა. თურმე თავის დროზე ჯიმი კარტერის მოკვლის სურვილიც ჰქონია, მაგრამ მასთან საკმარისად მიახლოება ვერ მოუხერხებია.

პრეზიდენტი, ნაცვლად შურისძიებისა... მისი განკურნებისათვის ილოცებდა, ამ ფსიქიკამოშლილი და გზაბნეული ახალგაზრდისათვის.

ჯიმ ბრედის გადარჩენის იმედი აღარც ჰქონდათ, მაგრამ საბოლოოდ მაინც ეშველებოდა, ისევე, როგორც სხვა დაჭრილებს. თვითონ რეიგანიც რა, ვითომ იოლად დაუსხლტებოდა ამ თავდასხმას? ტყვია მაშინ მოხვდებოდა, როდესაც ჯერი პარი ლიმუზინში აგდებდა. ლიმუზინი ტყვიას აისხ-

ლექტა, რიკოშეტით მარცხენა მკლავებზე გაივლიდა, ნეკნს მოხვდებოდა, მონეტასავით გადაბრუნდებოდა და ფილტვში ჩარჩებოდა — გულამდე დუიმზე ცოტა დააკლდებოდა.

განკურნებული თეთრ სახლში რომ დაბრუნდებოდა, დღიურში რამდენიმე სიტყვას ჩაინიშნავდა:

— რაც უნდა მოხდეს, ამერიიდან ჩემი გადარჩენისათვის ღვთისგან ვარ დავალეზული და შევეცადები ყველა საშუალებით ვემსახურო მას.

ღვთისგან მხოლოდ რონალდ რეიგანი კი არ იქნებოდა დავალეზული, არამედ იმჟამინდელი მსოფლიო — საბედისწერო ზღვარზე მდგარი საბჭოთა იმპერიის გამალებული შეიარაღებისა და მოსალოდნელი ატომური ომის გამოისობით.

რამდენიმე ათეული წლის წინათ დანყებული პოლიტიკური პროცესი ბუნებრივი გზით კი მიედინებოდა და საბჭოთა კავშირს სულ უფრო ეჭირებოდა ყულფი ყელში თანდათანობითი ეკონომიკური დაღმასვლის წყალობით, მაგრამ აუცილებელი გახლდათ ისეთი კაცის გამოჩენა, ვინც საკუთარ თავზე აიღებდა დიდ პასუხისმგებლობას და გადამწყვეტ დარტყმას მიაყენებდა საბჭოთა იმპერიის წინამძღოლთ — საყოველთაო ორგანიზებულიობითა და დიპლომატიური ხერხიანობის, გაბედულებისა და შორსმჭვრეტელობის წყალობით.

გადამწყვეტი წუთი სწორედ რონალდ რეიგანის გამოჩენას უნდა მოჰყოლოდა, თორემ არც მანამდელი და არც მომდევნო პრეზიდენტები ღმერთს არ ექნა — ისინი რისი აღმსრულებლები იყვნენ!..

უნებურად რომ ახედავდა პრეზიდენტის ლოჟას, სადაც ლინკოლნი მოკლესო...

საგუბერნატორო არჩევნებისას მისი კონკურენტი ფეთ ბრაუნი სატელევიზიო რეკლამაში პატარა ბავშვებს რომ ჰკითხავდა: იცით, მე მსახიობის წინააღმდეგ ვიყრი კენჭს. ხომ კარგად გახსოვთ, ვინ მოკლა ლინკოლნიო? — რეიგანი მაშინვე მიხვდებოდა, ბრაუნმა უკვე იცის, კარგად რომ ვერ არის მისი საქმეო.

მემუარებშიც გამოცდილი მონინააღმდეგის ყველაზე დიდ შეცდომად სწორედ ამას მიიჩნევს: არჩევნების დასაწყისშივე ჯონ უილკეს ბუთს — ლინკოლნის მკვლელს — ასე მცდარად რომ შეადარა.

საგუბერნატორო არჩევნებს ვინ ჩივის, მერე ხომ სულ აღარ მოასვენებდნენ, ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას რომ მოინდომებდა და კიდევ მიაღწევდა, და წამდაუნწმ გააგონებდნენ:

— როგორ შეიძლება მსახიობი პრეზიდენტი გახდეს?

ეს მზაკვრული ფრაზა არამარტო სხვებზე იყო გათვლილი, რათა მათ თვალში როგორმე დაემცირებინათ რონალდ რეიგანის მმართველობა, არამედ პირადად მის გასალიზიანებლად და სულაც წონასწორობიდან გამოსაყვანად. ეგონათ, არ ენდომება მსახიობური წარსულის გახსენებაო. და მას ისე როგორ იქნებოდა, ხშირად არ მოეგონებინათ?

მაგრამ რეიგანი ვერაფერს ხედავდა ამ გამომწვევ შეკითხვაში დამამცირებელს.

უნერხული განა რა ჩაედინა, წარსულის შესხენებას რომ გაედინებინა.

ის კი არა, კიდევ ეამაყებოდა, ეკრანიდან რომ შემოებინებინა პოლიტიკურ ცხოვრებაში, და თავის მხრივ შეაგონებდა ყველას, ვისაც ყურნი ასხედან სმენად:



— როგორ შეიძლება პრეზიდენტი მსახიობი არ იყოს?

აფორიზმივით ფრაზაა, ან რაღა აფორიზმივით — მართლაც ანდაზაა, სენტენციაა, მახვილი გონებითაც მიგნებული და პირადი გამოცდილებითაც დადასტურებული.

თვითონ მარტოდენ ერთ გარემოებას აღნიშნავს შედარებისას, იმას, რომ მსახიობი პრესის კრიტიკას — სიმართლესა თუ ტყუილს, სამართლიანსა თუ უსამართლოს — ნელ-ნელა ეჩვევა, კრიტიკა და ჭორი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება. სწავლობს, რომ პრესა ყოველთვის სიმართლეს არა წერს და მეტ-ნაკლებად მშვიდად ხვდება მონაჭორს.

— ეს გამოცდილება ძალიან დამეხმარა პრეზიდენტობის დროს.

თავისთავად საგულისხმო გარემოებაა, მაგრამ ის აფორიზმი გაცილებით მრავლისდამტევი და განზოგადებულია, ცხადია, და ისეთ შტრიხებსა და ნიუანსებზე მიგვანიშნებს, რომელნიც ძალდაუტანებლად ავლენენ ხელისუფალის ხასიათის არტიტულ ბირთვის, იმ ყოველივეს განმსაზღვრელს.

უპირველესად კი ორატორული და დიპლომატიური ხელოვნება ამჟღავნებს ამ არტიტულ ბირთვს, რონალდ რეიგანს ასერიგად რომ მომადლებოდა და ამიტომაცაა, საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესს გარეგნულადაც სპექტაკლივით რომ წარმართავდა — შესაფერისი ფინალური აპოთეოზით.

რეჟისორიც თვითონ იქნებოდა და მთავარი როლის შემსრულებელიც.

ანკი როგორ შეიძლება პრეზიდენტი მსახიობი არ ყოფილიყო?!

თუმც... მანამდე ადრეა.

ჯერ რეიგანს კალიფორნიის გუბერნატორობა აქვს მოსაპოვებელი.

ეგაა, მის მონინააღმდეგეს გადამწყვეტი შეცდომა უკვე მოუვიდა.

საბოლოოდ რეიგანი ორმოცდათვრამეტი პროცენტით დაამარცხებდა კონკურენტს და ჟურნალისტი ექსპერტები გამოთქვამდნენ აზრს, რომ მან ეს გამარჯვება ექსტრემისტებისა და კონსერვატორთა წყალობით მოიპოვა. არადა, კალიფორნიის ახალი გუბერნატორის დაბეჯითებული შეტყობით, მის მომხრეთა უმრავლესობა უბრალო, განონასწორებული ადამიანები იყვნენ ორივე პარტიიდან, ისინი, ვინც მანამდე სასურველ ზეგავლენას ვერ ახდენდნენ პოლიტიკური ცხოვრების მდინარეებზე.

მიზეზი კი ამგვარი წარმატებისა ის აღმოჩნდებოდა, რომ ბრაუნი, რომელიც მანამდე ორგზის უკვე გახლდათ გუბერნატორი და ახლა მესამედაც ლამობდა მის მოპოვებას, ალღოს ვერ აუღებდა, რომ ამერიკაში უკვე სხვა ქარს დაებერა.

60-იანი წლების დამდეგიდან უკვე ბევრს ლაპარაკობდნენ სტუდენტთა შფოთსა და ჯანყზე, და ამ განწყობილებას როგორღაც ჩრდილში მოექცია სხვა, გარეგნულად შესაძლოა უფრო მშვიდი, პროცესი, მემუარებში ლამის რეველუციასთანაც რომ არის შედარებული თავისი შინაგანი დუღილით.

რა პროცესი იგულისხმება?

საშუალო ფენის ამერიკელები, რომელნიც თავს არ ზოგავდნენ, რათა უკეთ ეცხოვრათ, უკმაყოფილონი იყვნენ, რომ ხელისუფლება მათ მიერ გამოიმუშავებული ერთი დოლარიდან ოცდაჩვიდმეტ პროცენტს იღებდა. უკმაყოფილება ძალ-

დაუტანებლად გადაიზრდებოდა უნდობლობის გრძობაში ბიუროკრატების მიმართ — აღარ სურდათ, რომ ვაშინგტონის ინტელექტუალურ ელიტას მათი ცხოვრება დაეგეგმა.

და ასე მოედებოდა მღელვარება ქვეყანას პრერიის ხანძარივით.

რონალდ რეიგანის გამჭრიახი მზერისათვის თვალნათლივი აღმოჩნდებოდა ეს პროცესიც და მისი მამოძრავებელი ძალებიც, და ამიტომაც მკვეთრად დაუპირისპირდებოდა სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის პრინციპს — მისი მტკიცე რწმენით, არ შეიძლებოდა ვაშინგტონს უღმობლად ჰქონოდა მითვისებული ყველა შტატის ძალაუფლება.

სახელმძღვანელოდ გაიხდიდა ერთი მხრივ ჯეიმზ მედისონის სიტყვებს, 1788 წელს წარმოთქმულს:

— რაც ცივილიზაცია არსებობს, ხელისუფლება უფრო ხშირად და ჩუმად და ნელ-ნელა იჭრება და არღვევს ადამიანთა თავისუფლებას და უფრო იშვიათად — მოულოდნელად და ძალმომრეობით უზურპირებს ხალხის თავისუფლებას.

და, მეორე მხრივ, მისი მეგობრის ტომას ჯეფერსონის ფიქრს, ამგვარ შეკითხვას: რა არღვევს ადამიანთა თავისუფლებასა და უფლებებს ყველა ხელისუფლებაში, რაც კი ამ მზის ქვეშ არსებობს? — ასეთ პასუხს რომ შეაგებებდა:

— ყველა ძალისა და საზრუნავის ერთ სხეულში განზოგადება და კონცენტრირება.

და რეიგანი გუბერნატორობის ჟამს გამოცდიდა, თუ როგორ ახერხებდა ბიუროკრატია ყველა ძალისა და საზრუნავის ერთ სხეულში თავმოყრას: ვაშინგტონი ადგენდა ყოველი შტატის პროგრამებს, კანონებსა და წესებს და... ავიწყდებოდათ, რომ ფედერალურმა მთავრობამ კი არ მოიგონა შტატები, შტატებმა მოიგონეს ფედერალური მთავრობა. და როდესაც ვაშინგტონი ცდილობდა შტატები დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საარჩევნო ოლქებად გარდაექმნა, ამით ქვეყნის კონსტიტუციის პრინციპებს არღვევდა.

— ჩვენი მამების წარმოსახული ამერიკიდან სხვაგან გადაუხვიეთ. ისინი ვერასოდეს იფიქრებდნენ, რომ ვაშინგტონი ეტყოდა ფერმერს, რა დაეთესა, მასწავლებელს — რა ესწავლებინა, და მშენებელს — რა აეშენებინა.

და 1975 წლის გაზაფხულზე მთელი არსებით რომ ჩაფიქრდებოდა წინაპართა დაკარგულ ოცნებაზე, საკუთარ უნარსა და მომავალ მოღვაწეობას ამ თვალთახედვით გაზომავდა: ნეტა თუ შევძლებ ამ ოცნების დაბრუნებას?

გუბერნატორობისას ცენტრალიზაციის პრინციპს რომ დაუპირისპირდებოდა, ასე სხვა პოლიტიკოსებიც მოიქცეოდნენ, მის ადგილას თუ აღმოჩნდებოდნენ — გუბერნატორი სხვას, აბა, რას უნდა ესწრაფოდეს, თუ არა საკუთარ უფლებათა გაზრდას...

მაგრამ ბევრი ვერ გაუძლებდა ცთუნებას, მაშინვე სხვა ჰანგზე ამღერებულებოდა, თუ თვითონ იგდებდა ხელთ პრეზიდენტის პოსტს.

მაშინ უკვე ვეღარ შეეგუებოდა გუბერნატორთა უფლებების გაზრდას და მოჰყვებოდა მტკიცებას, რომ ცენტრალიზაციასთან დაპირისპირება სახელმწიფო მთლიანობასთან დაპირისპირებაა, მის ძლიერებასა და სიმტკიცესთან, და ამიტომაც გუბერნატორიც პრეზიდენტის კარნახს უნდა ასრულებდეს სიტყვის შეუბრუნებლად, ფერმერიც, მასწავლებელიც, მშენებელიც და ყველაც, ვინც ქვეყნისათვის ძირის გამოთხრას არ ესწრაფის.

„მამების ოცნებას“ მანამდე იძახებდა და გულსაც აუჩუყებდა მოსახლეობას, სანამ თვითონ დასჭირდებოდა... და თუ დაატყობდა, ეს უკვე ხელს მიშლისო, სხვებსაც დაუშლიდა და მკაცრადაც გააფრთხილებდა: რას ჰქვია, ვაშინგტონმა არ დაუდგინოს ყველა შტატს პროგრამები, კანონები და წესებიო.

მაგრამ რონალდ რეიგანის ზნეობის კაცისათვის ამგვარი ცთუნებანი რა ბედენა გახლდათ!.. და ამერიკის პრეზიდენ-

ტობის ჟამსაც ისევე შეეწინააღმდეგებოდა ცენტრალიზაციის მოთხოვნას, როგორც გუბერნატორობისას.

ძალაუფლების სიმტკიცისათვის, ცხადია, ცენტრალიზაცია ერჩივნა, მაგრამ ქვეყნისათვის, მისი ძლიერებისა და ცხოვრების ბუნებრივი მდინარებისათვის სადავეების მიშვება ანუ მამათა ოცნების ახდენა სჯობდა და რეიგანი მხოლოდ სახელმწიფოებრივი გადასახედიდან წარმართავდა ამერიკულ ყოფას.

თავის დროზე დავით აღმაშენებელი მთელ ძალაუფლებას საკუთარ ხელში რომ მოაქცევდა და სრულიად ალკვეთდა ფეოდალურ განკერძოებულობას, იმწუთიერი ვითარებისათვის ეგებ აუცილებელიც გახლდათ ამგვარი მოქმედება, მაგრამ საბოლოოდ რომ დაამკვიდრებდა სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციას და ასეც უანდერძებდა ქვეყნის მოვლას თავის მემკვიდრეებს, უთუოდ აქაც ჩაბუდდებოდა ერთი მიზეზი და საფუძვლიანი მიზეზიც, ხვარაზმელთა შემოსევასაც რომ ვერ გავუძლებდით, არამცთუ მონღოლებს. და ძლევამოსილი სახელმწიფო თავზე დაგვემხობოდა.

და საერთოდაც, მართებულად შეუდარებიათ ძალაუფლება... სავსე ტომრისათვის — თუ ძალიან მოუჭერ თოქს ყელს და სულ უფრო და უფრო მობოჭავ, ამით საიმედოდ კი ვერ შეინახავ იქ ჩაყრილ თუნდაც ხორბალს, არამედ ტომარა გასკდება და ხორბალიც მიმოღავდება.

თალხნად უნდა იყოს შენახული, აუცილებლად თალხნად, და აღარაფერი დაემუქრება.

სახელმწიფოებრივი წყობილებისას კი მხარეებს შეღავათი უნდა მიანიჭო, ანუ გუბერნატორებს — დამოუკიდებლად მოქმედების საშუალება, ცენტრალიზაციით არ დაემუქრო და ხელ-ფეხი არ შეუბოჭო, და ქვეყნის ძლიერებისა და სიმტკიცისათვის ეს უფრო ემჯობინება, მიხაკო წერეთლის მტკიცებისა არ იყოს, ქვეყნის სამხარეო მოწყობის პროგრამა რომ შეედგინა და ცენტრალიზაციის მოთხოვნაში ხედავდა უმთავრეს საფრთხეს საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების გზაზე.

და ეს მტკიცება მაშინაც უცვლელად განმეორდებოდა, თვითონ მიხაკო წერეთელი და მისი პოლიტიკური გუნდი რომ აღმოჩენილიყო ქვეყნის სათავეში — კი არ გადათქვამდა მანამდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მრწამსს და ორივე ხელით კი არ მობოჭავდა ძალაუფლებას.

არც ხალხის სახელს გამოიყენებდა მოჩვენებითი მზრუნველობის წარმოსაჩენად და საზოგადოების ზედაპირზე სატივტივებლად, ისევე, როგორც რონალდ რეიგანიც მთელი არსებით მინდობოდა სახალხო სულისკვეთებასა და განწყობილებას და თავის მხრივაც სახელმწიფოებრივ შეგნებასა და აზროვნებას ამკვიდრებდა.

და თეთრი სახლისაკენ გახედვასაც და იქით დაძვრასაც ამ რწმენით გაბედავდა:

— კანდიდატი არ იღებს გადანყვეტილებას, იყაროს თუ არა კენჭი პრეზიდენტად, მის ნაცვლად ამას ხალხი აკეთებს. ამ შემთხვევაში ნამდვილად ასე აღმოჩნდებოდა.

და ხალხს კიდევ გაუმართლებდა არჩევანი.

და რონალდ რეიგანი ქვეყნის სათავეში რომ მოექცეოდა, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ პროგრამას იმთავითვე გაცხადებდა და ყველაზე საამაყო მიღწევად ამას მიიჩნევდა — ამ უდიდესი პრობლემის წარმატებით გადაჭრას.

— ეკონომიკურ კრიზისს თუ არ დავძლევდით, ვერც შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციაზე ვიფიქრებდით, ვერც ატომური ომის საფრთხის აცილებაზე და ვერც ამერიკელებისათვის თვითრწმენის დაბრუნებაზე.

მთავარი და უმთავრესი სწორედ ეს გახლდათ — ამერიკელთათვის თვითრწმენის დაბრუნება.

და ამ გრანდიოზული პოლიტიკის ხორცშესახსმელად აღმინისტრაციას საკუთარ ხელში კი არ მობოჭავდა, რამდენადაც კი შესაძლებელია, თავისუფლებას მიანიჭებდა.

ამის გამო დასწამებდნენ, ხელმძღვანელობის პასიური სტილი აქვსო. არადა, მისთვის ეს გახლდათ მყარი პოლიტიკა, რადგანაც სულაც არ მიაჩნდა აუცილებლად, რომ აღმასრულებელი ხელისუფალი თავისი ორგანიზაციის საქმიანობის ყოველ დეტალს ჩაჰკირკიტებდეს.

პრეზიდენტს ფართო პოლიტიკა უნდა წარემართა, დაედგინა წესები, მთავრობისათვის თავისი ძირითადი პრინციპები გაეცნო და... შეუბოძველი მოქმედების საშუალება მიეცა, და არა გამუდმებით ჩაძიებოდა, როგორ მუშაობს გუნდი, და ყოველ წუთს მიეთითებინა, რა და როგორ შეესრულებინათ. ჩარევა და ადამიანის შეცვლა მხოლოდ მაშინ მოუწევდა, თუ ვინმეს შეცდომა მოუვიდოდა.

ესეც, მისი მტკიცე რწმენით, კარგი ხელმძღვანელობის ქვაკუთხედი:

— ნათლად გააცანი შენი მიზნები და შეარჩიე შესაბამისი ხალხი, ვინც ამ მიზნებს განახორციელებს.

კაბინეტის წევრებს იმთავითვე განუცხადებდა:

— არ მაინტერესებს, ჩემი გადანყვეტილება ნაადგება თუ ავენება პოლიტიკას. მხოლოდ ის უნდა ვიცოდე, ეს გადანყვეტილება კარგი იქნება ხალხისათვის თუ ცუდი.

და თუმცა საბოლოო გადანყვეტილებას მხოლოდ პრეზიდენტი იღებდა, კაბინეტის წევრებმა იცოდნენ, რომ განხილვისას თვითულის მოსაზრებას ყურადღებით უსმენდა.

მთავარი და უმთავრესი — ამერიკელთათვის თვითრწმენის დაბრუნებაო...

და რაკილა ყოველთვის სჯეროდა, რომ ამაყ და თავისუფალ ხალხს უსაზღვრო შესაძლებლობანი აქვს, გადანყვეტიდა, რომ ამერიკელებს მხოლოდ ნახალისება სჭირდებოდათ, თორემ დანარჩენს თვითონვე მოაგვარებდნენ.

— ვიცოდი, რომ თუ ხალხს შემოსავლის სამოცდაათი პროცენტის გადანახვის საშუალებას მივცემდი, ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფოსთვის ეხადა, ახალი იდეებით გამდიდრებული, ამ თანხას ახალ პროექტებში ჩადებდა და ქვეყანასაც უკეთ გამოადგებოდა.

ეკონომიკური აღმავლობა 1982 წლის ოქტომბრიდან დაიწყო, და დაიწყო იმით, რომ პრეზიდენტის დავალებით ფედერალურ ოპერაციებს შეისწავლიდნენ და გარკვეულ დასკვნამდეც მივიდოდნენ, თუ როგორ შემცირებულიყო ზედმეტი ხარჯები და სახელმწიფოს საქმიანობა როგორ გამხდარიყო უფრო ეფექტური. შედეგად კი იმდენი ზედმეტი ხარჯი აღმოჩნდებოდა, რომ მის ქარგაზე მთელი წიგნი დაიწერებოდა. კომისიის 2478 რეკომენდაციიდან 80-ის განხორციელება მოხერხდებოდა, რითაც დაბრკოლებოდა დეფიციტის ზრდა და მილიარდობით დოლარიც დაიზოგებოდა.

ეკონომიკური აღმავლობა ეკონომიკურ აღმავლობად, მაგრამ მთავარი მონაპოვარი 80-იანი წლებისა ამერიკული სულის გამოცოცხლება შეიქნებოდა. დიქსონში ჯერ კიდევ ახალგაზრდა რეიგანი მიხვდებოდა, რომ უბრალო ხალხი ყველაზე უკეთ ჭრის საერთო, საზოგადოებრივ პრობლემებს — სახელმწიფოებრივ პროგრამაზე უკეთესად, და ეს ხდება ერთმანეთის დახმარებით.

ამ მოსაზრებით შთაგონებული თეთრ სახლში ინიციატივებისათვის კერძო სექტორის კაბინეტს დააარსებდა.

— მოგვიყვით ამერიკულ სასწაულზე, — სთხოვდა გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი ეკონომიკის ყოველწლიურ სამიტზე.

და რეიგანი განმარტავდა, რომ:

მაღალი გადასახადი მუშაობის სტიმულს ამცირებს, დაბალი გადასახადი კი — საბოლოოდ — ზრდის.

და რაკილა გადასახადების შეკვეცა არა კმაროდა, სხვა მიზნები ამიტომაც დაესახა, თუნდაც:

ხელისუფლების შემცირება და თავისუფალი ვაჭრობისათვის მეტი გასაქანის მიცემა.

ესეც ამერიკული სასწაული!..

რა უბრალო და ბუნებრივია ყველაფერი, როდესაც ადამიანი საკუთარი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის იღვწის და არა პირადი კეთილდღეობისათვის.

დიდი დრო არ გავიდოდა, რომ რამდენიმე ქვეყანაში გადასახადების შეკვეცას დაიწყებდნენ და, როგორც მომდევნო სამიტებზე აღნიშნავდნენ, ეს გადაწყვეტილება ძალიან ნაადგებოდა ამ ქვეყნების ეკონომიკას.

საამაყო როგორ არ ყოფილიყო ამერიკის პრეზიდენტი-სათვის მისი წამოწყების ასეთი წარმატებული გაზიარება და სასიკეთო ზეგავლენა, თვალნათლივ რომ მოჩანდა, მაგრამ მისი კეთილშობილების კაცს შეუძლებელია არ ეღიარებინა: ჩვენ-ჩვენი ხალხებისათვის არცერთს არ გავგიკეთებია იმდენი, რამდენიც მარგარეტ თეთჩერსო. და შეეხარებოდა მისი ყოფა, რადგანაც სამწუხარო რეალობა ის გახლდათ, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტს თავის ქვეყანაში მეტი დაბრკოლება ხვდებოდა, ვიდრე ბრიტანეთში — მის პრემიერ-მინისტრს.

ისე კი თუ ვინმეა განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით წარმოსახული მოგონებათა ამ ფურცლებზე, ერთი უპირველესი სწორედ მარგარეტ თეთჩერი, ვისაც ამერიკის პრეზიდენტი თავის პირად მეგობრადაც რაცხს და აღტაცებულია მისი პიროვნული თვისებებით — გულთბილობით, ლმობიერებით, გონიერებით, ქალური მომხიბვლელობით — რაც ასერიგად ესაჭიროება სახელმწიფო მოღვაწესაც, და რაც უბრალო ადამიანსაც საზოგადოების სამკაულად აქცევს.

მასთან პირველ შეხვედრას რამდენიმე წუთზე მეტხანს არ აპირებდა, მაგრამ... ორ საათამდე გაუგრძელდებოდათ და სულიერ სიახლოვესაც იგრძნობდნენ ერთმანეთისადმი.

სალამოს, მიღებაზე, ერთ ინგლისელთან ძალიან შეაქებდა: დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და შესანიშნავი პრემიერ-მინისტრი იქნებო.

იგი დაეჭვებით შემოხედავდა:

— მაგრამ ის ხომ ქალია?!

რეიგანს პასუხის მოძებნა გაუძნელდებოდა თუ რა!..

— ერთ დროს ინგლისს დედოფალი ჰყავდა, სახელად ვიქტორია, და მგონი, ისიც კარგად მართავდა ქვეყანას.

ვიქტორიანული ეპოქა ხომ ოქროს ხანას გათანაბრებია ინგლისის ისტორიაში.

და შეჩქვიფდებოდა ის ინგლისელი: ღმერთო, ეს როგორ დამავიწყდაო.

ვიდრე პირველ სამიტზე ჩავიდოდა, რეიგანი ცდილობდა წარმოედგინა, შვიდი ქვეყნის მეთაურები ერთ მაგიდასთან როგორ მუშაობდნენ. და ყველაზე მეტად ის გააოცებდა, რომ... ეს შვიდი ადამიანი ერთმანეთს სახელებით მიმართავდა.

— იდეა მარგარეტ თეთჩერისა უნდა ყოფილიყო...

იდეა იდეად ისე მოეწონებოდა, რომ მეორე სამიტზე იაპონიის პრემიერ-მინისტრი იასუჰირო ნაკასონე რომ ეწვეოდა პირველად, ეს ჯერ ამას ჰკითხავდა:

— ცოლი როგორ მოგმართავთ შინ?

— იასუს მეძახის.

— იასუ, მე რონი ვარ. აქ ყველა სახელით მიმართავს ერთმანეთს.

და ყოველთვისაც ასე მოიქცეოდა — გამოჩნდებოდა თუ არა სტუმარი თეთრ სახლში, მაშინვე სთავაზობდა, ერთიმეორეს სახელებით მივმართოთ.

— ასეთი ურთიერთობა დიპლომატიურ ყინულს ადვილად ალღობს და ოფიციალური შეხვედრა უფრო მეგობრული და გულახდილი გამოდის.

მეტად საგულისხმოა ის ეპიზოდიც, უილიამსბერგის სამიტზე რონალდ რეიგანი შეერთებული შტატების ეკონომიკური პროგრამის გარდა, მონაწილეებს ევროპაში პერმინგ

11-ის დადგმაზე რომ ჩამოუგდებდა სიტყვას: თუ რუსები უარს იტყვიან ევროპის ქალაქებზე მიმართული რაკეტები აიღონ, მაშინ ჩვენ ამ ახალ იარაღს დავუპირისპირებთო.

თავიდან მოეჩვენებოდა, ყველაფერი რიგზეაო, მაგრამ მეორე დღით ფრანსუა მიტერანი და პიერ ტრუდო განაცხადებდნენ: ამ წინადადებას მხარს არ დავუჭერთო, — და დანარჩენებს ომის გამჩალებლესაც კი უწოდებდნენ. ამის შემდეგ ორივე ლიდერი ეკონომიკის საკითხებშიც დაუპირისპირდებოდნენ.

ერთი წლის შემდეგ ლონდონში გამართულ სამიტზე მიტერანი და ტრუდო კვლავ კრიჭაში ჩაუდგებოდნენ, ტრუდო საკმაოდ უხეშადაც დაელაპარაკებოდა თეთჩერს, მაგრამ... მარგარეტი გულგრილი სახით იჯდებოდა და ყურადღებასაც არ მიაქცევდა.

რეიგანი მოგვიანებით ვერ მოითმენდა და მარგარეტს თავის აღმფოთებას გაუზიარებდა:

— ასე რა უფლებით დაგელაპარაკათ?

თეთჩერი მშვიდად მიუგებდა:

— ქალები ვატყობთ, როდის იქცევიან კაცები ბავშვებივით. შესანიშნავი ფსიქოლოგიური შტრიხია!..

ეს ფრაზა და საერთოდ ეს ეპიზოდი ნებისმიერ პიესასა თუ ბელეტრისტულ ქმნილებას დამუშავებდა!..

ეს პირადი მეგობრობა ორი ქვეყნის ხელისუფალს შორის ისეთ რანგშია აყვანილი, ერთ ყველაზე შემაერთებელ ძაფად წარმოგვიდგება ორ ქვეყანას შორის, და ეს იმ მტკიცებისას: ჩემი პრეზიდენტობის რვა წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებს ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოსთანა ძლიერი მოკავშირე არა ჰყოლიაო. ეს იმიტომ, რომ: ამ ქვეყნებს გვერდიგვერდ გამოეველოთ ორი მსოფლიო ომი, საერთო ენა და ანგლო-საქსური ძირები მოეპოვებოდათ და საერთო დემოკრატიულ ღირებულებებსაც ეფუძნებოდნენ. და ასეთ ამაღლებულ ფონს მომხიბლავი გიორლიანდით ეწვინის ხელისუფალთა სულიერი კავშირი და კიდევ ერთხელ მოგვაგონებს და გვიდასტურებს, რომ მეგობრობა გამორჩეული უნარია ადამიანისაც და ხალხებისაც — ცხადია, ნრფელი, უანგარო და გულმართალი, და არა მოჩვენებითი ანდა ძალმომრეობის საბურველი, რუსეთის იმპერიალიზმი როგორც იყენებდა საბჭოური სისტემის არსებობისას და სახელს უტეხდა ამ ძვირფასსა და კეთილშობილურ გრძნობას.

მოგვიყვით ამერიკულ სასწაულზეო...

ფერმერების კრიზისის ჟამს მილიარდებით მეტი გაიცემოდა მათ დასახმარებლად, ვიდრე რომელიმე ადმინისტრაციას ოდესმე გაუღია. და თუმცა პრეზიდენტი აღიარებდა: ეს სიხარულით სულაც არ ჩამიდენიაო, — მთავარია, რომ სახელმწიფოებრივი აუცილებლობის კარნახს დაემორჩილებოდა.

უკეთესი მდგომარეობა რომ არც ამერიკის მრეწველობაში გახლდათ?

თუნდაც აგერ — იყო დრო, როდესაც რამდენიმე ამერიკელი მენარმე მოტოციკლეტებს უშვებდა და საბოლოოდ მათგან ერთადერთი კომპანია დაარჩებოდა — ისიც მეტად საეჭვო მომავლის წინაშე მდგარი, რადგანაც იაპონური წარმოების იაფფასიან მოტოციკლეტთა კონკურენციას ვერ უმკლავდებოდნენ. და ეს უკანასკნელი ამერიკული კომპანია როგორმე რომ შეენარჩუნებინა, რეიგანი დროებით დაანესებდა ტარიფს იაპონურ მოტოციკლეტებზე, რათა ამერიკულის ღირებულება გაზრდილიყო.

და, აი, როდესაც 1987 წელს „ჰარლეი დევიდსონის“ ქარხანას ესტუმრებოდა, კომპანიის ხელმძღვანელები თამამად ამცნობდნენ: ტარიფის მოხსნა დაგეგმილზე ადრე შეიძლებაო. მათ უკვე აღარავის დახმარება აღარ სჭირდებოდათ.

აქამდეც ესმოდა, ამერიკის მრეწველობა მეტოქეობას სწავლობსო, მაგრამ რასაც „ჰარლეი დევიდსონის“ ქარხანაში საკუთარი თვალთ იხილავდა, ძალიან ააღელვებდა, და თხრობისას თავს ვერ იკავებს აღტაცებისაგან:

— ჩვენ ზარმაცი ხალხი არ ვართ. ამერიკელები შრომის-მოყვარე, გამომგონებლური ნებით დაჯილდოებული, პრაგმატული ერი ვართ.

აჰა, ხელშესახები დასტურიც.

„ჰარლეი დევიდსონის“ მენეჯერები და კონვეიერებზე მომუშავენი ერთ მუშტად შეიკვროდნენ, რათა იაპონელთა დაძლევის გზები ერთობლივად გამოეძებნათ. მუშები ენერგიულად ჩაერთვოდნენ ამ პროცესში — სხვადასხვა იდეას მიაწვდიდნენ, თუ როგორ სჯობდა პროდუქციის ხარისხის გაუკეთება. და შედეგად შესაფერისი აღმოჩნდებოდა — თუკი მანამდე „ჰარლეი დევიდსონი“ მხოლოდ ერთ მოდელს უშვებდა, ახლა იაპონურ პროდუქციას სხვადასხვა ზომის მოტოციკლეტებს დაუპირისპირებდნენ. ქარხნის თანამშრომლები იმასაც ეტყოდნენ: ახლა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას გამოვიწვევთო.

„რამხელა განსხვავებაა, — გაიფიქრებდა პრეზიდენტი, — ასეთ ქარხანასა და კომუნისტურ ქარხანას შორის, სადაც მუშას არც არჩევანი აქვს, არც სტიმული და არც არავის ეჯობება“.

და აღფრთოვანებას იმ წუთშივე გადაცხადებდა:

— ეს ქარხანა არ არის, ეს — რელიგიაა.

მოგვიყვით ამერიკულ სასწაულზეო...

სასწაული ეს ეგონათ, დიდი ეკონომიკური აღმავლობა, და ნამდვილი სასწაულის მხილველნიც უნდა გამხდარიყვნენ, მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე რუსულ იმპერიალიზმს ფრთები რომ შეეკვეცებოდა — დათანხმდებოდა იარაღის შემცირებას, დაყაბულდებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების მიშვებას „უმცროს ძმებად“ გამოცხადებულ რესპუბლიკებში და... კიდევ დადგებოდა მათთვის მწარე, მსოფლიოსათვის კი დიდად სასიხარულო რეალობის წინაშე — გამოთხოვებოდა მსოფლიო კომუნიზმზე ოცნებას, საბურველს რუსული კოლონიალიზმისა.

„ამერიკული ცხოვრების“ ფინალური მონაკვეთი თანმიმდევრული სურათია კრემლის იძულებითი და თანდათანობითი უკანდახვევისა, ჯერაც ყველაფერს რომ ებლაუჭებოდნენ და ატომური ომითაც იმუქრებოდნენ, ოღონდაც არ დაეთმთ ათწლეულების ნაოცნებარი.

მაგრამ დასავლეთი შეკავშირებულიყო რუსული სამხედრო ექსპანსიის წინააღმდეგ და მძლავრი მეთაურიც გამოსჩენილათ ამერიკის შეერთებული შტატების სახით, თავისი სიძლიერე საბჭოთა რეჟიმზე ტრიუმფით რომ უნდა დაეგვირავინებინა, და ზედად შესაფერისი კაციც ჩადგომოდათ სათავეში, სპექტაკლივით რომ წარმართავდა კომუნიზმის განადგურების პროცესს, რეჟისორიც თვითონვე რომ იქნებოდა და მთავარი როლის შემსრულებელიც.

ანკი როგორ შეიძლება პრეზიდენტი მსახიობი არ ყოფილიყო?!

სიჭაბუკისას ერთხანს თვითონაც რომ გახლდათ რეიგანი კომუნისტი?

ამას ტყუილბრალოდ წასძახებდნენ ხოლმე, რადგან არც არასოდეს ფარავდა, მთავარია, რომ ეამაყებოდა — როგორც კი მივხვდი, ვინც იყვნენ კომუნისტები, გადავდექი და მათ ნამდვილი ომი გამოვუცხადეო.

ბრეჟნევი-ანდროპოვი-ჩერნენკოსთან ჩაშლილი მოლაპარაკებები (რეიგანი მეუღლეს რომ ეტყოდა: როგორ შემიძლია რუსებთან რამეზე შევთანხმდე, ისინი ხომ პირდაპირ ხელში მაკვებდნენო, — დახვეწილი იუმორის ნიმუშია) მიხაილ გორბაჩოვთან უნდა გაგრძელებულიყო საკმაოდ მწვავე დისკუსიის პირობებში... და, ცხადია, თანაბარ დიალოგს არავითარი პერსპექტივა არ ენერა და გარდუვალი მარცხისთვის იქნებოდა განსიხარული, რუსეთის იმპერიის შინაგანად გამოღრღნილი სახეული რომ არა — ძალადობის გარდა ველარაფრით რომ ვეღარ ინარჩუნებდა მფლობელობას ვეებერთელა დამპყველ ტერიტორიაზე და სულის ამოხდისაკენ მიექანებოდა

ყველაფერი, დასავლეთის შემწეობით, საზღაურად თუ ეროვნულ სულისკვეთებას ერთგვარ გასაქანს არ მისცემდა.

ეს ყოველივე მიხაილ გორბაჩოვის მხრივ მაინც პოლიტიკური თამაში გახლდათ — და არა სამხედრო ექსპანსიაზე საბოლოო უარის თქმა, არამედ ტაქტიკური უკანდახევა და საბჭოთა იმპერიის ერთგვარი მოდერნიზება, შესაფერის ფაქტს კვლავაც რომ ამოხედავდა — და, ვინ იცის რა რაიგი გააფთვებით — მსოფლიოს დაჩოქების მანიაკალური ჟინი.

გარდუვალობას ვეღარ აღუდგა წინ, თორემ!..

რეიგანისათვის უთუოდ კარგად იქნებოდა ცნობილი „პერესტროიკისა“ და „გლასნოსტის“ საბჭოური არსი, დაფუძნებული პირწმინდად მოჩვენებითობასა და სიყალბეზე, ისეთივე საბურველი ნამდვილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების დასაფარავად, როგორც თავის დროზე ხრუშჩოვისეული „ოტტეპელი“ გახლდათ — პოლიტიკური ჩიხით ნაკარნახევი შედარებითი ლიბერალიზაცია, მაგრამ რუსული იმპერიალისტური მიზნების უცვლელობა.

მაგრამ დროსა და ამერიკის შეერთებული შტატების მომდღავრებას მოეთანა ის გარდუვალი ცვლილება, რაც მიხაილ გორბაჩოვის ხელიდან გააგდებინებდა პროცესთა წარმართვის სადავეებს.

რეიგანის ადგილას სხვა პრეზიდენტს ეგებ თავი ვერ შეეკავებინა ტრახახისა და თავმოწონებისაგან: აი, რას მივალწიო. საამისოდ კი უეჭველად დასჭირდებოდა „პერესტროიკისა“ და „გლასნოსტის“ ნამდვილი ბუნების გახსნა-გაშიფვრა და სულაც გაბამპულება. მაგრამ რაკილა რონალდ რეიგანი იშვიათი თავმდაბლობით გამოიჩინოდა და მისთვის მთავარი გახლდათ პოლიტიკური და სახალხო წარმატება და არა საკუთარი მიღწევა ამ პროცესში, ამიტომაც აერიდებოდა გარდაქმნისა და საჯაროობის მოჩვენებითობის მხილებასაც და მიხაილ გორბაჩოვის უმწეობის წარმოჩენასაც ამ ახალი რეალობის წინაშე.

და „ამერიკული ცხოვრება“ ისე წარმოსახავს საბჭოთა ლიდერის პიროვნებასაც და მის დაძაბულ დუელსაც შეერთებული შტატების პრეზიდენტთან, თითქოს ნებაყოფლობით მიჰყვებოდეს მოლაპარაკებათა მსვლელობასაც და საბჭოური რეჟიმის გადაწყობასაც უფრო ბუნებრივ ყაიდაზე. თვალს ხუჭავს რეიგანი მიხაილ გორბაჩოვის მიერ მოწყობილ სისხლიან კალოზე თბილისში, ბაქოსა და ვილინიუსში, ისევე, როგორც ნობელის პრემიის კომიტეტი აარიდებდა მზერას დანაშაულთა ამ წყებას და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უკანასკნელ გენერალურ მდივანს ამ უმაღლეს ჯილდოს მიანიჭებდნენ მშვიდობის დარგში.

ჩვენს თვალში ეს გადაწყვეტილება ნობელის პრემიის ღირსების შელახვაა.

არადა, ისინი მოვლენებს შეაფასებდნენ შედეგით და არა პოლიტიკური პროცესის მძაფრი დრამატიზმისა და ტრაგიკული ეპიზოდების გადმოსახედიდან.

რონალდ რეიგანისთვისაც სწორედ ესაა მთავარი — ის შედეგი, რამაც კომუნიზმიც დაასამარა და რუსულ სამხედრო ექსპანსიასაც ფრთები შეაკვეცა.

ამიტომაცაა ასეთი შემწეობები იმ ხელისუფლის მიმართ, რომელთან მიმონერასა და პირად შეხვედრებსაც ეთმობა მემუარების უმთავრესი მონაკვეთი და, მიუხედავად საკმაოდ დაწვრილებითი აღწერისა, ოდნავადაც არა ნელდება თხრობის დინამიზმი და ექსპრესია. და ეს იმიტომ, რომ ყველაფერი აქეთ მოისწრაფოდა — ამ ფურცლებისაკენ, სულმოუთქმელად რომ გაკითხვებს თავს.

რონალდ რეიგანს თავისი საუკეთესო როლის შესრულების ფაზი დასდგომოდა.

და დიდი ხელოვნებითაც წარდგებოდა მთელი მსოფლიოს წინაშე.

პრეზიდენტი მსახიობიც რომ უნდა იყოს, ეს თავისთავად, მაგრამ დიდი არტისტობა უკვე შენს ხელთ აღარ არის. ეგებ

ეს უნარი კიდევ ჩაგბუდებია სხეულში, მაგრამ შესაფერისი დრო წასულა, გაგპარვია თუ შემოგდნობია, და ძალ-ღონე ისე ვეღარ მოგდევდეს.

კაცობრიობის სასიხარულოდ, სწორედ ის ჟამი ედგა შეერთებული შტატების პრეზიდენტს, თავისი ხელოვნება სრულყოფილად გაემჟღავნებინა.

და, აჰა!..

და ავტობიოგრაფიული რომანის თხრობაც რომ შინაგანი არტისტიზმით გაჟღერდებოდა!..

თხრობა, რომელიც რეიგანის დიდების მწვერვალზე უნდა შეწყდეს.

პრეზიდენტობის რვანლიანი ვადა ამონურულია და თეთრი სახლი უკვე ახალ ბინადარს ელის.

რეიგანი თვითმფრინავიდან გადმოჰყურებს სამხრეთ კალიფორნიის თვალწარმტაც პანორამას, დასცქერი სახლებს და ფიქრობს: ნეტა ახლა უკეთ თუ ცხოვრობენ, ვიდრე რვა წლის წინათო?!

და გულში სიამედ ეღვრება ის განცდა, რომ ნამდვილად დატყობოდა სასიკეთო ხელი ამერიკულ ცხოვრებას.

ისე როგორ იქნება, რომ ამ სულიერი ღირსებების კაცს დაუკმაყოფილებლობის გრძნობაც არ სდევდეს, გასაკეთებელიც ბევრი დარჩაო — კონსტიტუციაში შესწორებებია შესატანი, კონგრესის მიერ საარჩევნო ოლქების საზღვრების შეცვლის სამარცხვინო პრაქტიკა აღსაკვეთია, და პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს უფლება ვეტოს დადებისა, რათა შეამციროს ბიუჯეტის ზედმეტი, უსარგებლო ხარჯებით...
მოულოდნელად კაბინის კარზე ჩუმი კაკუნი უნდა მოესმას და პრესის, უსაფრთხოებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებმა — რომლებთან ერთადაც ბოლოჯერ მგზავრობს — მასთან გამოსამშვიდობებლად მოიყარონ თავი, და შამპანურის ბოკალებით ხელში თვალცრემლიანები ხელს უნდა ართმევდნენ და ეხვეოდნენ ერთმანეთს.

— მისია შესრულებულია! — უნდა დაიძახოს ვილაცამ, — ბატონო პრეზიდენტო, მისია შესრულებულია!..

და ამან კი პასუხად გულში ეს უნდა გაიფიქროს:

„აბა, როგორ გითხრათ... აბა, როგორ გითხრათ...“

დიდებული ფინალური აკორდია!..

რონალდ რეიგანის პიროვნული ღირსებისა და „ამერიკული ცხოვრების“ სტილისტიკისათვის ყველაზე შესაფერისი.

და კიდევ ერთხელ და საბოლოოდ რწმუნდები, რომ ამ კაცს პრეზიდენტის სავარძელში ყოფნა უპირველესად დიდ მოვალეობად და ვალდებულებად განეცადა და, ნაცვლად ძალაუფლებით ტყობისა, საკუთარი თავი ოქროს გალიაში გამოკეტილი ჩიტივით იზოლირებულად წარმოედგინა სამყაროსაგან. და ფანჯრიდან რკინის ჭიშკრის მიღმა მოსიარულე ხალხს რომ ადევნებდა მზერას, მართლაც ეხარებოდა მათი თავისუფლებისა და საკუთარ თავს შესწიოდა: ისიც არ შემძლია, მალაზიაში გადავიდე და რაიმე ჟურნალი ავარჩიო. ნეტა ოდესმე თუ დამიდგება ასეთი დღეო?..

ის დღეც დამდგარიყო.

და ზუსტად მიგნებული ფინალური აკორდიც ჰკრავდა თხრობას.

ესეც კიდევ ერთი ბიოგრაფიული ქარგა, ქრესტომათიულ ნიმუშად რომ წარმოგვიდგება, თუ რაოდენ აუცილებელია შენს ერს გაუღვივო და განუმტკიცო თვითრწმენა, რათა ამაღლებული მიზნებისაკენ წარმართო და ის შეუძლებელი შეაძლებინო, მართლაც სასწაულს რომ გაუთანაბრდებოდა.

ისე ნეტა აბრაამ ლინკოლნივით სამუდამოდ ხომ არ დაბინდრდება თეთრ სახლში რონალდ რეიგანის აჩრდილიც?!.

მარიამ მარჯანიშვილი

ცრემლებით სავსე სული

(ლეო ჭიჭიშვილი — არგენტინაში
მოღვაწე ქართველი შემოქმედელი)

არგენტინაში მოღვაწე ქართველი მეცნიერის, პოეტისა და მხატვრის ლეონიდე (ლეო) ჭიჭიშვილის შემოქმედება თითქმის სრულიად უცნობია ჩვენი საზოგადოებისათვის. ამის მიზეზი, უპირველესად ისაა, რომ იგი დიდხანს იდგა არგენტინაში მოღვაწე გამოჩენილ მწერლებისა და მეცნიერების ვიკტორ ნოზაძის, აკაკი და თამარ პაპავეების ჩრდილქვეშ, არადა მისი 70-მდე ლექსი, მრავალი გრაფიკული ნამუშევარი და 37 სა-მეცნიერო ნაშრომი უდავოდ იმსახურებს მეტ ყურადღებას.

დაიბადა 1905 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში. შეძლებულმა კომერსანტმა პორფილე ჭიჭიშვილმა თავისი ერ-თადერთი ვაჟი 1911 წელს არნოლდის ფრანგულ პრო-გიმნაზია-ში შეიყვანა, რომელიც ბათუმში 1908 წლიდან ფუნქციონირებდა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი ახალდაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევიდა. იმავდროუ-ლად ფერწერით გატაცებული ჭაბუკი, ცნობილ მხატვარ ილი-უშინთან ენაფებოდა სახვითი ხელოვნების საიდუმლოებას.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი ლეო ჭიჭიშვილმა საინტე-რესოდ გადმოსცა თავის „პატარა მოგონებაში“ („კავკასიონი“ XIII, 1968): „მართალია ორი წელი დავყავი ჩვენს უნივერსიტეტ-ში, მაგრამ მაშინ ხომ ბავშვი ვიყავი და პირველი ჩემი კონტაქტი ჩვენს პროფესორებთან არ იქნება დღევანდელი დღისათვის სა-ინტერესო. მაგრამ მაინც მსურს მოვიგონო ჩემთვის დაუფიქყა-რი, ჩვენი საბავშვო მათემატიკოსის, ანდრია რაზმაძის არაჩვეუ-ლებრივი პედაგოგიური ნიჭით გადმოცემული მათემატიკის რთული ლექციები. ასევე, მუდამ დიდი პატივისცემით ვიხსენებ პროფესორ ბენაშვილს. მისი გეოდეზიის ლექციების დროს დარ-ბაზი ყოველთვის გაჭედული იყო ახალგაზრდა მსმენელებით“...

1926 წელს ლეო ჭიჭიშვილი, მამის რჩევით, უნივერსიტეტის მე-ორე კურსიდან გამოვიდა და სწავლის გასაგრძელებლად გერმანი-აში გაემგზავრა. იგი თავის დას ეთერ ჭიჭიშვილს, 46 წლის შემდეგ, უცხოეთში მისი გამგზავრების შესახებ სწერდა: „ჩემო ეთერ, — ეს უკანასკნელი სურათი დამაქვს გულში ამომწვარი, რომელსაც შენ ეხლა ავიწერ. იყო 14 იანვარი. ძველი სტილით ახალი წელი. ჩვენს სასადადო ოთახში საახალწლო სუფრა იყო გაშლილი. ბუხარში ბჟოლის კუნძი გუზგუზებდა და იქაურობას სიცოცხლეს აძლევდა, რადგან ყველანი ვდუმდით. იდგა განშორების წამი. წამი საბედის-წერო, წამი წყეული. შენ მაშინ ოთხი წლის იყავ და სალომესთან ერთად ტკბილად გეძინა. თუ თვითეული ჩვენგანი რას განვიცდი-დით, ამის აღწერა და გადმოცემა არავის ძალუძს. ეს სურათი ყვე-ლა ჩვენგანს, თავისებურად ჩარჩა გულში. მხოლოდ დედის გული გრძობდა ალბათ, რომ ის მის შვილს უკანასკნელად ხედავდა.

...მამა ვაცივებული იყო და სადგურზე ვერ გამომაცილდა. მან სამჯერ წაღმა შემომაბრუნა და შუბლზე მაკოცა. ის კოც-ნა ისევ ისე იწვის იმავე ადგილას, როგორც მაშინ.

— „იარე სწორი გზით, ჩემო შვილო!“ — მითხრა მამამ.

— ვფიცავ მის სახელს, რომ მთელი ამ წლების გასწვრივ ვიარე სუფთად და შეუბილწავად ჩემი ცხოვრების გზაზე.

...ჭიჭიშვილთან მომაცილეს დედამ და ნინო ბებია. უკანას-კნელად კიდევ ერთხელ ჩამიკრეს გულში. ზურგი შევაქციე საყვარელ ადამიანებსა და ჩემს კუთხეს სამარადისოთ!“
9.2.72. ბუენოს-აირესი.

ასე რომ, 21 წლისამ 1926 წლის 14 იანვარს დატოვა მშობლიუ-რი კუთხე. მისთვის სამშობლოში დაბრუნების გზა უსასრულოდ გრძელი გამოდგა, ვიდრე სამშობლოდან უცხოეთში მიმავალი.

უცხოეთის ცის ქვეშ დრო შექარყინულივით ხელში ჩაად-ნა. ევროპაში ცხოვრების ათი წელი ნიჭიერმა და ბეჯითმა ჭა-ბუკმა მიზანმიმართულად გამოიყენა. გერმანიაში ჯერ ბერ-ლინ-შარლოტენბურგის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებე-ლი დაამთავრა. 1935 წელს დოქტორ-ინჟინრის ხარისხის მო-საპოვებლად სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. ამის შემდეგ კაიზერ ვილჰელმის სახელობის ქიმიის ინსტიტუტში მიიწვი-ეს, რომელსაც დღეს მაქს პლანკის სახელი ჰქვია.

„ეთერ, საყვარელო! — სწერდა დას — რაც დრო გადის, როგორც ძველი ჭრილობა, ისე იხსნება ჩემი გული და ტირის სამშობლოსა და თქვენთვის. რა ბედნიერი ვიყავი, როდესაც ლურჯი ფერის პასპორტი მეჭირა ხელთ და სასწავლებლად წა-მოვედი გერმანიისაკენ. რა უბედური ვარ ახლა, როდესაც ყვე-ლაფერმა ჩაიარა და მის უაზრობას ვხედავ, სამშობლოს გარე-შე არ არსებობს არაფერი...“ **1974.13.11. ლომას-დე-სამორა.**

„ღმერთ და სამშობლო დაკარგული, სულით ობოლი ადამიან-ნი მუდმივი ტანჯვისა და წამებისთვისაა განწირული, იგი ხსნას არ ელოდება.“ — ასეთი იყო ის მკაცრი რეალობა, რომელმაც ლეო ჭიჭიშვილი ოჯახსა და სამშობლოს სამუდამოდ მოსწყვიტა და ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა დიდ ნაკადს შეუერთა. ასე რომ, ბოლშევიკურ სამშობლოში დაბრუნებას ისევე ემიგრან-ტობა არჩია. იგი დაუახლოვდა აკაკი პაპავას ოჯახს, სადაც დი-დი სითბო და სიყვარული იპოვა. მალე, 1938 წელს, პარიზში ტურფა პაპავაზე ჯვარი დაინერა და ამ ოჯახის წევრიც გახდა.

ტურფა გახლდათ ცნობილი ემიგრანტი მწერლის — აკაკი პაპავასა და თამარ გოგოლაშვილი-პაპავას — უფროსი ქალიშვი-ლი. მან ლეო ჭიჭიშვილზე სამი წლით ადრე დატოვა საქართველო. წერილების მიხედვით ნათელი ხდება, რომ ტურფა პაპავა-სა და ლეო ჭიჭიშვილს ხუთი შვილი შეეძინათ: უფროსი ქალშ-ვილი ნინო — 1939 (14.02) წელს დაიბადა, მისი მომდევნო ტურფა-მარიამი (პუსი) — 1942 (14.10) წელს, ხოლო მზია — თამარა (ზიკუნა-2) — 1944 (5. 3)წელს.

ასე რომ, სამივე ქალიშვილი გერმანიაში დაიბადა, სადაც აკაკი და თამარ პაპავებთან ერთად დიდ ოჯახად ცხოვრობდნენ. მათ-თან იყრიდა თავს ევროპაში მიმოფანტული მთელი ქართული პო-ლიტიკური ემიგრაცია. ხშირი სტუმრობის მიზეზი გახლდათ პაპა-ვების მიერ 1937 წელს ბერლინში შექმნილი სიონის ეკლესიიდან გატაცებული საკურთხეველის გადასაფარებელი. ქართველები მის სანახავად პაპავებთან ისე დადიოდნენ, როგორც ეკლესიაში.

როცა ევროპაში ომის ქარტახილმა გადაიქუხა, ქართველი პოლიტიკური ემიგრანტებისთვის მეორე მსოფლიო ომი ფსი-ქოლოგიურად ძნელი გადასატანი გახდა. რადგან „ერთ მხა-რეზე იდგა საბჭოეთი, რომლის ნაწილი საქართველოც იყო, ხოლო მეორე მხარეს — გოეთესა და კანტის, ნიცშესა და ვაგ-ნერის ქვეყანა, „ევროპის ინტელექტუალური დირიჟორი“.

ლეო ჭიჭიშვილის აზროვნებაც გერმანულ გარემოცვაში ჩა-მოყალიბდა. იგი 21 წლისაც არ იყო, როდესაც ამ ქვეყანაში ჩა-მოვიდა. გერმანიის ქიმიის მეცნიერებათა დოქტორ-ინჟინერმა ათი წელი იმუშავა ცემენტის, კერამიკისა და მატერიის სტრუქ-ტურათა რენტგენის სხივებით გამოკვლევის დარგში, დაწერა დე გამოაქვეყნა 12 სამეცნიერო ნაშრომი. აქვე აიღო მაღალი ცეცხლგამძლე მასალების ტექნოლოგიის შემუშავებისათვის პატენტები და გამოიგონა ვიბრაციული ვისკოზიმეტრიც.

1947 წელს გერმანიიდან ცოლ-შვილთან ერთად საცხოვრებ-ლად საფრანგეთში გადასახლდა, სადაც მუშაობდა პარიზის პორ-ცელანის ქარხნის ტექნიკურ დირექტორად. ომით დანგრეულ ევ-როპაში ჭირდა ცხოვრება. მძიმე ეკონომიურმა და დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, ცხოვრების უკუღმართობამ ლეო ჭე-იშვილი მალე სულ სხვა მხარეს, ოკეანის გაღმა გადასტყორცნა.

1948 წლიდან 1960 წლამდე, როგორც სილიკატური ქიმიის დარგის აღიარებული სპეციალისტი არგენტინაში, მიწერალო-

გვის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა, სადაც გამოყენებული მასების, ჭიქურებისა და ფერების (ჭიქურის როგორც ზედა, ისე ქვედა ფერების) კომპოზიცია მის მიერ იქნა დამუშავებული. ასევე შექმნა საგნების მოდელები და დეკორაციების ნიმუშებიც.

1960 წლიდან მეცნიერული მოღვაწეობა ისევ გააგრძელა. იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში პენსილვანიის უნივერსიტეტში მიიწვიეს, როგორც მთავარი მეცნიერ-მკვლევარი კერამიკისა და მინის დამუშავების დარგში.

ამასთან დაკავშირებით თამარ პაპავა მეგობარს სარა მერაბაშვილს თბილისში წერდა: „ჩემი ტურფას ქმარი, ლეო ჭეიშვილი, მისი გამოქვეყნებული შრომების საფუძველზე, მიიწვიეს აქაურ უნივერსიტეტში ქიმიისა და კერამიკის კათედრაზე პროფესორათ. ეს მეტათ საამაყო ჩვენთვის, ქართველებისათვის“... **პაპავა თ., ფონდი 28 103 /15.**

ათეული წლები მონაწილეობდა ლეო ჭეიშვილი უცხოეთში საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. იგი 37 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი იყო, რომელთა ერთი ნაწილი დღეს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული.

„...ყველა ჩემს მდგომარეობაში ბედნიერად ჩათვლიდა თავს, — სწერდა დას ეთერ ჭეიშვილ-ყიფიანისას. ქართველი მეუღლე, ხუთი ჯანმრთელი შვილი, ორი უსაყვარლესი შვილიშვილი. ყოველთვის მაღალი „პოსტები“ ქარხნებში, უნივერსიტეტში თუ სამეცნიერო ინსტიტუტებში, მაგრამ მერნ-მუნე ჩემო გულის ნაწილო დაო, რომ არა ვარ ბედნიერი, ვარ ნამებული“ **12.7.71. ლომას-დე-სამორა.**

ოჯახსა და სამსახურში პირადმა წარმატებებმა ვერა და ვერ იხსნა ლეო ჭეიშვილი იმ მძიმე სენისაგან, რომელიც უცხოეთში შეეყარა. ეს იყო სამშობლოს სევდა, სევდა გამოწვეული სამშობლოში დაბრუნების შეუძლებლობის გამო, რომელსაც ბერძნებმა უბრალოდ ნოსტალგია უწოდეს.


„დაო ეთერ! შენ იცოდე, შენ იცოდე მარტო თუ როგორ ვარ ჯვარცმული – ვცოცხლობ და არ ვკვდები... გული ტირის საყვარელო ჩემი მიწისათვის. რა ვქნა, ჩემი ბედი ასეთი ყოფილა — ცრემლი, მწუხრი და ტანჯვა. ჩემი ერთი ლექსი ასე მთავრდება:

**ბევრი ვიარე მწუხრით დაღლილმა
მტირალ ტირიფთან ჩამოვჯექე ქვაზე,
თვალდახუჭულმა ნიავს შევჩვილე:
ვარ ნამებული გაკრული ჯვარზე...**

როდესაც ჩამოხვალ გაგატან ჩემს ლექსებს. კარგია თუ ცუდია, ერთი რამ ახასიათებს: გადაკარგულის დაუსრულებელი გულის ტკივილი თავისი მიწის მიმართ და გაუთავებელი ცრემლების ღვრა, თავიანთი სისხლისა და ხორცის დაშორებით გამოწვეული. ვინ იცის იქნებ, ერთხელ დაიბეჭდოს, რათა ყველამ იცოდეს, რომ მიწის ლალატი, მას სიკვდილამდე ჯვარცმულად გახდის. ვერავითარი რამ ვერ შეცვლის დაკარგულ მიწას. იცოცხლებს დამუღნარი, სანამ საბოლოოდ არ გახმება და ნაიქვევა ფესვებდაჭრილი, რომელიც საყვარელ მიწაში დატოვა. მირბიან ათეული წლები და მიდის ცხოვრება. 1910 და 1920-ში მანდ ვიყავი, 1930-40-ში გერმანიაში, 1950-ში აქ (არგენტინა), 1960 — ჩრდილო ამერიკაში, 1970 და 1980 ისევ აქ. სად ვიქნები 1990-ში? მაშინ მე ვიქნები ოთხმოცდახუთი წლის და შესაძლოა ჩვენს სახლში სამტრედიის მიხილოთ“ **26. 2.73. ლომას-დე-სამორა.**

სამშობლოდან დაშორების წლები სულ უფრო და უფრო აწყვეტდა ნერვებს, სულს უფლეთდა და აფორიაქებდა. შინაგანი ტკივილების გარეთ გამოტანა, მისი ხატვა, მწვავე განცდების სახეობად გაშლა, შვება და განკურნება, დამძიმებული სულის შემსუბუქება მან პოეტურსა და ფრთიან სტრიქონებს მიანდო, რაც კარგად ჩანს ლექსში „ცხოვრების ფურცლები“:

**გადავმლი ჩემი ცხოვრების ფურცლებს,
ან გაცვეთილებს და გაყვითლებულს.**



ლეო ჭეიშვილი

**სევდამორევით დავხუჭავ თვალებს
და მოვიგონებ იმ წლებს დაკარგულს.
ვით დილის ნისლი პირველ სხივებზე,
ისე გამიქრნენ ჩემი დღეები —
გულგატეხილი, ცხოვრების გზაზე
ჩაფიქრებული მივეშურები.**

საერთოდ უნდა ითქვას, როგორც ავთანდილ ნიკოლეიშვილი აღნიშნავს: „ემიგრაციაში მცხოვრები არაერთი ჩვენი თანამემამულისათვის მათი ცხოვრების სისხლხორცეულ ნაწილად ქცეული ეროვნულ-პატრიოტული ტკივილის გამოხატვის უმთავრეს ფორმად პოეზია იქცა.

ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამემამულეების ერთი ნაწილი თავისი ნოსტალგიური გრძობების დაცხრომას ხშირად სწორედ ლექსების მეშვეობით ცდილობდა. ასე იქცეოდნენ არა მარტო ისინი, რომლებიც მწერლური ნიჭით იყვნენ მაღლმოსილნი, არამედ ისეთებიც, რომელთაც საქართველოში ცხოვრების შემთხვევაში ლექსის დაწერა ალბათ აზრადაც კი არ მოუვიდოდათ“.

ამ საკითხში ავთანდილ ნიკოლეიშვილის კონცეფცია ემიგრანტ ლეო ჭეიშვილის შეხედულებათა ძირითადი აზრის თანხვედრია, რაც კარგად ჩანს დისადმი გაგზავნილ ერთ-ერთი წერილის მიხედვითაც:

„ჩემო ეთერიკო! მე როგორც გწერდი, ყოველ წერილში თითო ლექსს გამოგიგზავნი. შენ მანდ მოაგროვე და შეინახე. მხოლოდ მიპასუხე, თუ რა ლექსს მიიღებ. ბევრი არ არის, მაგრამ იქნება დაახლოებით 70-მდე. აგერ უკვე ერთ ნელზე მეტი იქნება, რაც არაფერი დამინერია — ჩავიქნიე ხელი და ვთქვი: ან რა აზრი აქვს, ან რა ფასი. ეს მხოლოდ უნიჭო განტვირთვა არის დაგროვილ ბოლმათა განუზომელი ტვირთის.

**თუ სხვა ხითხითებს, რომ ხელთ აქვს ძალა და ფული —
ვარ ბედნიერი, რომ ცრემლებით მაქვს სავსე სული.**

— აცხადებდა ლეო ჭეიშვილი, რომელსაც თავის პროფესიად არასოდეს აღუქვია შემოქმედებითი მოღვაწეობა. იქნებ ამის გამოც იდგა დიდხანს ჩრდილქვეშ.

საერთოდ, პოლიტიკურ ემიგრანტთა შემოქმედება იმთავითვე ფართოდ შუქდებოდა პარიზში გამოშვებულ ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე, რომლის XVIII, XIX, XX ნომრებშიც გამოქვეყნებული იყო ლ. ჭეიშვილის ლექსებიც.

**მიყვარს სოფელი შელამებისას —
მიდამოს ბინდი მოეფინება,
მთვარე გადმოღვრის ვერცხლის ნაკადებს, —
დალილ ბუნებას მიეძინება.**

ან კიდევ

**ოდეს შეჩერდეს ძგერა ამ გულის,
მაშინ ცამ მედგრად დაიგრილოს,
რომ ამცნოს წასვლა სულით ეულის,
წვიმამ ცრემლებით გამომიტიროს.**

ჭაბუკობიდან ბუნებით რომანტიკოსი ლეო ქვიშვილი აღნიშნავდა: „წარამარა ვიმეორებდი ჩემი სათაყვანებელი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის მუსიკას, რაც უცხოეთში ვარ.

**ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის
ნუ დამიტეხოს სატრფომ გულისა,
ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის.**

ეს მიყვარდა და ეს შეიქმნა ჩემი ბედი“ **15.3.73 ლომას-დე-სამორა.**

ლ. ქვიშვილისთანა სულის პიროვნებას, ფიქრის კაცს უპირისპირდება ემიგრანტის მძიმე და რთული ცხოვრების გზა – სავალი, ბნელი და მღვრიე ყოფიერება, რომლისგანაც თავის დაღწევა, სიცოცხლისაკენ მობრუნება, ბედისწერასთან ამბოხს უდრიდა და ბარათაშვილის ბოროტი სულისაგან გათავისუფლებას ნიშნავდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებას მიუძღვნა ლეო ქვიშვილმა ლექსი „უიმედო ცრემლები“, რომელშიც იგი პოეტს ყოფიერების არარაობასა და ამაოებაზე ეკამათებოდა:

**დიდო ქართველო წავიდა ის დრო,
როცა იმედი კიდევ სუფევდა,
როცა შენს გულში, აკვნესებულში
მომავლის ცეცხლი მაინც ღვივოდა!..**

...
**„სული ობოლი“ დარჩა მარტოკა,
დიდ სამყაროში არარად ქმნილი —
რის მაქნისია თვით ეს სამყარო,
ან რისთვისა ვართ ჩვენ გაჩენილი?!**

სინამდვილით მოგვრილი მელანქოლია და დეპრესიის პოეტიზება ლეო ქვიშვილის სულსა და პოეტურ სტრიქონებში გვიან გამოვლინდა, ალბათ მაშინ, როდესაც დარწმუნდა, რომ ოცნებად ქცეულ სამშობლოს ხილვას ვეღარ მოესწრებოდა, რაც ნათლადა გამოხატული მის ლექსში „განშორებისას“, რომელიც აშურნალ „კავკასიონის“ XIII ნომერში დაიბეჭდა.

**მძიმე ფიქრებში გახვეული მწუხარე გულით,
დავდივარ სოფლად, თავდახრილი, მარტოდ, უმიზნოდ,
ჩემთვის დასრულდა ან ზღაპარი ოდეს ნათხრობი
და ვუცდი ჩემს დღეს განკითხვისას, ჩუმათ, უსიტყვოდ.**

ამჟამად, რომ ლეო ქვიშვილს ეპოქის დრამატიზმი საკუთარ ტრაგედიად უქონდა აღქმული, რადგან იგი სამყაროს ჭვრეტდა არა თავისთავად არსებულს, არამედ როგორც სულის სიღრმეში მოქცეულს.

**როგორ დავწყევლო დღე გაჩენის – სინათლის ხილვა?
როგორ დავწყევლო გზა ცხოვრების ჩემგან გავლილი?
მაგრამ თუ მკვდარსაც არ მელირსოს მშობელი მინა,
ჩემი გაჩენა, ჩემი ბედი იყოს წყველილი!**

ეს სტრიქონები ერთგვარი გამოძახილია ემიგრანტი პოეტის სიმონ ბერეჟიანის ერთი ლექსისა, რომელიც დიდხანს საქართველოში ნოე ჟორდანიას დანერილად და მისი საფლავის ქვის ეპიტაფიად მიიჩნეოდა.

**ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი,
ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო.
თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი,
დე, მტვრად ქცეული დამენახოს მთელი სამყარო!**

საერთოდ, ლეო ქვიშვილის პოეზიაში ნაკლებად ვლინდება ბედისწერის წინააღმდეგ გაბრძოლების განწყობილება. თავისი ადამიანური ბუნებით იგი უფრო ბედს შერიგებული პიროვნებაა და არა მუდამ მუდამ დეპრესიაში იყო და ხსნას არსაიდან ელოდებოდა.

ამ პოეზიაში განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მიძღვნილი ხასიათის ლექსები, რომელთა უპირველესი ადრესატები არიან ის ადამიანები, რომლებთანაც პიროვნული სიახლოვე აკავშირებდა. მათ შორის პირველ რიგშია მშობელი დედის სატება.

ნოსტალგიის დაუძლეველი გრძნობები, უცხოობაში გადახვეწილისა და სამშობლოს სამუდამოდ დაშორებული ემიგრანტის განცდებია გადმოცემული ლექსში „დედას“.

„ვუძღვნი ჩემს დედას მარიაშ (შვიდი შვილის დედას)
ჩემს გულის მეგობარს ტურფას (ხუთი შვილის დედას)
და ყველა დედას განურჩევლად რასისა და ეროვნებისა.

**დედაო ჩვენო! უსაყვარლესო, ყოველი არსის!
დედაო ჩვენო! ჩვენთვის ტანჯულო და შინაარსო
ამ წუთისოფლის!
შენი ტკივილი აბა ვის ესმის? აბა! ვის ესმის
მწუხრი მაგ გულის?
გაჩენის დღიდან შვილზედ ფიქრებში განანამების და
დაქანცულის.**

სამშობლოში დატოვებული მოხუცი დედის უსაშველო მონატრებას გულისშემძვრელად გამოხატავდა ლექსის ბოლო სტრიქონები:

**შენს სახელს დედა თან დავატარებ,
როგორც ხატებას ჩემს სიკვდილამდე,
კურთხეულ იყოს სახელი „დედა“,
უკუნიითიდან უკუნისამდე.**

მსოფლიო ლიტერატურაში დედა ყოველთვის იყო პოეტური მუზის შთაგონების წყარო, რადგან ამქვეყნად დედის სიყვარულზე უფრო წმინდა და უანგარო არაფერია.

„დედის დღეს“ მიუძღვნა ლეო ქვიშვილმა თავისუფალი თარგმანი Detlev lilienkzon-დან ლექსი „და მე კი ისე შორს ვიყავ შენგან“.

**და კიდევ ერთხელ გამაღვიძა მძიმე სიზმარმა,
შავი ვარდები გარს ეხვივნენ სარეცელს ჩემსას.
უსიტყვოდ იწექ. გარს გეხვივნენ შენი შვილები —
იღვროდა ცრემლი და კარ-მიდამო დაეპყრო კვნესას.**

„ტკბილო, საყვარელო დაო ეთერ! როდესაც ამ სიტყვებს ვთარგმნიდი თუ რას განვიცდიდი ეს შენთვის ნათელია. გთხოვ, როდესაც შინ წახვალ, თითო ვარდს აკოცე და მიუტანე ჩვენს დედას და მამას. ჩუმად უთხარი: შენი უღირსი შვილისაგან სალაში, რომელიც 45 წელია მხოლოდ ტკივილსა და ცრემლში ატარებს მის მწარე ბედს“ **25.09.72 ლომას-დე-სამორა.**

ლეო ქვიშვილს — ცნობილ მეცნიერს, პროფესორს, მრავალი შრომის ავტორს, პოეტს, მხატვარს, საზოგადო მოღვაწესა და სულით ამაღლებულ პიროვნებას — თავი მაინც „უღირს შვილად“ მიაჩნდა, რადგან იგი ყველაფერს სამშობლოს სახელით ზომადა.

„ჩემი ცხოვრება სხვისთვის უგემურად ჩატარებულ შრომაში დაილია, ამიტომ აუნერვლია ჩემი წამება. თქვენ ზიხართ თქვენს ბუდეში და გათბობთ საქართველოს მზე. მე კი, ბუდიდან ამოვარდნილი მოკლებული ვარ ყოველივეს.“

მიძღვნითი ხასიათის ლექსებიდან, ასევე საინტერესოა, მისი სიყრმის შვილის ნინოს დაბადების დღისათვის დაწერილი ლექსი:

**თებერვალია, მზე აფრქვევს სხივებს,
ლაჟვარდოვან და უსაზღვრო ცაში,
ჰაერში ფრინავს მწვანე პეპელა,
ვით მონყეტილი ფოთოლი ქარში...**

მთელი ემიგრაციის მანძილზე სიკვდილამდე პაპავა-ჭეიშ-ვილების ოჯახის მეგობარი იყო დიდი მეცნიერი, შემოქმედი და საზოგადო მოღვაწე ვიკტორ ნოზაძე, რომელიც მათთან ბუენოს-აირესში რამდენიმე წელი ცხოვრობდა. სწორედ, ძვირფას მეგობარს მიუძღვნა ლეო ჭეიშვილმა ლექსი „ჩვენს ვიკტორს (ჩვენი ოჯახის მეგობარს),“ რომელშიც ემიგრანტთა ცხოვრებისეული განცდებია ასახული:

**ეს! ვინ იცის, როდის ძგერა შეწყდება
გულის, დარდით და სიმწუხრით დაღლილის,
დამთავრდება ტანჯვა გულის ტკივილის
დაისვენებ მარადიულ სიმშვიდით.**

მშობლიურ ბუდესა და ტოლ მეგობრებთან განშორების მწვავე განცდები უდიდესი ტკივილითაა გაჟღერებული ლექსში „საყვედური“.

**ტოტზე შემოჯდა ჩიტი ბელურა
და ჭიკჭიკს მოყვა მწარე გოდებით,
რად დაგვივიწყე?! — მისაყვედურა
ამდენი ხანი მოგელოდებით.**

ლეო ჭეიშვილს სევდიან რაინდსა და გულდათუთქულ მამულიშვილს უკუღმართმა ბედმა მარტო სამშობლოს დაშორება როდი აკმარა. 1975 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა მისი ნაბოლარა ქალიშვილი მაყვალა ჭეიშვილი.

გულდაკოდილი მამის დიდი ადამიანური ტკივილები და განცდებია გამოხატული მიძღვნითი ხასიათის ლექსში „მაყვალა“:

**ოხ! ნეტავ, ნეტავ არ იყოს” დარდი
გადიშლებოდეს ია და ვარდი,
სიზმრად განახავდე შვილო მაყვალა,
ბედმა, უბედომ არ დაგაცალა,
ჯერ გაუშლელი დაგაჭკნო ვარდი,
და დაგვიტოვა მწუხრი და დარდი...**

პოეზიასთან ერთად დაგვიტოვა უამრავი გრაფიკული ნამუშევარი და მხატვრული ტილოები. მისი დასურათებულია სამხრეთ ამერიკაში გამოსული აკაკი პაპავას ყველა ნიგნი, რომლის შესახებაც გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავდა: „მივიღე თქვენი თხზულება „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“. გმადლობთ! მივიღე თანვე შენი ნიგნი, აკაკი: „უცხო ჭიშკართან“ გმადლობთ! (გადაეცი ლეოს: ყდა პირველისა კარგია, ყდა მეორესი შესანიშნავი, დიდი ოსტატობა გამოუჩინია.)“. სამშობლოსათვის ჯვარცმულმა მამულიშვილმა ჯერ კიდევ 1962 წლის 20 ივლისს დაწერა თავისი ანდერძი:

**დადგა დღე ჩვენი განშორებისა,
აქვითინებულს სიტყვა მიწყდება.
გთხოვთ მოიგონოთ სახელი ჩემი —
იმედი მაქვს არ დაგავიწყდებთ?!**

**მინდა შენ განდო, რაც დავიბადე,
მსურს იქ ვიძინო უკანასკნელად,
გთხოვთ, მოაყაროთ ჩემს მშობელ მინას,
სხეული ჩემი, ქცეული ფერფლად!**

დამონმებული ფრაგმენტიდან ჩანს, რომ მშობლიური ადგილების გაცოცხლება მასში რომანტიკულ განწყობილებათა გარდა, აღძრავდა ყრმობისდროინდელ მოგონებებსაც. რაც, მის სევდით დაღლილ გულს სიმშვიდით ავსებდა. და ამიტომაც იყო, რომ რომანტიკულად განწყობილი ლ. ჭეიშვილი აბოზორებულ გრძნობათა სავანედ და სევდა—ნალექის განსაქარვებლად სიმშვიდეს მხოლოდ და მხოლოდ ბუნების ნიაღში პოულობდა, მას და ბუნებას თითქოს საერთო ენაც ჰქონდათ გამონახული.

ამ მხრივ, ჩვენი ყურადღების არეალში მოექცა ლექსი „ფიქრი შებინდებისას“:

**ოდეს შეჩერდეს ძგერა ამ გულის,
მაშინ ცამ მედგრად დაიგრილოს,
რომ ამცნოს წასვლა სულით ეულის,
წვიმამ ცრემლებით გამომიტიროს.
მაშინ დაბერავს ნიავი ჩემთვის,
საყვარელ ფოთლებს ამიმეტყველებს,
ჩუმი ზუზუნით „მშვიდობას“ მეტყვის
და უკანასკნელ „ნანას“ მიმღერებს.**

შემოქმედ მამულიშვილს ღრმად სწამდა და სჯეროდა, რომ სადღაც შორს გადაკარგულისათვის, სულით ობოლისა და მიუსაფარისათვის იმქვეყნად წასვლის ჟამს მხოლოდ ბუნება იქნებოდა მისთვის თანამგრძნობი და დამტირებელი.

ამავე ლექსში პოეტისათვის თითქოს რაღაც საბოლოოდ დამთავრდა, მაგრამ სიმარტოვის სევდა, მოგონებებში მაინც განაგრძობდა ცხოვრებას და გარემოს მწვანე ფოთოლივით იდუმალი ტრფობით ეფინებოდა.

**შენ ველარა სცნობ მშობელ ბუნებას!
შენ აღარ გესმის მისი ჰანგები.
შენ უღალატე სოფლის მშვენებას
და ვით „ადამი“ დაიარები.**

ძნელია, სამშობლოს გარეშე ცხოვრება, ბრძოლა და მით უფრო სიკვდილი, სხვისი საქმისათვის ქართული სისხლის გაწირვა.

1990 წლის 1 ნოემბერს პარიზული ჟურნალის „გუშაგი“ 23-ე ნომერში ეწერა: „წელს 1 ნოემბერს ღრმად მოხუცებული, ლომას-დე-სამორაში (ბუენოს-აირესის პროვინცია, არგენტინა) გარდაიცვალა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი ლეონიდე (ლეო) ჭეიშვილი. ადგილზე დაიკრძალა დროებით და ანდერძის მიხედვით გადასვენდება სამშობლოში“.

**მუდამ მიყვარდით და მეყვარებით!
თქვენ განაცვალეთ ამ გულის ძგერას!
ცრემლმორეული ჩამოვკრავ სიმებს,
და გიმღერთ ჩემი „გედის სიმღერას“.**

მართალია, ლეო ჭეიშვილის ლექსები ქართული პოეზიის ნიმუშებს არ წარმოადგენენ, ალაგ-ალაგ სუსტი ადგილებიც არის, მაგრამ მისი ეს ნაკლებოვანებები იფარება აზრის სიღრმით, განცდების სიჭარბით, სისადავით, უბრალოებით, გულწრფელობითა და ბუნებრიობით, რითაც ახალი და ორიგინალური შტრიხებით ავსებს თანამედროვე ქართული მწერლობის უმდიდრეს საგანძურს.

და როგორც კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: „პიროვნება ისე ქრება, როგორც ქვიშაზე გადავლილი ქარის ნაკვალევი, რჩება მხოლოდ შემოქმედება“.

ლეო ჭეიშვილმა მეცნიერულ და მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად სამშობლოს დაუტოვა გენისმიერი უკვდავებაც: შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები, რითაც მარადისობისაკენ მიმავალი უკვდავი კვალი აღბეჭდა.

2013 წლის 20 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. ის მოიცავდა უცხოურ და ქართულ პროგრამებს. უცხოური პროგრამა ორ ნაწილად იყო დაყოფილი: 1. აღიარებული და 2. ახალი სპექტაკლები. თბილისის საერთაშორისო ფესტივალის დევიზი იყო: „რეალობის ნატიფი გრძნობით“.

თბილისის მეხუთე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის პროგრამა ზუსტად გათვლილი, თემატურად შერჩეული სპექტაკლებით იყო განპირობებული, სადაც წარმოდგენები ტემპო-რიტმის მიხედვით ენაცვლებოდა ერთმანეთს: მშვიდი და განონსწორებული, ფილოსოფიური „მთვარის უხილავი მხარე“, თავაშვებული „მაკბეტი“, „გოდოს მოლოდინის“ ჩუმი კვილი, „გულივერის მოგზაურობის“ წრეგადასული სისასტიკე, „დაკარგულის“ ცეცხლოვანი ტემპერამენტი, „ბრძოლის შემდეგ“ დამყარებული სიმშვიდის მოზაიკური ეფექტი, „ძმები კარამაზოვების“ შინაგანი, ნამლექავი ემოცია და. ა. შ.

ფესტივალის ორგანიზატორთა მიერ მოწოდებული ყოველ საღამოს სიახლეს ელოდი, დროს არ ფლანგავდი, პერსონაჟების ტკივილს შეიგრძნობდი, მათ სიხარულს, აღმაფრენას, მარცხს, განხიზვლას, ღმერთთან კამათს და უღმერთობას, მოყვასის სიყვარულს და მის მიმართ სიძულვილს, სისასტიკეს და მოთმინებას. ადამიანთა განცდებით შექმნილი სცენური ატმოსფერო მაყურებელთან ცოცხალ კონტაქტს ამყარებდა, ტექსტი სხვადასხვა ენაზე მოედინებოდა მაყურებელთა დარბაზში და გრძნობდი, რომ შენც სამყაროს ნაწილი ხარ, რომ „ისინიც“ იქ, შორეულ და ჩვეულებრივი ქართველი მოკვდავისათვის მიუწვდომელ ქვეყნებში, იმგვარადვე განიცდიან ტკივილსა თუ სიხარულს, როგორც ჩვენ. ისინიც ეძებენ პასუხს კითხვაზე: რისთვის მოვედით ამ ქვეყანაზე, რა გვინდა და სად მივდივართ?

მანანა ტურიაშვილი

ეს სანუკვარი უნონადობა

ფესტივალის პროგრამაში წერია: „EX MACHINA არის მულტიმედია-პროდუქციის დასი, რომელიც მსახიობებს, მწერლებს, დამდგმელ რეჟისორებს, ტექნიკურ პერსონალს, ოპერის მომღერლებს, თოჯინების თეატრის მსახიობებს, კომპიუტერული გრაფიკის დიზაინერებს, ვიდეოარტისტებს და მუსიკოსებს აერთიანებს.“

ბოლო მონაცემებით, EX MACHINA-ს ხელმძღვანელის, რეჟისორის, მსახიობისა და დრამატურგის რობერ ლეპაჟის სპექტაკლი „მთვარის უხილავი მხარე“ მსოფლიოს 50 ქალაქში უჩვენეს. თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, რომ სცენურ ფიციარნაგზე მხოლოდ ერთი ადამიანი თამაშობს, მაშინ ამ წარმოდგენას მონოსპექტაკლი უნდა ვუწოდოთ. წარმოდგენის ნახვის შემდეგ რწმუნდები, რომ რეჟისორმა ჩანაფიქრის განსახორციელებლად ერთი მსახიობი პრინციპულად აირჩია, რათა გამოეკვეთა მთავარი გმირის — ფილიპის — მარტოობის თემა და მისი მოტივაცია — მოშორდეს დედამინაზე არსებულ რეალობას, „ჩამოიშოროს“ ფიზიკური ტვირთი და გახდეს უნონადი. ლეპაჟი თვითვე ასახიერებდა ამ როლს, მაგრამ თბილისში კანადელმა მსახიობმა ივ ჟაკმა ითამაშა. სპექტაკლის დადგმიდან რამდენიმე წლის შემდეგ ლაპაჟი ამ თემას კინემატოგრაფის საშუალებით დაუბრუნდა და, როგორც თვითონ ამბობს, ტექსტი კიდევ უფრო მეტად დახვეწა, შეავსო. თუმც უნდა აღინიშნოს, რომ სპექტაკლი უფრო დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს ვიდრე ფილმი. წარმოდგენაში აქტიურად იყენებენ ვიდეო-ჩანართებს, რომელთაც დაფუძნებულია კოსმოსური კვლევების საარქივო მასალებზე.

მთავარი გმირი — ფილიპი — ბავშვობიდან ოცნებობს კოსმონავტობაზე, გატაცებულია ამ იდეით. წერს დისერტაციას, რომელსაც ვერ და ვერ იცავს — სამეცნიერო საბჭო უარით ისტუმრებს. „სოიუზ-აპოლონის“, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთვარეზე შემდგარი მეგობრობა სპექტაკლში სიმბოლურად აღიქმება. მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური ამბები ხომ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაზეა აგებული.

სპექტაკლი და ფილმიც იწყება მთხრობელის ტექსტით, რომელიც მაყურებელზე გამოგონებლად მოქმედებს: ეს სპექტაკლი მეცნიერებასა და კოსმონავტიკაზეა?.. რას გვიამბობს სპექტაკლის შესავალი: ტელესკოპის გამოგონებამდე ადამიანს მიაჩნდა, რომ მთვარე უზარმაზარი სარკეა, ხოლო მის ზედაპირზე ასახული ლაქები — დედამიწის მთებისა და ოკეანეების ანარეკლი. მთვარის სინჯების აღების შემდეგ დედამი-

წელთათვის ცნობილი გახდა მთვარის უხილავი მხარე, რომელიც დასერილია მეტეორიტული წვიმებითა და კოსმოსური ნარჩენებით. სწორედ ამის გამო მეცნიერებმა მას მთვარის მახინჯი მხარე უწოდეს. მთვარის მეორე მხარის კრატერებს დაარქვეს საბჭოთა კოსმონავტებისა და დიდი რუსი მწერლების სახელები. პირველ კრატერს მეცნიერისა და გამომგონებლის — კონსტანტინე ციოლკოვსკის — სახელი უწოდეს.

მოქმედ გმირს, ფილიპს დედა უკვდება. ეს ვერ აგვარებს ფილიპისა და მისი ძმის — ანდრეს — შორის ბავშვობიდან წარმოშობილ კონფლიქტს, რაც გარდაცვლილი დედის გაუნელებელი ნუხილის მიზეზი იყო. ოჯახური განხეთქილება, რომელიც ძირითადად ძმების შეუთავსებელ პიროვნებათა არსში მდგომარეობდა, საბედისწეროდ გარდაცვლილი დედის გამო არ იცვლება. ანდრე წარმატებულია, ფილიპი — რიგითი, გაჭირვებული ადამიანი, რომელსაც არა აქვს მუდმივი სამუშაო. ის არც ძმასავით შეძლებულია, არც საკრედიტო ბარათი აქვს, არც მეგობარი ქალი ჰყავს — ისიც კი არ ახსოვს, როდის დაშორდა მას. ფილიპი გარე სამყაროს ძირითადად ტელეფონით უკავშირდება და სპექტაკლში ეს სატელეფონო დიალოგი ისეა აწყობილი, რომ მხოლოდ ფილიპის პასუხებიდან ხვდებით უჩინარი მოსაუბრის პიროვნებას. ძმები ძალიან გვანან ერთმანეთს. ანდრე არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მამაკაცია და, თუ ვიგულისხმებთ, რომ მთვარე დედამიწას აირეკლავს, მაშინ შეიძლება პარალელიც მოვნახოთ ფილიპისა და ანდრეს უცნაურ მსგავსებაში. ანდრე თითქოს ფილიპის მეორე მხარეა და ძმების განხეთქილება უფრო ფილიპის კონფლიქტს ჰგავს საკუთარ თავთან. სარკის მიერ არეკლილი ადამიანი რეჟისორის კვლევის საგანია. ფილიპი ოცნებას აიხდენს და ჩადის მოსკოვში — კონფერენციაზე, სადაც უნდა წაიკითხოს თეორია — ნარცისიზმის შესახებ. მისი თეორიის მიხედვით მე-20 საუკუნის კოსმოსური კვლევები ძირითადად მოტივირებული იყო ნარცისიზმით. ფილმში მოსკოვში მეცნიერი პასუხობს, რომ ეთანხმება მის აზრს, რომ ადამიანმა სარკე გამოიგონა იმისათვის, თავისი თავისათვის შეეხედა, მაგრამ ეს ნარცისიზმით არ ყოფილა განპირობებული, მას სურდა საკუთარი თავის შეცნობა. მოსკოვში ფილიპმა მიიღო პასუხი, რომ მხოლოდ ადამიანის შეცნობის სურვილით დაიბადა მეცნიერება, ხელოვნება, რომელიც გვიჩვენებს ჩვენ ნათელ და ბნელ მხარეებს; ფიზიკურ ტკივილებს, სულიერ ჭრილობებს.

ფილიპი მთელი ცხოვრება ემზადებოდა კოსმონავტთან პირისპირ სალაპარაკოდ, მაგრამ ეს ოცნებაც არ აუსრულდება. საბჭოთა კოსმონავტ ალექსეი ლეონოვთან შეხვედრა არ შედგება. რობერ ლეპაჟი ავითარებს რუსი კოსმონავტის ორი პროფესიის — მხატვრისა და კოსმონავტის — ერთობლიობის საკითხს, რომელიც ფილმში აქტიურდება. მისი აზრით: მხატვარი და კოსმონავტი ხასიათდება ცოდნისმოყვარეობითა და ჯერ კიდევ განუცდელ თავგადასავალთა ძიებით. წარმოდგენის ტექსტში კარგად ჩანს რეჟისორის ძიების გზები: ის შეიმეცნებს საკუთარ თავს, ახალი თავგადასავლის

ძიებაში დგამს სპექტაკლს, მოქმედებს მაყურებლის გონებასა და შემდეგ უკვე მის ემოციაზე. დიახ, სწორედ ამ გზას გაივლის კანადელი ხელოვანის გზავნილი, სადაც უწონადობის შეგრძნება, ადამიანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან, გაუცნობიერებელ მიზნადაა მიჩნეული.

სპექტაკლში აქტიურად ჟღერს დედისა და შვილის თემა, უნაზესი სიყვარულით მომწუსხავი, რომელიც არ საჭიროებს ფროიდისტულ ნიაღვრებს. ივ ჟაკს კარადიდან გამოაქვს ცისფერი, ელეგანტური და დახვეწილი მალაქუსლიანი ფეხსაცმელი. მაყურებელი უკვე ხვდება, რომ ფეხსაცმლის პატრონს გემოვნებაც ექნებოდა და ლამაზი ფეხებიც. თუმცა დედის ავადმყოფობა ისე ვითარდება, რომ მას ფეხს აჭრიან. რეჟისორისათვის ინფორმაცია კი არ არის მთავარი, არამედ ის ფეხსაცმელი, რომელიც ასე ტრაგიკულად ხშიანება დედის ფეხებზე ახალგაზრდობისას. ჩვენს მიერ თქმული მსახიობ ივ ჟაკის დახვეწილი, შინაგანად განპირობებული, ასკეტურ მოქმედებებში იბადება. ამ დროს მაყურებელი, მშვიდი და განონასწორებული რიტმით, ფილიპის მონათხრობზე საკუთარ მონოლოგს აყალიბებს და მესხიერების ყულაბიდან თავისი განცდლივ ამოაქვს. რეჟისორი თითქოს ზუსტ ამოცანას აძლევს მაყურებელს და იმპროვიზაციის მუხტს ანიჭებს. ტანმალალი, ქალის საბურავით თავდამშვენებული ივ ჟაკი ოდნავ-ოდნავ ფეხებს ჩაკეცავს, რათა კოსმონავტის ფორმაში ჩაცმულ შვილს — თოჯინას ნონასწორობა შეუნარჩუნოს და ამ ძუნწი მოძრაობით ჩვენ თვალწინ უნატიფესი, დედა-შვილური სიყვარულის ეპიზოდი იბადება. ამგვარი ეპიზოდებით ხომ საესეა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება. სპექტაკლის მსვლელობისას დარბაზში სამარისებური სიჩუმე იდგა, მაგრამ ეს არ ყოფილა შემანუხებელი სიჩუმე, როცა ფიქრობ: აი, როდის გავა ეს 2 საათი და შინ წავალ. ეს სიჩუმე იყო გააზრების, შინაგანი მონოლოგის, რეჟისორის მიგნებებით გაოცებული მაყურებლის მდუმარება... ჩვენ, დარბაზში მსხდომნი ლეპაჟის გმირივით მარტონი ვიყავით და ველოდებოდით მიაღწევდა თუ არა ფილიპი უწონადობას, გაფრინდებოდა თუ არა ახალ ცნობიერებასთან შესახვედრად კოსმოსში, თუ ეს ყველაფერი, მის მიერ განვლილი ცხოვრება, მხოლოდ მიუზნებლობისაკენ სწრაფვით დაუძღურებული ადამიანის უშედეგო მიზანი იყო.

ლეპაჟი სცენის სივრცეს ორად ჰყოფს. დეკორაცია — კოსმოსური ხომალდის მსგავსად — მხოლოდ აუცილებელ სათავსოებს მოიცავს, რომელიც საჭიროებისამებრ ავტომატურად იხურება და იხსნება. როცა ფილიპი მოსკოვის საკონფერენციო დარბაზშია, დეკორაციის გარკვეული ნაწილის ჩაკეტილი სივრცე იხსნება და მხოლოდ მწკრივად ჩალაგებული ნითელი სკამები ჩანს, რაც უკვე რუსეთს მიანიშნებს. როცა მოგრობ ნიშა იხსნება და მთავარ გმირს დედის ცისფერი ფეხსაცმელები გამოაქვს, ხვდება რომ ნიშის ცარიელი სივრცე კარადაა. თავდაპირველად ფიქრობ: იქნებ და რუსთაველის თეატრის სცენა „უბრალოდ“ პრესტიჟულობის გამო დაიკავეს, ან თბილისის თეატრების სხვა სივრცე თავისუფალი არ იყო და ამის გამო ვერ შეძლეს პატარა სცენაზე თამაში. მაგრამ, სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, ამ დეკორაციის მიღმა დავინახეთ სხვადასხვა სახის აპარატურა, მსხვილი, ერთმანეთში გადახლართული სადენები, კომპიუტერები. დეკორაციას მართავდა 20-მდე კაცი. და იქ მივხვდი, რომ ამ მონოსპექტაკლს ზურგს უმაგრებდა სცენის ხელოსანთა არმია. ერთი მსახიობის სათამაშოდ ამდენი ადამიანის დახმარება მართლაც არმიად მოგეჩვენებოდათ. ვინაიდან ნებისმიერი დოკუმენტური კადრის გაშვება, დეკორაციაში ნებისმიერი ცვლილება, სარეცხი მანქანის ილუმინატორის ტრიალიც, წამის სიზუსტით იყო გათვლილი და დათვლილი.

სპექტაკლსა და ფილმშიც იდუმალ სიმბოლოდ იკვეთება აკვარიუმი, რომლის მრგვალი ფორმა ილუმინატორს ჰგავს, მასში ოქროს თევზი დაცურავს. ეს ოქროს თევზი ერთადერთი სულიერი არსებაა, რომელიც დედისაგან დარჩათ, ამ ოქ-

როს თევზმა თითქოს დედის სურვილი უნდა აასრულოს და ერთმანეთთან მისასვლელი გზები აპოვნინოს ძმებს. გასაოცარი და სასაცილო მოგვეჩვენა, როცა გავიგეთ, რომ დედამ ამ თევზს დაარქვა ბეთშოვენი. ლეპაჟის ამავე სახელწოდების ფილმში კამერა მსხვილი ხედით აღბეჭდავს აკვარიუმში ჩაყრილ სხვადასხვა ფერის ქვებს, რომელიც კოსმოსურ ნამსხვრევს მიაგავს და ცხოვრების მრავალფეროვნების განცდას მიგანიშნებთ. ოქროს თევზი, რუსული ზღაპრის მიხედვით, სამ სურვილს ასრულებს. მთელი ცხოვრების მანძილზე, ფილიპს არც ერთი სურვილი არ ასრულებია და როცა თევზი უამინდობით გამოწვეული სიცივის გამო გაიყინება და ანდრე ამშვიდებს ძმას, რომელიც ტელეფონის მეორე მხარეს მკვდარი დუმილით განიცდის დედის მიერ დატოვებული ერთადერთი სულიერის დაკარგვას, უცებ ცხოვრება სიურპრიზს უმზადებს და სასონარკვეთის წუთებში იგებს, რომ კონკურსში გაიმარჯვა და კოსმოსში აგზავნიან. ოქროს თევზის სიკვდილით, ანუ დედასთან დამაკავშირებელი ბოლო ძაფის გაწყვეტით, ფილიპს უსრულდება ცხოვრების ერთადერთი ნატვრა — შეიგრძნოს უწონადობა და გაფრინდეს კოსმოსში.

ლეპაჟი მაყურებელს უჩვენებს ბოლო, ფინალურ სცენას და ხვდება, რომ მთელი სპექტაკლი ემზადებოდა ამ ეპიზოდის შესასრულებლად. მოსკოვში ფილიპი კოსმოსურ კვლევათა სამეცნიერო კონფერენციას ვერ დაესწრო, კანადისა და რუსეთის დროები აერიო, რადგან საათის გადაწვევა დაავიწყდა. აეროპორტში მორიგი ფიასკოთი დათრგუნული ფილიპი სატელეფონო საუბრისას ძმას ურიგდება. ისინი თმობდნენ მარადიულ კინკლაობას და უკვე ერთად ვახშობისათვის ემზადებიან. ძმასთან ანუ თავის მეორე მესთან შერიგება ფილიპს გამოსდის. ძმა, შერიგება, ვახშამი, კოსმოსში გაფრენის შანსი, ანუ ოცნების ასრულება — აი, რა ყოფილა ადამიანის უწონადობის მიზეზი. ამას გვეუბნება რობერ ლეპაჟი და მთელი დეკორაციის სიგრძე-სიგანეზე სარკეები გაიშლება. ივ ჟაკი სცენაზე წევს და იწყებს მოძრაობას, მაგრამ სარკეთა ნატყებები ისეა ერთმანეთთან დაკავშირებული, მაყურებლის თვალწინ ნამდვილი უწონადობა თამაშდება. მაყურებელი არ უყურებს სცენაზე მოძრავე მსახიობს, ის უყურებს სარკეებს, რომელიც იმგვარად ჩეხავს პერსონაჟის სხეულს, რომ სრული უწონადობის ილუზია იქმნება. უნდა გავიხსენოთ, რომ ლეპაჟის ამავე სახელწოდების ფილმში, სადაც ამ ილუზიის შექმნა ტექნიკურად უფრო მარტივია, ფილიპი უახლოვდება საბჭოთა მოსკოვის დროინდელ დიდ აფიშას, სადაც რუსი კოსმონავტები არიან გამოსახულნი. ამ უზარმაზარი ფოტოს წინ ფილიპი სკამზე ჩამოჯდება და უცებ სათვალე აინევს, მერე ფეხი „ავარდება“ ზევით, სათვალე ნელ-ნელა მალა მიფრინავს და მთავარი გმირიც თან მიჰყვება. გამოჩნდება, საბჭოთა რუსეთის დროინდელი ლოზუნგი: „BCE БЫШЕ И БЫШЕ“. უფრო მალა და მალა, ადამიანებო! მიზანდასახულ ოცნებას ოქროს თევზი ყოველთვის აგისრულებთ და თქვენ იგრძნობთ ნანატრ უწონადობას, რომელიც



რობერ ლეპაჟი



სცენა სპექტაკლიდან „მთვარის უხილავი მხარე“

ალბათ მხოლოდ სხეულიდან სულის გასვლის დროს ხდება, მაგრამ ჩვენ, ცოცხლები ამას გარდაცვალებამდე ვერ შევიგრძნობთ. სპექტაკლშიც და ფილმშიც ეს სცენა მიმდინარეობს ბეთჰოვენის „მთვარის სონატის“ ფონზე და მერეა სხედები, რატომ ჰქვია დედის ოქროს თევზს „ბეთჰოვენი“.

ლუპაჟის სპექტაკლი კოსმოსურ ხომალდს მიაგავს, რომელიც ისე ზუსტად, უშეცდომოდ და სკრუპულოზულადაა აწყობილი, რომ მისი გაფრენა გარდაუვალია. ფინალური სცენა სწორედ რეჟისორის ჩანაფიქრის გაფრენას ჰგავს გალაქტიკაში, სადაც უწონად მდგომარეობას მასყურებელიც ეზიარება.

ამ იმედია და ფანტასმაგორიული ფრენის ფონზე მთავრდება კომპანია EX MACHINA-ს სპექტაკლი, რომელიც უკვე რამდენი წელია მოგზაურობს მსოფლიოში. ლუპაჟის თეატრის ეს დასახელება ითარგმნება, როგორც „მანქანიდან გადმოსული“. სათაური აღებულია DEUS EX MACHINA-დან, რომელიც ნიშნავს „მანქანიდან გადმოსული ღმერთი“. ფილიპის სცენურ ცხოვრებას მანქანები განაგებენ. ამ სპექტაკლში ტექნიკა უჩინარი პერსონაჟია, რომელიც ილუზონისტურ ქმედებებს აკეთებს. ფილიპი კაცობრიობის განზოგადებული სახეა, რომელიც შესანიშნავად განმარტა ციოლკოვსკიმ: „დედამინა კაცობრიობის აკვანია, და არცერთ ადამიანს არ სურს მთელი ცხოვრების აკვანში გატარება“. ამიტომ გამოიგონა ადამიანმა ტექნიკა, რომ რაღაცა მანქანებით მოწყვეტოდა დედამიანს და შეეცნო საუკუნეობით მრავალი მეცნიერის საოცნებო გალაქტიკა, რომელიც გაიგივებულია ჭეშმარიტ ხელოვანთან, რომელიც ეძებს თავგადასავლებს და საკუთარი თავის შეცნობის შემდეგ სარკედ ექცევა იმ ადამიანებს, რომელთაც არ იციან, რომ თავისუფლება ჭეშმარიტად ღირებული ცნებაა.

პარს ზამთარი მომდგომია...

(ივანე ამირხანაშვილს ესაუბრაბა გიჟო ზარნაძე)

– ბატონო გიჟო, უკვე ოთხმოცს გადააბიჯეთ. როგორ უყურებთ ამ მოვლენას?

– „მოვლენა“ მომენონა დაუფარავი ირონიის გამო! ჩემისთანები გამხდარან, ჩემო ვანო, ოთხმოცის?! პარიზში სტუმრად მიწვეულ რუს მწერალს, გიორგი ზაიცევს, ჰკითხეს ერთხელ ცნობილმა რუსმა ნობელიატებმა, ბუნიჩინმა და მერეჟოვსკიმ, რამდენი წლისა ხარო. ოთხმოცდაცხრისო. მერე, შე კაცო, ნამუსი აღარააო?!

– რა იყო, თქვე კაი ხალხო, პირველად გავხდი ოთხმოცდაცხრისო!..

ხოლო, თუ სერიოზულად: დიახაც მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რაკილა ჩემნაირი სვე-ბედის კაცმა ამდენ ხანს გაძლო და მაინც არ ამბობს – ის კი აღარ მაგონდება, რატომ დავდიოდითო!

არც ახლა გამოვიდა სერიოზულად. მაშინ ასე გეტყვი: გულდაწყვეტით ვუყურებ, რადგან, რომ ჩავფიქრდები ხოლმე, უამრავი დრო მიფლანგავს უაზროდ, უყაირათოდ და, „ჩემი მატარებლისთვის“ თუ მიმისწრია, რბილი და პლაცკარტი ვაგონები ჩაკეტილი დამხვედრია და საერთოშიც ძლივს შევლწეულვარ!..

ასე რომ, ძალიანაც რომ ვცდილიყავ, ვინ მაცხოვრებდა იმ ცხოვრებით, ოთხმოცს მიღწეულს ნიშნის მოგებით მეთქვა: „ანი ცხოვრება ფეხსაც ვერ მომჭამს!..“

საბოლოოდ კი – მშვიდად ვუყურებ! არა იმიტომ, რომ ბევრი შევძელი, არა. არც არავისგან მომიპარავს ერთი ფიორიც კი და, რალა თქმა უნდა, არც ჩემგან მოუპარავთ!.. (გეხსომება, აკაკის რომ ხელი ჩაუყო ჯიბგორმა ჯიბეში!).

– კეთილი, ავტობიოგრაფიული რომანი რომ დაგენერათ, რით დაიწყებდით?

– თითქოს გაქრაო ირონია, მაგრამ სუნი მაინც მცემს. თუმცაღა, სიტყვა ზუსტად შეგიჩვეია – რომ დაგენერათო! არადა, ასე რომ გეკითხა – თუ დაენერთითო, – უმაღვე შეგაგებებდი, არ დავენრდი-მეთქი!..

ავტობიოგრაფიულ რომანებს დიდი ბიოგრაფიის მქონე მწერლები წერენ. (ბუნებრივია „დიდი“ „მნიშვნელოვანის“ წილ ვიხმარე!). ხაზს ვუსვამ, ავტობიოგრაფიულ რომანს მწერალი წერს, ხოლო დიდი მეცნიერები, პოლიტიკური მოღვაწენი და ა.შ. შემუარებს წერენ!..

ხოლო, თუ პირისახეზე ხელს ავიფარებდი და მაინც გავრისკავდი, დავიწყებდი იმით – თუ როდის და სად დავბადებულვარ (ძალიან მომწონს აკაკის უზუსტესი „დავბადებულვარ“. „აი, ამ სახლში დავბადებულვარ მე 9 ივნისს, განთიადისას, 1840-ში“.

ჰოდა, ასე: დავბადებულვარ 1932 წლის აღდგომის სამშაბათს, 3 მაისს, შებინდებისას, იმერეთის უმშვენიერეს სოფელ ჩხარში, ღარიბი კოლნეერის ოჯახში.

ჩხარი ჩემი სხვიტორია, ჩხარა-ლელე – ჩემი ჩიხურა!..

ჩხარა-ლელეში რომ ბავშვობისას, საჩხრეკი ბადით პანანინა ლომობა თუ ვენახა თევზებს დავიჭერდი, მარილს ნავაფცქვევდი, მერე ნიგეზის ფოთლებში საგულდაგულოდ შევახვევდი, ნალვერდალში ამოვთუთქავდი და თავის ფხებიანა შევახრამუნებდი, – იფ, იფ, იფ!..

თერჯოლის რაიონს უწინ ჩხარის რაიონი ერქვა და ცენტრიც ჩხარში იყო, მაგრამ 40-იანი წლების მინურულს თერჯოლელი კაცი დაგვისვეს პირველ მდივნად, ორ წელიწადში ცენტრი თერჯოლაში გადაიტანა და თერჯოლის რაიონიც „გაიჩითა!“

სხვათა შორის, ჩხარი ზოგჯერ საჩხრეკეში ერევათ.

ერთხელ მეგობარმა მწერალმა, ცნობილმა პოეტმა და პროზაიკოსმა, კარლო კობერიძემ, მშობლიურ შაშიანში მიმინვია.

ჩინებული კახური სუფრაა გაშლილი. რა თქმა უნდა, მეზობლებიც მოიპატიჟა და ვეჭიდავებით მადლიან რქანითელს.

მეზობლების სადღეგრძელოა. კარლო ჩემთანაა ალავერდს. იმერულად დავიშაქრე ენა, ვაქებ და ვადიდებ ყოველივე კახურს, ენაგმეობ, ხან გოგლას ლექსს ვიშველიებ, ხან – ლადოსას.

უცრად ვილაცამ ჩაილაპარაკა – ნიქარა!

ნამოვარდა კარლო და თათხავს „მნიქარველს“: შენა, ჯო, რაებს მიჰქარავ, თუ იცი! ესა შენა ვინა გგონია! მწერალია, შე ბრიყვო, შენა! თანაც, სტუმარია!

მომაჩერდა დარცხვენილი მეზობლის ჯეული. ვერ ვხვდები, რა ხდება! ვანყნარებ კარლოს, დამშვიდდი-მეთქი.

დარცხვენილი ყრუდ მეკითხება, საიდან ბრძანდებითო. ჩხარიდან-მეთქი. თუ საჩხერიდანო! არა, საჩხერელი აკაკი იყო, წერეთელი, გიზო, გრიშა და დათიკო ჩხარელები ვართ-მეთქი. გიზოი ხო, გასაგებია, მაგრამ, ეგენები ვინლაებიო, გრიშასა და დათიკოზე მეკითხება. გრიგოლ რობაქიძე და დავით კლდიაშვილი-მეთქი.

ჩაჩუმდა საბოლოოდ.

თურმე, თუ სადღეგრძელო გაგიგრძელდა, ნიქარას ჰყვება, ზღაპარსაო! - აგიგდებენ კახურ სუფრაზე და ძალიანაც სამართლიანად!

ეს ისე, სხვათა შორის გითხარი, ანასი არ იყოს, სალაპარაკოდ კი არა.

კი, ნამდვილად მშობლიური კუთხის, სოფლის, გარემოს გახსენებით დავიწყებდი.

- როგორ მოხდა, რომ სამხედრო სამსახურს სამწერლო სარბიელი ამჯობინეთ?

- ჯერ, ალბათ, აჯობებდა ის მეთქვა - სამხედრო სამსახური რატომ ვირჩიე.

საქმე ისაა, რომ რაიონში სკოლადამთავრებული უეცრად აღმოვჩნდი დედაქალაქში. უფრო მეტიც, მარჯანიშვილის თეატრში ამიყვანეს დაუფინყარი სერგო ზაქარიასის პროტექციით სტატისტად. (ამის თაობაზე ნიგნში დანერვილებითაა საუბარი).

სულ შვიდი თუ რვა თვე დავყავი თეატრში და მალე სამხედრო-სავალდებულო სამსახურმაც მომიწია. ჯარისკაცობას ოფიცრობა ვამჯობინე და კიევის სამხედრო სასწავლებელში ჩავერიცხე, რომლის დამთავრების შემდეგ, ლეიტენანტის ჩინით გამამწესეს ქართულ ნაციონალურ დივიზიაში, რომელსაც ლეგენდარული სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი, ჭიჭიკო ჩხობაძე მეთაურობდა.

1956 წლის მარტში, ცნობილი გამოსვლებისა და ტრაგიკული 9 მარტის შემდეგ, ნიკიტა ხრუშჩოვის ბრძანებით, ექვსივე ნაციონალური დივიზია (ლიტვური, ლატვიური, ესტონური, აზერბაიჯანული, სომხური და ქართული) დაშალეს.

სწორედ ამის მერე გავემგზავრე ჯერ ტაჯიკეთს, ხოლო იქიდან - უზბეკეთში, ასე ვთქვათ, ბედის საძიებლად, რადგან 24 წლის ახალგაზრდა კაცს, არანაირი პროფესია არ გამაჩნდა (თავისუფლად შემეძლო ტანკის მართვა და, კიდევ უფრო უკეთ - ნიშანში სროლა ნებისმიერი იარაღიდან, სხვა არაფერი!)

ისედაც, როგორც „ე“ პუნქტით დემობილიზებულ ოფიცერს, დიდი სიამოვნებით კაციშვილი არ მღებულობდა სამსახურში.

საქმე ის გახლდათ, რომ 1956 წლის 9 მარტს, ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრის წინ, სტალინის უზარმაზარ ძეგლთან გამართულ მიტინგზე, ოფიცრის ფორმაში გამონყობილმა დიდ ბელადზე საკუთარი „ლექსი“ წავიკითხე.

სწორედ ამიტომაც მიბოძეს დემობილიზაციის დროს „ე“ პუნქტი ანუ „ძალის ბილეთი“.

მთელი ოთხი წელიწადი გავატარე ხეტიალ-ხეტიალში შუა აზიის რესპუბლიკებში და, ბოლოს, მაინც წამძლია სულმა, დავბრუნდი საქართველოში და 1962 წელს წარმატებით ჩავაბარე მისაღები გამოცდები უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე.

სტუდენტობისას, კერძოდ, 1965 წელს, გამოცემილ „ნაკადულის“ კონკურსში მივიღე მონაწილეობა და ჩემმა მოთხრობამ („ჩემი ყავარჯნიანი მამა“) გაიმარჯვა.

აი, ასე იოლად „გადავბარდი“ ოფიცრობიდან მწერლობაში, როგორც მაშინ, ეიფორიაში მყოფს მეგონა.

- რა მოგცათ არმიაში სამსახურმა?

- ძირითადად ის, რომ ერთხელ და სამუდამოდ ამიხილა თვალი კომუნისტურ სისტემაზე; თუ იმდროინდელი ვითარე-

ბისდა მიხედვით ვიმსჯელებთ: თურმე, მშობელ მამაზე მეტად რომ შეგაყვარეს ბელადი, სინამდვილეში, შენი უპირველესი მტერი და მტარვალი ყოფილა! ყოჩაღ მე! - როგორ არ წამსძლია ცთუნებამ და არც კომკავშირში მიკრავს თავი და არც, მით უმეტეს - პარტიაში!..

თუმცა, როდესაც სოსელოს „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“-ს ვიხსენებ, მერე ჩერჩილისეულ შეფასებას სტალინისას და, იქვე, ნიკიტას მტკიცებას, რომ რუკის ინჩინინჩი არ გაეგებოდა და თათბირებზე გლობუსს იყენებდაო, - ბოლომდე მაინც ვერ გამიმეტებია იგი!..

- თქვენ პირველმა თარგმნეთ და რამდენიმეჯერ გამოიცა გამოჩენილი რუსი პროზაიკოსის, მიხეილ ზოშჩენკოს მოთხრობების კრებული, მანამდე ზოშჩენკოს ქართულად თარგმნილი ნიგნი ქართველი მკითხველის ნიგნის თაროზე არ ჩანდა.

- შეკვეთით თარგმნეთ?

- არავითარი შეკვეთა არავისგან არ ყოფილა. ჩემით დავინტერესდი, უბრალოდ, გაკვირვებული ვიყავი იმ ფაქტით, რომ ეგზომ პოპულარული რუსი პროზაიკოსის ნიგნი ქართულად არავის ეთარგმნა! ეს მაშინ, როცა აფხაზურადაც კი იყო თარგმნილი გიორგი გულიას მიერ ზოშჩენკოს მომცრო ნიგნი.

გულახდილად გეტყვი, რომ ჩემმა თარგმანმა, უმაღლესი მიიქცია ყურადღება, ხოლო განმეორებით გამოცემული ნიგნი - „სიკვდილზე ძლიერი“ - რომელიც შესანიშნავად არის ილუსტრირებული დიმიტრი ერისთავის მიერ, ე.წ. ტალონებზე იყიდებოდა.

ბოლოს, იმასაც ვაღიარებ, რომ მწერალთა კავშირის წევრობაც ზოშჩენკოს თარგმანმა გამინაღდა.

- თქვენი თაობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი თაობა, აშკარად პოლიტიზებულია. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

- ვერ ვიქნები იმდენად კატეგორიული, უეჭველი მიზეზი რომ დავგისახელო. შემიძლია, მხოლოდ გითხრა - რა მეჩვენება ამის მიზეზად.

ძნელია იმის იოლად მესხიერებიდან ამოშანთვა, რაც სიყრმიდანვე გულს დაგმჩნევია!

ხომ სოფლად ვიზრდებოდი და აბა საიდან უნდა მცოდნოდა რუსული, მაგრამ, როდესაც ლამის ყოველდღე ჩამესმოდა მაღალ ბოძზე ჩამოკიდებული მრგვალი რადიოდან: „იდიოტ ვაინა სვიამჩენაია“ ან „ჟდი მენია, ია ვერნუს, ტოლკო ოჩენ ჟდი“ - ძალიან მსიამოვნებდა! ხოლო, თუ ქართულსაც ვაიხსენებ: „მთაწმინდიდან მონაბერი ნიაგი დედაქალაქს გულში რომ ჩახვევია“ ან „ცხრამეტი წლისა შევსრულიდი, ოცი არ გადამეხდა“ თუ „მე საფლავეში არა ვწევარ, აქ დარაჯად დამაყენეს“-ო, არათუ მაშინ, ახლაც რომ ვისმენ, პულსი მიწყნარდება, სუნთქვა მიაღვილდება და მეჩვენება, რომ წლებიც მაკლდება!..

კი ბატონო, დღეს აშკარა პრიმიტივად გაისმის - „ახ, ტრაქტორო, მე შენს გამჭედს ვენაცვალე ყელშიაო, ღარიბობა, გლეხკაცობა შენ გამართე წელშიაო“, მაგრამ, როცა მთან-



გიზო ზარნაძე

მინდიდან მონაბერ ნიავს ულოლიავებდა პოეტი, იმავე პერიოდში ალტაცებში მოვყავდით გალაკტიონის ნაკითხულ „მთაწმინდის მთვარეს“; როცა ინერებოდა აშკარად კონიუნქტურული რომანი „ერთგულება“, იმავე წლებში იქმნებოდა „მთვარის მოტაცება“ და „დიდოსტატის მარჯვენა“!

კი ბატონო, უკუვაგდეთ დესპოტი დიქტატორი სტალინი, მოგვევლინა მისი ალტერნატივა ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელმაც სიმინდი გამოაცხადა კომუნისტების ბოლო სტადიის ერთადერთ დამარქარებელ კულტურად; რომელმაც მხატვართა მანუშზე გამართულ გახმაურებულ გამოფენაზე, ერნსტ ნეიზვესტის, ამ მსოფლიო მასშტაბის შემოქმედს, ასეთი კითხვით მიმართა – „თქვენ, შემთხვევით, პედერასტი ხომ არა ხართ?“ მიმართულება ეგონა ასეთი ხუროთმოძღვრებაში!

მოვიშორეთ ხრუშჩოვი, გამოგვეჯგვიმა ლეონიდ ილიჩი. არიქა, ახლა მაინც!.. უარ და უარ ქვეყნის საქმე, პოლიტიკურადაც, ეკონომიკურადაც!

თავისით (?) მოგვმორდა ლიონია გაენაბლუებული, გამოგვეცხადა მიხაილ გორბაჩოვი. აიძღვრა ყველაფერი. აბორგადა სისტემა, დაუჩქარადა აგონია. ჩაბარდა სულთმობრძავი ფორმაცია ისტორიის! ხოლო ახალი - ბორის ნიკოლაევიჩით დაიწყო. გვეგონა, იმპერიული ხუშტურებიც ისტორიამ ჩაიბარათქო. უარ, უარ და კიდევ უფრო უარ!

დავკარგეთ ქართული მიწები, აფხაზეთი, სამაჩაბლო... ვაითუ, სამიღვმეჩიოდ!

შემოგვაჩრჩეს ნახევრადშეურაცხადი სააკაშვილი და ხომ ნახე, რაც დაგვმართა!

მითხარი გულახდილად – როგორ არ ვიყო პოლიტიზებული?! საერთოდაც, ვინც ცდილობს აპოლიტიკური იყოს, ტყუილად ცდილობს, რადგან აპოლიტიკურობაც პოლიტიკაა!..

– სამწერლო კარიერა ცუდად არ დაგინყიათ. პირველი მოთხრობისათვის – „ჩემი ყავარჯნიანი მამა“ – პრემიაც მიგიღიათ. რატომ არ განაგრძეთ პროზაში მუშაობა, ზოშჩენკოს თარგმნამ ხომ არ შეგიშალათ ხელი?

– ჯერ ერთი ის, რომ რა პრემიაც მიიღო ჩემმა კონკურსში გამარჯვებულმა მოთხრობამ. ამის თაობაზე წიგნი დეტალურადაა საუბარი!

მეორე და მთავარი, ისაა, რომ არც არასოდეს მქონია უეჭველად მწერლად გახდომის ამბიცია, რადგან ჩემი ღრმა რწმენით, მწერლად კი არ ხდებიან – იბადებიან!

ასე რომ, ალბათ, არ მიწყენ და, ვერაა ზუსტად ჩამოყალიბებული კითხვა, რადგან არავითარი მწერლური კარიერა მე არ მქონია!..

„ჩემი ყავარჯნიანი მამა“, სადღეისოდ, უკვე ანაქრონისტულ ოპუსად მეჩვენება, იმჟამინდელი იდეოლოგიით მსუყედ გაჯერებულ, ხოლო მხატვრული თვალსაზრისით, ნაკლებად შთამბეჭდავ ნაწარმოებად. იგი, ისევე როგორც უამრავი სხვისი, დროის ფეხსაყოლილი უფრო იყო... თუმცა, გასაძიძებლად მაინც არ მეშეშება.

მერწმუნო უნდა, სულაც არაა ეს გაზვიადებული თავმდაბლობა. რა თქმა უნდა, იმავე სიუჟეტს დღეს სულ სხვანაირად მოუყვებოდი მკითხველს, იქნებ, სხვანაირ ფაბულაშიც მომექცია.

დღეს ხომ იდეურობა, მალალზნობრიობა, სათნოება და მისთ; აღარაა ახალი ხილი, ძველია, რომლის გემოც, ჩემი თაობის მკითხველებსაც კი მივიწყებული აქვთ, ახალი თაობებისას კი – მძალედ ეჩვენებათ.

დღევანდელ ახალგაზრდას, თინეიჯერად რომ გადაინათლა, უკვირს – რატომაა, ვთქვათ, რევაზ ინანიშვილის „სიკვდილი მარიამ ბადაიურისა“ ბრწყინვალე მოთხრობა! თუთის ხიდან ჩამოვარდნილი მოხუცი მარიამი, ვიდრე სული ამოხდებოდეს, კაბის კალთას ძირს ექაჩება, მოშიშვლებული თეძო რომ დაიფაროს!..

„რა მიაშიტობაა, ტო, არა?!“ „მიაშიტობა კი არა, გომიობაა!“ – ასკვნის ტო.

ან ხომ არ გეუცნაურება, ვანო, დიდი ნიკო ლორთქიფანიძის ნოველის მიხედვით გადაღებულ ბრწყინვალე მოკლემეტრაჟიანი ფილმს რომ აღარ უჩვენებენ ჩვენი ტელეარხები?

ჩამოწერა დღევანდელმა შოუბაზარმა „ბებრები“, აღარ სადღება აღარც „ფასდაკლებით“!..

ვირის პიტნასავით ძალით ჩრიან დღევანდელ ბავშვებს შიო მღვიმელის „მერცხლის ჩივილს“: „ნეტავი რა დაგიშავე, ქვას რომ მესვრი ბიჭო სესე?!“

არ დაკვირვებისარ, მერცხლები რომ უფრო და უფრო იშვიათად ფრენენ ჩვენში? სანამ მოსავით ყველას შეგვეტკიოდა გული, მერცხლები სოფლად ყველა სახლის ერდოზე იშენებდნენ ბუდეებს, დღეს კი, ლამისაა, საერთოდ უარი თქვან საქართველოზე!..

უმიზეზოდ ბუნებაში არაფერი ხდება.

ერთხელ ცხონებულ შოთა ნიშნიანიძეს პოეზიაზე პრივატულ საუბარში ჩავურთე: ჩვიდმეტი წლის ვიყავი, შეყვარებულს რომ ლექსი შევუთხზე: „შენ იყავ, მე და კიდევ ბნელი ღამე... დღისით შენ აგინხსნეს იქს პლიუს იგრეკი, ღამით კი, როდესაც მშვიდ ძილს აპირებდი, მე მოველ, რომ მეთქვა შენთვის სულ სხვა რამე. დავინყე, რის ალგებრა და რის პითაგორა! – თვალემა უაზროდ დაგინყო ფახული. ო, მაშინ შენ იყავ რალაც არნახული, ოცნებამ ისარგებლა – ჩუმად გეამბორა!“

გაუკვირდა შოთას და მეკითხება, რატომ აღარ განაგრძე ლექსების წერაო! არ მინდოდა, „ისე რა პოეტი“ მრქემოდა–მეთქი! შეეტყო, მომიწონა პასუხი.

მაშინ 67 წლის ვიყავი, ახლა უკვე მეცხრე ათწლეულში შევაბიჯე, კარს ზამთარი მომდგომია და რა ღმერთი გამიწყრება, მკითხველს ბელეტრისტად წარვეუდგინო თავი!

წარმოიდგინე ასეთი პარადოქსული რამ, მესამე რომ ფეხბურთის მოყვარულთ ასე წარუდგინოს თავისი პერსონა – მესი, ფეხბურთელი! ან ჭაბუა ამირეჯიბმა – ლიტერატურისმცოდნეებს: ჭაბუა ამირეჯიბი, მწერალი!..

კი ბატონო, სანამ მწერალთა კავშირი მართლა იყო, მეც ვიყავი მწერალთა კავშირის წევრი, მაგრამ მერე რა! ერთხელ თამაზ ჭილაძემ საკმაოდ მოსწრებულად თქვა მწერალთა ყრილობაზე: რომანს წერს არა მწერალთა კავშირის წევრი, არამედ – მწერალიო! თუ ნამდვილი მწერალი ხარ, სახელი და გვარიც იკმარებს გაცნობისას!

გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: ხომ მართლა უსაშველო დოზით მოდის ერთ სულ მოსახლეზე ქართველ „მწერალთა“ რაოდენობა? აი, შენ ფრიად აღიარებული ლიტერატურის კრიტიკოსი ბრძანდები და რამდენჯერ ყოფილა – ახალთახალი, მდიდრულად გამოცემული წიგნი ხელში აგიღია, ყდაზე ავტორის სახელი და გვარი წაგიკითხავს და უმალვე მიაიკოვსკის ფრაზა გაგხსენებია: „Что за географическая новость!“

დეფინიცია – „მწერალი“ – კატასტროფული დევალაცია განიცადა საერთოდ და, ჩვენშივე მომეტებულად, ბოლო ოც წელიწადში!

კი ბატონო, სუნთქავ ლიტერატურით, რამდენიმე მოთხრობასავით ოპუსი გამოგიქვეყნებია, შიგადაშიგ, ლიტერატურული წერილებიც და, თუნდაც, პაროდები, ორიოდე უცხოელი ავტორის ლექსი თუ მოთხრობა გითარგმნია, მერე რა! ამიტომ მაინცდამაინც ცნობილი მწერლის სტატუსით უნდა წარუდგე საზოგადოებას?! ხომ არის მშვიდი ტერმინიც – ლიტერატორი! რატომაა, რომ ლიტერატორობა ვერ გიკმარია და ფელეტონსაც კი, გვარსახელის გასწვრივ, აუცილებლად მიაწერ – მწერალი! თფუი ეშმაკს, ჯვარი აქაურობას და, ვინძლო, მავანმა და მავანმა „კლასიკოსიც“ წაუმატოს!..

სირცხვილია ეს!

ასე რომ, ლიტერატორად უფრო ვთვლი თავს და, შესაძლოა, ვიფიქრო ახალი შემოქმედებით გაერთიანების ჩამოყალიბებაზე – „ლიტერატორთა კავშირი“. ვხუმრობ, რასაკვირველია!

მადლობა ყურადღებისათვის!!!

ელგუჯა თავბერიძე

ოცნების მორავი

ვივის თვალაზი

ნიკო ხიზანიშვილი ზუსტად ვერ იხსენებს იმ სტუდენტის გვარს, პეტერბურგში რომ გაცივებულიყო, ჭლექი დამართნოდა და იქიდან წამოსულ მომაკვდავს ოდესამი მიუკითხავს თანამოძმეებისათვის. ან კანდელაკი, ან მაჭავარიანი იყო, — გვეუბნება. კანდელაკთა ორი, მაჭავარიანის გვარისა, სულ მცირე, სამი მაინც სწავლობდა იმ წლებში იმპერიის დედაქალაქში, თუმცა იმის გარკვევას, თუ რა გვარისა გახლდათ ის ახალგაზრდა, ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, მერე მომხდარი ამბები საინტერესო.

ოდესური ზამთარია. თოვლით გადათეთრებულ, ყინვით გალივებულ ქუჩებში კაცის ჭაჭანება არ ჩანს. წელიწადის სხვა დროს მორუზრუზე, ხალხით გადატენილი ადგილები უკაცრიელია. დილაა. ძალიან, ძალიან თუ არავის უჭირს, გარეთ არ გამოდის, ზღვაურის ჩანყნარებას ელოდება, ზღვაურისა, ქარბორბალასავით ჰაერში რომ ატრიალებს ყინვა-თოვლის ნამცვრევებს და არაფერი ჩანს. ოდესის ძველ უბანში, გლუხოვასა და ქუჩას რომ ეძახდნენ მაშინ, ორი ახალგაზრდა მიაბიჯებს. პირველი მალაია, მხარბეჭიანი, გრძელ სახეს ფართო შუბლი და მოელვარე, ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი თვალები უფრო შთამბეჭდავს ხდის. ახალგაზრდა, მაგრამ შუა ხანს მიტანებული კაცის ნაბიჯებით მიალაჯებს, სიმყარე და შეუპოვრობა იგრძნობა სიარულში. მეორე პირველთან შედარებითაა ტანმომცრო, თორემ სხვასთან მაღალიც გამოჩნდებოდა. ჩასკვნილი ტანაყრილსა და დევის ნაბიჯებით მოსიარულეს ძლივს ენევა. ქარაშოტი სახეში აყრით თოვლსა და ყინვას, მიდიან, თვალმოჭუტულები მიიჩქარიან. ასოდე მეტრიც და 19 თებერვლის ქუჩაზე გავლენ. სწორედ აქ დაუჭირავეს ჭლექიან თანამომცეს სარდაფში ერთი, მართლაც, თავი კუდს რომ ძლივს მოიქნევდა, ისეთი პატარა ოთახი. სახლის მეპატრონე დაარწმუნეს, ახალგაზრდას გადამდები არაფერი ჭირსო, ერთი თვის ქირა წინასწარ გადაუხადეს და ორ-ორმა დაიწყეს მორიგეობა. დღეს ამათი ჯერია, ამიტომ ჩქარობენ, უნდათ, დროზე მიხედონ ავადმყოფს.

ქუჩაში მიმავალთაგან პირველი სამსონ თოფურიაა, მეორე — ნიკო ხიზანიშვილი, ორივე ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი. პირველს თავიდან ფილოლოგობა უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა და ბუნებისმეტყველების შესწავლას შეუდგა. ბარემ ისიც ვთქვათ, ერთმა ამბავმა გადააფიქრებინა. საკურსო თემად პირველკურსელს თამარ მეფეზე უნდა დაენერა თხზულება. ფიქრობდა ღრმად შეესწავლა ეს ეპოქა, გამოეკვლია ის მიზეზები, რამაც ქვეყნის აღზევება განაპირობა. თანაც ამ თემის დაწერა ოდესის უნივერსიტეტის იმ დროის პროფესორთაგან ყველაზე გამორჩეულმა ფილიპ ბრუნმა შესთავაზა. წარმომოხბოთ ფინე, ერთ დროს დეკაბრისტების თანამოაზრე ბრუნს სტუდენტები ცოცხალ ენციკლოპედიას ეძახდნენ. რა უნდა გეკითხათ, რომ წამიერი შეყოვნებისთანავე პასუხი არ მოეგებებინა, წიგნი და მისი ავტორი არ დაესახელებინა. იგი შავიზღვისპირეთის ახალმენთა ისტორიის საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა მთელ ევროპაში. იცოდა რამდენიმე უცხო ენა, თარგმნიდა უცხოელ მოგზაურთა მოგონებებს, წერდა ნაშრომებს ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზე. თავიდანვე შეამჩნია სამსონი, თვალეზანთებული

რომ მისჩერებოდა პროფესორს, თითოეულ მის სიტყვას იმახსოვრებდა. ბრუნიც თავის ნათქვამს ამონებდა, სამსონს გადახედავდა და რწმუნდებოდა, რომ დამაჯერებლად ხსნიდა, გაურკვეველსა და ბუნდოვანს გარკვეულად და ნათლად წარმოაჩენდა. დაახლოვდნენ. სამსონი ეკითხებოდა, ბრუნი პასუხობდა, წიგნებს უსახელებდა, ეუბნებოდა, განსაკუთრებით რისთვის მიექცია ყურადღება. სტუდენტის, მომავალში ფილოლოგობა და ისტორიკოსობა რომ გადაეწყვიტა, სიხარული უსამაზო იყო, საყვარელმა პროფესორმა თამარ მეფეზე ნაშრომის დაწერა რომ შესთავაზა.

— მსოფლიოს, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია მშვენივრად იცის, რუსეთისა ხომ ხელისგულზე უდევს, მაგრამ პატარა საქართველოს წარსული, ბუნებრივია, არ ეცოდინება, რომ ცოდნოდა, ერთხელ მაინც გაამყვანებდა. შოდა, მე გავაკვირებ, განვაცვიფრებ თამარისდროინდელი საქართველოს დიდებული ყოფიერებით...

საყველპუროდ ეცოდინება, საფუძვლიანად — არა. ერთ უცხოელს მაინც გავაოცებ იმით, თუ რა ბრწყინვალე წარსული ჰქონდა პატარა საქართველოს და რა გენიოსი მეფე იყო თამარი. ეჰ, როდის გეყავდა ქართველებს ქალი მეფედ, ემანსიპაციის საკითხებზე დღესაც გამუდმებით ბჭობენ, ზოგნი ქალთა ჩაბმას მოითხოვენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, ზოგნი — პირიქით. გაეცნონ ჩვენს ისტორიას, თუნდაც ზედაპირულად ნაიკითხონ „ვეფხისტყაოსანი“ და კამათის სურვილი გაუქრებათ. — ფიქრობდა სამსონი.

წინასწარვე ჰქონდა წარმოდგენილი, თხზულება ფილიპ ბრუნზე დიდ შთაბეჭდილებას რომ მოახდენდა. რუსი რომ იყოს, იქნებ ბლომდე ვერც მეთქვა სიმართლე, მაგრამ ბრუნი არც რუსია და არც უსამართლო, ამოდენა იმპერიის უბედურ ყოფაზე ხომ ხშირად გვესაუბრება, არც ავის თქმა უჭირს, კარგაც არ მიჩქმალავს ზოგიერთივით. სწორედ ამნარებს უნდა გავაცნოთ ჩვენი ქვეყანა, მართალია, დღეს დამონებული, მაგრამ დავითისა და თამარის დროს ორ ზღვას შუა გადაჭიმული, — გაიტაცებდა ფიქრი.

თხზულებაში გამოკვეთილად უნდოდა ეჩვენებინა, რომ ქართველებს ძალიან დიდი ხნადაა ჰქონდათ სახელმწიფო, იყვნენ დამოუკიდებელი. ეს გრძნობა ჩერნოგორიელებთან ურთიერთობამ გაუმძაფრა. ბინაც ჩერნოგორიელთან ჰქონდა ნაქირავეები. იმ დროის ოდესაში ბლომად ცხოვრობდნენ ბალკანელები, შავ-მთიელებს რომ ეძახდნენ.

ნიკო ხიზანიშვილის მონათხრობი გავიხსენოთ: „ჩემს დროს სამსონი ერთ შავ-მთიელთან (ჩერნოგორელი) ცხოვრობდა. ეს შავ-მთიელი ბალკანეთიდან გარდმოსვენილი რევოლუციონერი იყო. მგონია, იმ სახლის პატრონის ბრალია, რომ ჩვენი ახალგაზრდა სტუდენტი დიდის ყურადღებით და სიფაცოციტო თვალს ადევნებდა ბალკანეთის სლავიანთა შავსა და ბნელ ყოფას. იმ დროს ოდესაში ამ სლავიანთა მთელი ახალშენი არსებობდა. ეს ახალშენი კიდევ აჯანყებებს ამზადებდა, დაჩაგრული ერის აშლას გზას უკავავდა. სამსონის სახლის პატრონს მცირედი წილი როდი ედო ამ საქმეში და თავისი მდგმური — თუ გნებავთ — მონაფე გაცნო ამ ახალშენის მეთაურებს. მახსოვს, სამსონი ერთხელ ამ მეთაურების კრებას დასწრეობდა, იქ თურმე დიდი კამათი აღტყვილიყო იმის გამო, — როცა თავისუფლების დროში აღიმართება, სლავიანთა დროშაზედ ლომი იყვეს დასახტული თუ წმინდა გიორგი თავის ძღვევამოსილ მახვილითაო. წმინდა გიორგის გაემარჯვნა. სამსონი აღფრთოვანებული მოვიდა ჩემთან და ისეთის აღტაცებით მიაბო კრების ამბავი, თითქო მედროშე ის იყო და იმას ხვდა წილად მახვილით მონობის შემუსვრაო“.

არა გვეგონია, სამსონის მკვირცხლ და გამჭრიახ გონებას იმის აღქმა გაჭირვებოდა, მისი სამშობლოც რუსთაგან რომ იყო დამონებული, მაგრამ ბალკანელთა თავგამოდებულმა მისწრაფებამ რომ უფრო გაუმძაფრა ეს გრძნობა, ამკარაა. იქნებ სულაც თვითონ შეარჩია წარმომოხბოთ ჩერნოგორელი,

* ერთი თავი ბიოგრაფიული რომანიდან სამსონ თოფურიაზე „ვით უდაბნოში გზადაბნეულებს“

ოღესაში მცხოვრები ბალკანელი და მასთან დაიდო ბინა. მისმა საუბარმა მოხიბლა. იმთავითვე განჭვრიტა ის კაცი (რომლის სახელ-გვარიც რომ გეცოდნოდა, კარგი იქნებოდა, მაგრამ რა ვქნათ?) რუსთა ყურმოჭრილი მონა რომ არ იქნებოდა, ამ ქვეყანას მხოლოდ სამშობლოს დასახსნელად დაისაჭიროვებდა, იქაც, ოღესაში გადმოხვენილიც, იმაზე იოცნებებდა, როგორ ესხნა მამული თვისი. სამსონს, ბუნებრივია, მათი განწყობილება იმიტომ ხიბლავდა, რომ მისი სამშობლოც მონობაში ღაფავდა სულს, გაუბედურებული უფრო ეტმასნებოდა დამპყრობელს, სულაც მხსნელად, გადამრჩენად წარმოსახავდა.

სამსონისა და ნიკოს სტუდენტობა წაროდნიკთა გამოსვლების ხანას დაემთხვა. ეს ის დრო იყო, სტუდენტთა უმრავლესობას ხალხის გამოღვიძება რომ განეზრახა. მიდიოდნენ სოფლებში, იცვამდნენ გლეხურად, ესმარებოდნენ სამეურნეო საქმეებში, თან მათ გათვითცნობიერებაზე ზრუნავდნენ, თვითმპყრობელობის სანინააღმდეგოდ განაწყობდნენ.

ოდესა წაროდნიკული გამოსვლების ერთ-ერთ ცენტრად გადაიქცა.

კავკასიელ სტუდენტებშიც (სულ 16 ვიყავითო, — წერდა ნიკო ხიზანიშვილი) ერივნენ „ახალი მიმართულების“ მოტრფიალენი, „ლიბერალური ჩხავილი და ყვირილი“ ძვალ-რბილში რომ გაჯდომოდან და სხვათაგან მხოლოდ იმით გამოირჩეოდნენ, საღაროდან ყოველდღე ითხოვდნენ ფულს.

სამსონ თოფურიას — პირიქით, უნდოდა, საუნივერსიტეტო საგნები ღრმად შეესწავლა, ცოდნა დაეგროვებინა, მერე სამშობლოში დაბრუნებულს რომ გამოადგებოდა.

წაროდნიკობა არ იტაცებდა, ჩერნოგორელთა განაზრახი სულ სხვა იყო, ისინი დაპყრობილი სამშობლოს მონობიდან გამოსხსნას ცდილობდნენ. ამიტომ მათ სულითა და გულით თანაუგრძნობდა, რევოლუციონერობა ამას ჰქვია. თუ მამულის ბედი გულს არ გისერავს, მაშინ სულერთია, რომელი ქვეყნის რეჟიმის შეცვლას მოინანიებ, წაროდნიკებმა თვითმპყრობელობა რომ შეცვალონ, ჩვენ ისევე ტყვეობაში დაგვტოვებენო, — ეუბნებოდა ნიკო ხიზანიშვილს.

კავკასიელი სტუდენტები თურმე კრებებს მართავდნენ და მოხსენებებს კითხულობდნენ. ნიკო ხიზანიშვილს ჟან-ჟაკ რუსოს პოლიტიკური მოძღვრება აურჩევია სტუდენტთათვის გასაცნობად. სამსონმა რა შეარჩია, არ ვიცით, მხოლოდ იმას გვეუბნება მისი თანამედროვე, რომ იგი კრების „ფხიზელ დარაჯად გარდაიქცა და მუდამ ზრუნავდა, რომ ეს სამეცნიერო სავარჯიშო არ მოსპობილიყო“. კრებასა და მასზე მოხსენებების წაკითხვას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ სტუდენტები კვლევას ეჩვეოდნენ, მეცნიერული აზრის გადმოცემაზე ფიქრობდნენ, ხშირად საკუთარ ნაზრევსაც ამხედდნენ.

სამსონი კრების ხელმძღვანელად იქცა, მაგრამ იმდენი მტერი შეიძინა, რომ იძულებული გახდა, თავი მიენებებინა ამ საქმიანობისათვის. მტრები ისინი იყვნენ, ვინც მეცნიერული ცოდნის დაუფლებას კი არ ფიქრობდა, ცარიზმის შეცვლა მიეჩნია უპირველეს მოვალეობად.

რა დროს კრებებია, გლეხობაა გამოსაფხიზლებელი, — ყვიროდნენ ისინი.

ცოდნა-განათლების გარეშე ვერც გლეხობას გავალვიძებთ, ჩვენც ძილ-ბურანი მოგვიცავს, — ამბობდა სამსონი.

ისინი ბევრნი იყვნენ, სამსონის მომხრენი — მცირედნი. მაშინაც სიმრავლე იმარჯვებდა. გაიმარჯვეს კიდევ, სამსონი კრების საქმეებს ჩამოაშორეს, კრებაც მიივიწყეს.

იმპერიას იმისთვის უნდა ვებრძოლოთ, სამშობლო გახდეს თავისუფალი, თორემ ერთი მოხელის მოკვლით არაფერი გამოგვივა, იმ ერთი მოკვლის ადგილას ორი გაჩნდება, მამულზე ვიფიქროთ, — უბეჯითებდათ სამსონი. ეს კი ამბობდა, მაგრამ არავინ უსმენდა.

ათი-თხუთმეტი წელია, რაც სტუდენტობამ ელფერი იცვალა, — წერდა აკაკი 1904 წელს. რა დიდი ანგარიში უნდა, 90-

იანი წლების ახალგაზრდობას გულისხმობდა, წინანდელთაგან, ანუ აკაკის თანადროულთაგან, რომლებიც სამშობლოსათვის მოციქულ-მონამებად ემზადებოდნენ, უპირველეს, იმით განსხვავდებოდნენ, რომ წინდანინვე, ზოგჯერ გიმნაზიაშივე იცოდნენ, რა ესწავლათ, რა უფრო სასარგებლო იქნებოდა მათთვის.

დღევანდელი გარეგნობითაც სხვანაირნი არიანო. ადრინდელი სტუდენტები ცდილობდნენ ფიზიკურად გარიბალდს კოშუტს, ბოქსს ან კიდევ სხვა გამორჩენილ მოღვაწეს დამსგავსებოდნენ. ახლანდელებს საწუკვარად გვარდიის ოფიცრობა გადაქცევიათ, უღვაშებს ვილჰელმურად იპრეხენ, მშობლიურს ივინყებენ და რუსულის „გამტკიცული იაროსლაფური კილოთი ქალებს ეკობტავენიანო“.

ძველები ჯობდნენ ახლებსო, ისინი სულ სხვა გრძნობითა და სურვილით იყვნენ გამსჭვალული, მათთან ყოფნა სულსა და გულს გვიბრუნებდაო.

25 წლის წინათ ოღესაში გაცივანი სტუდენტი სამსონიო, ბუნებრივია, თავდაპირველად იმასაც „ახლებში“ ჩარიცხავდა, მათებურად მოფიქრალად მიიჩნევდა, მაგრამ ახლად გაცნობილს უფრო სხვა რამით გაუკვირვებია და ამ გაკვირვებას ასე გამოხატავს.

„ასაკში ახლად შესული ადამიანი ოცნების მორევში სცურავს, ყოველიფერი, ვარდისფრად ეჩვენება და სისხლჭარბსა და გამოუცდელს ცხოვრებაში, ქვეყანა მისი სანავარდო მოედანი ჰგონია. შეუძლებელიც კი შესაძლოდ მიაჩნია და მის სურვილ-მისწრაფებას საზღვარი არა აქვს. და ეს მართლაც ასე უნდა იყოს. თვარა, თუ კაცმა ახალგაზრდობაშივე გაიტეხა გული, რაღა თქმა უნდა, უდროვოდ დანაცარ-ქექიავდება და, არა თუ სხვებისათვის, თავის თავისათვისაც გამოსადეგი აღარ იქნება. ეს ბუნების კანონია და, ვისაც ეს კანონი არ მოუხდია იმისაგან კარგი არა დადგება რა: როგორც მაჭარი სდულს, ჩუხჩუხებს და ქვევრში ველარ ეტევა, თუ სასულე არ მიეცა, ისე კაციც ჭაბუკობის დროს, სანამ დავაჟკაცდებოდეს და დასცხრებოდეს, მოუსვენარია. სიცოცხლით სავსე სტუდენტობის დრო მართლა რომ მაჭრობის დროა და მათი უშუხუნა სიტყვა-ქცევა გასაკვირვალა და დასაძრახისი არ არის, მით უმეტეს, თუ მათი ოცნება კეთილ განზრახვებით არის გამონვეული და არა საპირადო ანგარიშებით“.

სამსონი ოცნების მორევში მცურავ ახალგაზრდად მოჩვენებია, ღრუბლებში დაცურავდა, კაპიკის უქონელი ისე ფიქრობდა, თითქოს მილიონები ჰქონებოდა ბანკში, მაგრამ „ისეთის უეჭველობითა და წინდანინვე ძლევამოსილებით ითვალისწინებდა მომავალს, რომ უნებურად ჰხიბლავდა მსმენელს“.

მსმენელი მეზღაპრეებსაც არ აკლდა. სამსონი იმათგანაც განირჩეოდა, განირჩეოდა მომავლის მიზანდაუმცდარი ჭვრეტითა და ეროვნული მსოფლგანცდით. სხვები, უპირველეს, იმაზე ფიქრობდნენ, საკუთარი თავისათვის რა ერგოთ, როგორ მოეწყობათ საპირადო ეზო-გარემო. ამას პირადი სულაც დავიწყნოდა, დღიური მუშის კაპიკებს შეჩერებული საზოგადო კოშკებს აგებდა — ერისთავის. საავადმყოფოს უქონლობა კატასტროფააო, — ჩასჩინებდა სხვებს, რომელთაც ნათქვამი გადამატებულ ოცნებად ეჩვენებოდათ. აკაკისაც ასე მოჩვენებია.

სამსონის ეროვნული სულისკვეთება თამარ მეფეზე დანერვილ თხზულებაში უნდა არეკლილიყო, იქ ეთქვა ის, რასაც ფიქრობდა. მართლაცდა, შესანიშნავი საშუალება ეძლეოდა, დაენახებინა რუსის სამსახურში ჩამდგარი ფინელი პროფესორისათვის, რა იყო და რა უნდა ყოფილიყო საქართველო.

ბრუნს ნაუკითხავს სამსონის თემა, თუმცა ამ ამბებს ისევ ნიკო ხიზანიშვილს დავესესხოთ:

„ერთ საღამოს სამსონი გაფითრებული შემოვიდა ჩემთან. აღელვებული იყო, გულნაკლულოვანება ცხადად ემჩნეოდა.“

— პროფესორ ბრუნთან ვიყავ, ჩემი თხზულება ნაუ-

კითხავს, საქართველოს ისტორიაზედ მელაპარაკა და ისრე გამოცა, რომ არ ვიცი, როგორ გამოვეთხოვე...

თურმე ნუ იტყვი, ბ-ნს ბრუნს ზედმინეებით სცოდნოდა ჩვენი ისტორია და თავისის ერუდიციით სრულიად მოეხიბლა ახალგაზრდა მოტრფიალე სამშობლოს ისტორიისა.

— მერე, რა შეცდომები გიჩვენა? — ვკითხე სამსონს.

— შეცდომა არაფერი უჩვენებია, მაგრამ სირცხვილით კი დავინვი: კარგი იქნებოდა, რომ ესა და ეს ნაგვეკითხა, აი, თუნდაც, ინგლისურ ჟურნალებში... ბრუნი ისეთი მცოდნე ყოფილა ჩვენი ნარსულისა, რომ უკეთესი აღარ შეიძლება, იმასთან ბალადაც არა ვჩანდით“.

ვითომ მართლა ასე იყო?! პირველკურსელის განცვიფრება ცნობილ პროფესორს არ უნდა გაჭირვებოდა, არც ინგლისურ ჟურნალებში უნდა წერებულებოდა ისეთი რამ, რაც ეჭვმეუვალი ქეშმარიტება იქნებოდა. უფრო სავარაუდოა, თხზულება თავისუფლების სულით იყო გაჟღენთილი და ეს არ მოეწონა რუსეთს თავშეფარებულ უცხოელ მეცნიერს. ამიტომაც დაუსახელა უამრავი ლიტერატურა, ისეთი, რომელთა ცოდნა, თუნდაც არსებობა, დამწყები ფილოლოგისათვის სულაც არ იქნებოდა საჭირო. ასე რომ არ ყოფილიყო, კარგის მარცვალის ხომ მაინც იქნებოდა თოფურისა თხზულებაში და იმ კარგის გამო უნდა შეეეკო, ნახეალისებინა. მან — პირიქით, კვლევის სურვილი ჩაუკლა, ინტერესი დაუკარგა, დაუკარგა იმის გამო, რომ, მისი აზრით, უნივერსიტეტს ჩინოვნიკები უნდა აღეზარდა და არა თავისუფლების მოყვარე ადამიანები. ბრუნი ამ დროს სამოცდაათ წელს იქნებოდა მიტანებული, ახალგაზრდული, ოდნავ მოლობერალო განწყობილება სრულიად გაფანტვოდა. სამსონს კიდევ მოჭარბებულად გაემყლაგებინა გულისნადები, ფარზე აეზიდა სამშობლოს დიდებული წარსული, რაც, საფიქრალია, დიდად არ ეჭაშნიკებოდა პროფესორს. სხვა რამეს — თუნდაც ბრუნის განსწავლულობას დაეაბრალოთ მომხდარი, ვფიქრობ, არ ვიქნებით მართალი, რამეთუ ცოდნის გამჟღავნებასაც ტაქტი ჭირდება, ისე არ უნდა დაჩრდილო ფილოლოგიის კიბეზე ახალგაზრდებმდგომი, რომ საბოლოოდ ჩაუკლა და ჩაუხშო ინტერესი ყოველივესი.

ამის გამო მიატოვა სამსონმა ფილოლოგია და ბუნებისმეტყველებას დაეწაფა. „იმის მკვირცხლ და ცოცხალ ბუნებას ეს დარგი უფრო უხდებოდა, უფრო შეეფერებოდა“ — გვეუბნება ნიკო ხიზანიშვილი, ვითომც ფილოლოგები ნაკლებ მკვირცხლი და ცოცხალი გონებისანი უნდა ყოფილიყვნენ.

ოდესის თოვლიან-ყინვიან ქუჩაში მიმავალთ მივუბრუნდეთ. ნიკომ იცოდა, რა მდგომარეობაშიც დახვდებოდა მაჭავარიანისა თუ კანდელაკის გვარის ლამაზი შესახედაობის, გამორჩეული ფიზიკური აღნაგობის ყმაწვილი, წასვლამდე სხვეს გამოკითხა ამბავი, სანუგეშო ვერაფერი უთხრეს, დღეს თუ არა, ხვალ სულს დაღუვსო — ჩაილაპარაკეს. სამსონს — პირიქით, ავადმყოფის გამოჯანსაღების იმედი ჰქონდა, უკვე რამდენიმე დღე მილეულიყო, რაც ჭლექს ებრძოდა, თუ ამდენს გაუძლო, საბოლოოდც დაამარცხებოდა. ახალგაზრდა რომ ნახეს, მისი მდგომარეობა ნიკომ ჩვეულებრივად აღიქვა, სამსონმა უჩვეულოდ. სიკვდილს ებრძოდა საცოდავი, თვალებს ატრიალებდა, ხროტინებდა სულამომდინარი. სამსონს მკვდარი ენახა, მომაკვდავი — არა და შეკრთა, ჯერ თრთოლვა და ცახცახი დაიწყო, მერე ტირილი.

— წავიდეთ, მივხუროთ კარი და წავიდეთ, ამის ყურება არ შემიძლია. — უთხრა ნიკოს.

— რას ამბობ, სამსონ?! — გაიკვირვა ნიკომ, — მომაკვდავი როგორ მივატოვოთ?! გემინია და ამიტომ გარბიხარ?! შენ რა გითხარი, მხდალი ყოფილხარ, მხდალი...

— არა, არ გემინია, — ამოილულულა.

— აბა, სხვა რა ვიფიქრო, მომაკვდავი მივატოვოთო. ამის მთქმელს გინდა ექიმი გამოხვიდე?! დაფიქრდე, ცხოვრებაში რამდენ ასეთ შემთხვევასთან გექნება საქმე?!

— არ გემინია, — უფრო დაბნეულმა ჩაილაპარაკა.

— მაშ, გაჩერდი, მკვდარსაც მიხედვა უნდა! — უთხრა და თვალები დაუბრიალა.

— შიში კი არა, სხვა რამე... — არ დაუმთავრებია აზრი სამსონს.

— მაინც რა, მომავალი დასტაქარო, — ირონიულად გახედა.

— რა და... — ველარ გააგრძელა. ისევ აქვითინდა.

— გულჩვილი ყოფილხარ, ექიმი ვერასდროს გახდები, — უფრო მკვახედაც თქვა რაღაც, მაგრამ სამსონს არ გაუგონია.

— გული მიკვდება, მომაკვდავს ვხედავ და შევლა არ შემიძლია, — გონება მოიკრიბა მომავალმა ექიმმა.

— ექიმი ვერასდროს გახდები, მშიშარა და ექიმი! — მეტი გესლი გაურია ხმაში.

ნიკო ხიზანიშვილი მაშინ თუ სამსონს ამუნათებდა, მერე საკუთარ თავს ამტყუნებდა: „... რა რიგად თურმე ვსცდებოდი!.. მე გულჩვილობა შიშად მეჩვენა და ახოვან სამსონის ცრემლი ზნის სისუსტედ და სიღბილედ წარმომიდგა! განვლო დრომ და ჟამმა. სამსონმა არ დაიშალა და მაინც ექიმად გამოვიდა და მერე რა სახელოვან ექიმად“.

სამსონ თოფურიას მომაკვდავი ყმაწვილი ეცოდებოდა, ეცოდებოდა საკუთარი თავიც, რომ ვერაფერს შევლოდა საინიქციოდ განწირულს. მალე თვითონაც შეეყარა იმ დროისათვის მოურჩენელი სენი. მტვირთავად მუშაობამ, ყოველდღიურმა კერძო გაკვეთილებმა ისე დაუძაბუნა სხეული, ნებისმიერი დაავადება მოერეოდა, — წერენ თანამედროვენი.

სიცხით გათანგული აგრძელებდა შრომასა და სწავლას, ხანდახან ისეთი ხველა აუტყდებოდა, იძულებული იყო, გარეთ გამოსულიყო, ქუჩაში ევლო, რომ ხველების ხმას ოჯახის პატრონი არ შეენუხებინა. ბოლოს ისე მოერია სენი, ველარ ლაპარაკობდა, ჩიფჩიფებდა, ხელის მოძრაობით აგებინებდა ახლობლებსა და მეგობრებს, რა უნდოდა. მაინც ძველებურად შრომობდა და სწავლობდა, ჯანგაბეხილს ოდნავადაც არ შერყევია რწმენა სიცოცხლისა. მეგობრებმა, ეს უკვე ხარკოვში ხდებდა, ურჩიეს, შეტერბურგში ჩასულიყო და ტუბერკულოზის ცნობილი მკურნალისათვის, ბოტკინი რომ იყო გვარად, გაესინჯინებინა თავი.

ჩავიდა, მაგრამ ვაი ჩასვლას, უი ჩაუსვლელობას... ცნობილმა დიაგნოსტიკოსმა ბოტკინმა განუცხადა, ჰა და ჰა, ერთი თვე თუ იცოცხლებ, ამიტომ ახლავე წადი საქართველოში, მაინც არაფერი გეშველებო.

ვინ არ შედრკებოდა, ვინ არ ჩაიქნევდა ხელს, ვის არ გატებდა ეს სიტყვები. სამსონ თოფურია ვერც გატებდა, ვერც მოდრიკა, პირიქით, უფრო გაუმძაფრა სიცოცხლის წყურვილი. ჩამოვიდა სამშობლოში, სამეგრელოს მთებში დაბინავდა რამდენიმე თვით და ყველასთვის გასაოცრად — განიკურნა, უფრო მართალი ვიქნებით, თუ ვიტყვი — მოიჩინა თავი.

ახლობლები დღე-დღეზე მოელოდნენ ავადმყოფის აღსასრულს, სამსონი ჯანსაღდებოდა და ჯანსაღდებოდა. ერთი თვეც მიილია, მეორეც, მესამეც, მეათეც და მეთორმეტეც — სამსონი ძველებურად დევივით შეიქნა, სულაც ვერავინ იფიქრებდა, ოდესმე რაიმე ავადობა თუ ჭირდა.



სამსონ თოფურია

თანამედროვენი წერენ, სრული გამოჯანმრთელების მერე სამსიტიყვიანი დეპეშა გაუგზავნა მკურნალ ბოტკინს: „Я сме- рть победил“ Самсон Топурия.

სიკვდილის დამარცხება სამსონისნაირ ძლიერი ნების ადამიანებს ძალუძთ, თორემ სხვანაირებს თუნდაც ბოტკინის სიტყვები დააკრფინებდათ გულზე ხელებს.

აკაკი განსხვავებულად ყვება ამ ამბავს — ბოტკინი და ვირხოვი ურჩევდნენ სამსონს, დაანებე პრომას თავი და ცოტა ხანს მაინც იცოცხლებო. ეს კიდევ ფიქრობდა, რად მინდა ქვეყნისთვის გამოუსადეგარი სიცოცხლე ან ისეთი სიმრთე- ლე, ჩემს გარდა არავის არგოს. ვირხოვი ხშირად უნახავს სამ- სონს, მაგრამ, ვფიქრობ, ამ დროს მარტო ბოტკინისათვის უნ- და მიეკითხა, რამეთუ იმ დროში ჭლეკით დაავადებულთა უბადლო მკურნალად იგი ითვლებოდა.

სამსონ თოფურიათ საკუთარ თავზე გამოსცადა ჭლეკის საშინელება და, ბუნებრივია, ყველაზე კარგად იცოდა, რა ემართებოდა ამ სენით დაავადებულს. ყველა მისნაირი მტკი- ცუნებისა და ჯანის ვერ იქნებოდა, ამიტომ მედიცინას რალაც უნდა ელონა, ცდილობდნენ კიდევ. პროფესორ რობერტ კო- ხისა და მისი მკურნალობის ამბები გახშირდა. სამსონმა გა- დანწყობა, მისი საავადმყოფოც არ ჩამორჩენოდა ევროპულ სიახლეს.

ციმბირის წყლულის, იგივე ჯილეხის, ბაცილა ხომ აღმოა- ჩინა, ტუბერკულოზის გამომწვევი მიზეზიც დაადგინა — ხმა- ურობდნენ ევროპული ვაზეთები.

„მწყემსი“ სამსონ თოფურიას წერილს აქვეყნებდა:

„მე განვიზრახე დავაარსო ქ. ქუთაისში განყოფილება, სა- დაც შედეგებით ინამლოდო ჭლეკიანებმა კოხისაგან ახლად გა- მოგონებული საშუალებით და ამიტომ მე ვგზავნი ბერლინში ჩემი სამკურნალოს ორ ექიმს ბ.ბ. გოლოვინს და გავსევეს, რომ მათ შეისწავლონ ჭლეკიანების წამლობა თვითონ გამომგონებ- ლისაგან. პირველად მე მივსწერე პროფესორს ლეიდენს ბერ- ლინში შემდეგი: თანახმა არის თუ არა პროფესორი კოხი გააც- ნოს სხვა ქვეყნის ექიმებს, რომლებიც კი ისურვებენ ბერლინში წასვლას, ახალი საშუალება ჭლეკით ავადმყოფის მორჩენისა.

პროფესორ ლეიდენის პასუხი იყო ჩემზედ შემდეგი: „კო- ხის მეთოდის შესწავლა შეუძლია ყველა ექიმებს ბერლინის ყველა კლინიკებში“.

ამ ამბებზე, რომლებიც მერე მოხდა, სხვაგან უფრო ვრცლად ვისაუბრებთ. ახლა კი სამსონს ოდესაში უკვდება თანამოდემ და ვერაფერს შველის, იმის შიში აკანკალებს და აქვითინებს, რა საჭიროა ექიმი, თუ სიცოცხლის წყურვილით სახვე ახალგაზრდას ვერ მოარჩენსო.

კი არ ეშინია, შიში ექებს...

ნიკო ხიზანიშვილი არაფერს გვეუბნება გარდაცვლილი სტუდენტის ბედზე, ბუნებრივია, დაკრძალვდნენ, პატივს მი- აგებდნენ. სამსონს კი იგივე რამ ქუთაისის გიმნაზიაში სწავ- ლის დროსაც დაემართა.

გვიანი შემოდგომის დღეები იდგა. ყველანი — დიდი, პა- ტარა — ბულვარისკენ გარბოდნენ. ბოკერიას სახლზე დურ- გალია გარჩენილი, ვერ ჩამოდის, — დაიძახა ვილაცამ, სამ- სონს გადაუსწრო და გაიქცა. მიყვა ესეც. ცივი ნიავეკარი ქრო- და. მიდიოდა, მის წინ ქარი ყავისფრად შემხმარ ფოთლებს აშ- რიალებდა. მიდიოდა ფოთლებით ჩაშვავებულ ქუჩაში. მივი- და, ბულვარის წინ დადგა. ბოკერიას სახლს ხურავდა თურმე ვილაც დურგალი, სახურავზე ასულს რალაც დამართნოდა, დირეზე ხელეზმად ჩანდა შორიდან.

— გზა დაუთმეთ — ალექსანდრე ეფენდი მოდის! — დაი- ძახა ვილაცამ.

შეხვირნიმებულმა ხალხმა იქით-აქით მიინ-მოინია, ვინრო გასასვლელი გამოჰყო და ალექსანდრე ეფენდის, ნათათრალ- საც რომ ეძახდნენ, გამოჩენას დაელოდა.

რამდენიმე კაცი ბოკერიას სახლის ნახევრადდახურულ სახურავზე გასულიყო და დირეს ჩაფრენილი დურგლის გა-

მოსხნას ცდილობდა. ვილაც-ვილაცები ქვემოდან რალაცას ეძახდნენ, უყვიროდნენ, ისინიც ეხმიანებოდნენ. ხალხის ჩორ- ქოლში არც იმათი ნათქვამი ისმოდა, არც ამათი.

ნათათრალი ექიმბაში, — ჩია, დალეული, თმაგაბურძენუ- ლი კაცი — მოვიდა და სახურავზე მყოფთ შესძახა:

— ჩამოიყვანეთ, გავსინჯავ...

არავის არაფერი უთქვამს. ყველანი ზევით იცქირებოდ- ნენ.

— ჩამოიყვანეთ, გავსინჯავ! — ახლა უფრო ხმამალა შესძახა ალექსანდრე ეფენდი! ისედაც წვრილი თვალეები კი- დევ უფრო დაინვრილა და ახედა სახურავზე გასულებს, რა- ლაც ქსოვილში რომ გაეხვიათ დირეს ჩაფრენილი კაცი და თო- კებით ძირს უშვებდნენ.

მესამედაც რომ გაიმეორა ექიმბაში იგივე, ვილაც მოუტ- რიალდა, გაუცინა და უთხრა:

— თუ ჩამოიტანეს, გავსინჯავ აღარ დაჭირდება, ექიმო.

— რატომ?! — გაიკვირვა ალექსანდრემ, ეტყობოდა, ვე- რაფერს ხედებოდა.

— მკვდარია, ალბათ, ექიმო, მკვდარი, თვარა დირეს ასე გაუძრევლად რატო ჩააფრინდებოდა. — დაუზუსტა იმავემ.

— თვალეებს რომ ქაჩავს?! — მიუთითა მოკრუნჩხულ დურგალზე, თოკებით საცაა მინაზე რომ დაუშვებდნენ.

— თვალდაუხუჭავი მკვდარი არ გინახავთ? — არ შეეპუა საქმეში გათვითცნობიერებული.

— მე ცოცხლების ექიმი ვარ, მკვდრების კი არა, — გაეპა- სუხა ეფენდი, ხელები უკან შემოიწყო და შეგროვილ ცნობის- მოყვარეებს ბაჯბაჯით გამოორდა.

სამსონს აღარ ახსოვდა, როგორ აღმოჩნდა სახურავიდან ძირს ჩამოშვებულ ცხედართან. მოკრუნჩხული, სახეგაშავე- ბული, უაზროდ თვალედაჭყეტილი კაცის დანახვამ შეაკრ- თო და მისდაუნებურად უკან დაიხია. უნდოდა, ხელში აეყვანა გარდაცვლილი, სადღაც გაეტაცებინა, სული ჩაებერა, ყველა- ფერი ელონა, რომ გაცოცხლებულიყო, მაგრამ სხვები არ ინძ- რეოდნენ და ისიც იდგა მათ გვერდით. მერე კანკალმა აიტანა, ცრემლები წამოსცივდა. თვითონ ვერა გრძნობდა, რომ ტი- როდა, ტიროდა, კვნესოდა. ვილაცამ გარდაცვლილის ახლობ- ლად მიიჩნია, ხელმკლავი გამოსდო, ბულვარისკენ წამოიყვა- ნა.

გულსაკლავად კიოდა ქალი: „მანახეთ ჩემი ქმარი, ჩემი ქმარი მანახეთ, უი, ჩემს თავს უბედურს, უი, რავა განოლილ- ხარ შე კაცო, რა დროს ძილია, უი, უი, თვალეებს ახელს, ხალ- ხო, არ იქნება მკვდარი, არ იცოდა ასეთი დახვედრა, მიშვე- ლეთ ხალხო, რაფერ დევიჯერო ამის სიკვდილი, ეშინია, ალ- ბათ, შიშის დროს ბლიტავდა თვალეებს, მიშველეთ ხალხო...“.

ქუთაისში დაბრუნებულმა სამსონ თოფურიამ საავადმყო- ფოს პირველ ადგილსამყოფლად ბოკერიას სახლი შეარჩია. აქ მისვლისთანავე სახურავს ახედავდა, შეყვონდებოდა ერ- თხანს სახურავს მიშტერებული, კი არ ეშინოდა, შიში ექებდა...

ელვის მკვესავი ფართო თვალეები ჰქონდა შიშს!

წვიმისუარი ცა

სამსონ თოფურიას ხარკოვში სწავლის დროს განსაკუთ- რებით ერთი დღე დაამახსოვრდა. დილით გაიღვიძა, წვიმდა, ფანჯრიდან უყურებდა ციდან თქემით მომავალ წვიმის წვე- თებს, წვიმდა გადაუკარებლად, ჯერ კიდევ ბნელოდა, მაგრამ რომ დაინყო, არ გადაუღია, წამითაც არ შეყოვნებულა, წვიმ- და, წვიმდა და გათენდა ჟუჟუნა ან უფრო მოჟუჟუნე წვიმით. იდგა ფანჯარასთან, უცქერდა, როგორი სიჩქარითა და თანა- მიმდევრობით მოდიოდა ზეციდან წვეთები, გამოზომილი, ერ- თი და იმავე დროს ინტერვალთ ეცემოდნენ დედამიწას. არც ოდნავი შეყოვნება, არც იმაზე მეტი აჩქარება, თუმცა უფრო რომ აჩქარებულიყო, ჟუჟუნა აღარ იქნებოდა, ჟუჟუნ-ჟუჟუნ-

ნით, ნკაპ-ნკაპით, დაბარებულევით ჩამორბოდნენ ციდან წვეთები.

ავადმყოფობას ასეთი თანამიმდევრობით უნდა ვებრძოლოთ, — გაიფიქრა, — არც დიდად ავიქარდეთ და მერე შევყოვნდეთ, ან პირიქით, მონოტონურად დავარტყათ, დავამარცხოთ...

ოდესაში გემზე მტვირთავად მუშაობისას ზოგიერთი ახალბედა ფაცხაფუცხით დაიწყებდა, დაეტაკებოდა საქმეს, უცებ აენთებოდა, ასევე ჩაქრებოდა. გამოცდილ-გამოქექილები მშვიდად, შეყოვნებით დაიწყებდნენ, შეხურდებოდნენ და გააგრძელებდნენ დაწყებულივე ტემპით, მეტს აკეთებდნენ, ათჯერ უფრო მეტ ტვირთს გადმოცილიდნენ. ავადმყოფობასაც ნელ-ნელა შევუტევთ... ბუნებრივია, თუ ეპიდემია არ მძვინვარებს.

გიმნაზიის მონაწილე იყო, ქუთაისსა და მთელ იმერეთში ხოლერა რომ გაჩნდა, საითაც შეეძლო, იქით გაიქცნენ, ზოგი — სოფელში, ზოგი — სხვა ქალაქსა და კუთხეში გაიკრიფა. გაერიდნენ გაჩენილ ჭირს. მთავრობას ეპიდემიის შესაჩერებლად არაფერი უღონია, უბრალოდ, იმ წელს, 1871 წლის ჩამოდგომისას, ძალიან მოთოვა, ჭირი გადარეცხა.

გარეთ აღარ წვიმდა, მაგრამ წვიმისფერი ჩანდა ცა, სადაც ოდნავ გადათეთრდებოდა, გეგონებოდა, ამ სითეთრეში მზეც გამოაჭყიტებოს, მაგრამ ისევე წვიმისფერი დაძლევდა. ღრუბელსაც ამნაირი ფერი მიელო, მწვანესაც, თეთრსაც, ლურჯსაც, ყვითელსაც ირეკლავდა რალაცნაირი შეხავებით.

ოთახის მოპირდაპირე მხარეს ფაეტონი გაჩერდა, ვილაც მდიდრულად ჩაცმული ქალბატონი ჩამოვიდა. აქ ყვლას იცნობდა. ეს უცხო იყო. ის-ისა ტროტუარზე ორი ნაბიჯი გადადგა, რომ ფეხი აუცდა დასველებულ ქვაფენილზე და თავი მთელი ძალით დაახეთქა.

სამსონი მივარდა, ორივე ხელით ნამოსნია, თან მიმავალ მეეტლეს ისე დაუღრიალა, რომ თავისი ხმისა თვითონვე შეეშინდა. ქალს თავი ჰქონდა გატეხილი, სისხლი თქრიალით მოსდიოდა, ჭრილობას ფარავდა, მიხვდა, სასწრაფოდ სისხლისდენა უნდა შეეჩერებინა, თავი უკან გადაენია. ოდნავ შეწყდა თქრიალი. მეეტლეს გასძახა: საავადმყოფოსკენი, — თვითონ ეტლზე კიდევ დადგა ისე, რომ ქალისათვის ხელი არ გაუშვია. მიხვდა, ზურგის მიძივც გატეხოდა ქალბატონს, ჯერ ძლივს გასწორდა, მერე ეტლში ჩაჯდომისას გაჭირვებით, კენესა-კენესით მოიხარა.

დამფრთხალი მეეტლე ხანდახან გამოხედავდა, ესეც არ გადავარდეს, ცუდ ფეხზე ავდექი დღესო. ალბათ ნათესავია ამ ქალისა, ამიტომაც იკლავს თავს, უცხოზე რატომ შენუბდებოდაო?!

მიიყვანეს საავადმყოფოში, ჩააბარეს ექიმს, რომელმაც სასწრაფოდ დაუშუშავა ჭრილობა, შეუხვია თავი. მალე მოვიდა ქალბატონი გონზე, ჯერ თვალები გაახილა, მიხვდა, სადაც იყო და ეს ამოიჩურჩულა მხოლოდ:

— რამდენ ხანს მომიწევს, ექიმო, აქ ყოფნა?!

— ორი დღე აუცილებლად! — მტკიცე ხმით გაესაუბრა დასტაქარი.

სამსონი მიხვდა, უკვე აღარ იყო საჭირო, ჯერ ავადმყოფს, მერე ექიმს შეხედა, გარეთ გამოვიდა.

ქალს წვიმისფერი თვალები ჰქონდა.

საავადმყოფოსთან მეეტლე იცდიდა. გაუხარდა, ყურადღებანი ადამიანი ყოფილა, სხვები მოყვანისთანავე გაიქცეოდნენ, ეს იცდის, აინტერესებს, როგორ იქნება ქალბატონი, მაგრამ ამის მაგიერ მგზავრობის ფულის გადახდა რომ მოითხოვა, შეცბუნდა, სიტყვა ვერ დაძრა, თითქოს ენა დაეზაო. ჯიბეები მოიჩხრიკა, მოთხოვნილზე ორი აბაზით ნაკლები აღმოაჩნდა, გაუნოდა.

კი არ გამოართვა, ხელიდან გამოგლიჯა მეეტლემ.

მოდოდა ქუჩაში ხარკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი, სისხლით დალაქავებული საშინაო

ხალათით, დახეული, საშინაო წულებით, რომელშიც შედიოდა და გამოდიოდა ქუჩაში დამდგარი წყალი. მოდიოდა, ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ჭუჭყუნებდა სატაცური, შეჭყაპუნდებოდა და გამოჭყაპუნდებოდა წყალი. მადლობა მაინც ეთქვა ვინმეს, მაგრამ არა! ექიმი სამადლობელს არ უნდა ელოდეს, თავისი გასაკეთებელი გააკეთოს, ქნას ის, რაც იმნუთას შეუძლია, მადლობა რა სალაპარაკოა. სულაც არ იცნობდა იმ ქალბატონს, მაგრამ თავგაჩეხილს ქუჩაში როგორ მიატოვებდა. მართალია, თავი საფრთხეში ჩაიგდო, მაგრამ რა უჭირს? შეიძლება პრისტავმა ან სულაც ჟანდარმმა შეამჩნიოს, სისხლით მოთხვრილი ხალათი საეჭვოდ მიიჩნიოს და დააკავოს, მაგრამ მეეტლესავით უგულო ხომ არ იქნება, აუხსნის, ეტყვის, რაც მოხდა. ბოლოს და ბოლოს საავადმყოფოში მიიყვანს, თავგატეხილ ქალბატონს ანახვებს...

პრისტავი რა ბედენაა, საფრთხე ისაა, ჭლექი ჭირს, ავადმყოფობა რომ არ მოერიოს, ზამთარ-ზაფხულ ჩათბუნული უნდა დადიოდეს, ეს კიდევ საშინაო ტანსაცმლითა და წულებით გაჰყვა, უფრო თან გადაჰყვა უცნობ ქალბატონს. ყველა ასე უნდა მოიქცეს, ექიმი — მითუმეტეს, სენშეპარული დასტაქარი, სჯობს, შეყოვნდეს, ჯერ საკუთარ თავს მიხედოს, მერე სხვებს, რამეთუ მათ მომავალში უფრო მეტად დაჭირდებათ და გამოადგებათ. თუმცა ვიდრე ცოცხალია ადამიანი, ასე გამოზომილად ვერ მოიქცევა, ვერ აწონ-დანონის ყველაფერს. ცეცხლში რომ იწვებოდეს ვინმე, ჩემი ავადმყოფობა გამახსენდება? — გაუხარდა, მყარი არგუმენტი რომ მოუძებნა მის ნამოქმედარს. და მაინც, მადლობის თქმას წინ რა უდგას...

ანგარება და ექიმი ცასა და მიწაზე უფრო მეტად უნდა იყოს ერთმანეთს დაცილებული — ეუბნებოდა მისი საყვარელი ლექტორი. არადა, მის სამშობლოში, იმ ქალაქში, სადაც სწავლის გასრულების მერე უნდა დაბრუნებულიყო, ექიმი და ანგარება სინონიმად ქვეულიყო. მეორე გიმნაზიის მონაწილე გამხდარიყო ავად, დიდთოვლობის გამო მშობლებისათვის ვერ შეეტყობინებინათ, კიდევ რომ ეცნობებინათ, სოფლიდან ქუთაისში ჩამოსვლას ვერ მოახერხებდნენ. ამიტომ ექიმმა მაჭავარიანისათვის გაუგზავნიათ ფაეტონი. მოსულა კიდევც, უნახავს, გაუხსინჯავს, ნამლებიც დაუნიშნავს. ავადმყოფის ამხანაგს უთქვამს, მშობლებს ვერ ვაგებინებთ, მკურნალობის ფული უნდა გვადროვოთ, გადაივლის დიდთოვლობა და გაგისტუმრებთო.

როცა მეორედ გაუგზავნიათ ფაეტონი, მაჭავარიანს უთქვამს გაგზავნილ კაცისთვის, უთხარით ავადმყოფს, თუ უნდა, ვნახო, თითოეული ვიზიტის ფული სამ-სამი მანეთი გამოგზავნოს წინდანინ, სხვანაირად ნახვასა და მკურნალობაზე ნურც იოცნებებთო.

ასეთი ამბები ხშირად იბეჭდებოდა „დროებაში“, რომელსაც გიმნაზიელი მეგობრები ხარკოვში უგზავნიდნენ სამსონ თოფურიას, კითხულობდა, ფიქრობდა, ხსნის გზას ეძიებდა. ყველაზე მეტად იმ ამბავმა გააოცა, შორაპნის მაზრის ბებიაქალი იქ ცხოვრებას რომ არ კადრულობდა და ქუთაისში დაბინავებულიყო. იქაური, შორაპნის მაზრის შემოსავლიდან ეძლეოდა ჯამაგირი, ეს ვილაც გრამოვსკის ქალი კიდევ იქ ყოფნას თაკილობდა. უკვირდა, სამსონს წარმოუდგენლად მიაჩნდა, ქუთაისიდან მიესწრო ამ ქალბატონს მშობიარე ქალისთვის. თავიდან გაზეთის პუბლიკაცია გაზვიადებულადაც კი მოეჩვენა, მაგრამ მერეც რომ გახშირდა გრამოვსკის ქალის ამბავი, ირწმუნა. არცერთ ექიმს არ ჰქონდა უფლება, მაზრა დაეტოვებინა და სხვაგან ეცხოვრა. ეს ბებიაქალი ვინ იყო, ვინ მფარველობდა?

X-იც რა კარგად აბოლოვებდა წერილს:

— განა ქუთაისიდან არ შეიძლებოდა დაბარება გრამოვსკისა? თუ მოასწრო, ხომ კარგი და, თუ ვერ მოასწრო და ქალი მოკვდა, მაინც ხომ მოკვდება, როდესაც იქნება!!!

ყველანი მოკვდებით ოდესლაც, მამ ექიმი რაღა საჭიროა? — ვერ მოეშორებინა ეს აზრი. ისიც მშვენივრად იცოდა,

ხალხს ექიმის ფული არა აქვს, ნამლებს ვერ ყიდულობენ, ამ ვილაც ბებიაქალს კიდევ ქუთაისში უნდა გაუგზავნონ ფაეტონი, ცალკე — მეეტლეს, ცალკე — ექიმს აძლიონ.

ქუთაისი, უსუფთაო ქალაქი, ატალახებული ქუჩები, ნაკელითა და ნაგავით დაბინძურებული გარეუბნები, ბულვარში აყიყინებული ბაყაყები, მონვიმს, წვიმა დაგახრჩობს, გვალვა იქნება და მტვერი მოგიღებს ბოლოს. ქალაქი, სადაც არც კერძო, არც საზოგადო ჰიგიენას იცავენ მაინცდამაინც.

უცნაურია, ქალაქის გამგეობა საავადმყოფოსათვის ყოველწლიურად ორი ათას მანეთს გამოყოფს. საავადმყოფო არ აქვთ და სხვა რამეში ხარჯავენ. ამდენი თანხა ყოველწლიურად რომ შეენახათ, მშვენიერ სტაციონარს ააშენებდნენ, ექიმებსაც მოინვესტირებდნენ. ჯანმრთელობის საქმე მხარეში და მთელ დასავლეთ საქართველოში აღარ იქნებოდა ეგზომ სავალალო. ეპიდემია გაჩნდება და ღმერთი გვინყრებაო, დაინყება მსხვერპლის შეწირვა, ღმერთზე უფრო საკუთარ თავს შემონყრომიან და ვერ ხვდებიან.

„დროების“ ის წერილი, სადაც ქუთაისში საავადმყოფოს გახსნის აუცილებლობაზე იყო ლაპარაკი, ცალკე ამოჭრა და ოთახში გამოსაჩენ ადგილას მოათავსა.

— ქუთაისში ამჟამად, გარდა სამხედრო გოსპიტალისა, სხვა საავადმყოფო სახლი არ არის. იმედია, ქუთაისის ქალაქის გამგეობა მიაქცევს ყურადღებას ამ დიდს სასარგებლო საქმეს და საზოგადოების შემწეობით დაანესებს საავადმყოფო სახლს.

თბილისში თუ გაიხსნა მიხეილის საავადმყოფო, ქუთაისმა რა დასაშავა? — ფიქრობდა.

უნდა გაიხსნას, საავადმყოფო რომ ყოფილიყო, იქნებ ხოლერასაც არ დაენყვიტა იმდენი ხალხი!

ამ ფიქრებში მალე გაილია გზა.

ეს დღე დაამახსოვრდა, ღრმად ჩაებეჭდა ხსოვნაში, დაამახსოვრდა წვიმისფერი ციბა და ქალის ამფერივე თვალეზით, და კიდევ იმით, რომ სისხლისა არ შეშინებია, ადრე, გიმნაზიაში სწავლის დროს, ხანჯლით დაკეჭნილ თანატოლს რომ დაინახავდა, კრთოდა. ახლა — არა, პირიქით, იმას ცდილობდა, როგორ შეეჩერებინა მოთქრიალე სისხლი.

ბინაში მისვლისას ქუთაისში მობოგინე ერთი ექიმი გაახსენდა და გუნება მოეშხამა. აი, ვინ წამოუტივტივდა გონებაში.

ჭინჭრის შარბათი

საექიმო საქმე იცოდა, მაგრამ ექიმი არ იყო. ცივად, კუმტად ხვდებოდა, უხეშად მიმართავდა ავადმყოფებს, განსაკუთრებით რუსულის უცოდინარობა ამფოთებდა, გამაგებინეთ, რუსეთში ცხოვრობთ თუ სხვა სახელმწიფოშიო. მიმსვლელ-მახვენარნი დუმდნენ. იქნებ რაიმე უსაშველოს ჩვენს ავადმყოფს და ამის უხეშობასა და ქართველთმოძულეობას რას დავეძებთო. იმას ამათი დუმილი აგიჟებდა, უფრო ღიზიანდებოდა, მაყვალავით შავი თვალეზი უფართოვდებოდა, ელვა უსახლდებოდა უცნაური კუთხოვანი ფორმის სახილველში. გზაში რომ შეგხვედროდათ, მაშინაც მიიქცევდა მისი თვალეზის ჭრილი ყურადღებას, გაბრაზებისას მუცელგამობერილ ჯადოქარს ემგვანებოდა და ჭირს ჭირზე უმატებდა ავადმყოფებს.

დღენიდავ შავი პერანგი, შავი პალტო (ზაფხულში — თხელი, ზამთარში დაბამბული) ეცვა, ასეთივე ფერის ცილინდრი კი არ ეხურა, უფრო ჩამომხობოდა ნესვივით წაგრძელებულ თავზე, ხელთ ტროსტი ეჭირა. მკურნალზე უფრო სიკვდილის მაცნეს ჰგავდა. დადიოდა, უფრო დააჩოჩიალებდა ორივე ფეხს. ცეცხლი რომ წაგეკიდებინათ, არ აჩქარდებოდა. მდორედ, ჩოჩილ-ჩოჩილით გადაკვეთდა ბულვარს, მისიანს ნახავდა, შეჩერდებოდა, გაუბამდა მუსაიფს. იქეთურ-აქე-

თურ ამბებზე ჩამოუგდებდა სიტყვას, თითქოს მასთან მიდიოდა, მის ხილვას ეშურებოდაო, — იფიქრებდი. ავადმყოფის პატრონი მოშორებით უცდიდა გამეხებული. ეს არსად ჩქარობდა, როგორც დადიოდა, ისევე ლაპარაკობდა, მდორედ, შეყოვნებით.

ივანე პურადაშვილს ცოლისძმა გახდომოდა ავად. გიმნაზიის მონაფეთა მკურნალობა ნესვთავა რუსს ევალეზოდა. ყმანვილს სიცხე თანდათან უმატებდა. რა არ ილონეს, ხალხური მედიცინის რომელ საშუალებას არ მიმართეს — ყაყაჩოს წვენი ასვეს, ცაცხვის ყვავილის ცხელ ჩაის ხომ ასმევდნენ და ასმევდნენ, მაგრამ სიცხე, დაკლები ნაცვლად, უფრო და უფრო იმატებდა. იძულებული გახდნენ, ექიმისთვის მიემართათ. იცოდნენ, თორმეტ საათამდე ეძინა ქართველებისაგან რუსულის უცოდინარობით გაკვირვებულ ექიმს. ზუსტად ამ დროს მიაკითხეს, მაგრამ არავინ გამოხედათ, ჯერ მორიდებით დაუკაუნეს კარებზე, მერე უფრო ძლიერად, ბოლოს ბრახაბრუხივ ატეხეს, მაგრამ შინიდან არავის გამოუხედავს. დადგნენ ქუჩაში და ელოდნენ, თან ჯავრობდნენ, ვილაცამ დაგვასწრო, ჩვენზე ადრე წაიყვანა მკურნალი, ტყუილად ამბობენ, შუადღემდე ძინავსო, ვის გაუგია, ექიმი და მოსვენებული ძილი. ალბათ ღამითაც ხშირად აკითხავენ, ანუხებენო. იდგნენ ერთ საათს, ორს, ექიმის სახლში არც შინიდან გამოსულა, არც შესულა ვინმე. ბოლოს, მოდი, კიდევ ერთხელ დავაბრაზუნოთ და ნავიდეთო — უთხრა ივანემ ამხანაგს, მასზე არანაკლებ რომ დამწუხრებულიყო ყმანვილის ავადმყოფობით. დააკაუნეს, უფრო დააბრაზუნეს და ხორციელის ხმა შემოესმათ შიგნიდან. ის ვერ გაარჩიეს, რა თქვა, რა დაუყვირა შიგნით მყოფმა გარეთ მოყურყუტეებს. ცოტა ხანში კარები გაიღო, წაგრძელებული თავი გამოჩნდა და ორი ადამიანი რომ დაინახა:

— რა იყო, რა მოგივიდათ, რას ამტვრევთ კარებს?! — დაიყვირა და თავი შინ შერგო. ახლა მკურნალის განრისხებული თვალეზი უცქერდა მხრებში აწურულ, შიშისაგან დაჩიავებულ ავადმყოფის პატრონებს.

— გიმნაზიის მონაფე გავციხდა ცუდად. — ამოიკნავლა ივანემ.

— რა ჭირს?! — დაიღრიალა.

— სიცხისგან ინება, ექიმო! — აქვე ვცხოვრობთ, გაგარივნის შესახვევში, გვიშველეთ...

— წადით, მოვალ! — დაუგდო სიტყვა და ურდული ისე მაგრად გააბრაზუნა, კარები შეზანზარდა.

ივანე და მისი ამხანაგი დაიმედებული კი არ ნავიდნენ, გაიქცნენ, შინაურებს ახარეს — ექიმი მალე მოვაო. გარეთ დაუდარაჯდნენ, როგორც კი გამოჩნდებოდა, სახლში, მეორე სართულზე ავუძღვეთო.

იდგნენ, ელოდნენ. ექიმი არ ჩანდა. შეცივდებოდათ, შეირბენდნენ შინ, გაითბობდნენ ხელეზს, გამორბოდნენ გარეთ. გავიდა ერთი, ორი, სამი საათი. ის-ის იყო მეოთხე საათი იწურებოდა და ხელახლა მიკითხვას აპირებდნენ, რომ ქუჩაში გამოჩნდა სასხვათაშორისოდ მომავალი, მალალი ტანის, ცალ ხელში ჩემოდნით, მეორე ხელით მინაზე ტროსტს მოაფხოკიანებდა.

— სადა ხართ, ექიმო, ამდენ ხანს, ოთხი საათია, გელოდებით! — ველარ დაფარა წყენა ივანე პურადაშვილმა.

მკურნალმა თვალეზში მუგუზალჩაბუდებული მზერა ესროლა ქუჩაში მომლოდინეებს, ტროსტი — მარჯვენა, ჩემოდანი მარცხენა ხელში გადაიტანა, იფიქრებდი, ვინმეს თავში ჩასარტყემლად ემზადებო, მოჩოჩილად ფეხები მიატყუპა, კიდევ უფრო გაიჯგვიმა ზროზე გადაჭრილ ხეს დამგვანებული და კი არ გაეპასუხა, სიტყვა მიუგდო:

— ავადმყოფი, რომელიც სამ-ოთხ საათს ვერ ძლებს, მოსარჩენი აღარაა.

ივანე შეკრთა, ცახცახმა აიტანა, თქმით არაფერი უთქვამს, ძალა მოიკრიბა, აუძლვა კიბეზე. მიდიოდა, ფეხები არ ემორჩილებოდა, მთელი სხეული უკანკალებდა. როგორც იქ-

ნა, ავიდა მეორე სართულზე და აკანკალებული ხელით იმ ოთახისკენ მიუთითა, სადაც სიცხისგან გათანგული ავადმყოფი იწვა.

— მონამლულია. — შეხედვისთანავე დაასვენა.

— რა ეშველება, ექიმო?! — ერთმა კი არა, ორმა ჰკითხა ერთდროულად.

— უსაშველო არაფერია, — ამოიქმინა, მკურნალობა ჭირდება, ნამღვრი ბლომად უნდა მივყაროთ — თქვა და ოთახი მიმოათვალიერა.

ივანე ყმანვილის მუდარანარევე თვალებს შეეფეთა. იწვა გრძელ ტახტზე მისავათებული, ძალღონედაცლილი, აქამდე ვერცხლისწყალივით მოუსვენარი ბიჭი.

— მკურნალობა რა ელირება?! — ნამოიძახა ვილაცამ.

ექიმმა გაიღიმა, ფანჯრისკენ გააპარა მზერა და ისე, რომ მთქმელისთვის არც შეუხედავს, ნამოიძახა.

— ქელებზე ძვირი არა.

ივანეს თვალთ დაუბნელდა, ენა ჩაუვარდა, იდგა გამეხებული, ველარც ავადმყოფს, ველარც ექიმს ხედავდა. ვერ გაეაზრებინა, რა ეთქვა, როგორ გაპასუხებოდა ნესვთავას. მზერა რომ დაუბრუნდა, ექიმი რაღაცას წერდა და კოკონაშვილის აფთიაქში იყიდით ამ ნამღვრსო — ეუბნებოდა დანარჩენებს. მერე ასსოვს, როგორ დახედა მიცემულ ფულს ექიმმა, თვალებიც ასსოვს მისი, აციმციმებული, სახე — მომღიმარი, ისეთი, მე ჩემი უკვე მოვიმოქმედე და დანარჩენი სულაც არ მენალვლებაო.

ეზოდან ჩოჩიალით მიმავალიც ასსოვს. უცნაური კაციაო, — ამბობდნენ. არ იჯერებდა, რა ვუყოთ, დილით ძილი ვის არ უყვარსო — ფიქრობდა ხოლმე. ახლა ისიც სარწმუნოდ მიაჩნდა — მკურნალი მსახურს ყოველ საღამოს ფიცარსა და ლურსმნებს მოატანინებდა. დაიწყებდა ხეში ლურსმნების ჩაჭედებას, ერთს, ორს და სამს კი არა, ასსა და უფრო მეტს. სადაც ადგილს მოძებნიდა, ჩააჭედებდა, მონოტონურად უკაკუნებდა ჩაქურჩს, უშვებდა რკინას ხეში, უელავდა თვალები, უბრწყინავდა სახე. მორჩებოდა ჩაჭედებას და მსახურს უბრძანებდა, ამოაძვრო, ისიც დაიწყებდა, ზოგს — იოლად, ზოგს — ძნელად, ზოგს კიდევ — სულაც ვერ დაძვრავდა საგულდაგულოდ შერჩეული ხის კაიხელა ნაჭრიდან.

ქირქილებდა მკურნალი.

— აბა, ეს ამოაძვრე, თუ ვაჟკაცი ხარ?! — ეტყოდა და ისე გადაიხარხარებდა, გარეთ გაიგონებდი.

წვალობდა მსახური, იცინოდა ჩამჭედებელი.

ბოლოს ბოლმა მოერეოდა, სახე კუმტი და შეუვალი გაუხდებოდა და კი არ ეტყოდა, უბრძანებდა: ამოაძვრე, თუ მაგარი ხარ! ამოაძვრე, ამოგაძრობ სულს... ამოძრობის მონადინეს ემიწობა, უკან-უკან იხევდა. მკურნალი დასაძინებლად ადიოდა მეორე სართულზე. კიბე ჭრატუნებდა, ღრჭიალებდა, მიმოქანაობდა — ეს ჩაეჭედა, სჯობდა, ფიქრობდა მსახური, ამდენ ლურსმანსა და ფიცარს ხარჯავს ყოველ საღამოს, რასაც მოულობს, ამაში ფლანგავს, კიბე ისეა მორყეული, თავსა და ბოლოში მაინც რომ ჩაგვეჭედებინა რამდენიმე ლურსმანი, აღარ შეგვანუნებდა ღრიჭინი. ჭრიჭინებდა კიბე, ბუხართან ეგდო ლურსმნებით გაჩუჩხული ფიცრის ნაჭრები.

სხვა რამეებსაც ამბობდნენ მკურნალზე: რომელიმე რუსი მოხელე ავად რომ გახდებდა ლამებს უთევს, მის სახლში იძინებს და იღვიძებს. ავადმყოფს თავზე დაადგება და რაღაცას ბუტბუტებს, ხელში დანა და ნახშირი უჭირავს და ისე ჩუმად ლაპარაკობს, ერთ სიტყვასაც ვერ გაიგებთ, თან ჭინჭრისაგან რაღაც ნაყენს ამზადებს, თვითონ ჭინჭრის შარბათს ეძახის და იმას ასმევს. ქართველმა რომ მოისურვოს მისი დაღევა, უარს ეტყვის, ჯერ არ დამიმზადებიაო, თანამოქმედთათვის კი გამოუღეველად აქვს.

ბევრ თვადიშვილს ბრაზი ახრჩობდა, ხვდებოდა, განგებ რომ არ აძლევდა ნამალს, ზოგიერთს ხმალიც უშიშვლია, მაგრამ მკურნალი რომ იყო, ამიტომ შეჩერებულა, უკან დაუხევიდა

ან სულაც გვერდით მყოფს აულებინებია ხმლის ან ხანჯლის ამოსაძრობად გაქცეული ხელი.

მკურნალი იდგა, იცინოდა.

— არა მაქვს, ჯერ ადრეა, სამი თვის მერე დავამზადებ, ყოველთვის კი არაა ჭინჭარი სასარგებლო.

ივანე პურადაშვილი არ გვეუბნება, რა ბედი ეწია სიცხით გათანგულ მის ცოლისძმას. სავარაუდოა, მოარჩინა მკურნალმა, რომელსაც, თუ მონდომებდა, ექიმობა არ ეშლებოდა.

მკურნალი მიხეილ ალექსანდრეს ძე ვორონოვი იყო. მუდამ რუს მოხელეთა და მათ მოერთგულე ქართველთა წრეში ტრიალებდა. მედიცინის დოქტორიც გახლდათ. როგორც ვთქვით, საექიმო საქმე იცოდა, მაგრამ გული არ ჰქონდა ექიმისა.

მიხეილ ალექსანდროვიჩი იური ვორონოვის, აფხაზთა მეცნიერ-იდეოლოგის, პირდაპირი წინაპარი გახლდათ, პაპა თუ პაპის პაპა, დადგენაც არ მიცდია.

კვიცი გვარზე ხტის, გვარიც კვიციებით იცნობა, ალბათ.

ეს ამბები სამსონ თოფურისა ქუთაისში ჩამოსვლამდე ათი წლით ადრე ხდებოდა. ხალხი ალექსანდროვიჩისნაირ უგულთა ექიმებზე უფრო ექიმბაშებს აკითხავდა, ესენი ერჩივნათ იმათ, ყურადღებით მაინც მოუსმენდნენ, დაამეღებდნენ. ისინი გუნებას მოუშხამავდნენ.

თეთრი ხალაით არასდროს ცმია მკურნალ ვორონოვს. შავი ფრაკითა და ჩაშავებული სამოსით დადიოდა.

ექიმი — სიკვდილის მაცნე.

ღმერთი უნდა იყო, ხალხს ექიმობის რწმენა რომ დაუბრუნო, გაიფიქრებდა ხანდახან სამსონი და ნამიერად შეუძლებლის დაძლევის იჭვი გამსჭვალავდა, მაგრამ წამიც მალე გაივლიდა და ძველებურად შესძახებდა: თავგანწირვის გარეშე არაფერი მიიღწევა, რწმენა მთავარი.

იმ დროში ექიმბაშებს ენდობოდნენ, ექიმებს — არა. თუმცა ექიმბაშეცა და ექიმბაშიც. სამსონის მოგვარე და ნათესავი კობტა თოფურია დაცოფილებს მკურნალობდა, რაღაც უებარი ნამალი იცოდა, მთავარი, ცოფმეყრილი დროულად მისულიყო კობტასთან, უეჭველად განკურნავდა. კობტა შეველოდა, მაგრამ პასტერის მეთოდის გამოგონების მერე ექიმობის უფლება ჩამოართვეს. ქუთაისის გუბერნატორმა დაიბარა, გამოკითხა, როგორ, რომელი მცენარეებით ამზადებდა ნამალს. კობტამ გულახდილად მოუთხრო ყველაფერი, იმან რა გაიგო, არ ვიცით. ვიცით, ექიმობის უფლების აღდგენას დაპირდა, მაგრამ წლები გადიოდა, გუბერნატორი შეიცვალა, მეორე მოვიდა, კობტა, მაზრის უფროსის დაუკითხავად, ავადმყოფს ველარ ლებულობდა. ვილაც ახალგაზრდას ცოფი მოერია, კინალამ დაილუპა საწყალი. დართეს ნება, კობტას ემკურნალა ყმანვილი კაცისათვის, რომელიც რამდენიმე დღეა იქიმიობის მერე სავსებით გამოჯანმრთელდა.

კობტას ნამბალი ოციდან ორმოცდაათ კაპიკამდე ჯდებოდა. ამ თანხის გადახდა ათასწილ ერჩივნათ ავადმყოფი და იქ ემკურნალათ. კობტა აქვე იყო, აბაშაში ცხოვრობდა, ოცი წელი ცოფმეყრილებს მკურნალობდა და ერთხელაც არ მოკვდომია ვინმე. ოდესაში წასულთაგან ზოგი გზაში დაფავდა სულს, ზოგი სულაც იქ აღესრულებოდა.

კობტა ექიმბაშე უმეტეს ექიმია, ძველი ქართული ხალხური მკურნალობის მცოდნე, ხელგაუტუდებელი დასტაქარი — ეუბნებოდა თავისიანებს სამსონი.

კობტას ვენდოთ, ფეხის ხმას აყოლილი ჯანაოზები და ესკულაპეს ვითომ მსახურები ვამხილოთ. ისინი კი არ ნამლობენ, ნამლავენ ხალხს.

მაშინ ვერ წარმოიდგენდა, რომ ადამიანებში ექიმობისა და ექიმის რწმენა სწორედ მას უნდა ჩაენერგა. ვერც იმას წარმოიდგენდა, მომავალში, არც ისე დიდი ხნის მერე, მოსეს თუ შეადარებდნენ. როგორც მან გამოიყვანა ეგვიპტელები უდაბნოდან, ასევე უნდა ეხსნა სამსონს ხალხი ჯერ ცრუ რწმენისაგან, მერე ავადობისაგან.

ეს არის ტელეკომპანია „მაქსტროს“ „კვირის აზრებისთვის“ დანერგილი ბლოგი. რაც შეეხება ორგანიზაციას, რომელმაც გერმანიაში მიიწვია ქართული პროზის ახალი ტალღის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი — ეკატერინე ტომონიძე, ჰქვია „ლიტერატურული კოლოკვიუმი ბარლინი“. მან მიიღო მწერლის სტიპენდია (მანამდე იქ კიდევ რამდენიმე ქართველი მწერალია წამყოფი) და ნოემბერი ბერლინში გაატარა. ჰქონდა ყველა პირობა, რომ ემუშავა და დაესრულებინა თავისი პირველი რომანი „ასინარონი“, რომელსაც პაპურ სულაკაძურის გამომცემლობა გამოსცემს. ჩვენი ჟურნალის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ ერთ მონაკვეთს ამ არაორდინარული ეპიკური ქმნილებიდან.

ეკატერინე ტომონიძე

ეკონომიკა და ბედნიერება — გერმანული შთაბეჭდილებები



სტერეოტიპებით აზროვნება რომ მცდარია, ამაზე ალბათ ვთანხმდებით. ადამიანების თუ მოვლენების წინასწარ განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქცევა და ინდივიდუალური მიდგომის გარეშე იარაღების მიკერება ხშირად ნამდვილი უსამართლობაა. თუმცა არსებობს ამ ცნების პოზიტიური მხარეც: მაგალითად იმის ცოდნა, რომ გერმანელები პუნქტუალურები არიან, გვეხმარება მათთან ურთიერთობაში — ვცდილობთ არ დავიგვიანოთ. ნოემბერი გერმანიაში გავატარე, როგორც ბერლინის ლიტერატურული კოლოკვიუმის სტიპენდიატმა, და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რამხელა მხარდაჭერას იჩენს და რესურსს ხარჯავს ეს სახელმწიფო არა მხოლოდ საკუთარი კულტურისა და ხელოვნების, არამედ უცხოური ლიტერატურის განვითარებისთვისაც. გაფრენის წინ თბილისის აეროპორტში გავაფრთხილეს, სასწრაფოდ გამოვეცხადებოდა ვიღაც ვითზე. რამდენიმე მგზავრი კაფეში მოკალათდა, ყავის დაღვევას მოვასწრებო... ასე იყო აღქმული სიტყვა „სასწრაფოდ“. და მართლაც მოასწრეს... ვეცადე დროის ჩვენებური გაგება სამშობლოში დამეტოვებინა. ჩავედი მეგაპოლისში, კონტრასტებისა და ელვისებური დინამიკის 4-მილიონიან ქალაქში... ჩემი ერთ-ერთი შთაბეჭდილება მეტროს უკავშირდება, საუკეთესოდ ორგანიზებულ, მარტივად გასარკვევ მარშრუტებს, მატარებელს, რომელიც წამითაც არ იგვიანებს, თუმცა იყო ორი გამონაკლისი. მიზეზი გერმანულად გამოაცხადეს. მხოლოდ ის გავიგე, რომ „პირად მოტივზე“ იყო საუბარი და აზრს ველარ ჩავწვდი. ავტობუსის გაჩერებასთან მუშები ორმოს თხრიდნენ. ასეთი ორმო არასდროს მინახავს — სიმეტრიული, სანტიმეტრებში გათვლილი, ოთხკუთხედი. პატარა მილი გამოცვალეს და კვადრატი ისევ ამოავსეს. კიდევ ერთხელ გამოაგნა პედანტურმა სიზუსტემ და დაუზარლობამ. ძველი ანექლოტიც გამახსენა, რომელიც ისევ სტერეოტიპებზეა აგებული: სიკვდილმისჯილ ფრანგს, ინგლისელს და გერმანელს ემაფოტზე ბოლო სურვილის უფლევ-

ბას აძლევენ. ფრანგი საყვარელ ქალს გამოემშვიდობება, ინგლისელი უკანასკნელად გააბოლებს ჩიბუხს, გერმანელი კი გილიოტინაზე ხინჯს შენიშნავს და მოითხოვს, შემაკეთებინეთო. ლიტერატურულ წრეებში უყვარდათ გოეთეს ხსენება და მეც მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ციტატას მოვიშველიებ: „ყველაზე დიდი ცოდვა უხარისხოდ გაკეთებული საქმეა“. ამ ფრაზაზე სულ მახსენდებოდა, რომ ვარ ქვეყნიდან, სადაც ქართველ კლასიკოსთა არაერთი სიბრძნის პარალელურად დაიბადა გამონათქვამი: ცუდად ჯდომას ცუდად შრომა ჯობიაო. კულტურული კონტრასტი ამკარად დიდია. არჩევანი ჩვენ ცუდსა და უარესს შორის გვიდგას. გოეთეს ერთი წინადადებით კი თითქმის მთელი ის ჯადოსნობა იხსნება, რამაც მეორე მსოფლიო ომში განადგურებული გერმანია უსწრაფესი ტემპით დააყენა ფეხზე, დამარცხებიდან 9 წლის თავზე, 1954 წელს, შვეიცარიაში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონობა მოაპოვებინა და ევროპაში ეკონომიკური მაჩვენებლით ერთ-ერთ ლიდერად აქცია. ამ სტატუსს გერმანია, მოგესხენებათ, დღემდე წარმატებით ინარჩუნებს. მატარებლის მეორე დაგვიანებისას, ჩემი თხოვნით, მიზეზი უკეთ გადამიტარგმნეს და არსიც ამიხსნეს: ე.წ. „პირადი მოტივი“ აღმოჩნდა, რომ იყო „თვითმკვლელობა ლიანდაგებზე“. გერმანიაში თურმე ეს სუიციდის გავრცელებული ფორმაა. ოფიციალური სტატისტიკით, დღეში საშუალოდ 2-3 ადამიანი ასრულებს სიცოცხლეს კონკრეტულად ამ გზით. 2012 წლის მერე, როცა 872 შემთხვევა დაფიქსირდა, სტატისტიკა კიდევ გაიზარდა. ვიდრე ქაქანზე, ვფიქრობდი გარდაცვლილზე, მატარებლის მძღოლზე, თვითმხილველებზე... მერე უკვე იმ მგზავრებზე, რომლებსაც სადღაც ეჩქარებოდათ და საათს უკმაყოფილოდ უყურებდნენ. მიტრიალებდა კითხვა: ეკონომიკური განვითარების საბოლოო მიზანს ხომ საზოგადოებრივი ბედნიერება წარმოადგენს?! კვლევებიდან ჩანს, რომ მაღალგანვითარებული ქვეყნები, სადაც დაბალია ინფლაცია, უმუშევრობის ინდექსი, კრიმინოგენული ფონი, ძლიერია ჯანდაცვა და განათლების საყოველთაო სისტემა, მოკლედ, როგორც იტყვიან, ყველაფერი რიგზეა, სათანადოდ მაინც ვერ უმკლავდება მენტალურ კრიზისს, ზოგჯერ პირიქით, მატერიალური პროგრესის ფონზე ეგზისტენციალური პრობლემები უცნაურად ღრმავდება. მეტრომ იმ დღეს სულ 20 წუთს დაიგვიანა. ლიანდაგები სწრაფად განმინდეს. ვაგონები ისევ გაივსო ხალხით და ქალაქის დროებით დარღვეული რიტმიც აღდგა. ნოემბერში ლიანდაგზე თვითმკვლელობის სტატისტიკა ორით გაიზარდა, დაკარგული სიცოცხლე ციფრებში მოექცა... გილიოტინის შეკეთებისა არ იყოს, იქნებ იმ სისტემის ხარვეზებზე უნდა ვიფიქროთ, რომელიც გილიოტინას სხვადასხვა ფორმით იყენებს, თანამედროვე ცხოვრებაში არაპირდაპირ, არახილულად, ნებაყოფლობით... თუნდაც ისეთ განვითარებულ სამყაროში, სადაც დემოკრატიის უმაღლესი სტანდარტებია. ნებისმიერი პროგრესი ხომ ადამიანს უნდა ემსახურებოდეს და არა პირიქით. ამოსავალი ნერტილი მუდამ ადამიანი უნდა იყოს. ადამიანი — თავისი ფუნდამენტური უფლებით, არა მხოლოდ სიცოცხლის, არამედ ბედნიერებისაც.

ეკა ბუჯიაშვილი

„ნუთუბი, რომლებიც უნდა შეაბროვო“

ბავშვობიდან იცოდა, რომ გამოჩენილი ადამიანები წერდნენ დღიურებს.

რამდენჯერმე თვითონაც სცადა.

ამ საქმეს ორშაბათობით იწყებდა.

გადაშლიდა 12-ფურცლიან რვეულს, მარჯვენა, ზედა კუთხეში წერდა თარიღს, თვეს, რიცხვს, წელს და... ფიქრობდა, რა დაენერა შემდეგ.

— ავდექი 8 საათზე, ვისაუზმე, დავლიე ჩაი, შევჭამე კარაქიანი პური, მივაყოლე მანის ფაფა, გავუარე ნინო მელიას, ისევ მალოდინა. დღეს საკონტროლო წერა გვაქვს ქართულში. წავიღე 12 რვეული — იქნებ ვინმეს დავინყებოდა — და კალმისტრები...

ეს იყო „ყველაზე ტკბილი“ ჩანაწერი, რომელიც გაეკეთებინა თავის დღიურში, რადგან მეტი გულწრფელობა არ შეეძლო.

ეუხერხულეობა;

რცხვენობა;

ეს განცდა აბრკოლებდა და დღიურს ველარ აგრძელებდა.

მაგალითად, ვერ ამხელდა, როგორ იტირა, როდესაც ახალ, გერმანულ პალტოზე ვილაცამ, ნებით თუ უნებლიეთ, მელანი გადაასხა, როგორ ლელავდა გზაში — რანაირად ეთქვა ეს ამბავი დედისთვის; ვერც იმას წერდა, კლასში ყველაზე სიმპატიურ ბიჭს რომ მოსწონდა, ყოველდღე სახლამდე აცილებდა, და ძალიან განიცდიდა, როცა თანაკლასელი გოგონები ამაზე მიანიშნებდნენ ხოლმე...

გაივლის წლები და **ნინო ზალიშვილი** კიდევ ცდის დღიურების დანერას. ეს უფრო მონახაზებია, რომელთა გავრცობასაც აპირებდა, ჩანიშნული ფაქტები, ერთ დღეს რომ მიუბრუნდებოდა, თავის მოგონებებს, წარსულ განცდებსა და ცნობიერების ნაკადს კალაპოტსაც ამოუშენებდა და თავის გზას მისცემდა, მაგრამ...

ახლა სწორედ ამ ჩანაწერებს ვფურცლავ, მოკლედ ჩანიშნულ ამბებს, თითქოს ფოტოებზე შეჩერებულ კადრებს, თუმცა ისეთი ფაქიზი განცდებით გაჯერებულს, მისი სულის ლაბირინთებსაც რომ გვიხსნის.

უყვარდა კითხვა.

რამდენჯერ მიბრუნებია ერთსა და იმავე წიგნს გასახსენებლად. დღეს ერთ ნაწილს ნაიკითხავდა, ხვალ — მეორეს... განწყობილების მიხედვით. ერთადერთი ნაწარმოები, რომელიც მეორედ აღარასოდეს გადაუშლია, პროსპერ მერიმეს „მატეო ფალკონე“ იყო.

ვერა, ვერ გაეგო მთავარი გმირისათვის, ლალატის გამო შვილი სიკვდილით რომ დაესაჯა.

— ეს შემზარავი მომენტი ისე ძლიერად მოქმედებდა ჩემზე, მისი ხელმეორედ განცდა აღარ შემეძლო.

შვილის მკვლელების სია მოკლე არ არის, შორს რომ არ წავიდეთ, ყაზბეგის ხევისბერი გოჩას გახსენებაც საკმარისია, მაგრამ ის... ის პატარა ბიჭი, ბავშვურ ცდუნებას აყოლილი, მაინც განსაკუთრებით უჩუყებდა გულს.

სტალინიც უპირველესად იმ „მაღალი სახელმწიფოებრივი ვალისათვის“ გაეკიცხა, „Я солдат на фельдмаршала не меняю“-ო, რომ ეთქვა და შვილი გაენირა.

— თქვა თუ არა, დანამდვილებით ვინ იცის, მაგრამ ალბათ იტყოდა რაღაც ამდაგვარს და სიტყვა — შეუბრალებელი — მის სახელს სამუდამოდ დაუკავშირდაო.

თვითონ, როგორც დედას, ამის გაგება უჭირდა, რადგან ფიქრობდა, რომ ადამიანში ყველაზე ძლიერი სწორედ ეს გრძნობაა და სხვა ყველაფერი უბრალოდ თვითშენილებვა გახლდათ.

რომ შვილის სიყვარულზე მალლა ღმერთია მხოლოდ;

რომ ეს უჩვეულო, ყველაზე და ყველაფერზე ძლიერი განცდა გატრიალებს ამ უსასრულო სამყაროში... საშუალებას არ გაძლევს, მოდუნდე, უფლებას არ გაძლევს, სასო წარიკვეთო, და ისეთ რამეებს გაკეთებინებს, ვინ იცის, იქნებ ადამიანურ ძალებსაც რომ აღემატება.

აი, თუნდაც ის ამბავი გავიხსენოთ, 9 აპრილის შემდგომ დღეებში რომ შემთხვეოდა.

რუსთაველზე უცნაური სიჩუმე იდგა.

ჩვენ ყველას გვახსოვს ეს სიჩუმე, ისეთი მეტყველი, როგორც მუნჯი ბავშვის თვალები. მის დღიურებში კი ასე ასახულიყო:

— დაზაფრული ადამიანების ფეხის ხმა ისმოდა.

სამხატვრო აკადემიის კიბესთან რუსი ჯარისკაცები იდგნენ.

სულ ახალგაზრდები, ჯერ კიდევ ბავშვური სახეებითა და თვალებით, ისე მორცხვად იდგნენ, თითქოს გრძნობდნენ მოქალაქეთა განწყობას, რომელთაგან ზოგიერთი აშკარად ამჟღავნებდა სიძულვილს...

ქალები აჩერებდნენ თურმე მამაკაცებს, ჯერ კიდევ სისხლშემშრალ ქუჩებში გულშეკუმშულნი, მშვილდით მოზიდულნი რომ დადიოდნენ, გული ყელში რომ ებჯინებოდათ და ყელში გაჩხერილ სიტყვებს მაინც უხსნიდნენ გზას დროდადრო...

ქალები ცდილობდნენ დაეკავებინათ მუშტებშეკრული ახალგაზრდები, ემინოდათ, კიდევ რამე უბედურება არ მოენათ რუსული ცელისაგან.

ჯარისკაცები კი... იდგნენ თურმე — უპასუხოდ, უკომენტაროდ, ავის მოლოდინში გასუსტლები...

„ჯერ კიდევ ბავშვური თვალებითა და სახეებით“ ხომ იდგნენ და იდგნენ და...

— სიმართლე გითხრათ, მეცოდებოდნენ კიდევ, მათ ვინ რას ჰკითხავდა, რასაც უბრძანებდნენ, იმას აკეთებდნენო.

11 აპრილი იყო...

მეორე დღეს სამსახურში მიმავალი სიღნაღში ნაყიდ კაკლის მურაბას გაიყოლიებს და კეკელიძის ქუჩაზე, თითქმის უნივერსიტეტთან, სატვირთო მანქანის ძარაზე რუს ჯარისკაცებს რომ დაინახავს, შეეცოდება, ჰო, არც მეტი, არც ნაკლები, გული შეეკუმშება: წარმოვიდგინე, ჩემი შვილი რომ ყოფილიყო სადღაც, ასე შორს, უდელოდ, ასეთ ვითარებაში და, თვითონაც რომ უკვირდა თავისი საქციელი, ისე გაუხსნია ჩანთა, მას — არა, მასში გულაჩუყებულ დედას, გაუხსნია — განცდას, იმ ნუთას ტკივილზე ძლიერიც რომ იყო, შურისძიების სურვილსაც რომ აღემატებოდა, ქვეყნიერებაზე დიდიც რომ გახლდათ და ყველაზე გულწრფელი და მართალიც ამ ცოდვებრილიან სამყაროში და... კაკლის მურაბით სავსე ქილა მიუწოდებია...

არ დაუნახავს გაუხსნჯეს თუ არა გემო ქართველი დედის მოხარულ მურაბას ჯარისკაცებმა, 9 მარტის, 9 აპრილის და, ვინ უწყის, რამდენი ასეთი დღის „შემოქმედი“ ცოდვიანი იმპერიის შვილობა რომ არგუნათ ღმერთმა, მაგრამ ის თვალები... გაოცებული ცისფერი თვალები, იქნებ ცოტათი შეშინებულნიც — მონამღული არ იყოსო — არასოდეს დავინწყია.

არასოდეს, რადგან არც ის ტკივილი მოშუშებია.

არც ის საზარელი სიჩუმე გადაუფარავს ცხოვრების რიტმით ძალაუვნებურად ახმაურებულ ქალაქს და არც ცოდვა და ბრალი მოჰკლებია ამ უცნაურ სამყაროს, რომლისთვისაც ვერაფერი გაეგო...

ვერა, ვერ ამოეცნო, რატომ წირავდა ცხოვრება ამ ისედაც მოკლე ნუთისოფელში ადამიანებს — ზოგს ცოდვისათვის და ზოგს მსხვერპლად;

რატომ არ ჰქონდა სიყვარულს იმხელა ძალა, ეს ამოდენა დედამინა მარტო თვითონ ებრუნებინა;

რატომ ავინყებოდა ადამის მოდგმას ყველაზე დიდი ღირებულებები, კაცობრიობა აქამდე რომ მოეყვანა... არა, არც ლალატს მოეძებნებოდა მისთვის ახსნა, მაგრამ... რაც გინდათ თქვით და... ვერც მატეო ფალკონესათვის გაეგო.

ბავშვობაში პირველად მაშინ გავიცნე, როცა დაწყებითი კლასის მოსწავლემ სკოლის ბუფეტში მასწავლებლები დაინახა და აღმოაჩინა, რომ ჭამა მათაც სჭირდებოდათ.

მერე კი ცხოვრებამ ბევრი რამით გააკვირვა — კარგითაც და ცუდითაც, ჩვენი არსებობის მაღიარებლითაც და უარყოფელითაც...

რალაც იცვლებოდა, რალაც — არა.

აი, მაგალითად, კარგად ახსოვს პიონერთა ხელმძღვანელად რომ აირჩიეს, რაკი მთავარ კრიტერიუმს — წარმატებულ სწავლას აკმაყოფილებდა.

მასწავლებელმა დაავალა, რომ მოსწავლეებისთვის „ნორჩი ლენინელი“ გამოენერინებინა.

გაზეთი მასაც ჰქონდა გამოწერილი, ძალიანაც უყვარდა, ბევრ საინტერესო ამბავსაც იგებდა იქიდან, ამიტომ სუფთა სინდისით გადანყვიტა, ამ გამოცემის ღირსებები წარმოეჩინა და შეკრებილი მოსწავლეები დაეინტერესებინა. მეორე დღეს კი მათ საჭირო თანხა უნდა მოეტანათ.

გავიდა ერთი დღე, ორიც, სამიც... მაგრამ გაზეთის გამოწერის სურვილი არავის გამოუთქვამს და არც ფული მიუტანიათ სკოლაში.

— პელო მასწავლებელს თვალს ვერ ვუსწორებდი. როცა არც მომდევნო დღეებში შეიცვალა ვითარება, გადანყვიტა, ჩვეული მეთოდებით ემოქმედა — ქარაშოტივით შემოვარდა ოთახში, კათედრასთან მივიდა, მე განზე გამწია, ტრიბუნაზე შედგა, ბავშვებს ერთი დაჰყვირა: ხმა ჩაიწყვიტეთ, ნუ ხმაურობთო და მერე მბრძანებლური ტონით დააყოლა:

— ხვალ ყველა მოიტანთ ამდენ მანეთსა და ამდენ კაპიკს და გამოიწერთ „ნორჩ ლენინელს“ ყოველ მიზეზ გარეშე.

ეს ისეთი სიმკაცრით თქვა, მეც ამაკანკალა.

მეორე დღეს კლასში შევედი და აღმოჩნდა, რომ ამ პოლიტიკას გაეჭრა.

ყველამ მოაცუწცულა გაზეთის გამოწერისათვის საჭირო თანხა.

წლები გავიდა მას შემდეგ, მე კი სულ მიკვირს, რომ პელო მასწავლებლის პოლიტიკა დღესაც ჭრის და ცოცხალია.

მერეც ბევრი რამ აოცებდა.

თუნდაც ის, ფილმებსა და ისტორიის წიგნებში გაგონილ სიტყვას — ალაფი — თავისი არსით რეალობაშიც რომ წაანყდა.

მანამდე არაერთი ისტორია მოესმინა, მაგალითად, ერთ ჭკვიან კაცზე, რომელმაც კოაფერი წამოიღო გერმანიიდან, მხოლოდ წემსებით სავსე კოლოფები და საკერავი მანქანა და... უსაშველოდ გამდიდრდა.

ის ამბებიც გაეგონა, საბჭოთა მხედართმთავრებზე, გერმანიიდან ემელონებით რომ გამოეზიდათ ავეჯი;

ის კომიკური ეპიზოდები — იმპერიის სარდალთა ცოლებზე, ქმრების ჩამოტანილი პურანგები საღამოს კაბები რომ ეგონათ და ასე „შემოსილნი“ მიბრძანდნენ თეატრში;

სმენია დრუბენის გალერეიდან გამოზიდული უძვირფასესი სურათებისა და ბიბლიოთეკებიდან წამოღებული უნიკალური გამოცემების შესახებაც, შევარდნაძის მმართველობის უამს სახელმწიფო უნივერსიტეტშიც რომ აღმოაჩინეს და გერმანიას დაუბრუნეს.

ჰოდა, ეგონა, ეს ძარცვა-გლეჯა, რისთვისაც რომაელებს სამ დღეს აძლევდნენ ხოლმე, იმ ბნელ საუკუნეებში დარჩა, მაგრამ...

— აფხაზეთის ომის დროს ყველაზე სამარცხვინო ეპიზოდები სწორედ ასეთ ქმედებებს უკავშირდებოდა — „მხედრიონელები“ ჯერ აფხაზებს ძარცვავდნენ, მერე სომხებსა და რუსებს, ბოლოს ქართველებსაც მიადგნენ...

შემზარა ერთმა „კომპლიმენტმა“, ჩემს ნაცნობ სტუდენტზე, ცნობილი მეცნიერის შვილოშვილის ქმარზე რომ თქვეს, ჩვენ ქარაფშუტა გვეგონა, მან კი ოჯახისთვის სოხუმიდან გამათბობელი ჩამოიტანაო.

ვინ იცის, ასეთ დროს იქნებ ისევე ბავშვობას ნატრობდა, იმ დროს, როცა ეგონა, რომ მასწავლებელს ჭამა არ სჭირდებოდა, როცა ქვეყნიერება დედის ნამბობ ფერად ზღაპრად წარმოედგინა, და ფიქრობდა, რომ სამყაროს სულ დედის სუნი ექნებოდა, მაგრამ...

თუმცა ისეთი ნუთებიც ხომ ჰქონია, რომლისთვისაც ღირდა ცხოვრება, ხშირად გაუხსენებია ის სტატია, რომელზეც ბევრი ინვალა — ერთ ნაცნობს ეთხოვა, რომ პიკასოს საიუბილეოდ დაენერა. უჩვეულო ამბავი არაფერი იყო, არაერთი წერილი გამოუქვეყნებია სხვადასხვა მხატვარზე, მაგრამ ამ სტატიის ადრესატები მხედველობადაქვეითებული ადამიანები იყვნენ. ახსოვს, როგორ უხაროდა, როცა მათ ბრაილის შრიფტით წაკითხული წერილი ძალიან მოინონეს, და ის ჰონორარიც ყველა ჯილდოზე მეტად ეძვირფასებოდა, რომლითაც ორი თბილისი პლედი იყიდა და დიდხანს, კიდევ დიდხანს ათბობდა „ბრმების პიკასო“.

თბილისის ომის დროს სულ შინ იყო, გარეთ არ გამოდიოდა. რუსთაველზე აღარ გავივლიო, — ფიქრობდა.

ასე ფიქრობდა, თორემ ერთ დღეს მაინც წავიდა.

ყვავილები უყვიადა.

საერთოდ, კალები უყვარდა ძალიან, მაგრამ ამას ვერ ამხელდა — ეუბნებოდნენ, კალა რამ შეგაყვარა, პანაშვიდის ყვავილიაო. ასე ხომ ვარდი, მიხაკი, ტიტა, ია და ყოჩივარდაც შეიძლება გენახა სამძიმრებზე და ვერ ხვდებოდა, მაინც-დამაინც კალა რატომ გასიმბოლებულიყო ადამიანებისთვის სიკვდილთან. მისთვის რომ გეკითხათ, ეს მალაღფეხიანი ყვავილი ძალიან უხდებოდა ლარნაკს და ესთეტიკურადაც სხვებზე ლამაზი სახანავი იყო. იქნებ ამიტომაც მხატვრები ხშირად ხატავდნენ ნატურმორტებს კალებით.

ყველაზე მეტად დიეგო რივერას ქალის გამოსახულება ჩარჩენოდა მესხიერებაში — მუხლებზე კალებით სავსე კალათით ხელში რომ დაეხატა მხატვარს.

ფრიდა კალოს უყვარდა კიდევ კალები.

თვითონაც ეს ყვავილი გამოეჩინა სხვებს შორის და იმ დღეებში, ნომარ-ნომარ ქალაქის მთავარ გამზირზე გავლილს მთავრობის სახლის წინ რომ დაუნყვია და მერე ლესელიძის ქუჩასაც ჩაჰყოლია, უკან ამობრუნებულს, ყვავილებით მოფენილი დახვედრია იქაურობა.

თბილისში ხეებიც კი უყვარდა.

გული წყდებოდა ყოველ ტოტზე, ხალხმა უგაზობისა და უშუქობისას რომ გამოიყენა, რალაცნაირად ეკუმშებოდა, თვითონაც შეიჭმუხნებოდა ხოლმე, ძირში გადაჭრილ ხეებს რომ უყურებდა მზიურში.

ალარც ის სიტბო უღირდა, თვალზეგამოლამებულ სახლებში სიმწრით დანთებული, ფუფუნებადქცეული ლუმელების სიტბო, და აგონდებოდა, ბავშვობაში თუნუქის ფეჩი რომ ჰქონდათ, შეშა რომ ლუდლუდებდა — ზუსტად არ ახსოვს, შეიძლება შავი ნახშირიც — დედა ლუმელის პატარა კარს რომ გამოალებდა და პურს ან მჭადს აცხობდა.

ასეთი გემრიელი პური ალარც ალარასდროს უჭამია.

ალარც ის სუნი უგრძნია სადმე, დედასაც, მის სახლსაც, მის ბავშვობასაც რომ ასდიოდა.

და იმ ლუმელებთან, თბილისური ხეები რომ ინაცრებოდა, ეს მოგონება იქნებ უფრო მეტად ათბობდა.

ყველაფერი შეცვლილიყო მის ქალაქში.

სადღაც გამქრალიყო ის სიხალისე და სილაღე, თბილისს რომ გამოარჩევდა.

სახლების გარდა, თითქოს საკუთარ ნაჭუჭშიც გამოკეტილიყვნენ ადამიანები.

თვითონაც, იმ ავბედით დღეებში, შინიდან გასვლა არ უნდოდა, მხოლოდ ხატავდა, ხატავდა წარსულს, მათ, ვინც გამორჩეულად დაჩნეოდა მის მესხიერებას, ლამაზ ნლებში რომ აბრუნებდა და ყოფითი რეალობიდან გაქცევის საშუალებას აძლევდა.

ამას წინათ ტელევიზიით ერთ-ერთ გადაცემაში ცნობილი უცხოელი მსახიობი ყვებოდა, ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებთან სტუმრობისას პატარებმა მისი მშვენიერი, გაშლილი თმა რომ დაინახეს, უჩვეულო აღტაცებით, გაუცნობიერებელი ტკივილითა და სევდით დაინყეს მოყოლა, როგორი ლამაზი თმა ჰქონდათ ამ სენის შეყრამდე...

ეს კადრები გამახსენდა ამ ჩანაწერების კითხვისას. ჩვენ, ადამიანები, ხანდახან ვფიქრობთ წარსულზე, იმ ბედნიერ წუთებზე, რომლებიც „უნდა შეაგროვო, რომ თან წაიღო“, რადგან აღარასოდეს განმეორდება, ამ ბავშვებივით ყველაზე გულწრფელი აღტაცებითა და შეფარული თუ ხილული სევდით ვიხსენებთ ჩვენთვის ძვირფას ამბებს, თითქოს ეს მოგონებები გვიმსუბუქებენ მძიმე დღეებს უსიყვარულოდ, უსიკეთოდ, უმზიოდ დარჩენილ სამყაროში, დამსხვრეულ იმედებს გვიკონინებენ და გვაძლევენ ძალას, რომ ფეხზე წამოვდგეთ, რადგან ცხოვრება გრძელდება და ხვალ... ხვალ აუცილებლად სხვანაირი დღე გათენდება...

— მახსენდებოდა ყველაფერი, რაც ნლების მანძილზე ჩემს ცნობიერებაში ილექებოდა: მუსიკალური, მხატვრული, თეატრალური, ლიტერატურული თუ ყოველდღიური, ყოფითი შთაბეჭდილებები, ახლობლების ნაამბობი, ვიკონებდი ყველაფერს — ნაცნობს და უცნობს... და ეს ჰგავდა მოგონებებს სიკვდილის წინ...

მასაც სასონარკვეთა თუ მოსძალებოდა, საარსებო პურის მოსაძიებლად ქუჩაში გამოსულ ადამიანთა თვალებში ჩახედვა თუ უჭირდა.

ეს ის რეალობა იყო, როცა სიტყვა „დეფიციტთან“ ერთად აქტუალური გამხდარიყო საკუჭნაო, სადაც ადამიანებს, ზღარბებივით, სოკოების ნაცვლად შინ მიჰქონდათ ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა და რასაც იშოვნიდნენ — ასანთის მთელი შეკვრა, სანთლები, საპონი, შაქარი, ზეთი, ნავთქურა, ფქვილი... ყველაფერი, რაც შეიძლებოდა გამოსდგომოდოდა ოჯახს.

ქუჩებში რაღაცას ეზიდებოდნენ ადამიანები, ჭიანჭველბივით მდუმარედ, ერთი საფიქრალით — როგორმე ეს ცივი და მშვიდი დღეც მშვიდობით გადაეგორებინათ.

მერე ტალონებზე გაცემულ პროდუქტებს რაღაც იმედი ჩაესახა მათთვის, თუმცა ძალიან ცუდ დღეში აღმოჩენილიყვნენ სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუდენტები, რომლებსაც არანაირი ტალონი არ გააჩნდათ.

— ასეთი იყო ქანდაკების ფაკულტეტის სტუდენტი ა. გეგამიანი.

შემთხვევით გავიგე, რომ შიმშილობდა.

იმ დროს ჩემი ქმარი ორ ადგილას მუშაობდა და შაქრის 2 ტალონი ჰქონდა. შემეცოდა და შინიდან შაქარი წავუღე, ჩაი მაინც რომ დაეღია.

მეზობლებსაც ვუამბე, ზოგმა მურაბა გამატანა, ზოგმა ჯემი, საზამთროდ გამზადებული ბოსტნეულის რამდენიმე ქილაც... თვითონ უარობდა, ემჩნეოდა, რომ შიმშილის შემოტევას ველარ უძლებდა, მაგრამ მაინც არ იღებდა ძღვენს. მისი სიამაყე რომ არ დამეთრგუნა, ვეუბნებოდი:

— ჩემი შვილი რომ შენს სამშობლოში ასეთ ვითარებაში აღმოჩენილიყო, დედაშენი ხომ დაუძახებდა-მეთქი.

ამაზე მეთანხმებოდა... მეთანხმებოდა და ელიმებოდა... ელიმებოდა რაღაცნაირი მორიდებით.

ოდესელი სომეხი იყო, დედა პოლონელი ჰყავდა.

ვერ უშველა ჩემმა დახმარებამ, რამდენიმე ხანში უკან, ოდესაში დაბრუნდა.

ბევრ ადამიანს ვერ უშველა მაშინ ხელის განვდენამ.

ფიზიკურის გარდა, სულიერადაც გაეტეხა გაჭირვებას.



ნინო ზაალიშვილი

ვერ გაუძლო მძიმე რეალობის პირისპირ მარტო დარჩენას, საკუთარ უსუსურობას, პურის გრძელ რიგებს ზამთრის ცივ ღამეებში... ასეთ დროს ხშირად ახსენდებოდა ის ამბავი, ხრუმჩოვის დროს პურის დეფიციტი რომ შეიქნა, თალხი, უცნაური მასალისგან დამზადებული სველი პური რომ იყიდებოდა და მამიდამ, რომლის სიძეც რაიკომში მუშაობდა, ყველაზე დიდი საოცრება — „თეთრი ბუხანკა“ მიუტანა ძმის ოჯახს.

ეს იყო უძვირფასესი საჩუქარი იმ ნლებში და რას წარმოიდგენდა, რომ გავიდოდა ნლები და ეს საჩუქარი კვლავაც სანატრელად წამოაგონდებოდა ხოლმე გაუსაძლის რიგებში, როცა ადამიანები ათას რამეს უყვებოდნენ ერთმანეთს — გასამხნეველბად, დროის გასაყვანად, სუსხიანი ღამეების შესათბობად და მალე გასათენებლად.

— რუსთაველის გამზირზე აღარ გავივლიო, — ტკივილს ამოაყოლებდა ხოლმე ფრაზას, არ უნდოდა დანგრეული, დარბეული, გადამწვარი ქუჩებისა და სასონარკვეთილ ადამიანთა თვალების, კუბონებით „გამილიონერებულ“ თანამოქალაქეთა შეჭირვების, დათითოკაცებული ქვეყნისა და ორ პოლიტიკურ ბანაკად გაყოფილი სამშობლოს ნახვა, მაგრამ...

მერე მაინც გავივლიდა.

კალებსაც დააწყობდა მთავრობის სასახლის წინ.

ლესელიძის ქუჩასაც ჩაუყვებოდა და უკან ამობრუნებულს ყვავილებით მოფენილი რომ დახედებოდა იქაურობა, შეკუმშული გული ოდნავ, სულ ოდნავ გაეხსნებოდა.

ამ განცდასაც იმედი ერქვა მისთვის.

ადამიანებისა და ადამიანურობის იმედი, რომელიც ხვალ... ხვალ აუცილებლად უკეთეს დღეს გაათენებდა.

მეც მახსოვს ის სერია, „მოგონებები სიკვდილის წინ, გაფრიალებული სარეცხის აკომპანემენტით“, ძველ გალერეაში გამოფენილი.

იქნებ ჯერ მის სხვა ნამუშევრებს უნდა ვიხსენებდე, ან სულაც იმით უნდა დამეწყო თხრობა, როგორი შემოქმედებითი გზა განვლო, ჯერ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში რომ სწავლობდა ხელოვნებათმცოდნეობის განხრით, მერე — პეტერბურგისაშიც.

სამეცნიერო დარგში შექმნილი ნაშრომებით („ქართული გრაფიკის ტენდენციები“, „ქართული სახვითი შექსპირიანა“, „რეპრესირებული ქართველი მხატვრები“, „დავინწყებული ქართველი მხატვრები“) ამ სფეროსაც საკუთარი, გამორჩეული კვალი რომ დააჩნია.

ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებშიც თავისი სიტყვა რომ თქვა.

უშრეტი შემოქმედებითი იდეების ავტორმა არაერთი საგამოფენო პროექტითა და რომ დამამსოვრა თავი საზოგადოებას, მის მიერ შედგენილი ლექსიკონი „ვინ ვინ არის თანამედროვე ხელოვანებაში“ კი სამაგიდო ნიგნად იქცა ხელოვნებით დაინტერესებულთათვის.

ნინო ზაალიშვილის დასურათებულ ნიგნთაგან მკითხველს გამორჩეულად რომ ახსოვს იაკობ ცურტაველის „შუმანიკის ნამება“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, ძმები გრიშებისა თუ ქართული ზღაპრები, „ქართველ მეფეთა პოეზია“... ილუსტრაციები, შექმნილი ქართული და კლასიკური ლიტერატურისა თუ ფოლკლორის ნიმუშებისათვის.

საინტერესო ფერწერული და გრაფიკული ციკლებით, თვითმყოფადი სტილით, საკუთარი ადგილიც რომ დაიმკვიდრა ქართული მხატვრობის ისტორიაში.

ჯგუფურ და პერსონალურ გამოფენებში მონაწილეობა — არა მხოლოდ საქართველოში, მის ფარგლებს გარეთაც — საერთოდაც ცალკე საუბრის თემა რომ არის, რადგან ნინო ზაალიშვილი მრავალმხრივი მოღვაწეობით გამოირჩეოდა. ამის დასტურია თუნდაც მისი რადიოპიესა „სიყვარული კონსიერჟერში“ ან საბავშვო ნიგნი „ანა-მარია ჭიამაიას ფერადი ამბები“, იმთავითვე რომ შეიყვარა საზოგადოებამ. ეს მრავალმხრივი შემოქმედება კი ფართო ერუდიციას, ნიგნიერებას თეორიულ ცოდნასა თუ პრაქტიკულ გამოცდილებას ეყრდნობოდა და ალბათ ამიტომაც მასთან მუშაობა ლიტერატურის, საერთოდ, ხელოვნების ყველა სფეროს წარმომადგენლისათვის საინტერესო და სასურველი გახლდათ.

საქართველოს მხატვართა კავშირის თანათავმჯდომარეც იყო, ადამიანთა გატაცების შემსწავლელი კომიტეტის აქტიური წევრიც, ხელოვნების განვითარების ცენტრი „ART-არსიც“ სწორედ მან დააარსა და არაერთი საინტერესო პროექტიც განახორციელა.

ამგვარ ჰარმონიულ შერწყმას, პიროვნულ ხიბლთან ერთად, მისი, როგორც შემოქმედისა და ადამიანის, ხელოვანისა და მოქალაქის სახასიათო თვისებადაც მიიჩნევენ და განსაკუთრებულ ადგილს მიუჩენენ არა მხოლოდ ქართული კულტურის ისტორიაში, არამედ იმ პიროვნებათა გალერეაშიც, თავისი კოლორიტული კვალიც რომ დააჩნის ქალაქს, ძალიან, ძალიან რომ დააკლდებიან ქვეყანას... და იქნებ მეც თხრობა სწორედ ამ ღირსებებით უნდა დამეწყოს, მაგრამ საზოგადოება ნინო ზაალიშვილსაც კარგად იცნობს და მის შემოქმედებასაც, სწორედაც თვითმყოფადობით რომ დამამსოვრა თავი ყველას, მე კი...

მე ყველაზე შთამბეჭდავად მაინც მისი ეს სერია მახსოვს: „ქალაქის ცენტრში ყველაფერი ინგრეოდა, ინვოდა, ილუპებოდნენ ადამიანები... ჩემ ირგვლივ კი სახლებში გამოიმწყვდებულ დიასახლისები რეცხავდნენ და რეცხავდნენ სარეცხს... მანამ, სანამ ქარის მოტანილი ფერული გააშავებდა ყველაფერს.

ამ ნახატებზე არც ომია, არც ნგრევა... ისინი შეგიძლიათ აღიქვათ როგორც ექსტრემალურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის სულიერი მდგომარეობის დოკუმენტი...“

ასეთი წარწერა ახლავს ერთ-ერთ ნამუშევარს ამ უცნაური სერიიდან, უცნაურიდან არა ფერის, ხაზის ან კომპოზიციის, არამედ სავესტემოციების გამო, რადგან რაც ავტორის ნახატში ვერ დაეჭია, ჩარჩოს მიწაზე ჰქონდა მიწერილი.

ადამიანები... ადამიანები... ასეთებიც, ისეთებიც, უცნობებიც, ნაცნობებიც... დიდებულნიც და ჩვეულებრივი მოკვდავნიც, თანამედროვენიც და სხვა ეპოქებიდან გაცოცხლებულნიც და მაინც... მაინც რომ გეგონა, ოდესღაც, სადღაც შენც გქონდა ნანახი ეს ყველაფერი...

მახსოვს ყველაზე სახასიათო — გილიოტინის თემაც ამ ნახატებში, იმ დროისათვის იქნებ სიმბოლურიც რომ იყო, რადგან ადამიანებს მუდმივი შიში და ავისმომასწავებელი მოლოდინი გზაფარავდა და გვთრგუნავდა.

ეს ტრაგიკული თემა მხატვარმა შემდგომში დაასრულა დაზვური გრაფიკის სურათებში: „მოგონებები როკოკოზე, გილიოტინის მოლოდინში“ და „პიეროს სიკვდილი“, ასევე თავის რადიოპიესაშიც.

მე კი ახლაც, წლების მერეც რომ ვიხსენებ ამ ნახატების ციკლს, თავიდან სულაც ესკიზებზე ჩაფიქრებულს, მონახაზებზე შესრულებულს იაფფასიან ხელსახოცებზე, მხატვრის გასაკვირად, კარგი რომ აღმოჩნდა ფერის დასადებად და ავტორის სულის დავიდარაბა აირეკლა, კვლავ თვალწინ მიდგას ასეთი სურათი:

ნისლში გახვეულა ქვეყნიერება...

ქარი შემოდგომის ფოთლებივით აფრიალებს ათასობით ადამიანის ტკივილით დანერილ ბარათებს...

ჩვენ ირგვლივ საკუთარ ნაჭუჭებსა და სახლებში გამოკეტილი ადამიანები კი განუწყვეტლივ უმყუდროვებდნენ და უმყუდროვებდნენ ერთადერთ ანთებულ სანთელს, ხვალისდელი დღის იმედად გასიმბოლოებულს.

ამ ნახატზე ფერი არ არის.

არც ხაზია...

ეს, საერთოდ, ნახატიც არ არის — ამ სურათს იმ წლებში ყოველდღე ვუყურებდი ირგვლივ...

80-იანი წლების ბოლოს საქართველოში ბევრი სტუმარი ჩამოდიოდა. უფრო მეტად უკრაინიდან, ბალტიისპირეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან. დაჰყავდათ ისინი მასპინძლებს, აცნობდნენ თავიანთ ქვეყანას, ტრადიციებს, აკვირებდნენ მათთვის უჩვეულო ადათ-წესებით.

მასაც, მეგობრებთან ერთად, ჯერ სვანეთით გაუოგნებია საქართველოში სტუმრად მყოფი ჩეხები, უკანა გზაზე კი კიდევ ერთხელ რომ უნდოდა გაეოცებინა — ამჯერად ქართული სტუმართმოყვარეობით — ერთ იმერულ ეზოსთან შეჩერებულა და...

— მასპინძელო! — დაუძახია.

ფილმებში რომ ჰქონდა ნანახი, ამ შეძახილზე მთელი ოჯახი რომ გამოიხიბა, რეალურ კადრებზე უჩვეულები სტუმრებისათვის. გაოცებულნი ათვალიერებდნენ სამოთხესავით ეზოს, მასპინძლების სტუმართმოყვარეობით დაბნეულნი, ზოგს წყალს რომ აწვდიდნენ, ზოგს კარალიოკს უწყვეტდნენ ხიდან, ნასახემსებლადაც შეაგებებდნენ პატარა სუფრას.

— დიდი, სადღესასწაულო ბანკეტიც არ მოიხიბლებოდნენ ალბათ ასე, თუმცა ზოგს მაინც არ ჯეროდა, რომ ეს ნაუცბათევი გადანყვეტილება იყო, წინასწარ დაგეგმილი ეგონათ...

თვითონაც ბევრი რამ ხიბლავდა მათი. მეუღლესთან, კარო ფაჩულიასთან ერთად მთელი ბალტიისპირეთი რომ შემოიარა, გაოცდა იქაური ყოფით. ამ ქვეყნებში უკვე დაწყებული იყო მოძრაობა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და მოსწონდა ის ჩამოყალიბებული პროგრამები, გააზრებული ქმედებები, ადგილობრივი ნაწარმის მაღალი ხარისხი, დამოკიდებულება საკუთარი წარსულისა თუ ფასეულობათა მიმართ, მათი სამართალმეგნება და თვითმეგნება, განსაკუთრებით კი მშენებლობის ხარისხით მოხიბლულიყო.

— და ეს მაშინ, როცა ჩვენთან მასალების მოპარვა ტრადიციად იყო ქცეული. მეტიც — კარგ კაცად ითვლებოდა, ვინც თავის ნაცნობს, მეგობარს ხელს გაუმართავდა და მშენებლობიდან ცოტაოდენ აგურს, ცემენტსა თუ სხვა რამეს გაატანდა.

ბალტიისპირეთში კი რომ ვიკითხე: არ იპარავენ მასალას-მეთქი? გაოცდნენ: რატომ უნდა მოვიპაროთ, ან ვინ უნდა მოიპაროს? ამას ხომ ჩვენთვის ვაშენებთ და არა რუსებისთვისო?!

სწორედ ასეთი დამოკიდებულებით მათ თავისუფლება გეგმაზომიერად მოიპოვეს, ჩვენ კი — ფორმალურად, რეალური თავისუფლებისკენ ჯერ კიდევ გზაზე ვართ და როდის მივაღწევთ, არ ვიცი...

მახსოვს, უკვე აკადემიის პედაგოგი ვიყავი, როდესაც ერთმა მოსკოვიდან ჩამოსულმა კოლეგამ სინანულით გვკითხა: — რატომ არ გიყვართ ქართველებს თქვენი კულტურა, რატომ?

განვცვიფრდით ყველა.

მერე ქუჩაში, რუსთაველის გამზირზე დაახლოებით ათი კაცი მაინც გავაჩერე და ვკითხე, ხელნაწერთა მუზეუმი სად არის-მეთქი?

არცერთმა არ იცოდა...

აი, მაგალითად, ერევანში კი ნებისმიერი გამვლელი გაჩვენებთ და მიგასწავლით მატენადარანს (მესროპ მაშტოცის სახელობის უძველეს ხელნაწერთა ინსტიტუტი), რომელიც ქალაქის ცენტრშია და სომხეთის ისეთივე სავიზიტო ბარათია, როგორც ერზიზი.

...გული წყდება, რომ საკუთარი საზრუნავით დამძიმებულ ადამიანებს ბევრი რამ გაფერმკრთალებოდათ და სხვაგან ეძებდნენ სხვაგან დარჩენილ სიყვარულსა და არსს ცხოვრებისა.

თვითონ კი სულ იმას ამბობდა, რომ არანაირი სიმდიდრე არ გააჩნდა, საკუთარი სახელის გარდა, და რასაც აკეთებდა, ყველაფრის მიმართ გამორჩეული პასუხისმგებლობა ჰქონდა.

90-იან წლებშიც, როცა სტუდენტებიცა და პედაგოგებიც ერთნაირად ცუდ დღეში იყვნენ, განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ახალგაზრდების მიმართ იჩენდა, რადგან ეს ის თაობა იყო, გზაბნეული ქვეყანა რომ უნდა გადაეხარებინა, ასპარეზზე გაეყვანა და დაემკვიდრებინა, ამიტომაც სხვებზე მეტი მოეთხოვებოდათ.

— ნიშნების წერისას საკმაოდ მომთხონე ვიყავი. მერჩინა, მიმეტანა ნიგნები, ჩამეტარებინა ინდივიდუალური, დამატებითი მეცადინეობა, რამდენჯერმე დამეხარებინა, ვიდრე ტყუილად დამენერა ქულა და ამით ისინი დამეჩაგრა, იმ გაუსაძლის ყოფამიც რომ არ ზოგავდნენ თავს კარგად მოსამზადებლად.

ქულა არ დავუნერე ერთ სტუდენტსაც, რომელიც მთვრალი თუ ნარკოტიკით გაბრუნებული მოვიდა და ნიშანს მთხოვდა. ფეხმძიმსაც ერთხელ სხვებზე მეტი ვკითხე...

არ უნდოდა, ახალგაზრდები იოლი გზით სიარულს მისჩვეოდნენ.

მითუმეტეს, რომ ქვეყანა და დრო, რომელიც უფალმა არგუნათ ხვედრად, ია-ვარდით მოფენილი არ იქნებოდა და ბევრი დაბრკოლება უნდა გადაეღახათ — საკუთარი თავის დასამკვიდრებლადაც და ქვეყნის გასაყვანადაც ასპარეზზე.

ამბობენ, ნდობა ჭურჭელივითაა, ერთხელ თუ გაიზარა, აღარაფერი გაამთვლებსო.

მაგრამ მას ამ „ჭურჭლისათვის“ ისეთი მტკიცე თიხა მოეზილა, ისე გულდაგულ ამოყვანა, ცხოვრების უკუღმართობას ვერაფერი დაეკლო.

შექძლო, ისევე უშურველად გაეცა, რაც ჰქონდა და თვითონ ყოფილიყო ამით ბედნიერი.

ყოფიერებას ვერ დაეთრგუნა მისი უანგარო სურვილი — დახმარებოდა ადამიანებს, არადა... რამდენჯერ შემობრუნებოდა უმადურობად.

ერთხელ თავის ცხოვრების მეგზურთან ერთად მანქანით რომ მგზავრობდა, გზად ახალგაზრდები დაუნახავს.

— იქნებ უჭირთ რამეო, — უთქვამს მეუღლისთვის, — ახალგაზრდები არიან, დავეხმაროთო.

გაჩერებულან.

გამოლაპარაკებინან.

საბურავი დაშვებით თურმე:

— იქნებ ორი დღით გვათხოვოთ, თუ გაქვთო.

ამოუღიათ სათადარიგო საბურავი საბარგულიდან ცოლქმარს, მიუციათ, თან უთქვამთ: გზად ქუთაისის ცენტრი უნდა გავიაროთ, ჩვენს სახლს გაჩვენებთ და იქნებ უკანა გზაზე იქ დაგვიტოვოთო.

ორი დღეც გასულა და მეტიც, მაგრამ აღარავინ გამოჩენილა...

მერე კი დაუბრუნებია ბატონ კარლოს ის საბურავი, მაგრამ... თავზე რომ დაგადგებიან და დაგანამუსებენ, ეს რალა დაბრუნებაა, ან იმ მაღლობასაც რა ფასი აქვს და ან იმ ბოდიშსაც, თუმცა... რა გინდოდა გექნა, ცხოვრებას ადამიანები მეტნაკლებად ერთნაირად ნახდინა ყველგან, მაგრამ შენ შენი გტკიოდა, ქართველს ქართველის უსაქციელობა გიმღვრევდა გულს, თორემ მთელ ქვეყნიერებას როგორ გამოასწორებდი.

რუსეთშიც ხშირად უწევდა ყოფნა — შემოქმედებითი მივლინებებით. ნევის პროსპექტის დასაწყისში რომ პატარა კაფე იყო — რომელშიც, როგორც ამბობდნენ, დანტესთან დუელამდე ყოფილა ალექსანდრე პუშკინი — იქაური ყავის სუნი და „პიროჟნოეს“ გემო ცხოვრების ბოლომდე არ დავიწყებია.

საბჭოთა კავშირის დედაქალაქში და სხვაგანაც გამორჩეულ გამოცემებს ყიდულობდა ხოლმე. ერთ მაღაზიაში გამყიდველ გოგონას დაახლოებია ძალიან, იმას უთხოვია:

— ხომ არ შეგიძლია ფული მასესხო, როდის მიდიხარ, მითხარი, იმ დროისთვის მაღაზიაში შემომიარე და დაგახვედრებო.

მიუცია ამასაც, რაც ჰქონდა.

წამოსვლის დღეს მიუკითხავს „მეგობრისთვის“ და... არ დახვედრია...

გარკვეული ხნის მერე ისევ ჩასულა მოსკოვში.

ისევე შეუვლია იმ მაღაზიაში.

დახლთან მდგარი მეგობარიც უნახავს, თბილად რომ შესვედრია, მოუკითხავს და ახალი წიგნებიც შეუთავაზებია მისთვის, იღონებდნენ ის ფული... საერთოდაც არ უხსენებია...

იმას რომ არ უხსენებია, გასაგებია (?!), მაგრამ შენ რატომ არაფერი უთხარიო? — რომ გეკითხათ, მხრებს აიჩეჩავდა და გეტყვოდათ:

— რ ვიცი, თვითონ არაფერი თქვა და მე შესხენება მომეორიდაო.

აი, ასეთი უცნაური თუ საცნაური ამბებით იყო სავსე მისი ცხოვრება, მაგრამ გული არ გაუტეხია, მეტიც: თვითონაც ხელფასის მომლოდინეს რომ მიაკითხავდა ვინმე, ფულს ხომ ვერ მასესხებო, ახლა არ მაქვს, ამა და ამ დღეს ავიღებ ხელფასს და მოგცემო.

ხან უბრუნებდნენ, ხან — არა.

მაგრამ მთავარი მისთვის ეს არ იყო.

გაცილებით მნიშვნელოვანი გახლდათ ის, რომ მის სიკეთეს არაერთხელ გადაერჩინა ადამიანები.

აი, თუნდაც ის ამბავი, სახელ „თამრიკოს“ რომ უკავშირდება.

არა, ეს სულაც არ იყო მისი საყვარელი სახელი, მაგრამ რატომღაც კრიტიკულ ნუთებში სწორედ „თამრიკო“ ახსენდებოდა ხოლმე.

ერთხელ, ავტობუსით მგზავრობისას დაუნახავს, როგორ ეძალეობდა ერთი არცთუ სანდომიანი გარეგნობის ვაჟი 15-16 წლის გოგონას.

მგზავრები დუმდნენ. დაუსჯელობით გათამამებული ბიჭი კი სულ უფრო თავხედურად იქცეოდა.

— მეტის ატანა აღარ შემეძლო, მეც მეშინოდა ასეთი ტიპების, მაგრამ დამფრთხალი გოგონას დაუტყველობა უფრო მეტად მანუხებდა, მგზავრების დუმილის გამო მრცხვენოდა კიდევ, ბოლოს ვერ მოვითმინე, მივედი, ბიჭი ხელით გავწინე და ვუთხარი:

— თამრიკო, ჩვენი ჩასვლის დროა-მეთქი.

გოგონა გაკვირვებული მიყურებდა.

რა ერქვა, არ ვიცი, ჩემთვის თამრიკო იყო.

ადგა, წამომყვა და მშვიდობიანად ჩამოვედით. მგზავრებმაც ამოისუნთქეს ალბათ, რადგან სინდისის ქენჯნა მათაც ანუხებდათ.

მეორედ 90-იან წლებში წამოაგონებდა ეს სახელი, როცა ფანჯრიდან დაინახავს, როგორ საეჭვოდ უტრიალებდნენ მე-

ზობლის მანქანას ახალგაზრდები, ან საბურავს ხსნიდნენ, ან რამე სხვა ჰქონდათ ჩაფიქრებული.

— ვერ მოვითმინე, მინდოდა ფანჯრიდანვე მეყვირა, მაგრამ გამახსენდა, რომ ქურდები ასეთ ადამიანებს იმახსოვრებდნენ, ამიტომ სადარბაზოს აივნიდან გავძახე:

— თამრიკო, ამოდი, მამა გეძახის!

ბაცაცები შეშფოთდნენ, წამოიშალნენ, სადარბაზოში შეცვივდნენ, ცოტა ხნის შემდეგ კი ისევ მიუცუცქდნენ მანქანას.

ისევ გავედი გარეთ და ამჯერად უფრო ენერგიულად და დამაჯერებლად დაიყვირე:

— თამრიკო, ახლავე ამოდი, ახლავე, თორემ დაისჯები! მამა გაბრაზებულია!

ამ „დასჯის“ შეეშინდათ თუ იმის, ეს ქალი მაინც არ მოგვეშვებო, ვერ გეტყვით, მაგრამ განზრახვა გადაიფიქრეს...

ცოტა ხანში კი მათი მანქანა გაიტაცეს...

ვაკეში.

ამბობენ, ნდობა ჭურჭელივითაა...

თუ გაიბზარა, ველარაფერი გაამთელებსო...

მაგრამ მთავარი თურმე ის ყოფილა, როგორი თიხით ამოეყვანა ამ ჭურჭლის კედლები ადამიანს თავის სულში, თორემ ადრე თუ გვიან ყველაფერი ტყდებოდა, ყველაფერი იშლებოდა და ინაცრებოდა, გარდა ერთისა — სიკეთის რწმენა არ დაგეკარგა, ყოველსმეძლე, ყოველგვარი ბოროტების დამძლევი სიკეთის რწმენა, თორემ ის დიდი ხანია კარგად იცოდა, რომ რასაც გაცემდა ადამიანებისთვის, ბედნიერებას ანიჭებდა მასაც და სხვებსაც... უკან კი ამდენივე არასოდეს დაუბრუნდებოდა, რადგან ბედნიერების ფასი ზუსტად არაფერ არასოდეს იცოდა.

თვითონ თუ იყო ბედნიერი?

აბა როგორ გითხრათ, ბედნიერება მისთვისაც პირობითი ცნება გახლდათ და ფიქრობდა, რომ ამ განცდის სრულყოფამდე ღმერთს თითოეული ჩვენგანისათვის დაეკლო რაღაც.

მისთვის ბედნიერება იყო ისიც, მაღლს რომ ქვაზე დადებდა, ადამიანებისთვის მინიჭებული სიხარულით გაიხარებდა და უკან აღარც მოიხედავდა, რადგან ფიქრობდა, რომ სწორედ მაღლი დაკლებოდა მის დაბნეულ სამშობლოს, დამოუკიდებლობის გზაზე რომ შემდგარიყო და ვერც შემდგარიყო, გზა-კვალი არეოდა და ქარტყილები აზანზარებდა... ჰო, მაღლის დამდეგი გეკითხათ მის ქვეყანაში, თორემ ქვა და ღორღი უამრავი მოეზიდა ცხოვრებას გზებზე.

ვერა, ვერ გავეგო, რატომ ვერ გაშლილიყო წელში ერი, დავით გარეჯის გამოქვაბულების ფრესკებზე ის საოცარი ლურჯი ფერი რომ შეექმნა.

რატომ ვერ ეპოვა კაცობრიობას საკუთარ თავში იმდენი სიყვარული, ეს ამოდედა დედამიან მარტო ამ გრძნობას ებრუნებინა.

რატომ ხდებოდა ომები მესამე ათასწლეულშიც და მის საშინელებებზე ამბები ღმერთთან რატომ მიჰქონდათ ბავშვებსაც.

რატომ იმეტებდნენ ადამიანები ერთმანეთს, ან რატომ იმსხვერუდა ასე მტკივნეულად და გაუმთელებლად ის „ჭურჭელი“, უბრალოდ, სულ უბრალოდ ნდობა რომ ერქვა...

— ნინო ბებო რატომ არ მოდისო? — ამ „რატომს“ მისი შვილიშვილები შეაგებებენ ხოლმე მოშობლებსა და „კარლიკუნა ჰაბუას“, ყველაზე მტკადა ბებოს მიერ ფერად-ფერად ზღაპრებად მოყოლილი, გზადაგზა გაგონილ ამბებს თუ მოინატრებენ ხოლმე.

ყელში ცრემლი ეჩხირებათ უფროსებს იმ სიტყვებთან ერთად, პასუხისთვის რომ ეძებენ ტკივილით ამღვრეული სულისა და გონების წიაღში.

თვითონ კი...

თვითონ, იმ წუთებთან ერთად, ის უამრავი უპასუხოდ დარჩენილი „რატომ“ წაელო ამ წუთისოფლიდან და... ვინ იცის, იქნებ ამ სამყაროსაც რომ ვერაფერი გაუგო — მატეო ფალკონე-სავით — უბრალოდ, სულ უბრალოდ, აღარ მოუბრუნდა მას.

მზეო გოგოჭური

ხევისურეთის მეციხოვნე

(ამირან არაბული — როგორც მამატიანე)

ამ რამდენიმე ხნის წინათ გამომცემლობა „ინტელექტმა“ დასტამბა პროექტის „ჩანაწერები“ კიდევ ერთი წიგნი, სათაურით „სულუქვევრად საკითხავნი“. ამ წიგნის ავტორი გახლავთ საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ფოლკლორისტი და მწერალი ამირან არაბული, რომლის პროფესიული და შემოქმედებითი მოღვაწეობაც დიდი ხანია შეფასებული და დაფასებულია საქართველოში (იგი მეუღლესთან — ცნობილ პოეტსა და აგრეთვე ფოლკლორისტთან — ეთერ თათარაიძესთან ერთად, წლებია, რაც ქართულ სიტყვიერებას ემსახურება). ამჯერად გვინდა ვისაუბროთ მხოლოდ მის ახალ წიგნზე, რომელიც წარმოგიდგება დღიურებისა და პატარა ჩანაწერების სახით.

სათაურიც ნიჭიერადაა შერჩეული, წიგნიც სრულიად ამართლებს და იოლად იკითხება, მაგრამ ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამის მიზეზი არ არის მხოლოდ ნაწარმოების ფორმატი. შთამბეჭდავი და მიმზიდველია თავად ჩანაწერების შინაარსი და მისი მდიდარი სამწერლო ენა, თანამედროვე ლიტერატურაში იშვიათად რომ შეხვდებით.

ამირან არაბულის წიგნი არ გახლავთ კალენდარული დღიურები, იგი წარმოგიდგენს მწერლის ცხოვრების (მთელ თუ არა, უმეტეს ნაწილის) უმნიშვნელოვანეს შთაბეჭდილებათა და განცდათა საღაროს, მისთვის უაღრესად ძვირფასსა და მოკრძალებით სახსენებელს. შინაარსის თემატიკა მრავალფეროვანია, მაგრამ ძირითადი არსი მწერლის მიერ მშობლიური კუთხის და ზოგადად, ადამიანთა ზნეობრივ-ეთიკური იერის ძიებაა.

ჩანაწერებში ერთმანეთს ენაცვლება თავსგადამხდარი თუ მოსმენილი ამბები, ქალაქისა თუ სოფლის სურათები, ცნობილ თუ უცნობ წინაპართა ზნემაღალი ისტორიანი და ყველაზე მთავარი — „სვედაცვარული და უქომაგო“ და ოდესღაც ამაყი და სიცოცხლემდუღარი ხევსურეთი.

თემატიკის მიხედვით ერთმანეთს ენაცვლება ინტონაციებიც, თუმცა ყველა ამბავს ერთმანეთთან იდუმალი ძალა აკავშირებს. ესაა დარდი სახელოვანი წინაპრებისა და მათი ძირძველი ენის — ამ სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მყოფი ორგანიზმის გამო; დარდი დღევანდლობაში ჭეშმარიტ ღირებულებათა გაუფერულების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი თავს არ გვაბეზრებს ამ თემაზე „წუნუნით“, დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, თუ როგორ ადარებს ერთმანეთს „ზენაკულულ“ „ცხოვრების ფერხულში ჩაბმულ“. „ამაოებათ“ — საამაყო წინაპართა ჭეშმარიტ მრწამსსა და სულიერ ღირებულებებს.

დიდი სურვილითაა აღძრული ავტორი — ცოცხლად შევიგრძნოთ ყოფა მცირერიცხოვან მთიელი ხევსურებისა, რომელთა დევიზიც ოდითგანვე თავისი მინა-წყლის დაცვასა და სიმამაცეში იყო გამუდმებული. აღმოსავლეთ საქართველოს მკაცრ, ციკაბო მთებში, საუკუნეების წინათ დამკვიდრებული მოსახლეობა თუ როგორ ქმნის საკუთარ სამართალს, რა ჯიუტად იცავს ღირსებას, რომელიც მკაცრად აქვთ მორგებული თავისი სულიერ-ზნეობრივი სიმტკიცით ზოგადადამიანურ ფასეულობებზე.

ამ წარმართი ხალხის ერთი შეხედვით დაუნდობელი და სასტიკი საბრძოლო წარსულიდან ავტორი უხვად მოძიებულ მარგალიტებს გვთავაზობს და ემოციურად მოგვითხრობს იმ დიდსულოვნებისა და მიმტევებლობის შესახებ, ხევსურს ხმაღმომარჯვებულს რომ შეაჩერებდა, მოსისხლე მტერს

რომ სიცოცხლეს ჩუქნიდა, დაჭრილ მონინა-ალმდეგეს შეიფარებდა და უნამლებდა — უაქიმებდა, ანდა სულაც მომხდურთა სიჩა-უქით გაოცებულ, დარბეულ და დაქცეულ ჭირისუფალს მტრისათვის წყევლის ნაცვ-ლად სახოტბო ლექსს ამოათქმევინებდა.

„მართალს ვიტყვი“ ასე შეარქვა ამირან არაბულმა მოთხრობას, სადაც ხევსური დი-აცი სოფლის საერთო უბედურებას წინ უხ-ვედრებს „მართალ სიტყვას“ და ლექსად ნა-ტირალით ქებას შეუდგება ქისტებისას, იმ ქისტებისას, რომელთა ხელით დახოცილი ვაჟები ჯერ კიდევ წინ უსვენიათ მოტირალ ხევსურებს. ეს დიდი სიმართლე აღტაცებას გვრის ავტორს. ნატირალიც სრული სახითაა წიგნი მოყვანილი. იმავე თემას ეძღვნება ამბები სათაურით — „ბერდედა, ქისტები, არხოტელები“ (აქ ავტორი ანა კალანდაძის ცნობილ ლექსს ეხმიანება — „რას ამბობ ქა-ლავე, ვაჟკაცებ იყვენს“). ყველაფერი თითქოს ნაცნობია, მაგ-რამ მაინც სიამოვნებისა და აღფრთოვანების გამომწვევი.

შიშისმგვრელი და უცნაურია სიკვდილთან შეხვედრის ან მასთან ჭიდილის წინაპრებისეული შეუპოვრობა. განა ბევრგან გსმენიათ დიდი გლოვის დროს წამოსყებულ სიმღერა (და არა ზარი!), რათა სიკვდილი დაემარცხებინათ?... არანაკლებ ძლიერ ნებელობით გამოირჩევა სიცოცხლის გადარჩენისათვის მი-ღებული უაღრესად საჭირო გადარჩევითი ნებეობა — წლების მანძილზე „სიკვდილგახშირებულ“ სოფელში თავკაცები ცვლიან საუკუნეთა წინათ მამა-პაპათაგან დადგენილ სამგ-ლოვიარო ვადას, რათა წლობით დადუმებულ სოფელში ახალ-გაზრდები არ „დაბეჩავდნენ“, მიეცეთ საშუალება ჭეშმარიტი სიცოცხლისა, მიეცეთ უფლება მოლხენისა, ცეკვა-თამაშისა, სიყვარულისა... გონიერმა ხალხმა პირადი ტკივილები დათმე-ნის ღირსეულ ჩარჩოებში ჩაკეტა, რათა მომავალი თაობა ძლი-ერი და თამამი გაიზარდოს (შეადარეთ სხვადასხვა კუთხეებში ფეხმოკიდებულ, დამთრგუნველ, ციციკორულ წესებს).


ბერკ, ისტორიული თვალსაზრისით საინტერესო ამბავს მოგვითხრობს ჩანანურები — „ამბები უნჯთა და არხოტიონთა“, „ბაძიურათ ბაბო“, არაჩვეულებრივი ენით აღწერილ სურათებს თან მოჰყვება საქართველოს „სულწუხი წლებიდან“ გამოყოლი-ლი ექო... ძალიან საგულისხმოა ნათელა ბალიურთან შეხვედ-რის სცენაც, ამ ლეგენდად ქცეული ქალის საუბრები, მისი ძირ-ძველი ხევსურული ენა (ზედ რომ დაჰფოფინებს ავტორი)...

ვის არ შეხვდებით ამ ჰეროიკულ სახეთა ბალერაში: „სა-ხელმეხიან“ შეთეს, „კაცთკითხულ“ თომა ბალიურს, „უმი-შას“, გოგიტას, ბაჩანასა და მის სახელეულს... ცალკე თავი აქვს დათმობილი ვაჟას და ბაჩანას გამორჩეულ ძმობას...

ძმობასა და გატანას აქ ცაილებით მეტი ფასი აქვს, აქ ხომ ყველა გზასა და ბილიკზე მტერია ჩასაფრებული...

არის კიდევ ერთი „მტერი“ — სანატრელი და საშიში, თავი-სი არნახული თავისუფალი ინსტიტუციებით — ეს სიყვარუ-ლია, სხვა დანარჩენი მსოფლიოსათვის განსხვავებულ კანო-ნებზე აღმოჩინებული, კაცთა ფიზიოლოგიაზე ჰარმონიულად მისადაგებული, მაგრამ ამ ასპარეზზეც დიდი ამბები ტრია-ლებს მთებში შეყვარებულ წყვილთა შორის... მკითხველისათ-ვის „ხილად“ შემოუტანია ავტორს თავგადასავალი „გულუნ-დაურად“ გათხოვილი მზექალა გიგაურისა, რომელიც ქმრი-საგან წამოსულა და კვლავ სწორფერს დაბრუნებია. ახლა, ღრმად მოხუცებული, სარეცელზე მიჯაჭვული, სატრფიალო ლექსებით ეგებება სტუმრებს, უბერებელი თვალებიდან კი სიყვარული და ყმანვილქალური თავნებობა გამოუკრთის...

ავკარგიანობისა და მონინაალმდეგის დაფასების თემა ბევ-რგან აქვს გაშლილი ავტორს და ამის საპასუხო ანალოგია ისევ თავისი ხალხის სასახლოდ მოუყვანია (იმედია, მკითხველი



იუმორს მიმიხვედება). ასეთია პატარა ისტო-რიული ეპიზოდი: რუსეთ-იაპონიის ომში ნაბ-რძოლ ხევსურთა (მათ გვარ-სახელებით გვი-მონმებს ავტორი) გმირობით აღფრთოვანე-ბულ მონინაალმდეგეს იაპონელ პოდპოლკოვ-ნიკს თავის ჩანანურებში უშურველად შეუს-ხამს ხოტბა ამ მამაცი ხალხისათვის და სინა-ნულიც გამოუთქვამს მათთან სამტროდ და არა სამეგობროდ შეხვედრის გამო.

ამირან არაბულმა, თავად ჭიუხებში გაზრ-დილმა მონადირემ, იცის, რომ თუ სადმეა, ჩვენშიაც არის მონადირეთა დაუნერელი კა-ნონები, რომლის მიხედვითაც ჭაბუკებმა იოლად სანადირო ადგილებში არ უნდა იკად-რონ შესვლა, ეს სირცხვილია, სიძაბუნის ნიშა-ნია, და კიდევ — სულმდაბლობის, ვინაიდან ეს ადგილები მოხუც მონადირეთათვისაა გან-კუთვნილი... ეს შესაძლოა თავის გადარჩენის შორეული ინსტიტუტებია, მაგრამ ფაქტია, რომ

კაცთა ბუნება და ზნეობა ხანდისხან მეგობრდებიან კიდევც...

უაღრესად ნიჭიერი კაცის თვალითაა დანახული შაბურას დატირება. კარგად წარმოიდგინეთ მთების ფერდობზე შეყოვ-ნებული, გულისგამყინავი, სამგლოვიარო პროცესია, რომე-ლიც თვინიერად უცდის შორიდან მომავალ ცხენოსნებს, შავე-თის გზაზე ახლობლის გასაცილებლად რომ მოიჩქარიან... ცხე-ნებს დაბლა, მთის ძირას დააბამენ და ვაჟკაცური გამეხებული სახეებით აუყვებიან აღმართს, სადაც გარდაცვლილი „მოთმი-ნებით ელოდება“ მათ. ესენი კი, ლოდინით რომ აღარ „გადალა-ლონ“ „წამსვლელი“, დაბლიდანვე იწყებენ უცრემლო ზარს, მოძახილს, და მიმართვას გარდაცვლილისადმი... (ეს სცენა ძველ ბერძნულ მითებში არსებულ კაცთა და ღმერთთა, სიკვ-დილსა და სიცოცხლეს შორის დაკარგული ზღვარის შეგრძნე-ბას იწვევს. და ჰომეროსის გმირებიც სადღაც იღანდებიან)...

მკითხველი ნუ იფიქრებს, თითქოს ავტორი მხოლოდ ტრა-გედიებზეა „გაფაციცებული“. აქ უწყინარი იუმორიც მოიძიე-ბა და არც ლექსობაზეა მწყრალად მწერალი. არც გამკვირვე-ბია. იგი ნახევრად ხუმრობით, ლექსად გვიყვება სახიფათო შეტაკებას მეგობრის ქოფაკთან, რასაც თან ახლდა საცალა-ლო შედეგებიც. ლექსი საკმაოდ კარგია და არაფერი დაუნ-ნება, როგორებიც უამრავია ხალხურ სიტყვიერებაში, მაგრამ განსაკუთრებული ფასი შესძინა (მე ვიტყვოდი, დიდი ადამია-ნური შეგნების მქონე) შემდეგმა ოთხმა ტაქმამ:

**არ მაჰკლათ კობას ვუბარებ,
ძალის არ არის ბრალია
პატრონის სახლ-კარს იცავდა,
ქურდის ლოდინმა დალია.**

ძალთან ლონიერი ჭიდილი თუ შეგიძლია, რა თქმა უნდა კარ-გია და ძლიერი ხარ, მაგრამ იმისათვის, რომ ღირსეული ვაჟკაცი იყო, სულ ცოტა, ამ სტროფის ამოთქმა მაინც უნდა შეგიძლოს.

ძალიან კარგად ამოუცვნიათ ამირან არაბულსა და ეთერ თათარაიძეს ათასობით ლექსთაგან ყველაზე საგულისხმონი. ერთი ასეთია ტრაგიკული მელექსის გიორგი ჭოლიკაურის მი-მართვა გარდაცვლილი მეგობრებისადმი:

**ნეტავი გამაგებია,
რაი გაქვთ სამართალია,
გაქვთა-ლა ერცხვის ცნობაი,
ხართა-ლა არცხვის ძმანია?**

გულსაკლავია, ზესთასოფლის შეცნობაზე მოპოტინე კაც-თა მოდგმის, ეს გაუცემელი კითხვა რა იოლად ამოუთქვამს მეგობრებისაგან სააქაოზე მიტოვებულ ხალხურ მელექსეს...

ერთი, ქალაქთან დაკავშირებული მოგონება აღსარებასაც წაავაგვს და მწერლის თავმდაბლობაზეც მიუთითებს. ახალგაზრდობაში გოდერძი ჩოხელთან ერთად, ახალი წლის ღამეს დაუპატიჟებლად (ამ სიტყვას ძახილის ნიშანი დაუსვა თავად ავტორმა) სწვევიან მათთვის სათაყვანო ოჯახებს და მთელი სულითა და გულით მიულოციათ ახალი წელი. ჩვენდამი ნდობით განწყობილი ავტორი ვაჟკაცურად ამხელს ყმანვილური მიაშიტობით ჩადენილ ცოტა არ იყოს უხერხულ თავგადასავალს. როგორც ჩანს, მწერლური ალღოთი ხვდება, რომ მიმტეველებური ღიმილის მეტს არაფერს გამოიწვევს მკითხველში თავისი ქვეყნის სახელოვან შემოქმედთა მიმართ აღტაცებით განწყობილი ყმანვილკაცების საქციელი, რომელთა იმპულსებში თავხედობის ნასახიც არ ერია — მხოლოდ და მხოლოდ დაუოკებელი სურვილი სათაყვანო ადამიანებთან სიყვარულის გამოვლენებისა (აქ ამირან არაბული არ იტყვარჩება მოსაბეზრებელი ფორმულირებით: „სიჭაბუკე, როგორც სილამაზე“. უფრო მძაფრად და ჯანსაღად მიიჩნია: „სიჭაბუკე — როგორც სინაღდე!“).

ამ მონათხრობში ავტორმა ერთ ღამეში ჩაატია თავისი და თავისი მეგობრის, ჩვენი საყვარელი მწერლის, უდროოდ გარდაცვლილი გოდერძი ჩოხელის მომავალი ცხოვრების გზა, სიმბოლურად რომ ჩამოვყალიბოთ — ეს იყო გზა ხელოვნებისა და ლიტერატურისაკენ, რომელსაც ვერაფერი შეაფერხებდა (თვით ეტიკეტის მკაცრ „სარკეში“ არეკლილი მათი არცთუ მომგებიანი იმიჯი...). რაც უნდა იყოს, მაინც კარგია სიყმანვილის მოგონებანი!

„თავადერილი უნიჭობა“ „პლაგიატი“ — არის ასეთი სათაურებიც, რომელთა ტექსტებშიც მწერალი აუმღვრევლად, წონასწორობის უბადლო შენარჩუნებით, „უაგრესიოდ“, გვიყვება იმ სინდისნაცდუნებ ადამიანებზე, ვისაც მისი ნაღვანი და ნააზრევი ქურდულად, უტიფრად მიუსაკუთრებია და თავისად ასაღებს. რა თქმა უნდა აღშფოთებას არ მალავს, მკაცრად მიუთითებს სამარცხვინო საქციელზე და ა.შ. შენ კი კითხულობ ამ სტრიქონებს და გჯერა, რომ მისი ავტორი და ამ ენაზე მოსაუბრე კაცი არასოდეს არაფერს (უკაცრავად ბნ ამირანთან) უკადრისს არ ჩაიდენს.

ჩანანერებში ლაკონიურად და გაუჭიანურებლად მიედინება თხრობა, სათქმელი მოზომილია, ნათქვამი დოზირებული. მხოლოდ უმთავრესი, ძვლამდე დასული განცდები, მკაფიო, შთამბეჭდავი შტრიხები, სმენამდე და ყნოსვამდე მოღწეული „დარკეთილი დილები“, „ამოყოფინებული ბალახები“... ქალაქდზეც მხოლოდ ის გადაუტანია, რაც ოდესღაც — გულზე, დროში გამოუცდია და მხოლოდ სიცინცხალით გამორჩეულნი გამოუყვეთია „პირველითგან“ ბოძებული „საჭრეთლით“.

ეს იარაღი ამირან არაბულს გენეტიკურად ერგო — თავისი კუთხის შვილს, საუკუნეთა უღრანებიდან რომ გადმოეცა თაობებს.

იგი უკიდურესად ღრმად წვდება სიტყვისა და ბგერათანყოობის საიდუმლოს, ფლობს მათი დალაგების უფაქიზეს ტექნიკას და მათი შინაარსის და უღერადობის ჰარმონიული შერწყმით ზუსტად ახერხებს სათქმელის გადმოცემას, ყოველი სტრიქონი გაჯერებულია ოსტატის ხელით გამოძერწილი ფრაზებით, აზრის სიუხვითა და ემოციური ტევადობით.

მართალია, წიგნის დასაწყისში ავტორი ბოდიშს იხდის მკითხველის წინაშე უხესიტყვაობის გამო, იცის სიბრძნისა და სისადავის ერთიანობის ძალა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ სადმე რომელიმე სიტყვამ შეგვანუხა (პირიქით!), ანდა რომელიმე ფრაზა უხერხულად იჯდეს სტრიქონთა შორის, მხოლოდ ხანდახან, შეიძლება მოჭარბებულად შეხვდეთ ეპითეტებს (როცა ათასნაირი შედარება განყდება ენაზე, აღარც ესაა გასაკვირი), რომლებიც გაცევენ ავტორისეული, ახალი მიგნებებით, ხილვათა ორიგინალურობით, არასოდეს მეორდებიან და თავის ფუნქციას ასრულებენ.

„შნოიანი სიტყვების ასაკრეფად“ „საღირალი“ დღეობით იწყება ჩანანერები და მერეც არაერთხელ მიუბრუნდება ამ

საგანს მწერალი. „ნათავედი“ მეტყველება გაიყოლეს წინაპრებმაო, ამბობს და ეთანხმება ერთი ხევესურის სანუხარს: „ეხლა ე ხალხ (გარდაცვლილები მ.გ.) რო წამაახედა, ალბათ ერთმანეთს ვერაფერს შევასმენით“. მართლაც, რად ღირს პანკისიდან აყრილი ფშავლის ნათქვამი — „პანკისიდან არ წამოვიდოდი, ვინმეს რომ კავიობის ხალისი ჰქონოდაო!“ „ირგვლივეთში ამყოლის არყოფნამ უმჯობესი ადგილიდან წასვლა ამჯობინა კაცმაო“, აღტაცებულ-გაოცებულა ავტორი და „სიტყვის ლოთსა“ და „ამიკს“ უწოდებს მას (მე ვიტყვოდი ტიპურ, ქრესტომათიულ ფშაველთან გვაქვს საქმე).

სიტყვის „საცნაურ საყოფად“ საჭიროა მასში ჩაღრმავებო, და თავად „სცნობს“ საუკეთესოდ მის სიღრმე-სიგანეს. მშობლიური კუთხის „თანამოსატკივრე“ მწერალი აქა-იქ დარჩენილ მოსახლეებს ეთაყვანება და ერთ-ერთი სოფლის ერთადერთ მკვიდრს „სოფლის მასოფლებელს“ უწოდებს. ნახეთ, რა ტევადია ეს სიტყვა, ამ წოდების პატრონი მოწინებასა და ქედის მოხრას იწვევს ჩვენში, დიდებული დახასიათებაა, ამ სიტყვის შთაგონებით დიდი რომანი შეიძლება დაინეროს... მადლობა ამირან არაბულს!

მწერალი მთელი გულითა და გონებით მთაში „გამაგრებულეებისკენა“ მიყურადებული, მათი „სიმარტოვის მწვერვალეზე“ ადის, მათსავით უწუხს სული და მისტირის იმ „ნამხრევმშვენიერ მთიბელთა სახელოვან თაობებს, რომელნიც ჟამთასვლას ჩაუთიბია, ჩამოუფოთლია“, არჩვეულებრივია, თუმცა შემზარავია (ჩვენი სიცოცხლე ხომ მხოლოდ მზადებაა ულმობელ „ცელთან“ შესახვედრად).

„ლექისი ზნიანი წინაპრების დარად, ისიც მზიანი სიტყვის მალამოთი იამებს უმეზობლობის და უკაცისძეობის გაბმულ განიდაგებულ სატკივარსო“ — ასეთივე შთამბეჭდავია მრავალჭირგადატანილ „ბერდედას“ სახე — მოსასხამში „შემაღულ მხრებზე ჩიტები ასხდებოდნენო“ — სასტიკი სიმარტოვე და უძრაობა... მოხუცი თითქოსდა უკვე მარადისობასთანა შერეული, სხვანაირი სიცოცხლიდან გვიცქერის...

რას არ შეხვდებით ამ ჩანანერებში, ფერწერული ტილოებით იშლებიან ხან მწვანით მოსილი, ხანაც ქათქათა თოვლში ჩაფლული მთები და ხეობები, ნახეთ რა სურათია: „შეყვითლებულ ფერდობზე მუქმწვანედ ჩახატულ საკარტოფილის სესევიან“ (ოჯახს გულისხმობს) და „დილის სიგრძელს ეშურებიანო“, უფროსებს ვ წლის მარიაშიც ეხმარება, ვითომ საქმიანობს და შიგადაშიგ „ცივი წყალსაც ეწაფებაო“ — ამბობს ამ ბიბლიური სურათის მაცქერალი ამირანი და ვხედავ, რომ სახეზე სიხარულის ღიმილი აფენია. ეს სურათი მეც მყოფნის იმისათვის, რომ ვთქვა: „რა მშვენიერია სიცოცხლე“.

ზამთრის ღამე, ციცაბო, მიუვალ მთებში, როგორ უნდა გადაიქცეს ბედნიერ მოგონებად, ეს მხოლოდ სიტყვის ჭეშმარიტ ოსტატს ენიჭება ხელთ:

„ზამთრის გრძელი, მარაგანი (! მ.გ.) ღამეა. ნელამდე თოვლში ძიძგილაობით დაღლილ ბაღლებს თბილად ჩახურულებს სძინავთ ჩაფებში“ (სანოლებში მ.გ.).

აქ ყველაფერი იმედით სუნთქავს, ბოროტებას აქ ხელი არ აქვს, თითქოს ხედავ, როგორი ჯანმრთელები, მხიარულები და ბედნიერები არიან ამ მაღალ მთებში შორეულ გაზაფხულამდე გამომწვედული პატარები...

უაღრესად ლაკონიური და ოსტატურია: „ჩარგლიდან აფხუმომდე სვენებ-სვენებით სავალია“ — ამ ერთ ფრაზაში ავტორი გზის ყველა სიძნელეს აღწერს — მანძილსა და აღმართს, სიცვიც (ან სიცხეს), ერთი სიტყვით წვალებსა და დამქანცველ მგზავრობას...

„ხარჯიხეები ნაგვივიდნენ, მიუვალ ქარაფებს მიეცხნენ“ — გვიყვება ნადირობის ეპიზოდს მწერალი და გრძნობ ამ მეტაფორაში რამხელა აღტაცებაა ნაგულისხმევი, ქარაფებს ვინ „მიეცხობა“, თუ არა ამაყი, თავისუფლებისმოყვარე და მოქნილი მთისნადირი, და ხედავ როგორ ეფერება ავტორი და როგორ პატივს სცემს მათ „უკვალოდ გაქრობასა“ და „მოუხელთებლობას“.

აბა რა გეგონათ, ასე ადვილად დაგვეხოცინებოდნენ?! — თითქოს გვეუბნება გამარჯვებული (?) ტონით. აშკარად ჯიხვების მხარეზეა.

„კეთილშობილი, უაღლო, უწყინარი, სულმუდამ მშვიდი, სახელმილიანი მეზობელი“ — კიდევ ერთი ამომწურავი დახასიათება კაცისა.

„მეხისპირული“, „ცეცხლმგზები“ კაფიები...

„ორნახადი ქართული მოგწყურდათ? — ააკითხეთ თეკლა ბადრიშვილს“.

„2008 წ. 8 აგვისტოს დაღლილი, დაღვრემილი მზე“.

ასეთები უამრავია წიგნში. აქვე შეხვდებით მოგონებებს ქართული სიტყვის კორიფეებზე. ავტორისათვის (და არა მარტო) სათაყვანებელ სახელებს, თვალმუდგამ, საქვეყნო საქმეთა უანგარო მსახურებაზე, რომელთა დაუფასებელი, ხშირად ტრაგიკული აღსასრული სამარცხვინო ლაქად აჩნევია საქართველოს.

— „უკეთუ შთავარდნილიყო უფსკრულთა მასსა“... — აპკვიატებია გაბრიელ გელოვანის მოხდენილი ფრაზა, გამოთქ-

მული იმ მიუვალ გზების შესახებ, ქართული სიტყვის დიდი ქურუმი სულხან-საბა რომ მიედინებოდა სამშობლოდან და უკან დაბრუნება აღარ ენერა. რა ამალღებულად ჟღერს ძველი ქართული, რა შესაფერისად დიდი ღვანლისა... ავტორს ვეთანხმები, განსაკუთრებული სიცხოველით მოქმედებს და აღარასოდეს დაგანებებს თავს ეს ოთხი სიტყვა...

დღეს, ეს სულისა და გონების გამწმენდი ამბები მხოლოდ მცირერიცხოვან, ღრმადმოფიქრალთა (და არა თავის ჯამში მაცქერალთა) მეხსიერებაში ცოცხლობენ და შეიძლება თანდათან მივიწყებას მიეცეს, „თუ არ ვინმე“ ახალი შემგრძნები და მეპატრონე ამ ნახევრად „გაფარლიატებული“ ხევსურეთისა.

ამირან არაბული თავად მესახება ერთ-ერთ საიმედო „მეციხოვნედ“ თავის მშობლიური ხევსურეთისა. თამამად შეიძლება თავის მიერვე შედგენილ „მცნობართა“ საის შეუერთდეს და განაგრძოს მოღვაწეობა სამწერლო გზაზე. ჩვენ ბევრს ველით მისგან და ისლა დაგვრჩენია, კეთილი თვალი მივადევნოთ (თუ ჯერ არ წაუფხდენივართ პირველცოდვას შურისას).

ნინო დეკანოიძე

პოეზიის ჩარდახში

(ნუკრი ბერეთელის პოეზიის საღამო)

დებიუტანტი — როგორც პირველი პოეტური კრებულის ავტორი, თორემ **ნუკრი ბერეთელი** პოეზიის მოყვარულთათვის უკვე ადვილად ამოიცნობა თავისი ლექსებით, დროდადრო ჟურნალ-გაზეთებშიც რომ იბეჭდება და ვირტუალურ სივრცეშიც გზავაკვალულია. ხოლო თუ ლიტერატურის კითხულთა შეხედულებას ზედმიწევნით გავიმეორებთ, იგი გამორჩეულია თავისი ხელწერით, თავისი მხატვრული სიტყვით, სუფთა გულით. უარისმთქმელია ყოველგვარი ინტელექტუალური თამაშისა, ეპატაჟისა თუ იმიჯისა.

დასაწინაურებელ სათქმელად: ამ ლიტერატურული ფსევდონიმის, ნუკრი ბერეთელის მიღმა იგულისხმეთ ახალგაზრდა კაცი, ფიზიკოსი **ნოდარ კვიციანიძე** — არაფაბილარულად შინაურული, სასიამოვნოდ უბრალო; სულ რომ გგონია, კარგა ხანია იცნობ. და ბარემ ჩემს სულსწრაფობასაც ვალიარებ... ვიდრე ეს რეპორტაჟი გამოქვეყნდება, ის იქნება მამა პირველი შვილისა. ბიჭის, რა თქმა უნდა.

იმდღევანდელი ლიტერატურული დარბაზობაც სწორედ ამ პოეტის ლექსების პირველ გამოცემას „**ჩიხს**“ დაეთმო.

ლონისძიების თაოსანი **როსტომ ჩხეიძე** ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ პირველ პოეტურ კრებულს, შესავალი სიტყვით, გზა დაულოცა **ტარიელ ხარხელაურმა**, ვინც დიდად არ გვანებოვრებს წერილებით თუ რეცენზიებით და მითუფრო დასაფასებელია ეს გამომხაურება. უშურველ შეხმიანებად მიიჩნია აგრეთვე იმედით სავსე სიტყვები უფროსი კოლეგისა უმცროსისადმი: „ნუკრი ბერეთელი ეს არის კაცი, ვისი სისხლის ყოველი წვეთი პოეზიითაა გაჯერებული!“ ეს გადაძახილი მიიჩნია რა ძალიან დიდ შეფასებად როსტომ ჩხეიძემ, დასძინა: ოღონდ სულაც არაა აუცილებელი გალაკტიონის რანგი ვიგულისხმოთ. მთავარი ისაა, რომ ნუკრი ბერეთელი არის სულით პოეტი და პოეზია მისთვის პროფესია კი არა, ბედისწერა უფროა. და მითუმეტეს, როცა სადებიუტო კრებული ასეთია, უნდა წარმო-

ვიდგინოთ, როგორი იქნება მისი წიგნები ხვალ და ზეგ... — გაცხადა რა ოპტიმიზმი ნუკრი ბერეთელის პოეტურ მომავალზე როსტომ ჩხეიძემ, ორიოდ სიტყვით მისი ლექსების თავისებურებაც შემოფარგლა: ერთი აღქმით ძალიან ხალისიანია, ლალია მისი შინაგანი მუსიკა, რიტმი, მაგრამ თუ ჩაუფიქრდებით, მძაფრი დრამატიზმითაა აღსავსე. შეიძლება ითქვას, სიხალისი-სა და დრამატიზმის გადაკვეთაზე შექმნილი ეს ლექსები, მიჯაჭვული ჩვენს ისტორიულ ფესვებს. თითქოს გარეგნულად სოფლის სინამდვილეა, მაგრამ მთლად ასეც ნუ ვიგულისხმებთ. მისთვის სოფელი წუთისოფელია, სადაც მოგვინია არსებობა. და ცდილობს, ლექსებში გადაარჩინოს ყველაზე ძვირფასი, ყველაზე საწუკვარი, რაც დაკარგულა და რაც აგერ, თვალდათვალაც ქრება. წიგნსაც ამიტომ ჰქვია „ჩიხი“, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ პოეტი ჩიხში მორჩილად დგას. პირიქით, მის გარღვევას ცდილობს ძალიან მძაფრი ჟინით. ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, ამაში თვითონაც დარწმუნდებაო, — და წესისამებრ, ვიდრე ძირითად მომხსენებელს, ახალგაზრდა თუმცა აღიარებულ მწერალს, ნინო სადღობელაშვილს შესთავაზებს გამოსვლას, თვითონ პოეტს შეასახელებს წაიკითხოს ლექსები და თავის პოეტურ სამყაროს აზიაროს მსმენელი.

ჯერ თავაზიანობა და ეტიკეტი მოპატიჟების გამო: — დიდი მადლობა ყველას, ბატონ როსტომს დღევანდელი დღისა და საერთოდ, გულისხმიერებისათვის. სიმართლეს მოგახსენებთ და დიდად ვერ ვიფერებ საღამოებზე სიტყვით გამოსვლას. კაცმა რომ თქვას, არც ვარ განებივრებული ასეთი შეხვედრებით; თუმცა არც მცდეელი ვარ ამისა, ჩემი ბუნებიდან გამომდინარე.

ნუკრი ბერეთელმა მერე მადლობა გადაუხადა მეუღლეს **ანა კოპალიანს**, პოეტსა და ინგლისური პოეზიის ჩინებულ მთარგმნელს.

— მის გარეშე ეს წიგნი ვერ შედგებოდა, რადგან ანიმ რედაქტირებაც გამინია, სარჩევიც მომიმზადა, ერთი სიტყვით, ყველაფერი გამიადვილა, რადგან მე არ შემეძლო ლექსებთან მემუშავა, თუნდაც ერთი სიტყვა ჩამესწორებინაო.

ამის შემდეგ წაიკითხა რამდენიმე ლექსი, ოღონდ ისე, ყოველ ნიმუშს მცირე კომენტარაც წაუშეძვარა. ვთქვათ ასეთი: „სოფლის თემა გარკვეულწილად გასდევს მაინც ჩემს ლექსებს“ ან „არის ლექსები, რომელიც მე თვითონ არ ვიცი, როგორ დავწერე...“

— ეგ არავინ იცისო (ხმა რეპლიკად მოიჭრა, ეს დარბაზი ხომ უცაბეოდ სიტყვას არავის შეარჩენს) — ამის მიუხედავად, პოეტმა თავისი სათქმელი არ შეიშალა და დააბოლოვა: აი ლექსი „ამბოხი“ შედარებით მოცულობითია და ყოველი წაიკითხვისას, მისი დაწერის განწყობის აღსადგენად, პასუხი

სხვადასხვა მაქვს ხოლმეო. მერე ეს ნიშნებიც გააცნო მსმენელს და აპლოდისმენტებიც ერგო. და საერთოდ, ვინც პოეტების დეკლამატორობას ამჯობინებთ, იგულისხმეთ, კეთილად განწყობილი თქვენც. რასაკვირველია, იქ რომ ყოფილიყავით.

ნინო სადღობელაშვილი:

ნუკრი ბერეთელი ნამდვილი პოეტია და, შესაბამისად, არც მასთანაა ცხოვრება იოლი და პასუხგაცემული. მის პოეზიაშიც ეს ფეთქებადსაში იარაღია დაყურსული და ყველაფერს — სიტყვებს, ფერს, ატმოსფეროს — ხელახლა თავჩენილი ტკივილის მომწარო არომატი ახლავს. ალბათ ამის გამოც, შინაგანი დინამიკის კარნახით, კრებულის სათაურად ეს ერთი შეხედვით საშიში, საზარელიც კი, სიტყვა გამოიტანა — ჩიხი.

არადა, ვინც ნუკრი ბერეთელს იცნობს, მისი თბილი და ტკბილი ლექსებისთვის მოუსმენია, სადაც დედას და სოფელს ეფერება ხოლმე, — ცოტა ძნელი და პროვოკაციულიც შეიძლება მოეჩვენოს ეს სათაური. მოეჩვენოს, რომ მან, ამ ანკარა შეგრძნებათა პოეტმა, ჩიხის მდგომარეობა არჩია, როგორც უფრო კომფორტული მეტაფიზიკა, რათა საკუთარი თავი სხვა მხრიდანაც წარმოეჩინა;

ზოგადად, ნუკრის შემოქმედებაში ყველაფერი თითქოს ერთი ბგერიდან იწყება, საერთო იდეას ემსახურება.

ამიტომ აქვს კრებულსაც მთლიანობის იერი.

საგულისხმოა ისიც, რომ ნუკრი ბერეთელის პოეზიაში ბევრი რამაა პირობითი, უფრო სწორად, არა ცალსახა, ტრანსცენდენტური და სიმბოლურიც კი. ერთი შეხედვით ბანალურ თემებზე მოლაპარაკეც მუდმივად რალაც სხვას, უფრო ღრმასა და მნიშვნელოვანს გულისხმობს და სწორედ ეს ანიჭებს ამ ლექსებს მშვენიერებას.

ავტოპორტრეტის თემაც გამჭვირვალე და აქცენტირებულია ნუკრი ბერეთელის შემოქმედებაში.

ერთ ლექსს სათაურადაც „ავტოპორტრეტი“ ჰქვია და მიძღვნილი ინიციალებითაც იმ გვარ-სახელის პირველი ასოები გამოუტანია (ნ.კ.), რომლითაც პოეზიაში კი არადა, ნამდვილ, სასტიკ სინამდვილეში — ყოფიერებაში არსებობს სხვა მოკვდავთა გვერდით. ლექსში რამდენიმე შემზარავი პასაჟი და ანტურაჟითაც ხანდახან ნიკო სამადაშვილის კოსმიური დრამატიზმი მოგაგონდება: „ჭინკებმა ცხვირწინ დასვეს დუშში და სულს გაცლიან წივილ-კივილით“... ან — „ფანჯრიდან მოდის ღამის შეგრძნება, ხედავ — მკვდრისფერი ადევს პორტრეტებს“.

პოეტის სული ოცდამეშვიდე გაზაფხულს ეტოქება და სამყაროში აძრული ქარებიც მის ვნებებს კიდევ უფრო ახელებს, ისე ძალიანაც კი, რომ სრულიად უმიზეზოდ, აი, ესეც შეუძლია თქვას: „სანამ ქარათან ზურგის ქარია, წამოდი, ერთად გადავაბიჯოთ!“

უმიზეზობა ვახსენე. ესეც იმ კატეგორიათაგანია, საბოლოოდ უდროობის გმირად რომ ქმნის პოეტს, ვინაიდან ქარაფზე გადაბიჯების ერთადერთი ჭეშმარიტი მიზეზი ისევ მისი სულის მოუწყობლობაა, ამბოხების წყურვილი და გამოუვალობის ინერციაა, ბოლოს და ბოლოს, ახალი აკორდია შემოქმედებაში, რადგან ნამდვილი პოეზია აქედან დაიწყება და ცხოვრებაში კი... ცხოვრებაში სხვა კანონებით დალაგდება ყოველივე.

პირობითია მის პოეზიაში სოფლის თემაც, სიმბოლური და მიღმიერი. სოფელი დაკარგული სამოთხის ელფერს იძენს ნუკრის ლექსებში. მისთვის მიძღვნილი ყოველი სიტყვა არა კონკრეტული პოეტის, არამედ, ზოგადად, ადამიანის ტკივილია, წინაპარი სამშობლოსგან შორს მყოფი კაცის სევდიანი სიმღერაა და ის განსაკუთრებულად კადამდება. აუცილებლად შეგეხება, შენს მიღმიერს, შენს სამოთხეს შეგახსენებს: „ცრის. ციცრის კვერცხებს ავროვებენ ბავშვები, ვაღმა მიტანტალევენ... (აღდგომაა ორიოდ დღეში), — ეჰ, ნუხელ ბოვში მესიზმრა და დარეკოს ახლა! — ზის დედა კართან და წინილებს აპურებს პეშვში“.

სოფლის, დედის, წინაპრის მონატრებას უფრო შორსაც მიჰყავს პოეტი და ოდესღაცინდელი საქართველოს სა-მოთხევებს იხსენებს. მისთვის ისეთივე შინაურია ოშკის ტკივილი, როგორც თავისი იმერული ოდა-კარისა.

მე, როგორც მკითხველი და ნუკრი ბერეთელის პოეზიის პატივისმცემელი, ვისურვებდი, მისი მომდევნო კრებულებიც სწორედ ასეთი — კონცეპტუალურად ძლიერი და სათქმელით გაჯერებული — იყოს, სადაც ბუნებრივად დაიძლევა ჩიხის მდგომარეობა და პოეტი, თავისი ღრმა შინაგანი სამყაროთი და დრამატული დინამიკით გაკვალული გზებით, სრულიად ახალი სულიერი ეტაპიდან იმღერებს თავის მშვენიერ პოეზიაში.

ნინო სადღობელაშვილის შემდეგ სიტყვით გამომსვლელ ორ ნინოსაც დაუგდებენ ყურს. ნინო ქუთათელაძეს — პოეტს, მეტად დახვეწილი ლექსების ავტორს და ნინო ვახანიას — ლიტერატურის პროფესორს.

ნინო ქუთათელაძე: ნუკრი ბერეთელი პოეტია. ამ სიტყვას კი არც ეპითეტი სჭირდება, არც რეგალიები და, მითუმეტეს, პრემიები.

ნუკრი სოფელზე წერს და ფიქრობს... ეს კარგია! ვინც გეტყვით, რომ ეს თემა მოძველდა, ტყუილია! მთავარია, სათქმელს ახალი, შენეული ფორმა მოუძებნო, განსხვავებულად, დამაჯერებლად მოგვეთხრო სიძველე.

დაიხ, ეს თემა არ მოძველებულა და არც მოძველდება არასოდეს. აბა, როგორ შეიძლება მოძველდეს ეს ფრაზები: „ამ ჭურებს სტუმრის მოჭიპკრება სხვაგვარად უყვართ. მეძძურ ხბოებს წამწამები პეპლებად აზიო“. მერე რა, რომ „სარჩულგამოხეულია“ ჩვენი სოფელი და ხან ჩინელები თუ ინდოელები ეპატრონებიან ჩვენს მიწებს. აი, სწორედ ამიტომ უნდა ვწეროთ სოფელზე.

მთავარია, სოფელზე წერა პროვინციალიზმში არ გადაიზარდოს. ამის საშიშროება კი ყოველთვის არსებობს.

ახლა სხვა თემას მინდა შევეხო... — სიყვარულს. ერთ პატარა ნიგში ამდენი სასიყვარულო ლექსი, მართალი გითხრათ, არც წამიკითხავს. ალბათ იკითხავთ, იმიტომ ხომ არა, რომ პოეტი ძალიან ახალგაზრდაა? — რა თქმა უნდა, არა! აქ სიყვარულის ტკივილია! მხოლოდ ტკივილთან ერთად იბადება პოეზია: „გული სველი კუნძივით ბოლავს. უშენო წუთი რაა, — წლებს პატრონის დედაც!.. შენი სიჩუმის ზოდებს მე შევაფასებ მხოლოდ, მე ამაღამაც შენთან ათი ათასჯერ მოვალ“. მიუხედავად იმისა, რომ ნუკრი სიყვარულზე ტკივილით წერს, ეს სიყვარული მაინც ფერადოვანია, სახეებით დახუნძლული.

კიდევ ერთ ფრაზაზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება ერთი, მართლაც, საყურადღებო უსათაურო ლექსიდან: „აქ არ გინდა და (სასაცლია!) იქ არ — იქ ვის უნდისარ, სულ ლექსადაც რომ ჩაიფრავსო?“. ეს რიტორიკული კითხვა ყველა შემოქმედს უდგას. თუ ეს ეჭვი არ არსებობს, არც შემოქმედებაა მნიშვნელოვანი.

ეჭვი ეჭვად, მაგრამ მინდა ნუკრის ეს პირველი პოეტური კრებული მივულოცო, ნიგნი დროული და უეჭვოდ მაღალი პოეზიით ნასაზრდოები.

ნინო ვახანია: ნუკრი ბერეთელი და მისი პოეტური კრებული „ჩიხი“ სწორედ ქართველობით (წმინდა ქართული სულისკვეთებითა და გამოხატვის საშუალებებით) იქცევენ მკითხველის ყურადღებას. აქ „დამწამავე“ მხოლოდ ნიჭი და შინაგანად, ღრმად განცდილი „ქართველობა“.

ლექსებში ხშირად იხსენიება სოფელი. მიუხედავად იმისა, რომ რეალისტურადაა დახატული სოფლის სურათები, დასახელებულია ნალია, მარანი, ხაპი, ჭინჭილა და სხვა, ეს მაინც არაა მარტო სოფელი. როგორც „ჩემი სოფლის ეტიუდების“ ავტორისათვის სოფელი ნუთისოფელია, ისე „ჩიხის“ ავტორისთვისაც სოფელი ცხოვრებაა საერთოდ. კრებულის პირველივე ლექსში „ჩემი ნიგნი“, რომელიც ბევრი რამითაა რანტი-

რესო, გამუდვანებულია მთელი კრებულისთვის დამახასიათებელი სევდა და ლირიზმი. პოეტის ოცდაშვიდგვერდნიანი წიგნი მის მიერ გავლილი ცხოვრების 27 წელია და მთელი ლექსიც — სოფლად მისვლა, მძიმე ტვირთის მოხსნა, დედის მიერ სველი ტკივილების გახდა და სხვა — მეტაფორულად გაიაზრება.

გალაკტიონის მერე პოეტისაგან დიდ გამბედაობას მოითხოვს ქარის პოეტური სახის გამოყენება. ნუკრი ბერეთელი ახერხებს, ახალი შტრიხი შეჰმატოს ამ სახეს. ყოველ შემთხვევაში, არ გაიმეოროს, არ გადაამღეროს უკვე შექმნილი: **„უკან მოუხმე ქარებს შარიასს, ლამის რომ ნისქივლს ფრთები დაგლიჯოს. სანამ ქარაფთან ზურგის ქარია, ნამოდი ერთად გადავაბიჯოთ“**. წერს ერთგან და საზღვრის იქით გადაბიჯებას, უსაზღვროების, სივრცეებისკენ გადაბიჯებას გულისხმობს, ალბათ. სულიერი თავისუფლების გამომხატველია ამ შემთხვევაში ქარი. სხვაგან ავი და ბოროტია: **„ტაოს კარში, ეს ოხერი, თითქოს ჯაჭვით დაბმულია — ქარი წივის, ქარი ყმუის, ქარი ძვალ-რბილს ლეჭავს“**.

სულს წენავს და გლეჯს ეს ქარი, ტაოს დამანგრეველი, დაუნდობელი, სამშობლოს ამოხრებელი...

ომკის, იშხნის, ტაოს, ბაგრატის... ტკივილი და სევდა ორგანულია ავტორისთვის. პოეტის განწმენდილი მზერით ხედვას, რომ **„გუმბათიდან განაპირა კრამიტი ფეხი დასცდენია“**, ხოლო ჩუქურთმასთან მიმხმარი ბალახის ღეროს დანახვისას კითხულობს: **„ვინ ასწავლა მკურნალობა ბალახებით ტაძარს?“** — დამეთანხმებით, გამორჩეული ხედვაა, მზერის სხვანაირი რაკურსი...

უფრო და უფრო იშვიათად ძნელად მიხსენებ, როგორც კალაპოტარული მტკვარი — მადათოვს.

ყოველ ლექსში იგრძნობა ავტორის ღრმა, საფუძვლიანი განათლება, ცოდნა ქართული და უცხოური კლასიკური თუ თანამედროვე ლიტერატურისა. ზოგი ლექსი თუ რომელიმე სტროფი, გამოთქმა ან განწყობა სხვა პოეტის ლექსს გაგვახსენებს ხოლმე. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს არც პირდაპირ გავლენას თუ მით უმეტეს, გადმოტანას.

ორატორმა იქვე პრაგმატული მეცნიერული ანალიზიც მიუსადაგა და დაასახელა თითქმის ყველა ის პოეტი, თანამედროვენი თუ გარდასული დროისა, ნუკრი ბერეთელის ლექსებმა ასოციაციურად რომ გაახსენა. კიდევ კარგი, დებიუტანტ პოეტს ქართული სიტყვის საგანძურის გარეთ, ალუზიების სასესხებლად, თურმე ხელი არ გაუნვდენია.

— მაგრამ ეს ასოციაციები, განმეორებას კი არ ნიშნავს, არამედ — მხოლოდ პოეტურ შეხმიანებას და ყველა შემთხვევაში — ახალი შტრიხით, ახალი ფერით, ახალი სათქმელითა ალბეჭდილი, ანუ სრულიად ახალი სივრცეა შექმნილი, — დასძინა ნინო ვახანიამ.

— კრებულს თითქოს გვიგრვინად ადგას (ყოველ შემთხვევაში, ერთი საუკეთესო ლექსია) „მარტის ფოთოლცვენა“. ამ ლექსმა ყურნალში პირველივე პუბლიკაციისას მიიპყრო ჩემი ყურადღება. **„სხვანაირი ფიქრი იცის მამაჩემმა. სხვანაირი ფიქრი და დარდი“**. იწყება და მერე გრძნობ, როგორ იქცევა თვითონ ავტორი მამად, ითქვიფება მასში. დროთა კავშირი ძალდაუტანებლად ადგენილი და მამის ფიქრებს (თუ ჩვენებებს) ბავშვობისდროინდელ სურათებს თვალნათლივ მზერს შვილი. ნუთისოფლიდან გასვლის სევდა ერწყმის მიწყვი მბრუნავი სოფლის, მარადიული განმეორების თემას და ამიტომ სიკვდილი არაა დასასრული...

დაბოლოს, ჩემს დამოკიდებულებას ამ კრებულთან, იმას, თუ როგორ მომწონს და მიყვარს ეს ლექსები და მათი ავტორი, თუ ნებას მომცემთ, პოეტისავე სიტყვებით გადმოგცემთ:



ნუკრი ბერეთელი და ნინო სადღობელაშვილი

ეს კი უფალმა აღარ მიწყინოს. ზოგჯერ სიტყვებიც მწყრალად არიან ჩემთან პირიქით — ანდა... იცი, რომ... დაუსრულებლად... ისე... ძალიან...

იოსებ ჭუმბურიძე თავიდანვე ამ კითხვას დასვამს: რატომ უნდა დაარქვას ახალგაზრდა პოეტმა ლექსების პირველსავე კრებულს „ჩიხი“? იქნებ აქ ზოგადად პოეზიის ჩიხი იგულისხმება?

მე ჩიხში ვცხოვრობ, ჩემთან ახლა ძველი თოვლია, ცოტა და მთვარე — ჩამომხრჩვავი კაცის პროფილით.

კიდევ კარგი, რომ ლექსი ასე მთავრდება:

ბოლოს მივხვდი და მოვალნივ კიდევ სახლამდე.

თუ სახლამდე მიაღწიე, ეს უკვე ნიშნავს, რომ ჩიხში აღარ ხარ.

„ლექსის მწერალი ხშირდება, სამწუხაროა რაიც“, — ამას მურმან ლებანიძის ცნობილ ლექსში კონსტანტინე გამსახურდია ამბობს.

დიდი განსხვავებაა პოეტსა და ლექსის მწერალს შორის. პოეტს ათიათასჯერ თქმულის ახლებურად თქმა უნდა შეეძლოს. მოვუსმინოთ ნუკრი ბერეთელს: **„და ვდგავარ ახლა მაგ გულის კართან, ჩანყობილი მაქვს კარტი ამურთან და მაინც ვდავობ საკუთარ თავთან — ვუთხრა... — არ ვუთხრა! — ვუთხრა... — არ ვუთხრა. გწერ“**.

ეს სტრიქონები ძალიან მაიმედებს: როცა ამურთან კარტი ჩანყობილი გაქვს და საკუთარ თავთან მაინც დავობ, მაშინ უნდა წერო.

როცა შეგიძლია, დაინახო, როგორ **„დგას უხელჯობო მოხუცივით ოცი წლის ვაზი“** და რომ **„მეძუძურ ხბოებს წამწამები პეპლებად აზით“**, მაშინ ხარ პოეტი და ნამდვილად არ ხარ ჩიხში...

იტყვის **ნანა კუცია**: ასეთი ლექსების მოსმენის შემდეგ უნდა გაჩემდე და დარჩე საკუთარ თავთან მარტო. არაჩვეულებრივი კრებულება და მიინდა მივულოცო ნუკრის. საქართველოში ძალიან ძნელია გერქვას პოეტი.

ნუკრი მართლა პოეტი. კითხულობს მის ლექსებს და ხვდები, თხემით ტერფამდე ქართველის დაწერილია: გენეტიკურად ქართველის, აზრობრივად ქართველის, ცხოვრების ნი-

რით თუ ღირებულებათა სისტემით ქართველის. იმიტომ, რომ იმას ვერ გამოიგონებ, თუ არ გინახავს, როგორ გორავს პატარა ძმის ცრემლები სოხანზე ვერცხლისწყლის ბურთებით, თუ არ გინახავს, როგორ გამოაქვს დედას ოხმივარადენილი ქოთანის, რომელშიც ახალმონველილი რძეა, როგორ ემალება მამა ამ დასაქცევ ნუთისოფელს ქუდექემ. რომელი სტრიქონიც უნდა მოვიყვანო და დავიდასტურო, ყველაფერი ნახატია, ყველაფერი სურათია. ამ გაქანებულ პოსტმოდერნისტულ ხანაში, ასეთი იმპრესიონისტული სურათები გვესალბუნება გენეტიკურად ქართველი პოეტის მადლით.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ნუკრი თავის ლექსებს საკრალურ სათაურებს აძლევს... „მარტის ფოთოლოცვენას“ ალბათ ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი სახელოვანი პოეტი სიამოვნებით მოაწერდა ხელს.

ორიოდე სიტყვით გეტყვით ჩემს დამოკიდებულებას ნუკრი ბერეთელზე და მის შემოქმედებაზე, ქებას ხმას შემატებს პოეტი **სევარიონ ნადირაძე**: — ეს გახლავთ პოეტი, რომელსაც ადვილად შეუძლია თავისი კალამი ჯადოსნურ ჯოხად აქციოს, მერე კი ჩვეულებრივი სიტყვებით უღამაზესი მეტაფორები შექმნას და გარდასახოს უმაღლეს პოეზიად. ამის თქმის უფლებას მაძლევს ლიტერატურულ საიტებზე დროდადრო ამოკითხული მისი შესანიშნავი ლექსებიც.

მეტად ორიგინალურმა ლიტერატორმა **თამარელა ნონორიამ** თავისი „მოკრძალებული დაკვირვება“ ლამის დასრულებულ მოხსენებადაც დააგვირგვინა და ხატოვანი ემოციების აღმაფრენის ზღვარზე სახასიათოდ გამოკვეთა ნუკრი ბერეთელის ლექსებისადმი უშუალო დამოკიდებულება.

სამწუხაროდ, რეპორტაჟში წინამორბედთა დარად, თამარელა ნონორიას გამოსვლის შემცირებულ ვარიანტს გთავაზობთ: „ჩიხი“ 2012 წლის აგვისტოში გამოჩნდა დედაქალაქის წიგნის მალაზიებში. კრებულის 64 ლექსიდან 7 უსათაუროა. „სათაურებზე საერთოდ არ ვფიქრობ, შეიძლება ლექსი დავწერო და ერთი თვის შემდეგ დავარქვა სახელი, ანუ მოვინათლო“, — თქვა ერთხელ... 57 ასეთი მონათლული ლექსია კრებულში. 12-ს კი სარჩევში მიყოლებით ასე იპოვით — წვიმიანი, თოვლიანი, დეკემბრის, მარტის (უმარტო), მიმწუხრის, ჯიუტი ბიჭის, ბრმა ბიჭის, ბრმა სტუმრის, გულაღმა, ნაპარტახალი ზღაპრად დაწერილი, მთასწავალა ლექსები (ალბათ, გამორჩეულობის ნიშნით, როგორც ვაჟამ თავის დროზე საუკეთესო ლექსებს „სიმღერა“ უწოდა და ასეთი 160 ნიმუში დაგვიტოვა).

პოეტსა თუ პროზაიკოსს გაცილებით უკეთ ეწერება ცალკეული ნაწარმოებები და თუნდაც წიგნები, რომელიც მიძღვნილია მშობლიური ადგილებისადმი, იმ კუთხისადმი, სადაც ბავშვობის წლები გაატარა და ყველაზე ცოცხალი მოგონებებიც გამოიჰყვალა. არც ნუკრი ბერეთელია გამონაკლისი. მის სულსაც ყველაზე მეტად მსჭვალავს ბავშვობის მოგონებები. „მიმწუხრის ლექსში“ აკი ამბობს: „**გადაგორდება ეს ზაფხულიც საზამთროსავით, ლექსად გიყვები ჩემს ცხოვრებას, მთვარე დაძველდა. ჩემი ბავშვობის ლანდი დამდევს თეთრი ხბოსავით და გალემილი ქარი ანჯღრევს ღობეს საბძელთან**“.

ლექსში „პირ-იქით“ ასეთ რამეს წაიკითხავთ: „**მკლავები მაქვს მზემდე აწვდილი, ნისლგამეტებული მთა მიყვარს ცას რომ გადუმალავს არწივებს, წინ რომ დაგიდგება: „სა მიხლო! წაგიყვან“**“.

სხვაგან კი ასეთ შედარებას მოიხმობს, იმერეთის „გორები მახსენებს პეიზაჟს, ვან გოგის დახატულს“, ვან გოგს კი ყველაზე უხვად რაც ჰქონდა და რისი დახარჯვაც ასე ნიჭიერად შეძლო, ეს იყო მზე და მზისფერი...

სწორად შენიშნავენ, პოეტურ ცოდნას თუ მწერლურ სიბრძნეს ასაკი არა აქვს. ისიც დადასტურებულია, რომ სწორად აქცენტირებული შემოქმედებითი ადამიანები ანუ სიტ-

ყვასთან მართალნი, მზეგრძელნი არიან. ისინი მზის ადამიანებად ითვლებიან. „მზე ხელისგულიდან ამოდისო“, — და ეს მხოლოდ პოეტური ფრაზა არ არის, სარწმუნოა.

თავის პოეტურ ზეცაზე პოეტი კაცის გულით დაგვატარებს და ქმნის საკუთარი ლექსის სანოტო სისტემას „ჩემთვის ისედაც ყველა ფერი შვიდი ნოტია“, საკუთარ პოეტურ სიმს აჟღარუნებს „ბრმა ბიჭის ლექსში“ და მითხველის ყურადღებას თუ იგუმაინებს, უმაღლეს საკუთარი პოეტური სინდისივით ასუფთავებს და აწკრილებს ამ მოყვარულ სიმის ხმას...

პირველ კრებულს „ჩიხი“ დაარქვა, თავიდანვე გვითხრა „ჩიხში ვცხოვრობო“, — ფიზიკურად ჩიხში ცხოვრება სიმშვიდეცაა რომ ნიშნავს, პოეტს ესეც მოეხსენება... იგი ქრისტეს ასაკში ჯერ არ გადამდგარა, ჯერ ისევე ეძებს თავის გზას, „მე რახანია საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნი“, — ამიტომაც დაეჯერება: „სხვას რას დავეძებ — ჩემი თავი ვერ მიპოვნია“, და ხუთტაეპიანი ლექსის თითქმის დასასრულისკენ ნათქვამი სტრიქონები გასაღებია ამ კრებულის სათაურისა: როგორ საიდუმლოდ და როგორი მონდომებით გამოილოცა საკუთარი სახლისკენ მიმავალი „გზაჯვარედინები“.

„**მე, ჩიხში ვცხოვრობ, ან პირიქით, პირიც მიქნია ზოგჯერ ქვისაკენ და ზოგჯერ ჩემს გზებს ფიქრად ვსახავდი. გზაჯვარედინზე დგომა ჩემთვის ფუჭი ფერია — ბოლოს მივხვდი და მოვალნივ კიდეც სახლამდე**“.

ოქროს ნისკარტი, პოეტო, ოქროს ნისკარტი! მართლაც პირი გიქნია ზოგჯერ ქვისაკენ, არავინ გამოგაყოლოს მოშურნე თვალი, მართლაც, არავის ეგონო ჩიხში ან პოეტურ დეპოში შესული, პირიქით, ქუდბედიანი კაცი ხარ...

და იქვე, უცბად გაჩენილ „კითხვა-პასუხის“ სხარტულა ფრაზებში მომხიბლავი იდუმალებით თამარელა ნონორიამ ახსენა ლიტერატურული ექსპრესი „100 ლექსის ქვეყანა“, მისგანვე — სიახლედ გაჟღერდა პოეტური დაჯგუფება სახელწოდებით „**ძამუნიკოების ორდენი**“.

ინფორმაციის უფრო ვრცლად გაზიარებისათვის კი ორატორმა ქალბატონმა ცნობისმოყვარეთ უარი დახვენილი დუმილით მიანიშნა.

სამაგიეროდ ბატონმა **რობერტ მესხმა** არაფერი დატოვა დაფარული: დიდი მადლობა დღევანდელი დღისთვის, იმიტომ, რომ ჩემთვის, როგორც ერთ-ერთი რიგითი „ძამუნიკოსათვის“ დღესასწაულია მიახლება ნუკრის ლექსებთან. აქ შესანიშნავად ილაპარაკეს ლიტერატორებმა, პროფესიულად განიხილეს მისი ლექსები და ამიტომაც თავს აღარ შეგანწყნო.

მერე კი „ძამუნიკოების ორდენის“ ძალმოსილებაც გაახმაურა: გული, სული, ურთიერთგანდობა, მხარში დგომა; ვერთგულობთ დიდ ადამიანურ სიბოძას და სიცხადეს. რასაკვირველია, ქართულ ტრადიციებსო. მორიდებული კაცის კეთილი ღიმილით კი მაინც რჩევად დაუფინა განვეერიანების მოსურვილებს: რამდენადაც მარტივი მოგეჩვენებათ ამ ალექსის ასრულება, რთულიც გახლავთ იმავდროულად.

ჩვეულებისამებრ, სიტყვის გარეშე არც ყოვლისკეთილმსურველობით გამორჩეული **თემურ ნადარეიშვილი** დარჩენილა. იმ დღეს კი ორმხრივი გახლდათ მისი მხარში დგომა ნოდარ კვიციანი-ნუკრი ბერეთელისადმი. უპირველესად, როგორც ფიზიკოსისა ფიზიკოსისადმი და პოეზიის გურმანისა პოეტისადმი. მოგეხსენებათ, სავანე მხატვრულ სიტყვებშიც ჰპოვა კარგა ხანია ბატონმა თემურმა. ხოლო როგორც ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორმა დაახასიათა ნასტუდენტარი სანიმუშოდ მშვიდ, განონასწორებულ, ფიქრიან ახალგაზრდად.

...ალბათ იმ ფიქრებისას ინვებოდა კიდეც ნუკრი ბერეთელისათვის პოეზიის ჩარდახი. საოცნებო სიმალლიდან ოთხივ მხრივ გადმომზირალი და ამრეკლავი ყოველივესი, რასაც მზის სხივი სწვდება, რასაც სიცოცხლე ჰქვია.

მაია იანტბელიძე

ჭეშმარიტების მკეზნელი ცრემლი

(ინგა მილორავას პოეზია)

ყოველი კარგი ხელოვანი გვთავაზობს ცხოვრების მოდელს, რომლითაც აღმოგვაჩენინებს რაღაც ახალს ძველ, ბებერ სამყაროში. ასე რომ, შემოქმედება არის არა რა, არამედ როგორ...

საოცარია ინგა მილორავას პოეზია, მისი პალიტრა, სხვებისაგან განსხვავებული ხედვა, მდიდარი სულიერი სამყარო, რომელიც მას ასე ნიჭიერად გამოაქვს გარეთ ფერადოვანი სახე-ხატებით და გვწყვეტს ზოგჯერ დამორცხველ რეალობას, თავისთან მცირე ხნით დაგვაგანებს.

ინგა იმ შემოქმედთა რიცხვს მიეკუთვნება, მრავალმხრივი ნიჭით რომ არიან დაჯილდოებულნი და ერთნაირი ოსტატობით წერენ თუ ხატავენ. ასეთი „უნივერსალობა“, როცა თვითგამოხატვისთვის ირჩევ ხან ერთ, ხან მეორე საშუალებას, „როცა არ ჰყოფნის მძაფრ ტკივილებს მოქნილი სიტყვა და ეძებს ახალს, უჩვეულოს ხაზების ქარში“, ღვთის დიდი წყალობაა, რომლითაც ის ასაჩუქრებს თვითონ შემოქმედსაც და ჩვენც, მის შემფასებლებსაც.

ძალიან საინტერესო განწყობილებანი და მოტივებია ინგა მილორავას ლექსებში. გამოვყოფ ზოგიერთ მათგანს.

წუთისოფლის ამოება და ადამიანად ყოფნის სევდა, ფილოსოფია. ლექსში „დღე და ღამე“ საოცარი პოეტური აღქმა ცხოვრებისა: მარადობის, „ვარსკვლავების, ფრთხილი ნაფხურების, წკრიალა წამების, მარტოობისგან შეშინებული იისფერი ჩრდილების“ შეგროვებისას ხან აღმა, ხან დაღმა ხეტილის მშვენიერი წამები და კიდევ მისია: „პეშვებით წყალი მიუტანე და გადამწვარ ტყეებს, როგორც შემქმლო მოვეფერე დაშრეტილ ხელებს“... „გზის წიგნი“ — საოცარი სიღრმის ლექსი იმაზე, რომ „თითქოს ყველაფერი ნათქვამია“, მაგრამ ჩვენი ცხოვრება აღმოჩენებითაა სავსე, ხანდახან გვემარტივება ყოველივე, მაგრამ მარადიულ კითხვებზე პასუხი არავის აქვს; ადამიანთა დარდი, ვნება, ოცნება ნარმაველობით იბურება, ცხოვრება წუთისოფელია, მაგრამ დიდებულია ეს „წუთი“, არაჩვეულებრივი საჩუქარი ღვთისა. ამას რაღაც მომენტში გრძნობს ყველა ადამიანი, თუნდაც უიღბლო. ცხოვრების „გზის წიგნიც“ ყოველი ჩვენგანი, სახელოვანი თუ უსახელო, ტოვებს კვალს, რომელიც არ მეორდება. ესაა, ალბათ, ჩვენი არსებობის გამართლება.

ლექსი „მარგალიტი ტკივილის გუნდა“ — მწუხარება ყოველთვის მაღლა დგას სიხარულზეო. ვაჟა-ფშაველაც ამას სთხოვდა ღმერთს — შენუხებული მამყოფეო. ამ ღამაზე ლექსის სათქმელიც ესაა — ამალელებული, გონიერი დარდის უნარი, ის, რაც ადამიანის სულისათვისაა დამახასიათებელი და განასხვავებს მას სხვა არსებებისგან დედამიწის ზურგზე. ლექსში „დაბრუნება“ ხილულ სოფელში „სტუმრად ყოფ-

ნის“ უსაშველო ტკივილია. კითხვები: რატომ ვეზიდებით ამ განუზომელ ტვირთს, ჩვენს სხეულს, ან რატომ არ გვკითხეს, სანამ ამ ტვირთს აგვიკიდებდნენ. „ვინ იცის ჩემი ხეტილის, ყოფნის მიზეზი...“ პასუხიც თან იცი, თან არა... თუმცა ბოლოს ყოველთვის აღმოაჩენ, რომ ყოფნა ღირს და სჯობს არყოფნას. სწორედ ინგასნაირი ფაქიზი სულის ადამიანთა არსებობაა ამ ოპტიმიზმის საფუძველი, მერე რა, რომ ისინი ადვილად მოწყვლადნი არიან?!

„ბაზარი უდაბნოში“ — აღმოსავლური სურნელის ლექსი. „ჩემთვის ოდესღაც ნაჩუქარი პატარა მთვარე... მარტოყოფნის სამკურნალოდ-ლექსის აბები“ — ეს არის გამორჩეული აღქმა სამყაროს: უფაქიზესი, სევდანარევი, სულში ჩამ-



ნვდომი, ახლობელი. ცხოვრებაც ხომ ჰგავს ამოების ბაზარს უდაბნოში, ხოლო ლექსის ავტორი გვთავაზობს იმ „საქონელს“, რომელიც ფასდაუდებელია ამ ჭრელ და ამიტომაც საინტერესო წუთისოფელში... ლექსში „ჭალა და ხეპრე“ მოცემულია სამყაროს წინააღმდეგობრიობის პრინციპი: ის, რომ იგი ორსახოვანია. ამ ურთიერთდაპირისპირებულ სანყისთა ერთობლიობა ქმნის ჰარმონიას ჩვენი არსებობისა, რომლის არსიც ტრაგიკულია, რადგან იქვე, სადაც ღვთისურია, არის დემონურიც, სიცოცხლე თავის თავში ატარებს სიკვდილს და ა.შ. მაგრამ ეს აქ, ამ წარმავალ „სოფელში“. იქ კი, იდეალურ სამყოფელში, „თეთრი ჭალების“ სრულყოფილებას არ არღვევს „მარადი ხეპრე“, რადგანაც ბოროტება, როგორც არსის არმქონე, სიკეთის ნაკლებობა, იქ არ არის. „ცა გაიხსნება და ანგელოზის ნატიფი ხელი ფრთხილად დაუყრის დედამიწას სიცოცხლის მარცვლებს“, რომელსაც უნდა მოვუყაროთ თავი, მოვუფრთხილებთ სიყვარულს, სიკეთეს, სილამაზეს. ეს არის გზა ღმერთთან დაკავრულს სიხარულის მოპოვებისა. ასეთი პოეზია გვხვს მომცემია ამ სავალზე.

ყველაზე საინტერესო ამქვეყნიურ არსებობათაგან მაინც ადამიანად ყოფნაა, იმედია თუ უიმედო, „ფერადი ველის“, „ყვავილის მტვერში ჩუმ სინაზის“ და ნავსაყუდელის მძებნელი მეორე ადამიანში, რომლის პოვნაც დიდი ბედნიერებაა, კარგი ადამიანური ურთიერთობანი კი ყველაზე აღმატებული სიამოვნებაა ამ ცისქვეშეთში. „ცხოვრების ბნელი, უსულგულო, ცივი წლებიდან ყოველთვის ცდილობს ამოყვინთვას და მზესთან მისვლას“ — ადამიანი. ესაა მიუწვდომლის ტკივილიანი ძიება და თუმცა იშვითად პოულობს ვინმე, აზრი ჩვენი ცხოვრებისა მაინც ესაა: სწრაფვა სრულყოფილებისკენ.

ადამიანობა მოიაზრებს შიშს, ეჭვს. საინტერესოა ლექსი შიშზე. ძნელი დასამარცხებელია ზოგჯერ არა სიკვდილის, არამედ სიცოცხლის შიშიც. ამ განცდას ინვევს პატარა ადამიანთა ნაცრისფერი ყოფის უმიზნობა, სამყაროს მათთვის გაუგებარი წესრიგისადმი მორჩილება. თუმცა ადამიანური არსებობის ასეთი მარტივი ფორმაც გამართლებულია: ყოველი ჩვენგანი ხომ ღვთის ხატადაა ჩაფიქრებული. ამ ლექსში ავტორი ძლიერია თუნდაც შიშთან ერთად.

არ არსებობს ნამდვილი ქართული შემოქმედი სამშობლოს ტკივილიანი განცდის კარგე. აი კიდევ ერთი თემა ინგა მილორავასთან. ჩვენი სიტბოშემოძარცვული დღევანდელია, რომლის მძაფრი განცდა, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ეჩვევი და ვეღარ გრძნობ, გამუდმებით გიტევს, გთრგუნავს („ჩამონგრეულ ცრემლის ტაძარს კვლავ სანთელი ესიზმრა“, ან „აღარაფერს აღარ შერჩა დედაშენის თვა-

ლები). ჩვენ მივიღეთ სასჯელი წვეთ-წვეთად დაგროვილი ცოდვებისთვის: „ყვავების გუნდი დასტრიალებს ოქროსფერ მინებს“, „შორ, ცხელ მინაზე უსაფლაოდ ჩაშლილი ბიჭი“, „ბნელ ჯურღმულებში დამწყვედული სიყვარული და სიტყვა ტკბილი“ — და თითქოს თავის გასამართლებელიც არაფერი დაგვრჩენია ღვთის წინაშე, მაგრამ გვაქვს იმედიანი ცოდნა, რომ არსთა გამრიგე დიდ განსაცდელს მოუვლენს მას, ვინც ძალიან უყვარს. „მიიღე სწავლაი (ანუ სასჯელი) ნუუკუე განრისხნეს უფალი და წარწყმედეთ თქუენ გზისა მისგან მართლისა“. ტანჯვა განწმედისა და სულიერი ამაღლების წინაპირობაა. „ჩემი ლურჯი ქვეყანა, ზღვის ტალღის ფერი, ატმის ყვავილის რბილ ნამქერში, მისის თაფლის ტკბილ სურნელში გაყუჩებული და მის სიყვარულს არ სჭირდება სიტყვით გამოთქმა. ჩუმად ვუკმევდი გუნდრუკს ალბათ მზით გამთბარ გულში, რომ არა დარდი მთების და ქალაქების... გამოცლილი ძველი ქვევრების“, რომ „სიტყვები დაემსგავსნენ ყალბ მარგალიტებს“, მის სხეულზე „იარებად ამოსულა დღეს გულგრილობა, უიმედობა, სიბრაზე, შიში...“ მაგრამ „რა ლამაზია ჩემი ძველი მსხმოარე ქვეყანა-ვაზი, რა ლამაზია მისი ისევ მფეთქავი გული“.

სამყაროსთან გაუცხოება, ზოგჯერ შინაგანი სიცარიელის, უიმედობის განცდა: „რისთვის მოირთო წუთისოფელი ასე ლამაზად — სიძულვილისთვის?!“ მაგრამ მაინც მოლოდინი: „მე ვზივარ ახლა ფანჯარასთან — ღმერთს ველოდები. ნემსინვერები ირხევიან, ფიქრები გაჰყვა ფარდის იალქანს“ — ეს მოლოდინია მთელი ჩვენი ცხოვრება: ხან ვუახლოვდებით, ხანაც ვშორდებით, და კიდევ იმედია, საბოლოოდ მის თბილ, ტკბილ წიაღში დაბრუნებისა.

ხსნა კი ამ რთულ სამყაროში მშვენიერების ძიება და განცდაა, რომლითაც ასე გამოირჩევა ინგას პოეტური სამყარო, რომელიც დაგიმეგობრებს, გაცნებებს „შორეულ ზღვებში მოქანავე ფიქრის გემებზე“ და აგიყოლებს „უცნაური, ქარი-სებრი სუნთქვის ცეკვაში“. განსაცვიფრებელია სიცოცხლის სილამაზის ეს შეგრძნება. ლექსი „ოთახი გაზაფხული“ — ძველი როიალი სპილოსძვლისფერი კლავიშებით, ნაზი ფაიფურის ჭიქა, რომელიც ბევრ ზამთარს გადაურჩა, მოწყობილ ვერცხლის სამაჯურები, საგნები, რომლებსაც აქვთ საკუთარი ენერგეტიკა და მოგვითხრობენ ნაღვლიან, გარდასულ ამბავს თავიანთი პატრონებისა, რომელთა რაღაც ნაწილს ინახავენ და ართმევენ დაუნდობელ დროს. ამ ლექსის კითხვისას თითქოს კლავესინის ლამაზი მუსიკა ჩაგესმის. ლექსი „ჩიტი რაფაზე“ — ხანმოკლეა, „ერთნაირია ყველაფერი ამ სამყაროში... ერთ ნაზ, ფაფუკ ბგერად“ გაჟღერებული, მაგრამ წარმავლობა მშვენიერებისა სძენს ამ ცხოვრებას საოცარ სიტკბოსა და მომხიბვლელობას, აგამაღლებს შიშსა და ტკივილზე, ჩაგაფიქრებს საზრისზე ჩვენი არსებობისა, რომელიც, საბოლოო ჯამში, მაინც ღმერთის ძიებაა... ბახის მუსიკაც, „მენამულ ცაში აფრენილი მბზინავი ჩიტიც“ და ეს მშვენიერი ლექსიც თითქოს ამ სანუკვარი მიღმიერის, უნაკლოს გამოშუქებაა ამქვეყნად... ლექსი „ვან გოგი — არლი“ — ჭეშმარიტი ხელოვნება, მართლაც, „ტკივილების ოქროსფერში დანთქმული გულია“, მოლბერტზე „აკვილებული მინა... ტკივილისაგან მბრუნავი ზეცა, ბედის ბორბალი“ — ზუსტად ესაა ვან-გოგი... იქნებ ღირს სიცოცხლე „ლურჯი სიზმრის“ ძიებად, რომ მერე ეს ლურჯი, რომელიც „უფრო მეტია, ვიდრე სილურჯე“, უამრავი ადამიანის ცხოვრებაში შვეებად, აზრად, სულის წყლულების მალამოდ იქცეს.

პოეზიისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი მოტივი: ადამიანური დარდი დროის ცვალებადობაზე... „სადღაც ოდესღაც საოცარი დაფრინავდა მუსიკა ცაში და დარბაზებში, სადღაც ოდესღაც ფერად კაბებში ულამაზეს ქალებს ჰქონდათ თვალები სულ ახალი იების ფერი და მათი სიღრმე

მთელი ირეკლავდა თაყვანისცემას და რაინდობას“ — რაც დრო გადის, ტექნიკა პროგრესირდება, ადამიანები თითქოს იფიტებიან შინაგანად, ნელ-ნელა შემოეძარცვათ ილუზიებიც, სინატიფიც, რომანტიკაც, დახვეწილი მანერებიც და ზოგი სულიერი ღირსება მხოლოდ კუთვნილებალაა წარსულის, რომელშიც „უხინჯო, სუფთა, მშვენიერი, ბედნიერი და მოელვარე“ მუსიკა გვაბრუნებს... აქ კი პრაგმატულ ადამიანთა სამყაროა მკაცრი, შეუვალი კანონებით. თუმცა დამამშვიდებელია ის, რომ ზოგიერთი ჩვენგანი იმ ძველი დროიდანაა შემოსახლებული ახლა ამ ლექსების ავტორივით...

ამგვარად, მშვენიერება, სიკეთე გვიხსნის სიძულვილის, ფულის ვნებისა და ანგარებისაგან. შენ ირჩევ მხოლოდ ერთს ამ ორი პოლუსისგან.

აუცილებლად, აუცილებლად მოიგონე შენი ქალაქი, სხვაგვარად ყოფნა გახდება ძნელი... აუცილებლად უნდა გქონდეს სადღაც შენი ფერადი კოშკი, დააკაკუნე და გაგიღებენ და იქ იქნება სილამაზე და სინამდვილე.

თუ გექვს ასეთი „სურნელების, იდუმალების“ კოშკი, მაშინ დრო, „დავიწყების ცალთვალა ძაღლი“ და შენთვის მობეზრებული, მიუღებელი სივრცე ვერაფერს დაგაკლებს... ზოგჯერ ასეთი „ფერადი კოშკის“ რეალობა უფრო მძაფრად შესაგრძნობია, ვიდრე ნაცრისფერი, მძიმედ არსებული. „მივიღვარ გზაზე“ — მშვენიერი და ფილოსოფიური სიღრმის ლექსია იმაზე, რომ ყველას ჩვენი სავალი გვაქვს გასავლელი, ფიქრების, სიზმრების, ვნებების, დარდების ტვირთს მივზიდებით. მაგრამ ეს არ არის გზა არსათ, უმიზნო. ეს არის სვლა ძიებისა და ბოლოს ისევ იმ „რბილ და თბილ, სიყვარულით, სიმშვიდით სავსე“ სამყოფელში დაბრუნებისა, დაბადებისა რომ დავტოვეთ. იქ კი, სამუდამო სიმშვიდის ბაღებში, „სადღაც ცრემლები იქცევა ოქროს მოკაშკაშე დიდ ყვავილებად, ტკივილი — ფერად, დარდი — მუსიკად და მარტოობა იქნება მხოლოდ ჩვეული ხვედრი, არა სასჯელი, რადგან ყველა ერთად იქნება მარტოც და იქნება ერთად“ — საოცარი მიგნებაა: იქ შენარჩუნდება ყველაზე ძვირფასი ადამიანისათვის — ავტონომიურობა, სხვაგვარად ხომ მოსაწყენი ერთფეროვნება იქნებოდა (ლექსი სამოთხეზე).

დაბოლოს, როგორც ინგა ამბობს: „იებს შეუძლიათ განდევნონ დემონები ზამთრისგან მოწუხებული მინიდან“ — ამ კეთილი სიზნების დამცავ ველში ჩვენც ვეხვევით და ასე მრავლდება ადამიანური სიხარული. მთავარია, არ ვიყოთ „საკუთარი თავის ჯალათები“ და ნუ დავანგრევთ „ატმის ძლიერ ნაფერებ ბაღებს“ ჩვენში, რადგან, მტკივან სიჩუმეს და სულის სიმარტოვეს ყოველთვის ცვლის სამყაროს სიკეთე: ყოფნის სილამაზე, ნათელი ადამიანური სითბო და „ფერადი სიტყვა“ — ეს ორსახოვანი სიცოცხლის კანონია, მკაცრიც და შვეების მომტანიც („ბაღები, რომელთა ნგრევაც არავისი არაა ბრალი, მხოლოდ სიჩუმის და უხარების“).

ყოველ დილით მე ვახელ თვალებს და ვხედავ ზეცას, ყოველ დილით მე ვახელ თვალებს და ვინყებ გზას... ყოველ დილით მე სიცოცხლისთვის საბრძოლველად ვინყებ სიცოცხლეს და მოვა დღესთან ერთად ფერი ლურჯთვალა იის, ხან სველი თოვლის, სინანულის და მონატრების... ყოველ დილით მე ვახელ თვალებს და ჯერ არ ვიცი, სიხარულისთვის გათენდება, თუ ტკივილისთვის, მაგრამ ჯიუტად ყოველ დილით ხომ ვახელ თვალებს?!
(„იქნება რამე“)

სერგი ლომაძე

ქველი-ახალი თემა: გალაკტიონი და გრანელი

ნაწარმოებთა დასათაურება მათ შექმნაზე ნაკლებად რო-
დი მიტაცებს. მაგალითად: ჩემი შემოქმედებითი ჯგუფების —
„მირაჟისა“ და „ზღვარის“ — ქმნილებათა დიდი უმრავლესო-
ბა ჩემივე დასათაურებულია (არადა, ამ ჯგუფებში, სხვადასხ-
ვა დროს, უამრავი ხელოვანი ყოფილა გაერთიანებული).

ასე რომ, ადვილად ვიგონებ ხოლმე სათაურებს.

მაგრამ, აი, როდესაც მთელი ჩემი შემოქმედების ერთი სა-
ერთო სათაურის ქვეშ გაერთიანება მოვისურვე, მაინც დიდი
ხნის განმავლობაში ჩავევარდი საგონებელში. ბევრი ვარიან-
ტიდან ერთი ვერ ავარჩიე. „ფერთა ნიგნი“ — ბოლოს თითქოს
ასე გადავწყვიტე, თუმცა ახლაც კი ხანდახან „თეთრ ნიგნს“
ვამჯობინებ ხოლმე, და ორივეგვარად მოვისხენიებ საკუთარ
შემოქმედებას (იგი სცილდება ლიტერატურის ფარგლებს,
მაგრამ იქ მაინც სწორედ რომ ლიტერატურაა მთავარი, გან-
საკუთრებით — პოეზია).

„ფერთა ნიგნი“, რომელიც თავისი სრული (სრულყოფი-
ლი) სახით, ალბათ, არასოდეს წარსდგება მკითხველის წინა-
შე, არის ვრცელი და თავისებური სამყარო. იგი შავ-თეთრი-
ცაა, ფერადიც, თანაც — ქაოსური: სად იწყება და სად მთავ-
რდება, ზუსტად თვითონაც არ ვიცი. არც მის შემადგენელ ნა-
წილთა თანმიმდევრობა განმისაზღვრავს მკვეთრად. თანაც
თითოეული ამ ნაწილთაგანი განსხვავებული ძალისაა. ზოგი
უკვე გამოქვეყნებულია, ზოგიც გამოქვეყნებას ელოდება,
ხოლო ზოგიერთის გამოშვებულება არცა ღირს ფართო საზო-
გადოების წინაშე.

ამ ვრცელ ნიგნს (რომლის სათაურიც ძალზე ბევრგვარად
გავიზარე) არა ჰყავს მხოლოდ ერთი ავტორი: აქვე ვგულისხ-
მობ, ვთქვათ, ჩემივე ჯგუფების — „მირაჟისა“ (შევქმენი თბი-
ლისში ოთხმოცდაათიწმინტი წლის შვიდ სექტემბერს) და
„ზღვარის“ (ასევე თბილისში შევქმენი, ოღონდაც — ოთხ-
მოცდაცხრამეტი წლის სამი-შვიდი მაისის დღეებში) ნაშრომ-
ნაღვანსაც...

ვიტყვი, რომ ჩემი ოცნების ამ უსასრულო ნიგნში მკითხვე-
ლი სშირად გადააწყდება გალაკტიონისა და გრანელის სახე-
ლებს. ისინი არაერთხელ მომიხსენიებია როგორც **საკუთარ
პოეზიაში, ასევე პროზაშიც, ჩანაწერებშიც, პუბლიცისტი-
კაშიც...** ეს იმის გამოცაა, რომ ისეთ ლიტერატურულ ეპოქაში
ვარ, როცა აქტუალურია „გალაკტიონისტებისა“ და „გრანე-
ლისტების“ დაპირისპირება.

ეს დაპირისპირება, რომელიც ადრეც იყო, არ გააღვივა
ვახტანგ ჯავახიძის „უცნობმა“, მაგრამ გააღვივა-გაამძაფრა
ახალმა ნიგნმა — „კომიკოსი ტრაგედიაში“, როსტომ ჩხეიძემ
რომ შექმნა. ყველა გაგებით გრანდიოზული ეს ქმნილება ერ-
თი ამოსუნთქვით ნაეციხებში (!), და თუმცა მასში წარმოსა-
ხულმა გალაკტიონის მონუმენტურმა ფიგურამ აღმამართო-
ვანა, აი, სხვა ფიგურები კი თითქოს მხოლოდ ამ ერთი კაცის,
ერთი პოეტის ფონად არიან მოაზრებულნი, რათა ამ კოლო-
ნის სიმაღლე კიდევ უფრო გამოიკვეთოს.

ვფიქრობ, ნიგნი სპეციალურადაა ასე ჩაფიქრებული,
რადგან ხაზი გაესვას - მეოცე საუკუნე სწორედ გალაკტიონი-
სა იყო, მისი დრო გახლდათ, მისი ეპოქა! ფერთა ვრცელი პა-
ლიტრის ასეთ განაწილებაში, გასაკვირი არაა, რომ თვით ტე-



ტერენტი გრანელი და გალაკტიონ ტაბიძე

რენტი გრანელიც კი იჩრდილება. იგი დახატულია, როგორც
ანგარიშგასანვეი ოსტატი, მაგრამ მაინც: მეფე-პოეტისა და
„ახალი ღმერთის“ ეპიგონი. ბატონი როსტომი, რომელიც,
უმეტეს შემთხვევაში, თვითონ არის მესაძირკველ ახალ აზრ-
თა, იდეათა, ამ შემთხვევაში ძველ აზრს, ძველ შეხედულებას
იმეორებს.

ჩემებურად გავაანალიზე რა ოთარ და როსტომ ჩხეიძე-
ბის კონცეფცია გალაკტიონის შესახებ, მივედი იმ დასკვნამ-
დე, რომ გალაკტიონი იყო დიდი კომიკოსი და ტრაგიკოსი რო-
გორც ცხოვრებაში, ასევე — შემოქმედებაშიც. იგი უაღრესად
არტისტულია, მრავალმხრივი, ამოუწურავი, გარკვეულნი-
ლად — შეუცნობელიც... ხოლო „ტრაგიკოსი კომიკოსის ნილ-
ბით“ — ეს ფრაზა ეხება, დიახ, მისი შემოქმედების შემქმნელ
ხელოვანსაც (და არამარტო გალაკტიონს — როგორც მხო-
ლოდ ადამიანს), მითუმეტეს, რომ ამ პოეტის შემოქმედება მე-
ტად მრავალსახოვანი და უთანაბროა, თუ — არათანაბარზო-
მიერი, არათანაბარწონადი.

აი, გრანელი კი მხოლოდ დიდი ტრაგიკოსი იყო. შეიძლება
ამიტომაცაა, რომ იგი არ არის ისეთი მრავალფეროვანი, რო-
გორც გალაკტიონი, მაგრამ, სამაგიეროდ, ტერენტი გრანელი
უფრო მყარად დგას საკუთარ ხაზზე, საკუთარ პრინციპებზე.
კომიკოსის ნიღბის მორგება ტერენტიისთვის ნაძალადევი იქ-
ნება, თანაც — არაფრისმთქმელი, უაღრესად არაფრისმთქ-
მელი. არა, იგი არ იყო გალაკტიონზე უფრო დიადი, მაგრამ
იქნებ არც ნაკლები გახლდათ... ყოველ შემთხვევაში, ამ ორი
აბსოლუტურად პოეტური ადამიანისაგან ერთი (გრანელი) მე-
ორის (გალაკტიონის) მიმბაძველად არ გამოდგება.

გავყვეთ ფაქტებს:

გალაკტიონ ტაბიძეს თავი პირველ პოეტად წარმოედგინა
და მის ერთადერთ ნამდვილ მეტოქედ, როგორც ჩანს, რუსთ-
ველი ეგულებოდა. ამაზეა სწორედ ნათქვამი: ცოცხალთა შო-
რის რომ ტოლ-სწორნი ვერავინ ნახა, გარდაცვლილნი გამო-
ინვია საპაექროდო. თუ როგორ, რა შედეგით დასრულდა ამ
ორი მეფის დაპირისპირება, ესეც არის გადმოცემული ნიგნში
„კომიკოსი ტრაგედიაში“ (თუმცა 40-50-იან წლებში, ანუ ამ
შეპაექრების დროს, გალაკტიონი მთლად ისეთი დონის პოეტი
აღარ იყო, როგორც — უფრო ადრე).

გრანელსაც პირველ პოეტად მიაჩნდა თავი, მაგრამ იგი
მეტოქედ (მეტოქე-მეგობრად) ლირიკოს გალაკტიონს დაიგუ-
ლებდა. ამისდა მიუხედავად, თვითონვე დაუჭირა მხარი 1921
წელს შემდგარ გამეფებას გალაკტიონ ტაბიძისას (თუმცა მე-
რე ისიც უთქვამს ტერენტის: მე ვარ უპირველესი, უბრალოდ,
მას, როგორც ჩემს მეგობარს და დიდებულ პოეტს, გვირგვინი
დავუთმეო... ორივე დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ერთმა-
ნეთს, მაგრამ საეჭვოა, რომ ამ ორ მარტოსულთაგან რომელი-
მეს მართლა ჰყოლოდა მეგობარი, თუმცა... ვინ იცის...!)

1919 წელი. მკითხველმა მიიღო წიგნი „არტისტული ყვავილები“, რომელმაც გალაკტიონს გზა გაუხსნა პოეტური ტახტისაკენ.

1924 წელი. მკითხველმა მიიღო გრანელის წიგნი „მემენტო მორი“, რომელიც ზოგიერთმა ლიტერატორმა უმალღეს პოეტურ (ლირიკულ) მოვლენად აღიარა. სხვათა შორის, ამ წიგნის რამდენიმე „ოფიციალურ-არაოფიციალური“ გამოცემა არსებობს. ზოგიერთში არის ტერენტი გრანელის ამავე სახელწოდების („მემენტო მორი“) დიდებული ლექსი, ზოგში კი - არა.

ოცდაოთხ წელს გრანელის პოპულარობა უტოლდება გალაკტიონის პოპულარობას, მაგრამ ტერენტი მწვერვალზე დიდხანს ვერ რჩება: განუკურნელი სულიერი სენი — შავი მელანქოლია, თავისი უკიდურესი გამოვლინებებით — ანადგურებს, აქრობს პოეტს. წითელმა რეჟიმმა და ადამიანთა საერთო გულცივობამ, როგორც ჩანს, მისი ფსიქიკა მძიმედ დააავადა, სულიერად (და ფიზიკურად) დასნეულებული პოეტი კი სათანადოდ ვეღარ გაეპასუხებოდა გალაკტიონის — 1927 წელს გამოცემულ — „ზარნიშან წიგნს“...

გრანელი უკვე გვარიანად იყო დასნეულებული თურმე, როცა ერთ ლიტერატორს მისთვის უკითხავს:

— რას ფიქრობ დღეს გალაკტიონის შესახებ, და შემოქმედებითად რამდენად ბაძავდი მას?

გრანელს, რომელიც იმ დღეს სრულიად დალაგებულად, ლოგიკურად მეტყველებდა, ოღონდ ეგ არის — მეტისმეტად დალილი და გამოფიტული ჩანდა, სევდიანად გაულინია, ლიტერატორისათვის დაკვირვებით მიუპყრია ლურჯი (ახლა უკვე ჩამქრალი) მზე-რა და უთქვამს:

— გალაკტიონი საოცრებაა... მაგრამ აბა მითხარი, რომელია უფრო დიდი: ილია, აკაკი თუ ვაჟა? ან რომელი რომელს ბაძავდა?.. ალბათ მიმიხვდი სათქმელს... მე მე ვარ. მე ვარ ქართველი პოეტი ტერენტი გრანელი...

ყველაფერს ჩემებურად ვიაზრებ, ვაანალიზებ. დიდი პოეტის პასუხი ერთ-ერთი ლიტერატორისადმი პირადად მე მეუბნება ძალიან ბევრ რამეს.

ჩემს სტატიას ერთი ასეთი ფაქტით დავასრულებ: გრანელის დასაფლავებას სულ ოცამდე ადამიანი ესწრებოდა, ხოლო ერთ-ერთი იმათგანი გალაკტიონი გახლდათ. სხვათა შორის, იქ იყო რადიკალური „ცისფერყანწელი“ ვალერიან გაფრინდაშვილიც. ეს ამბავი ბევრთათვის დღესაც არაა ცნობილი. იქნებ ამიტომაც ფიქრობენ ისინი, რომ გალაკტიონს, გრანელსა და „ყანწელებს“ შორის გადაუღალახავი დაპირისპირება არსებობდა...

კიდევ ბევრი რამის თქმა მსურს, ძალიან ბევრი რამის, მაგრამ განა ვის ამოუწურავს ბოლომდე თავისი სათქმელი... უბრალოდ, სადღაც მაინც უნდა დაისვას წერტილი.

არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე)

აქ ისე თბილა, როგორც შინ

(ესაა ონიანის ლირიკული სილვეზი)



ისე მოხდა, რომ ესმაზე ფიქრიც, ხმამაღალი მსჯელობაც და წერაც ჩემთვის თავისთავადია, სასურველიც და არა ძალდატანებითი, უფრო იოლი, ვიდრე ძნელი... დამენერინა კიდეც: ჩემი სხვენიდან შენს სხვენამდე ახლოა ახლა...

ზაფხულში საღამოზე სათქმელ სიტყვაზე რომ ვფიქრობდი, შევჩვილე ჩემთვის ძვირფას და საყვარელ ჟოზეს (პოეტის დას): რომელი ერთი აზრი გავაჟღერო, აღარც კი ვიცი, რომელ ერთ მხარეზე ვილაპარაკო-მეთქი ხვალ...

ამას წინათ იმაზეც მეფიქრებოდა, ალბათ, 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანების დასაწყისისათვის „უცნაურად“ წერდამეთქი. ან რა გასაკვირი იყო, იმ საზოგადოებას რომ ვერ გაეგო,

არ მოესმინა, პოეტურ საზოგადოებასაც... რაც უფრო მიყვარდება ესმასეული პოეტური ინტონაცია და სიტყვის მადანი, მითუფრო შემწყნარებლური ვხდები იმათ მიმართ, ვისაც დიდად არ ანაღვლებდა, რომ მათ გვერდით უფლისწულივით დადიოდა იგი ქართული პოეზიის პურის ყანაში:

**დაგინახე:
უფლისწულივით ჩაიარე დღესაც გამზირი,
ტილოს სამოსში ისევ ვერ გცნეს,
აჰყევი კიბეს
შენ —
ტვირთმძიმე
ტკივილებით (ოღონდაც სხვისი),
და კიდევ დარდით, ობლობით, კვნესით,
სიყმილ-სიცივით დამაშვრალთა,
მანანნალათა, ჩვენ თვისტომთა...
მოგცლია ერთი!
ამდენს ვინ დარდობს
ან ვინ ჩქარობს ასე წასვლას?!**

ესმასნაირთ ზეციდან აჩქარებდნენ ყოველჟამს! ესმასდართ სხვაგვარი განგებულება ეძლევათ ბედისწერად!

მე რომ ლექსმცოდნე ვიყო, ალბათ, საზოგადოდ, არ ვილაპარაკებდი იმაზე, თუ როგორაა ერთი პოეტი მეორით დავალებული, რადგან ნამუსის ძაფის განწყდომა მარტო ლექსის მწერალს არ ემართება, სხვა შემთხვევაში კი — ანუ როდესაც ლექსი თვითონ გწერს — პოეტი ემსგავსება მსუყე მარცვლებით სავსე თავთუხს პოეზიის პურის ყანაში, მართალია, სხვეზე მეტად რომ ახარებს გუთნისდედას, დალოცვასაც მოიხდენს, მაგრამ აკი იმ ხორბლიდან აღმოცენდა, შარშან რომ მასავით ლამაზად და გულის საამოდ ყელყელაობდა მზის სხივებზე. ის შარშანდელი თავთავი კიდევ ხომ შარშან-

წინდელისა და ასე და ამრიგად მივალთ იმ პირველ ჯგუფის ფესვამდე, ქრისტიან-ღმერთმა რომ აღმოაცენა ჟამსა შესაქმისასა...

ასეა: მართლა კარგი ლექსის ავტორები სამყოფად გვყავს.

პოეტები — ბევრად უფრო ცოტა.

იმიტომ, რომ პოეტობა, კარგი ლექსის წერის გარდა, მისია!

ღვთაებრივის, ციურის, ამაღლებულის, გასხვივოსნებულის დანახვებამა ეს მისია და დაცემულის, დაბნელებულის, წყალნალეზულის შეყვარებაში.

ციური რომ დანახო ვინმეს, ჯერ თვითონვე უნდა გრძნობდეს მას უცდომელად.

დაცემული და დამარცხებული რომ შეიყვარო, თვითონ არაერთხელ ძირს დაცემულს და დანარცხებულს, მაღლიერების განცდა არ უნდა გტოვებდეს, რომ აღმდგარხარ და აუკრეფიხარ.

დღეს პოეტის პოეზიის დღეა, კიდევ ერთი დღე.

ალარ უნდა ვბედავდე იმის მერე, რაც გავბედე და ესმას ერთი პანია წიგნის წინასიტყვაობა დაწერე. ისევე ვბედავ. რაღაც არ მასვენებს. ვლელავ. მინდა ვთქვა ესმას პოეტურ მსოფლმხედვაზე. ესმა მახედიწებს. ვინყებ ფიქრს და აზრთა ქარიშხალი თუ არა, აზრთა მშვენიერი ნიავე მანინც მოდის... მსოფლმხედვაში პოეტის მიერ დანახულ ამ სოფელს ვგულისხმობ, ანუ იმაზე მინდა გავბედო თქმა, როგორ, რას და რაგვარად ხედავს ესმა.

მისი ლექსები საოცრად ინტიმურია და სუბიექტური. ისინი პოეტის მიერ ამ ლექსში, ასე და ამგვარად, არავისთან მიმსგავსებულად, ამ ვითარებაში და ამ განწყობით აღქმული მოვლენების ავტორისეულივე, მისთვის შინაური ხერხებით ექსპრესიაა.

ხანდახან გეფიქრება და იქნებ სამართლიანადაც, რომ მისი ფიქრი სრულიადაც არაა დაკავებული იმით, გაიგებს კი მკითხველი, ჩანვდება კი, აპატიებს კი?!.. ეს ესმა ონიანის გამონგვევა, მაგრამ არა თვითმიზნური, არა თავმომწონეობით ნასაზრდოვები, არა განზრახ ელიტარულობისთვის ჩაფიქრებული, არამედ როგორც ანტითეზა ორივე ნაცნობი და გახუნებული თეზისა — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და „ხელოვნება ხალხისათვის“. ამგვარმა ანტითეზამ კი კომპრომისები არ იცის.

ყვავილი ყვავილად ვარ ნახსენები და პური — პურად.

ჩაკირული ვარ და უსახო

ცრუ ბრძენათთვის ანდა ბრიყვათთვის,

მხოლოდ ჭეშმარიტთ ვეჩვენები

მრავალფერი და მრავალგულა.

მისი ლექსები დაყურსულია უფრო ნოუმენებით, ვიდრე ფენომენებით, უფრო პარადოქსულობით, ვიდრე ორთოდოქსულობით, უფრო სიურპრიზებით, ვიდრე პროგნოზირებადით...

ამიტომაც ვიდრე გაუშინაურდები და ვიდრე მოიშინაურებ, უცხო ხარ! მერე — ყველაფერი იცვლება! დადინარ ესმას ლექსების წიგნით მისი ლექსების შიგნით, უყურებ მაგიდაზე გადაშლილს, ფურცლავ თუ კითხულობ, გრძნობ, როგორ ივსება შენი, პოეზიისათვის რომ გაქვს გამოყოფილი, ის სივრცე ესმას პოეტური სტრიქონებით; თუ ეს სივრცე კომუნალურ ბინასავით ვინროა და არაინტიმური, ან იტალიურ ეზოსავით მოურიდებელი, ან იზოლირებული საცხოვრებელივით კარჩაკეტილი, ან ყველაზე თანამედროვე აგარაკივით მაღალგალავანშემოვლებული, ამ სტრიქონებს სული

ეხუთებათ და ამიტომ აუცილებლად გაფრინდებიან, რადგან მათი სამყოფელი ქარის საუფლოა.

ამ საუფლოში — ქართული პოეტური სიტყვის სამყაროში — ესმამ ბარტყებად ჩამოსხა და არა ფარშევანგებად „ნაძვების სიკვდილიანი სიმწვანე“, „ყვავილი ვაზით — მაღლა მხრჩოლავი თეთრ გახშირებით“, „შამბნარევი გვიმრების ახორხლილი გრიალი“, „სტუმრის თავი — შავი ქრიზანთემა“, „ბადაგი, ბადაგივით გადანადული“, „ხანჯალი ბაგეებლია ჩაჭედილ ღარით“, „თბილი ხველა ხორცის ამოთქმით“, „ფხვნილიანი დაპრესილი მოკვდინებიდან ენდროს ფესვები“, „სიყვარულის მარყუჟებით მოქანავე ხორხების შესრა“, „ჩასკვნილ ყვითლებს, შავებს და მელნისფერად ჩახუთული ხავერდის ქორო“...

სხვაგან — უფრო ტრადიციული პოეტური სახეებით მეტყველებს და ყველგან ერთგულია ერთგულების, სიგულწრფელის, ჭეშმარიტების, სიყვარულის, დანახულის...

**ეს მე ვარ თქვენ წინ,
ამოდრეკილი, ამოძალული ჩემს სიტყვებში
ჩემი სულია დადასტურებულ, ურყევ-თანმხლები,
ასე იქნება — თუკი ოდესმე
ვინმე ჩემს სიტყვებს მიეკარება,
გალიმებულს, თვალმოზენილს, ურყევ-თანმხლებს
მას, შეუბოჭავს ჩემს სულს იხილავს!**

ვერავინ დასწამებს სიტყვის, ფრაზის, სტრიქონის სიცივეს კი არა, სიგრილესაც. აქ ისე თბილა, როგორც შინ — ოთახში, აივანზე, წიგნით ხელში, მამიდის ნაქსოვ ჯემპრში, შუშაბანდში, დედისა და დის გვერდით... ოღონდაც ეს კამერულობის კი არა, პოეტის გულის სითბოა.

**სალამოა მთის კალთებზე ყვითელ ბუჩქებით,
სად ეკლესიის თბილი უბის უკანა ეზო, მიყუჟული
ქვის კიბეები,
აკაციის ტკბილ სურნელში თეთრ ფთილებით
დალაქული საფეხურები,
გადმოხედვისას თბილისის სახლებს სახეები განათებით,
თბილი კედლებით მიყუჟვიან საკუთარ ხეებს,
ამოიბნევა ალაგ-ალაგ მტრედელების პეშვი,
თეთრი ციმციმით ეშვება სადღაც,
იქ ალბათ თბილი ბათქაშის სუნით ხარობს
გმინვა-ლულუნით;
აგურის ნითელ ცეცხლის უკუნი ბუდობს ორი
კვიპაროსის**

**შავ ზურგებს უკან —
ბნელ ტევრში, მესერსა და ყრუ კედელს შუა,
რაღაც ბალახი...
ჩამთბარ ტანსაცმლის, მიმოზების, სამხედროების
ტყავის ქამრების სუნი აქვს ნიავს,
ხის გვირგვინებში, სახლ-კედლებს შორის მცირე ჩიხებში
მზე მუქდება
ჩაისფერი მძიმე სინათლით.**

ცოტა გითხარით. ძალიან ცოტა მიგანიშნეთ. და მანინც ყველაზე და, რა თქმა უნდა, ჩემზე ზუსტად ესმას პოეზიაზე მისი ლექსები ლაპარაკობენ. არა, გალობენ!

კიდევ: ესმას ლექსები არავითარ შემთხვევაში არ არის ფერმწერის ლექსები, არამედ ოდენ და უპირველეს ყოვლისა — პოეტისა, ისევე, როგორც მისი ნახატები არავითარ შემთხვევაში არ გახლავთ პოეტის ნახატები, არამედ ოდენ და უპირველეს ყოვლისა — მხატვრისა.

ჩვენ ბედნიერი ერის შვილები ვართ: უფალმა გვინყალობა პოეტი ესმა ონიანი და მხატვარი ესმა ონიანი!

პაატა იაკაშვილი

მსოფლიოს მერვე, ქართული საოცრება

თობალი, მჭედელი რვალისა და რკინისა. ბიბლია

რვალი სპილენძის აღმნიშვნელი სიტყვაა. სპილენძი პირველი ლითონი იყო, ადამიანმა რომ დაამუშავა. მისი მოპოვება ჯერ დედამიწის ზედაპირზე არსებული და შემთხვევით აღმოჩენილი მადნიდან ხდებოდა, შემდეგ მინაში ჩაეძიენ მადანს და მალაროების შექმნა დაიწყო.

პირველები, ვინც მეტალურგიას მოჰკიდეს ხელი, პროტოქართველური ტომები იყვნენ. ამათგან ერთ-ერთის სატომო სახელი იყო თობალი.

ჩვენს შორეულ წინაპრებს, ვიდრე მელითონეობას დაინყებდნენ, ჯერ ცეცხლის მოპოვება უნდა ესწავლათ და ისინი ამას უძველეს დროს დაუფლებიან. XX საუკუნის 20-იან წლებში ქართველი მეცნიერი ალექსანდრე გვასალია ენათმეცნიერული ძიების საფუძველზე ამტკიცებდა, სიტყვა „ცეცხლი“ ციდან მოსულ ცეცხლს ნიშნავს, ანუ მეხის დაცემით გაჩენილ ხანძარს, საიდანაც გამოუტანია მუგუზალი ქართველთა წინაპარს. ეს პროცესი, ძნელი და საშიში, აისახა ქართულ მითოლოგიაში, ამირანის თქმულების სახით.

ცეცხლის მოპოვება კაცობრიობის ისტორიის საწყისი მომენტია, რომელსაც მოჰყვა ლითონის აღმოჩენა...

მეტალურგიის საქმეში ქართველთა პირველობის ამბავი არაერთგზის დასაბუთეს მეცნიერებმა; ივანე ჯავახიშვილი წერდა: „თითბირის სახელები კი, ზოგიერთ ევროპულ ენებში, მაგალითად გერმანულად *messing*, ანგლოსაქს. *mästling*, ძველ ნორ. *messing*, პოლონ. *mosiandz* ჰქვია — მოსხვე ანუ მოსინიკის ტომის სახელისაგან არის წარმომდგარი. სწორედ ეს მოსინიკები იყვნენ თითბირის ხელობაში განთქმულნი. ამ მადნის მეორე სახელიც „თითბერი“ ნამდვილი ქართულია და ნიშნავს „თუთფერი“, ე.ი. მთვარის (მეგრ. თუთა, ქართ. თუთუც) ფერის მადანს.

70-იან წლებში გიორგი კვიციანი გამოსცა წიგნი „უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ“, რომელშიაც ამოიკითხავთ: „დიდძალი არქეოლოგიური მასალისა და კლასიკური ხანის ავტორების ცნობებზე დაყრდნობით რ. ფორბსი მიდის იმ დასკვნამდე, რომ პონტოს რაიონი, სადაც ცხოვრობენ ხალიბები, თუბალეზი და მოსინიკები, წარმოადგენს მრავალი ფერადი ლითონისა და რკინის სამშობლოს“.

„ინგლისელმა მეცნიერმა ჰ. კარპენტერმა და პოლონელმა შტ. პშეროვსკიმ მოსინიკები აღიარეს განსაკუთრებული და მაღალი ხარისხის სპილენძ-ბრინჯაოს მწარმოებელ ტომად მთელს მსოფლიოში“.

„როგორც ცნობილია, ბერძნებმა ფოლადის წარმოება პირველად ხალიბებისაგან ისწავლეს და ამ ლითონს „ხალიბოკოს“ (ხალიბური) უწოდეს. ერთი სიტყვით, გამოდის, რომ ბერძნებს ხალიბებისაგან (იმავე ხალიბებისაგან), ფოლადის დამზადების ხელოვნების გარდა, სპილენძის მიღებისა და გამოყენების წესებიც შეუსწავლიათ.

ამრიგად, ქართველური ტომების პირველობა ლითონის დამუშავებისა და ამ ტექნოლოგიის გავრცელების საქმეში აღიარებული ფაქტი გახლავთ, ოღონდ, როგორც ვნახეთ, ყველა ავტორი მეტალურგიის კერად პონტოს რაიონს ანუ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირთან მდებარე ტერიტორიას მიუთითებს, სადაც ცხოვრობდნენ კიდევ ზემოხსენებული ქართველური ტომები. მაგრამ ასეთი გეოგრაფიული კონკრეტულობა

ქართველთა ლითონმემკვიდრეობის მასშტაბებზე სრულ წარმოდგენას არ იძლევა, რადგან მითითებული არეალი არ მოიცავს თანამედროვე საქართველოს, სადაც უძველესი ხანის უამრავი მალაროა, რაც ასაბუთებს იმას, რომ მეტალურგია ქართველ ტომთა ზოგადეროვნული საქმიანობა იყო... ეს კი ჩვენში არსებულ უძველეს მალაროთა კულტურულ და ისტორიულ ღირებულებას მეტად ზრდის. თავად განსაჯეთ, ლითონის მოპოვებამ და დამუშავებამ უდიდესი პოზიტიური ხასიათის გარდატეხა მოახდინა ცივილიზაციის განვითარების საქმეში. ადამიანის მიერ ლითონის პოვნა-გამოყენება საოცრებას ჰგავდა. აქ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: პროტოქართველთა ლითონმემკვიდრეობის ისეთი მატერიალური კულტურის ძეგლები, როგორიც რამდენიმე ათასი წლის წინანდელი მალაროებია, არის თუ არა მსოფლიოს მე-8 საოცრება? უდავოდ არის, რადგან, როცა გაგაჩნია 5000 წლის წინანდელი მალაროები, მაგალითად საყდრისი, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ თავად შეიძლება ვნახოთ და ყველა მსურველს ვურჩიოთ ადამიანის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პროცესის საწყისი ადგილი, უფრო სწორად კი ადგილები და ასეთი სულ ცოტა 150 არის საქართველოში. ეს უდავოდ საოცრებაა და აქ კიდევ ერთი კითხვა იბადება: რამდენად ვაცნობიერებთ იმას, რომ მსოფლიო მნიშვნელობის მატერიალური კულტურის ძეგლებს ვფლობთ? თუ იმ ტელურეპორტაჟით ვიმსჯელებთ, საყდრისის მალაროს თემას რომ მიეძღვნა, ბევრი ამას ვერ აცნობიერებს... მე შემაშვოთა კომპანია „ერემჯი გოლდის“ წარმომადგენლის მსჯელობის ხასიათმა. მისი აზრით, საყდრისის მალარო ოქროს საბადოსი არ ყოფილა, ის სპილენძის საბადოსიაო. და ამას არგუმენტის მნიშვნელობა მინიჭა... ჯერ ერთი, საყდრისის მალარო ოქროს საბადოსი გახლავთ, მსოფლიოში შემორჩენილი უძველესი, და მისი დაცვის საკითხი მეტად აქტუალურია, რადგან საქმე გვაქვს არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო მასშტაბის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან. მეორეც, საყდრისის ოქროს საბადოს მალარო რომც არ იყოს, ეს არ შეიძლება გახდეს საბაბი იმისა, რომ მას ძეგლის სტატუსი მოეხსნას, რადგან 5 ათასი წლის თუნდაც სპილენძის მალარო მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და მისი განადგურება ყველა თვალსაზრისით დანაშაულია.

ამკარაა, რომ ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილს ცაცნობიერებული არა აქვს, თუ რა დიდი ღირებულებისაა ზოგადად უძველესი მალაროები და კერძოდ კი საყდრისი, ამიტომ მზად არიან, შეეღიონ მათ...

მეცნიერებმა დიდი ხანია დაადგინეს, რომ ადამიანები მაშინ იწყებენ ბუნების ან კულტურული მემკვიდრეობის განადგურებას სამეურნეო საქმიანობის საბაბით, როცა ამა თუ იმ ქვეყანაში სახელმწიფო ცხოვრება გაუკუღმართებულად ვითარდება და, შესაბამისად, სამეურნეო ცხოვრებაც ასევე გაუკუღმართებულად. ასეთი მდგომარეობა კი საქართველოში უკვე 20 წელზე მეტი ხანია, არის. ამიტომ დავდევით ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე და ამიტომაც აუნაზღაურებელ ზარალს განიცდის ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა.

რამდენადაც ვიცი, ახლა სპეციალური კომისია სწავლობს იმას, არის საყდრისის მალარო ოქროს საბადოსი თუ სპილენძისაა. დასკვნა ჯერ არ გაუკეთებიათ. მანამდე კი გამოითქვა აზრი: იმის მსგავსად, ასუანის კაშხლის მშენებლობისას ეგვიპტელთა ტაძარი ერთი ადგილიდან მეორე ადგილას რომ გადაიტანეს, ჩვენც ასე გადავიტანოთ საყდრისის მალარო. არა მგონია, ეს გონივრული წინადადება იყოს. მალაროს მოსალოდნელ დაზიანებაზე რომ არაფერი ვთქვათ, რაც დაუშვებელია, ამასთან პარალელია არასწორი — ასუანის კაშხალს ეგვიპტისთვის დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს... „ერემჯი გოლდის“ მოთხოვნა კი მხოლოდ ბიზნესმენტა ერთი ჯგუფის ინტერესებს გამოხატავს, რასაც ნამდვილად არ უნდა შეეწიროს ქართველთა ლითონმემკვიდრეობის ხუთათასწლოვანი, მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, მსოფლიოს მე-8 საოცრება რომ არის.

ეკატერინე ტუკვაძე

ლეო ანთაძის პარსკვლავიც ანთია

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის წინ რიგით მე-9 ვარსკვლავი აკიაფდა. მადლიერმა მაყურებელმა ის თეატრისა და კინოს სახელოვან მსახიობს, საქართველოს სახალხო არტისტ ლეო ანთაძეს სასცენო მოღვაწეობის 60 წლის აღსანიშნავად მიუძღვნა. მანამდე კი თეატრმა მის შემოქმედებით საღამოს უმასპინძლა, სადაც მსახიობის მონაწილეობით სპექტაკლებიდან — „ურთელ აკოსტა“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „ზვავი“ — ფრაგმენტები გათამაშდა.

ლონისძიების ორგანიზატორებმა სტუმრებს ლეო ანთაძის შემოქმედებითი ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი თარიღები და მოვლენები შეახსენეს. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, მსახიობმა პირველი როლი 1953 წელს სტუდენტურ სპექტაკლში შეასრულა. პროფესიული დახელოვნების გზაზე მუშაობა ისეთ დიდ რეჟისორებთან უწევდა, როგორებიც **დიმიტრი ალექსიძე** და **მიხეილ თუმანიშვილი** იყვნენ. სასცენო მეტყველებას კი თვით **სერგო ზაქარიაძე (ბაბუღია ნიკოლაშვილთან ერთად)** ასწავლიდა. 26 წლისას განსაკუთრებული აღიარება **ნოდარ დუმბაძის** უკვდავი ნაწარმოების — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ — მთავარი გმირის, ზურიკელას როლმა მოუტანა. იგი მაშინ საქართველოს დამსახურებული არტისტი გახდა, რითიც ერთგვარი რეკორდი დაამყარა — საბჭოთა კავშირის ასეთი ახალგაზრდა, 26 წლის დამსახურებული არტისტი მანამდე არ ჰყოლია. როგორც მთელი ცხოვრების მანძილზე, მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარში ლეო ანთაძე ახლაც აქტიურად არის დაკავებული. 1955 წლიდან დღემდე ამ თეატრის წამყვანი მსახიობია. სეზონი ისე არ ჩაივლის, რომ მან ახალი როლი არ შეასრულოს. ერთ-ერთი ბოლო, ბაბუის როლი ახალგაზრდა რეჟისორის, **დავით ჩხარტიშვილის** წარმოდგენაში, „ზვავში“, ითამაშა.

შემოქმედებით საღამოზე ლეო ანთაძის ცხოვრების მეტად საინტერესო, ზოგისთვის ალბათ უცნობი დეტალები გაიხსენეს: მსახიობის ბებია ცნობილი მწერალი **ნინო ნაკაშიძე** ყოფილა. იგი ზაფხულობით სოფელ ქვიშხეთის მწერალთა სახლში ისვენებდა. ხშირად შვილიშვილიც თან დაჰყავდა. ბებუის გამო პატარა ლეოს მაშინდელი საზოგადოების არაერთ თვალსაჩინო წარმომადგენელთან უწევდა შეხვედრა. უკვე მოგვიანებით პროფესიონალმა მსახიობმა გადანყვიტა, მიღებული შთაბეჭდილებები სხვებისთვისაც გაეზიარებინა და საინტერესო მოგონებები მაყურებლისთვის მოეთხრო. დასახმარებლად **ლევან წულაძეს** მიმართა და მონოსპექტაკლი **„ქვიშხური ესკიზებიც“** ასე დაიბადა. ამას საქველმოქმედო საქმიანობა მოჰყვა. უკვე 15 წელია ლეო ანთაძე ზაფხულობით ქალაქიდან ქალაქში დადის და „ქვიშხური ესკიზებს“ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე წარმოადგენს. ამ ხნის განმავლობაში მის მონოსპექტაკლზე დასასწრებად არცერთი ბილეთი არ გაყიდულა. ასევე უსასყიდლოდ მონაწილეობს ვაჟა-ფშაველას უკვდავ „ბახტრიონში“.

ვარსკვლავის გახსნამდე ლეო ანთაძეს მისი თანამედროვენიც მიესალმნენ. სახელოვანმა და კვლავაც მშვენიერმა ქალბატონმა, **ქეთევან კიკნაძემ** ვარსკვლავეთში ფეხის შე-



ლეო ანთაძე და ეკატერინე ტუკვაძე

მოიხვება მას საოცრად თბილად და ბავშვური უშუალოებით მიულოცა.

„მარტო პროფესიონალი არსტისტი კი არა, შესანიშნავი ადამიანი ხარ. ჩვენი მოღვაწეობისას არამცთუ ლაქა, ერთი შავი წერტილიც კი არ მახსოვს შენგან, ისე ღირსეულად განვლავ ცხოვრება. არასდროს დამავინწყდება 1967 წლის 30 ნოემბერი, როცა შოთა რუსთაველის თეატრის ფარდა პირველად გაიხსნა და თქვი: აგერ მინისტრიც მობრძანებულა თავისი ცოლით და ქალიშვილითო. ახლა მინისტრები თეატრებში აღარ დადიან. ამან არ შეგანუხოს... მახსოვს ჩემი პატარა ნიგნის პრეზენტაცია მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში. მოხვედი და ჩემი ლექსი ზეპირად იცოდი. მაშინ იმ ლექსს ბავშვები იზეპირებდნენ“, — მიმართა ქეთევან კიკნაძემ ლეო ანთაძეს და ნიგნის უსახსოვრა.

მისი თქმით, ამ ნიგნმა დიდი სესილია თაყაიშვილი, გრიგოლ კოსტავა, ალექსანდრე ჟორჟოლიანი და ლეო ანთაძე — პატარა ბიჭი ზურიკელა — გააერთიანა.

როგორც მსახიობმა **ნოდარ მგალობლიშვილმა** აღნიშნა, ლეო ანთაძეს აქვს წარსულიც, აწმყოც, მომავალიც და ღირსებანი, რომელიც მას ყველასაგან გამოარჩევს. ეს უპირველესად თავმდაბლობა, შინაგანი პატიოსნება და ბუნებრიობაა. მისი შეფასებით, ლეო ანთაძე უფრო დიდი პოეტენციალის მსახიობია, ვიდრე სცენაზე ადგილის დამკვიდრება შეძლო.

„შესაშური ძალა გაქვს, არაჩვეულებრივი მოთმინება და იმის რწმენა, რომ თუ არა დღეს, ზვალ მაინც იქნება. ამით რეჟისორები სარგებლობდნენ კიდევ“, — აღნიშნა ნოდარ მგალობლიშვილმა.

მან ხაზი გაუსვა ლეო ანთაძის დიდ ენერგიულობასაც, რაც მის ასაკში იშვიათობაა.

„ჩვენს წლოვანებაში ასეთი ენერგიით სცენაზე დგომა ადვილი არაა. ჯანმრთელობას, ბედნიერებას გისურვებ. ნათესაური ურთიერთობა გვექონდა და გული მწყდება, ერთმანეთთან ისე ახლოს რომ არ ვიყავით“, — დანანებით აღნიშნა ნოდარ მგალობლიშვილმა.

ლეო ანთაძესთან ერთად სცენაზე გატარებული წლები ხალასი იუმორით გაიხსენა მსახიობმა **თამარ სხირტლაძემ**. მან მაყურებელი წინასწარვე „გააფრთხილა“, რომ ლეო ანთაძეზე სერიოზულად ვერ ილაპარაკებდა. თავდაპირველად ის გაგვიმხილა, სცენაზე გამოსვლამდე ლეოს ფოტოებს ვათვალიერებდით. მერე კი სავარძელში მჯდომ კოლეგას მიუბრუნდა და გაკვირვებით ჰკითხა: ლეო, შენ თმა ოდესმე გქონდაო? — დარბაზში მსხდომნი გულიანად რომ გააცინა, ქალბატონმა თამარმა კიდევ უფრო ხალისიანი ამბები გაიხსენა:

„საერთოდ, მსახიობებს სცენასა თუ კინოში სხვადასხვა დროს სხვადასხვა პარტნიორი ჰყავთ. მე კი ლეოსთან პარტნიორობა რომ დავინყე, ველარ დავამთავრე, — ეს პარტნიორობა დღემდე გრძელდება. არ ვიცი, რა დავაშავე! ერთად ბევრსაც ვმოგზაურობდით. გზაში ხან ნარდს, ხან ბანქოს ვთამაშობდით. სულ ვჩხუბობდით — არა, შენ მომატყუე, არა — შენო. სერიოზულად რომ ვთქვა, ლეო ღირსეული ადამიანია. დამსახურებული არტისტის ნოდება პირველად მან მიიღო. კი გავსკდით გულზე, მაგრამ რა უნდა გვექნა?! ზოგჯერ ვერ გაიგებ, რა უნდა. ერთხელ კარზე მიკაკუნებს. შემოვარდა, საპირფარეოში შევიდა, გამოვარდა და გაიქცა. ან გამარჯობა ეთქვა, ან ნახვამდის... ყველა სკეტჩში ცოლქმარი ვიყავით. ერთხელაც მსახიობმა სცენაზე შემოსვლა დაავიანა. იცით, ამ დროს ლეომ რა გააკეთა? — ხელი მკრა და სანოლზე დამანვინა. მოკვდა ხალხი სიცილით“, — კურიოზული ამბების გახსენება დაასრულა თამარ სხირტლაძემ და კოლეგას თბილად გადაეხვია.

მისი გამოსვლა იუმორისტული ფორმითვე ახალგაზრდა მსახიობმა **ზურაბ ბერიკაშვილმა** გააგრძელა. თურმე სცენაზე მისი „შემოჭრა“ ზურაბის მამის, **გივი ბერიკაშვილის** „ბრალი“ იყო. ბატონი გივი საღამოს ობიექტური მიზეზით ვერ დავესწრო, რის გამოც ლეო ანთაძესთან შვილს წერილი გამოატანა.

„ძმავო ლეო, მთელი ცხოვრება ერთად მოვდივართ — ძმობით, სიყვარულით, შვილებითა და შვილიშვილებით. არცერთ ჩვენგანს არ გვიკადრია — სცენაზე წინ დგახარ, უკან გადადიო... იქაც თუ ერთად ვიქნებით, ერთად გავუძლოთ ჩვენი თაყვანისმცემლების შემოტევებს“, — ინერებოდა გივი ბერიკაშვილი.

შემოქმედებით საღამოზე ლეო ანთაძის გარდაცვლილი კოლეგებიც გაიხსენეს. თუმცა, მსახიობის თხოვნით, ისინი მწუხარებით არ მოუგონებიათ. როგორც ლეო ანთაძემ აღნიშნა, მათთან ერთად ხალისიანი ცხოვრების გზა განვლო. ამ ქვეყნიდან წასულ მეგობრებს მან სიმღერა სპექტაკლ **„ლამანწელიდან“** მიუძღვნა, რომელიც **გურამ ჯაშთან** ერთად შეასრულა.

„ჩვენი მწერლობა“ ამ ლამაზი საღამოს ორგანიზაციული საკითხებითაც დაინტერესდა და საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტ **დათო ოქიტაშვილს** გაესაუბრა. მისი ინფორმაციით, ლეო ანთაძის ვარსკვლავის გახსნას 2 წლის განმავლობაში ცდილობდნენ, მაგრამ კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელობა ამას ეწინააღმდეგებოდა. არადა, კულტურის სფეროს სახელოვან მოღვაწეთა ვარსკვლავის გახსნა სახალხო პროექტია, რომელმაც დროს უკვე გაუძლო.

„ისეთი საკითხი, როგორც ლეო ანთაძის ვარსკვლავის გახსნა, არანაირ განხილვას არ ექვემდებარება. ამიტომ,

როცა ოჯახმა და თეატრმა მომმართვეს, არც დავფიქრებულვარ — კულტურის პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სამართლიანობა აღდგენილიყო და აღდგა კიდეც. ამ 16 წლის განმავლობაში, რაც პროექტის შესრულება დაიწყო, არავის დაუსვამს კითხვა, თუ რატომ გაიხსნა ესა თუ ის ვარსკვლავი. ეს ნიშნავს, რომ პროექტმა გაამართლა. აბა, რომელ კომისიაზე უნდა გაგვეტანა საკითხი, ეკუთვნოდით თუ არა ვარსკვლავი, მაგალითად, **სოფიკო ჭიაურელს, ნინო რამიშვილს** და სხვებს?!“ — აღნიშნა დათო ოქიტაშვილმა.

„ჩვენი მწერლობის“ კითხვას, თუ რატომ იკავებდა თავს ნინა ხელისუფლება ლეო ანთაძის ვარსკვლავის გახსნისგან, დათო ოქიტაშვილმა ასე უპასუხა: „ნინა ხელისუფლების წარმომადგენლები ასეთ ადამიანებს „ჩარეცხილებს“ უწოდებდნენ. ამაზე ლაპარაკი აღარც მინდა. მაგრამ მთავარია, რომ სამართლიანობა აღდგა. პირველმა ოქტომბერმა მართლ ქვეყანას კი არა, კულტურის მუშაკებსაც მოუსწრო. დარწმუნებული ვარ, რომ არც ლეო ანთაძეს, არც **ლიანა ისაკაძეს**, არც **რეზო ჩხეიძეს** — არავის მათ ხელში ვარსკვლავი არ ექნებოდა“.

სახელოვანი მამის ვარსკვლავის გახსნას განსაკუთრებული სიხარულით მისი ვაჟი — **გიორგი ანთაძე** — შეხვდა, რომელსაც ჩვენი ჟურნალი გაესაუბრა.

„დღევანდელი დღე ჩვენი ოჯახისათვის ძალიან ამაღლებელია. ეს მითუმეტეს იმითაა სასიხარულო, რომ საქართველოში ცოცხალი შემოქმედი ადამიანების დაფასებით განებივრებულები არ ვართ. დღეს ის ბედნიერი შემთხვევაა, როცა ვზეიმობთ და ზეიმის მთავარი მონაწილეც აქ, ჩვენ გვერდით არის. მარჯანიშვილის თეატრმა ძალიან ლამაზი დღე გვაჩუქა“, — აღნიშნა გიორგი ანთაძემ.

ვარსკვლავის გახსნასთან დაკავშირებული პრობლემები კი მან ასე ახსნა:

„ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის წყალგამყოფს ვერ გვავლევ. ეს საკითხი ოჯახმა 2012 წელს დასვა, რადგან მაშინ მამას 80 წელი შეუსრულდა და გვინდოდა, ვარსკვლავის გახსნაც მისი იუბილესათვის დაგვემთხვია. თუმცა გარკვეული მიზეზით, ეს შარშან ვერ მოხერხდა. ასე რომ, ამაში არც ძველი ხელისუფლებაა დამნაშავე და არც — ახალი. უბრალოდ, დაგვიანდა. ტექნიკური პრობლემები არსებობდა, რაც ახლა მოგვარდა“, — აღნიშნა გიორგი ანთაძემ.

... შემოქმედებითი საღამოს დასრულების შემდეგ, საქართველოში რიგით 47-ე ვარსკვლავის ოფიციალურ გახსნის საზეიმო მსვლელობას დარბაზიდან თეატრის მთავარი შესასვლელისაკენ თამარ სხირტლაძე გაუძღვა. იმ დღის გმირმა კი მაცურებლები საკუთარ 150 წლის იუბილეზე ღიმილით წინასწარვე მიგვიპატიჟა...

პოეზია უპირველეს ყოვლისა — თბილისის უნივერსიტეტი

„პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — **გალაკტიონის** უკვედავი სტრიქონი გახლდათ სახელდება საღამოსი, რომელიც 23 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. საღამოს ორგანიზატორი გახლდათ პოეტი და პუბლისცისტი **იკა ქადაგიძე** და მისი ლიტერატურული სალონი **„დიანობი“**.

„1997 წლიდან გვაქვს ტრადიცია გაიმართოს პოეზიის ერთი საგანგებო საღამო, სადაც ყველა მიმდინარეობისა და მიმართულების პოეტს ვინვევდით, რათა ერთი საღამო ყოფილიყო ისეთი, სადაც არ იქნებოდა დავა, აჟიოტაჟი. ყველას ნაეკითხა თავისუფალ გარემოში საკუთარი ლექსი. ნინა წლებში ეს უფრო გამოდიოდა, რადგან მაშინ ავანგარდისტები და ტრადიციონალისტები ვახერხებდით საერთო ენის გამოხატვას, ახლა ეს უფრო რთულია, რაც ამ ინტერნეტ-სივრცეში გადავინაცვლეთ, დაიყო ჯგუფებად და ჩაიკეტა ყველა თავ-თავის ნაჭუჭში.

ვფიქრობ, 2013 წელი გავაცილოთ ლექსებით. ბოლო წლებში აქტიურად ვარ პუბლიცისტიკაში გადართული და ლექსის მონატრებამ დამრია ხელი. საღამო, რომელიც პოეტთა მეფის სიტყვებს — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ატარებს სახელად, გამართა, რათა პირველსაწყისს დავბრუნებოდი“, — აღნიშნა იკა ქადაგიძემ.

დეკემბრის ცივ საღამოს „საღმრთო საღმრთოდ გასაგონი“ სიტყვა ჟღერდა უნივერსიტეტის თბილსა და მყუდრო აუდიტორიაში. საკუთარ ლექსებს კითხულობდნენ პოეტები: **მამა პეტრე კვარაცხელია, სევარიონ ნადირაძე, ნუნუკა გურალია, ვანო გულაშვილი, ციური ხეთერელი, თენგივ ავსაჯანიშვილი**, პოეტი და მთარგმნელი **რუსუდან ჭანტურიშვილი, ჯუმბერ ლებელი**, რომელმაც საკუთარ ლექსებთან ერთად პოეტ **დალილა ბედიანიძის** ლექსი **„ყვიჩალიც“** გააცნო საზოგადოებას.

საკუთარი შემოქმედებიდან მშვენიერი პოეტური ნიმუშები ნაიკითხა საღამოს სულისჩამდგემლმა **იკა ქადაგიძემაც**.

ეგვიპტელი პროზაიკოსი იბრაჰიმ ასლანი (1937-2011) დაიბადა ტანტაში (ნილოსის დელტა). სულ პირველად წერის სურვილი ანტონ ჩეხოვის ნაწარმოებთა კითხვისას გაუჩნდა. მოგვიანებით დასავლეთ ევროპელ მწერალთა შემოქმედებასაც ეზიარა. პირველი მოთხრობა „ძველი კაზინო“ 1965 წელს დაბეჭდა. ასლანი წერს ადამიანის გაუცხოების პრობლემებზე, იმ სისასტიკესა და გულგრილობაზე, საზოგადოებაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ აწყდები. მისმა რეალისტურმა ნოველებმა გავლენა მოახდინა ნაჯიბ მაჰფუზის, ლატიფა აზ-ზიათის და სხვათა შემოქმედებაზე. მწერალმა არაერთი ლიტერატურული პრემია მიიღო (მათ შორის ტაკა ჰუსეინის სახელობის ჯილდო, ეგვიპტის სახელმწიფო პრემია...). მისი ნაწარმოებები ითარგმნა ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ ენებზე. ქართულად იბეჭდებოდა პირველად „სოფლის ფოსტალიონი“ შესულია ნოველების კრებულში „სალამოს ტბა“ (1971). ერთხანს თვითონაც მუშაობდა ფოსტალიონად. შესაძლოა, აქ მისი პირადი გამოცდილებაც აისახა. მწერალი ახერხებს ზედმიწევნით დეტალურად მოთხრობილი ამბით თავი არ მოგაბზროს, შენთვის უცნობ სამყაროში შეგიყვანოს და საინტერესო გახადოს შენთვის.

იბრაჰიმ ასლანი

სოფლის ფოსტალიონი

თავდაპირველად მითხრეს, რომ ეს საქმე განსაკუთრებულ მოხერხებულობას არ მოითხოვდა. უკან უნდა მომეტოვებინა კაირო და გზას დავდგომოდი. დიდ წრეზე მომეარა ერთმანეთს მიყოლებული სოფლები და ბოლოს სწორედ იქ მივსულიყავი, საიდანაც შემოვლა დავიწყე. იქიდან კვლავ კაიროსკენ უნდა ამელო გეზი. ამჯერად ქალაქი ჩემ წინ აღმოჩნდებოდა. თუ მინდვრებში დაკარგვისა შემეშინებოდა, უახლოესი სოფლის მაცხოვრებლისთვის უნდა მეთხოვა, სწორ გზაზე დავეყენებინე. ახლა უარს ვეღარ ვიტყვი. სხვა გზა აღარ მაქვს. მე ამ ხაზზე მომუშავე სოფლის ფოსტალიონი ვარ და ეს ჩემი პირველი მოგზაურობაა.

ზზა

მინის ერთი მონაკვეთი საგანგებოდ მოეპირკეთებინათ და იქ, წყლის პირას გაემართათ მცირე ზომის სალოცავი, რომელსაც ლევსულელის უზარმაზარი ხე ჩრდილავდა. ხის ტოტებქვეშ მოქცეულიყო ვინაო ბილიკიც, რომლის ბოლოს ვილაც კაცი იდგა. ცემენტის სკამებთან მცირე ზომის დოქები ჩაემწკრივებინათ. ველოსიპედი სალოცავის კედელს მივაყუდე, ტყავის ჩანთა ვავსხენი, იქიდან ჩემი ერთადერთი წერილი ამოვიღე და კაცს ვუთხარი:

- თქვენ შეიხ აბდ ალ-აზიზი ბრძანდები?
- ტოტებიდან გამომძახა:
- გამარჯობა.
- გამარჯობა.
- მომიხსლოვდა დიდი ტანით და სუფთა ჯილბაბით.*
- შენ ვინ ვითხრა?
- რა?
- რომ მე ვარ შეიხ აბდ ალ-აზიზი.
- იქ მითხრეს, სოფელში.
- ხელი გამომიწოდა და წერილი გამომართვა.
- კაიროდანაა.
- აჰ.

თავი დააქნია, გაიღიმა და რამდენიმე ნაბიჯით დამშორდა. ჯილბაბა გაიხადა და გაშიშვლდა. თან ზედაც არ შემოუხედავს ჩემთვის. წერილი საგულდაგულოდ დაკეცილი სამოსში ჩადო, წყალთან გამართული სალოცავის კედელს ცალი ხელით დაეყრდნო, გადაახტა და პირდაპირ არხში გადაეშვა. ხელი, რომელშიც დაკეცილი ჯილბაბა ჰქონდა, წყალს ზემოთ, მაღლა ეჭირა, მეორე ხელით ვაცურა. აუჩქარებლად შევიდა წყალში მხრებამდე. მეორე ნაპირზე ამოვიდა. ჩემ წინ დადგა. სველი ზურგი შემომაქცია. კვლავ გაშალა დაკეცილი ჯილბაბა, მინდვრებს გაუყვავა და თვალს მიეფარა. გამეღიმა. ჩემი მისია შესრულებული იყო. მართალია, ქალაქამდე დიდი გზა აღარ დამრჩენოდა, მაგრამ დაღლილობამ მძლია. ახლა შემოძლია დავისვენო. ტყავის ჩანთა სალოცავის კე-

დელზე მიყუდებული ველოსიპედიდან ჩამოვხსენი, იატაკზე გაშლილ ძველ ჭილოვზე ჩამოვჯექი და კედელს მივეყრდენი, მოკეცილი ჩანთა კი ჩემს ზურგსა და კედელს შორის ჩავდე. პერანგის ვიზიდან სიგარეტის კოლოფი და კითხვარი ამოვიღე. თავი უკეთ ვიგრძენი. ახლა შემეძლო ანგარიშზეც მეფიქრა. დავიწყე კითხვა: „დაწერეთ მოკლე ანგარიში თქვენი მოგზაურობის შესახებ. სცადეთ, უპასუხოთ შემდეგ კითხვებს: დარწმუნებული ხართ, რომ ყველა წერილი ჩააბარეთ ადრესატს? სამუშაოს შესრულებისას რაიმე წინააღმდეგობა ხომ არ შეგხვედრიათ? რაიმე უცნაური ხომ არ შეგინიშნავთ? როგორ აფასებს ხალხი საფოსტო მომსახურებას და რამდენად ეტყობათ, რომ ის მამართ? ერთ სოფელში ორჯერ ხომ არ მოგინათათ მისვლა? ამან ხომ არ გამოიწვია ის, რომ სხვა სოფელი ვერ მიხვედით? რაიმე განსაკუთრებული შენიშვნები ხომ არ გაქვთ?..“ ცოტა მოვეშვი, თავქვეშ ცარიელი ტყავის ჩანთა ამოვიღე. შორიდან ნისქვილის წყვეტილი ხმა მომესმა.



ანგარიში

ზაფხულის დასაწყისში დავტოვე ქალაქი. მე სოფლის ფოსტალიონი ვარ. ველოსიპედით პირველი სოფლისკენ გავემართე. ბილიკს ერთ მხარეს მინის ნაკვეთები მიუყვებოდა, მეორე მხარეს კი — დაბალი არხი. ეს ის მარშრუტია, თქვენ რომ განმისაზღვრეთ. წერილებით სავსე ჩანთა მაგრად მქონდა მიბმული ლითონის საჭეზე, ველოსიპედის წინა ბორბლის თავზე. გზა ქალაქიდან პირველ სოფლამდე (ეს იგივეა, რაც გზა ბოლო სოფლიდან ქალაქამდე) ძალიან გრძელი მეჩვენა მიუხედავად იმისა, რომ განიერი და სასიარულოდ მოსახერხებელი იყო. მაინც ძნელად მივიწვედი წინ. სიო უჩნიდან მიბერავდა, დაღლილობას მიმსუბუქებდა. როდესაც ხეებს შორის პირველი სოფელი გამოჩნდა, ველოსიპედმა პატარა დაღმართზე დამაქანა. არხის ნაპირზე მოდებულ მეჩხერ მწვანე ბუჩქებში მოზანავე შიშველ გოგონებს მოვკარი თვალი. გასუსულები შემომცქეროდნენ. შევანელე სვლა, შევჩერდი და ველოსიპედი ცალ ფეხზე მივიყუდე. ვიფიქრე, სოფლის გოგონებისთვის კიდევ ხომ არ შემეხედა- მეთქი. თუმცა გზა გავაგრძელე. გარს შემომეხვია პატარა ბიჭების ჯგუფი, ხელები ველოსიპედზე დამიწყვეს, სოფლის შუაგულისკენ გამიძღვნენ. იქ სოფლის თავკაცები შეგროვილიყვნენ. მათ შორის იყვნენ ტელეფონის ხელოსანი და დარაჯების უფროსი. მომითავისუფლეს ადგილი, გამომართვეს ჩანთა, გახსნეს და ყველაფერი აიღეს, რაც მათი სოფლისთვის იყო განკუთვნილი. თან მე მაკვირდებოდნენ, ვუყურებდი თუ არა. დარჩენილი წერილები დამიბრუნეს. სხვა სოფლებშიც იგივე განმეორდა. სოფლის კაცები, ბიჭები სულ ჩემს მოლოდინში იყვნენ. თუმცა აღარავის ვაძლევდი უფლებას, აეღოთ ჩანთა ისე, როგორც პირველ სოფელში. თავად ვეძებდი წერილებს... ვხედავდი, როგორ ამუშავებდა ერთი გლეხი მინას, როგორ ცაცხარებით ლა-

* მამაკაცის ტანისამოსი — გრძელი პერანგი.



მხატვარი ბერდია არაბული

ში ჩავევარდებოდი. ნახევარზე მეტი გზა გავლილი მქონდა, როდესაც წინიდან დამიბერა. ქართან ბრძოლამ დიდი დრო წამართვა, ენერჯია გამომაცალა. როდესაც ბოლო სოფელს მივადექი, ჩანთა ცარიელი მქონდა, მხოლოდ ერთი წერილი დამრჩენოდა. სოფლებმა მიმითითეს, სად ვნახავდი ამ წერილის პატრონს, რომელიც თურმე დიდხანს მელოდა გზის პირას, თავის ნაკვეთთან. როდესაც ცოტა ხნის წინათ იქ მივედი, ვნახე ჩემს მოლოდინში მყოფი კაცი, დავაზუსტე მისი სახელი და მივეცი ერთადერთი დარჩენილი წერილი. ასე დასრულდა ჩემი მისია.

დაბრუნება

მზის ჩასვლისას გამოვფხიზლდი, წამოვდექი. კითხვარის ფურცლები და სიგარეტის კოლოფი ჯიბეში ჩავიწყე. ჩანთა ავიღე. სალამოს ბინდში ჩემგან მოშორებით ხნიერი, ჯოხს დაყრდნობილი, მოხრილი კაცი იდგა. ცალი თვალი ნაჭრით აეხვია. ცარიელი ჩანთა ველოსიპედზე დავკიდე, მძიმედ ნავედი სალოცავის ლობისკენ, გადავაბიჯე და არხის პირას დავდექი. შარვლის ლილეები შევისხენი და მოვშარდე. კვლავ შემოვბრუნდი, მესერს გადმოვაბიჯე და ველოსიპედზე დავჯექი. თავი უკეთ ვიგრძენი. ვილაცის მისუსტებული ხმა მომესმა:

- გამარჯობა.
- მიგბრუნდი მისკენ. დიდ ხესთან იდგა. ტოტებქვეშ მისი გარუჯული, ნაოჭებიანი სახე მოჩანდა.
- გამარჯობა.
- ჩემთვის არ გაქვს წერილი?
- არა. ერთი წერილიც არ დამრჩა.
- ერთადერთი თვალი გაუფართოვდა:
- აბდ ალ-აზიზის სახელზე არაფერი მოსულა?
- აბდ ალ-აზიზის სახელზე?
- დიას... იქ, სოფელში ვთხოვე, რომ ეთქვათ თქვენთვის.
- შენ სად იყავი?
- სულ აქ ვიყავი, მაგრამ... თქვენი ვალეიქება არ მინდოდა.

გაკვირვებული მივამტერდი. მისი სქელი წარბიდან მომზირალ ცალ თვალს დავაკვირდი. თავი გააქანე და ლოყა მხარზე მოვისრისე. მანაც, თავის მხრივ, თავი გააქანა და ჯოხზე დაყრდნობილმა მშვიდად დაიხია უკან. დიდ ხეს შემოუარა და ფართოფოთლებიან ბუჩქებს შორის გაუჩინარდა. ველოსიპედი დავადარი. საგანგებოდ მოპირკეთებული ადგილი დავტოვე. დასუსტებულ, დაუძლურებულ ფეხებს ძლივს ვამოძრავებდი. ქარი ამოვარდა. შიგ ზურგში მცემდა. გზა თანდათან დავიწროვდა, უფრო უსწორმასწორო გახდა. ბნელდებოდა. თვალეში ბინდი მომანვა, სვლა გამიძნელდა. პირველი სოფელი გამახსენდა — პატარა ბიჭები, შიშველი გოგონები არხის წყალში, მათი თვალები, სიჩუმეში რომ მიმზერდნენ...

მე სოფლის ფოსტალიონი ვარ, რომელიც დაღლილობამ და დრომ მოტეხა.

არაბულიდან თარგმნა
ნინო ღოლიქია

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი

ქვიზა და ქაფი

ადამიანის წამდვილი სახე ის კი არ არის, რასაც თავად გაჩვენებს, არამედ ის, რისი ჩვენებაც არ შეუძლია.

აქედან გამომდინარე, თუ გსურს გაუგო, მოუსმინე არა იმას, რასაც ამბობს, არამედ — რასაც არ ამბობს.

როცა სიცოცხლე ვერ პოულობს მომღერალს, ვის გულსაც აამღერებს, ქმნის ფილოსოფოსს, რომ მისი გონება ამეტყველოს.

ბევრი თეორია ფანჯრის მინას ჰგავს. მის მიღმა სიმართლეს ვხედავთ, მაგრამ ჩვენსა და სიმართლეს შორის მაინც ზღუდედ აღმართულია.

ყოველი დრაკონი წმინდა გიორგის შობს, რომელიც მას კლავს.

სიტყვები მარადიულია, — იმის გათვალისწინებით უნდა თქვა და დაწერო, რომ ისინი მარადიულია.

პოეზია სიბრძნეა, გულის ამამღერებელი. სიბრძნე პოეზიაა, გონებაში ამღერებელი.

რომ შეგვძლებოდა ადამიანის გული აგვემღერებინა და ამავდროულად მის გონებაში გვემღერა, ჭეშმარიტად ღვთის ჩრდილქვეშ იცხოვრებდა.

დათესე თესლი და დედამინა ყვავილს აღმოგიცენებს. გაანდე შენი ოცნება ცას და სიყვარულს მოგივლენს.

ბევრ ქალს დაუპყრია მამაკაცის გული, მაგრამ ძალიან ცოტა დაუფლებია სამუდამოდ.

თუ შენი მეგობრისა ნებისმიერ ვითარებაში არ გესმის, ვერასოდეს გაუგებ.

შენი საუკეთესო სამოსი სხვა ადამიანის ნაქსოვია;

შენი ყველაზე არომატული საქმელი სხვა ადამიანის ნახელავია;

შენი ყველაზე კომფორტული სანოლი სხვა ადამიანის სახლშია.

ახლა მითხარი, როგორ შეგიძლია საკუთარი თავი სხვა ადამიანისგან განცალკევებით წარმოიდგინო?

შენ მადას ვერ იოკებ. პურის მეორე ნახევარი სხვა ადამიანისთვის არის და ცოტა პური შემთხვევით სტუმრისთვისაც უნდა დარჩეს.

სტუმარი კარის ზღურბლთან შევაჩერე და ვუთხარი: „შემოსვლის დროს კი ნუ გაინმენდ ფეხს, არამედ გასვლისას.“

ცხოვრებისეული ნიღბებიც კი უფრო ღრმა იდუმალების ნიღბებია.

შეიძლება სხვები საკუთარი შეხედულების მიხედვით განსაჯო.

ახლა მითხარი, ჩვენს შორის ვინ არის დამნაშავე, ვინ — უდანაშაულო?

საკმაოდ მეგობრული იქნები შენს მტერთან, როცა ორივე მოკვდებით.

სინანული სხვა არაფერია, თუ არა ნახევრად სამართლიანობა.

მხოლოდ ის მომექცა უსამართლოდ, ვის ძმასაც უსამართლოდ მოვექეცი.

უცნაურია, რომ უფრო შეგეცოდება ფეხმოთრეული და არა ჭკუანაკლული, თვალისჩინდაკარგული და არა გულით ბრმა.

როგორი ბრმაა, ვინც ჯიბიდან გაძლევს, რაც შეიძლება გულიდან გაიღოს.

ვერ განსჯი ადამიანს, თუ არ იცნობ, არადა, რა მცირედ იცნობ მას.

რა გონებაზე ზღუდულია, ვისაც კალიის სიმღერა ჭიანჭველის შრომაზე აღმატებული ჰგონია.

სიკვდილი არ არის უფრო ახლოს ხანდაზმულ ადამიანთან, ვიდრე ახალშობილთან; არც სიცოცხლე...

ცეცხლის ალი ვარ და ხმელი ბუჩქი; ჩემი ერთი ნაწილი მეორეს ანადგურებს.

გაზვიადება ის სიმართლეა, რომელმაც თავშეკავება დაკარგა.

თუ მხოლოდ იმას ხედავ, რასაც სინათლე გაჩვენებს და გესმის მხოლოდ ის, რასაც ხმა გამცნობს, სინამდვილეში შენ ვერც ხედავ და არც გესმის.

ფაქტი უსქესო სიმართლეა.

ჩვენსავე შექმნილ კანონებს გონება ემორჩილება და არა სული.

მოგზაური ვარ და მეზღვაური, ჩემს სულში ყოველ დღე ახალ რეგიონს აღმოვაჩენ.

ერთმა ქალმა დარწმუნებით თქვა: „რა თქმა უნდა, ეს სამართლიანი ომი იყო. ამ ომში ხომ ჩემი ვაჟი დაიღუპა.“

ჩემო მეგობარო, შენ და მე უცხოები ვიქნებით ცხოვრებისთვის, ერთმანეთისთვის და თითოეული საკუთარი თავისთვის, იმ დღემდე, ვიდრე ყურადღებით არ მოვისმენ, ვიდრე შენს ხმას ჩემად არ მივიჩნევ; ვიდრე არ დავდგები შენ წინ და მეგონება, რომ სარკის წინ ვდგავარ.

ადამიანი ორი ადამიანია; ერთს სიბნელეში ღვიძავს, მეორეს სინათლეში სძინავს.

განდეგილი ის არის, ვინც უარს ამბობს აღიქვას სამყარო ფრაგმენტებად, მაშინ, როცა შეუძლია სამყაროთი სრულად და ბარიერების გარეშე ისიამოვნოს.

მწვანე ველია მეცნიერსა და პოეტს შორის; თუ მეცნიერი გაივლის ამ ველს, ბრძენი გახდება; თუ პოეტი გაივლის - მოციქული.

გუშინ ბაზარში ფილოსოფოსები დავინახე, კალათებით თავიანთი თავები მიჰქონდათ და ხმამალა იძახდნენ: „სიბრძნე! სიბრძნე იყიდება!“

საწყალი ფილოსოფოსები! თავების გაყიდვა უნევთ იმისთვის, რომ გულები ასაზრდოონ.

ფილოსოფოსმა მეეზოვეს უთხრა: მებრალეები, ისეთი რთული და ჭუჭყიანი სამუშაო გაქვს.

მეეზოვემ უთხრა: გმადლობთ, ბატონო. თქვენ რას საქმიანობთ?



ფილოსოფოსმა უპასუხა: მე ადამიანის გონებას ვსწავლობ, მის ქმედებებსა და სურვილებს.
მეეზოვემ თავისი საქმე განაგრძო და ღიმილით უთხრა: მეც მებრალებით.

სიმართლის მომსმენი არაფრით ჩამოუფარდება სიმართლის მთქმელს.

სიხარულსა თუ მწუხარებას დიდი ხნით ადრე ვირჩევთ, ვიდრე გამოვცდიდეთ.

სევდა სხვა არაფერია, თუ არა კედელი ორ ბალს შორის.

როცა შენი სიხარული ან სევდა მატულობს, სამყარო პატარავდება.

ჩვენს დღევანდელ სევდას ყველაზე მეტად გუშინდელი მხიარულების გახსენება ამძაფრებს.

ისინი მეუბნებიან: „ან ამქვეყნიურ სიამე უნდა აირჩიო, ან საიქიო ცხოვრების ნეტარება.“

მე ვეუბნები: „ორივე ავირჩიე – ამქვეყნიური სიამოვნებაც და იმქვეყნიური სიმშვიდეც. რადგან გულის სიღრმეში ვიცი, რომ უზენაესმა პოეტმა მხოლოდ ერთი ლექსი დაწერა. ის კარგად იკითხება და კარგადაც ირითმება.“

სკუნსმა უთხრა ტუბეროზას: ნახე, როგორ მარდად დავრბივარ, შენ კი არათუ სიარული, ცოცვაც არ შეგიძლია!
ტუბეროზამ უთხრა სკუნსს: უკეთილშობილესო მარდად მორბენალო, გეთაყვა, მარდად ირბინე!

ვინც ყველაზე მეტს ლაპარაკობს, ყველაზე ნაკლებად არის გონიერი, და თითქმის არ არის განსხვავება ორატორსა და აუქციონერს შორის.

მადლობელი იყავი, რომ არ ხარ იძულებული იცხოვრო მამის დიდებისა ან ბიძის სიმდიდრის ჩრდილქვეშ.
მაგრამ უპირველეს ყოვლისა იმას მადლობდე, რომ არავის მოუწევს შენი დიდებისა და სიმდიდრის ჩრდილქვეშ ცხოვრება.

შურიანი თავისდაუნებურად მაქებს.

დიდხანს იყავი დედაშენის სიზმრებში, შემდეგ მან გაიღვიძა, რომ გაეჩინე.

როცა შენი მეზობლის სიყვარული სიამოვნებას განიჭებს, ეს ღირსება აღარ არის.

სიყვარული, რომელიც მუდმივად არ ღვივდება, კვდება.

ღმერთმა ინებოს მათი დაპურება, ვისაც ბარაქა მოსჭარბებია!

დიდ ადამიანს ორი გული აქვს; ერთი სისხლისგან იცლება, მეორე – ითმენს.

საკუთარი თავის მხოლოდ ნაწილი ხარ, - პირი, რომელიც პურს ეძებს, ხელი, რომელსაც მწყურვალ პირისთვის ფინჯანი უჭირავს.

იდაყვის სიმალღეზეც კი რომ აღმატებოდი ადამიანთა მოდგმას, ქვეყანას ან საკუთარ თავს, უეჭველად ღვთის მსგავსი გახდებოდი.

შვიდი საუკუნის წინათ ღრმა ხეობიდან მთის თოვლივით ქათქათა მწვერვალისკენ შვიდი თეთრი მტრედი გაფრინდა. შვიდ კაცთაგან ერთ-ერთმა, ვინც ამას უყურებდა, თქვა: „მეშვიდე მტრედის ფრთაზე შავ წერტილს ვხედავ“.

დღეს ამ ხეობაში ხალხისგან შვიდი შავი მტრედის ამბავს მოისმენ, რომლებიც დათოვლილი მთისკენ გაფრინდნენ.

ჩვენი ყველაზე წმინდა ცრემლები არასოდეს ჩნდებიან თვალებზე.

ალბათ გსმენია წმინდა მთის შესახებ.
ჩვენს სამყაროში ეს ყველაზე მაღალი მთაა.
თუ მწვერვალზე ახვალ, მხოლოდ ერთი სურვილი გექნება, — ისევ ქვევით დაეშვა და მათთან ერთად იყო, ვინც ხეობაში ბინადრობს.
ამიტომაც ჰქვია წმინდა მთა.

ინგლისურიდან თარგმნა ირმა მახარაძემ



სამყარო ღვთაებრივი
ჯიბრან ხალილ ჯიბრანი

მანი, მანი, მანი...

ღმერთმა ნუ ქნას და ქართველ კაცს ისე გაუჭირდეს, ისეთ უძირო ვალეებში ჩაეარდეს, რომ ველარც კანარის კუნძულებზე წავიდეს დასასვენებლად, ველარც ლონდონი და პარიზი მოიაროს დალოცვილი ევროკავშირის სიამეთა დასაგემოვნებლად, ღვიძლი შვილები რუსთაველის პროსპექტზე სამათხოვროდ გაუშვას, უძვირფასესი მეუღლე, საქართველოს დედოფლობა რომ დამშვენდებოდა, ოსმალეთის სულთნის ჰარამხანაში გაამწესოს, მერე საკუთარი შავი ჯიპიც გაყიდოს, ზედ მიაყოლოს სამსართულიანი სასახლე ვაკეში და ფეშენებელური აგარაკი წყნეთში. ერთი სიტყვით, ყველაფერს გაყიდოს, რაც გააჩნია, ვერსაჩეს ნიფხავ-პერანგისა და მამაპაპური სინდის-ნამუხის ჩათვლით, მაგრამ საყვარელ სამშობლოს არასდიდებით არ გაყიდოს, მშობელ დედასავით ერთადერთ მამულს არ უღალატებს, თუნდაც ყველა ვალეები გაუსტუმრონ და ზედ კიდე ერთი რუსული მილიარდი ჩაუჯიბონ კონსპირაციულ ბინაზე.

არა და არა, სამშობლოს არ უღალატებს, სულს არავეს მიჰყიდის.

აბა რას იზამს, შიმშილით სული ხომ არ უნდა გაძვრეს? კაი, შენი ჭირიმე, რავე გეკადრებთ, იქ ხომ არა ცხოვრობს, რა ქვია იმას, სანტა პეტრებურში, ოხერ-ტიალში. თბილისში დაბადებულა და გაზრდილა, ნახევარი ქალაქი მისი სანათესაო არის და მეორე ნახევარი მისი სამეგობროა. თბილისი ხომ პანანკინტელა ქალაქია, ყველა ყველას იცნობს, ყველამ ყველაფერი იცის ყველასი. ღმერთმა დაიფაროს და ორივე ნახევარი რომ დაყრუვდეს, დაბრმავდეს და დამუნჯდეს, ეს ჩვენი გაჭირვებული აიღებს და ერთ ხოშიან რომანს გაამანშალებს, რომანის დაწერას რა უნდა?! ჰოდა, სახელს მაინც მოიხვეჭს, ყოველსა მოსახვეჭელსა რომ იყიდის და გაყიდის.

ერთი სიტყვით, ჩვენ რა გვიშავს, თქვენ საბრალო ამერიკელეები იკითხეთ, ღმერთი რომ გაუნყრებთ და ვალეებში ჩავარდებიან. ნათესაობა და მეგობრობა მაგათ მხოლოდ ლხინში იციან, ჭირსა და გაჭირვებაში — ნურას უკაცრავად! რაც შეეხება რომანს, აბა როგორ უნდა დაწეროს ამერიკელმა რომანი, რომელიც არაერთგზის დაუნერიათ ფოლკნერს, ჰემინგუეის, ფიცჯერალდს, ვულფს, მილერს და ა.შ. ერთადერთი გამოსავალია დარჩენია, რაზედაც ქვემოთ მოგახსენებთ.

აღბათ გახსოვთ ბრწყინვალე ამერიკული ფილმი „ბრწყინვალე შვიდეული“, თბილისელმა ჭკუის კოლოფებმა „შესანიშნავი შვიდეული“ რომ დაარქვეს. ჩვენს გახუნებულ ეკრანზე, ნახევარი საუკუნის წინათ, გაბრწყინდენ იულ ბრინერი, სტივ მაკკუინი და ძმანი მათნი, თითოს საცოდავ 20 დოლარად რომ დაიქირავებენ ყაჩაღთაგან დატერორებული მექსიკელი გლეხები. დიას, ორიოდ გროშის ფასად მიექირავებიან, ვაჟკაცურად დაიცავენ ჩაგრულთ, როგორც ამერიკელებს სჩვევიათ, და გადაყვებიან კიდევ — შვიდიდან ოთხი ილუპება! მიყრუებული და ღარიბ-ღატაკი მექსიკური სოფლის გულისათვის ილუპება ოთხი უკეთილმოზილესი ამერიკელი, რაც უზომოდ ანცვიფრებს ნითელპერანგა (!) ყაჩაღს, სასიკვდილოდ დაჭრილ კალერას.

აი, ეს გახლავთ ჰოლივუდი, ბრწყინვალეც და შესანიშნავიც. ახლა ახალი ამბავი უნდა გაცნობოთ. თბილისური მითქმამოთქმის თანახმად, ამ ღვთივეკურთხეულ ჰოლივუდში თურმე განუზრახავთ „ბრწყინვალე შვიდეულის“ ახალთახალი რიმიეიკის გადაღება.

ბრწყინვალე შვიდეული უკვე შეურჩევიათ. ახალი სასტავის წევრები არტისტულ ხელოვნებაში, რასაკვირველია, ჩამოუვარდებიან უბადლო იულ ბრინერსა და შეუდარებელ სტივ მაკკუინს, მაგრამ სროლა და სხვა საქმენი საგმირონია ათასჯერ მეტად ემარჯვებათ, ვიდრე გამონერთინილ-გამობორძმედილ ჰოლივუდელებს.

ახლა ახლოს გავიცნოთ ახალი ბრწყინვალე შვიდეული:



დევიდ ბარნეტი. დაიბადა 1933 წელს. 1955 წელს დაამთავრა მიჩიგანის უნივერსიტეტი. 1958 წელს ჩარიცხეს ანალიტიკოსად თანამდებობაზე — ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში („სენტრალ ინტელიჯენს ეიჯენსი“, შემოკლებით: სი-აი-ეი, ჩვენში, ყოფილი უფროსი ძმის მიზაძვით, „ცერეუს“ რომ ეძახიან). სამსახურებრივი კარიერის შემდგომი საფეხურებია: არმიის დაზვერვა, კორეა, ვაშინგტონი, 1967 წლიდან — ინდონეზია (დიპლომატის საფარქვეშ). ევალეობდა იქ დამკვიდრებული საბჭოთა სპეციალისტების გადმოხილება (რუსულად „ვეროვკა“ რომ ჰქვია). 1970 წელს ბარნეტი დაემშვიდობა მოქმედ სამსახურს, მაგრამ კონტრაქტით განაგრძობდა მუშაობას ცერეუსში. მერე დაბრუნდა ინდონეზიაში, გახსნა კრევეტის პატარა ქარხანა, შემდგომში ავეჯის ექსპორტს მოჰკიდა ხელი.

ცერეუს ანალიტიკოსმა, ვაგლახ, ბიზნესში ვერ ივარგა. ბანკის ვალი დაედო — 100 ათას დოლარზე მეტი. რა უნდა ექნა? შორეულ ინდონეზიაში არც ნათესავი ჰყავდა, არც მეგობარი. ანკი რას უშველიდნენ, ვის დაესიზმრებოდა ზედმეტი ასი ათასი... რომანი დაეწერა? მაგრამ ფოლკნერისა და ჰემინგუეის სამშობლოში ვის რა ჯანდაბად უნდოდა დევიდ ბარნეტის რომანი?! ინდონეზიელებმა კი მხოლოდ საყველპურო ინგლისური იცოდნენ.

ერთადერთი გამოსავალია დარჩენოდა და ბევრი არ უფიქრია, 1976 წლის ოქტომბრის თვეში საბჭოთა საელჩოს მიადგა. დიას, მიადგა და თავისი სამსახური შესთავაზა საბჭოთა დაზვერვას — 80 ათასი დოლარის საზღაურად (20 ათასი, ეტყობა, მუთაქაში ჰქონდა გადანახული). სიამოვნებით დათანხმდნენ.

ბარნეტმა აცნობა თავის ახალ ბატონ-პატრონებს დეტალები ამერიკული დაზვერვის მორიგი ოპერაციისა, რომელსაც უნდა მოეპოვებინა საბჭოთა დოკუმენტაცია და საბჭოთა საბრძოლო სისტემის ნიმუშები, აგრეთვე — მასალა ამერიკული კონტრდაზვერვის ოპერაციათა შესახებ საბჭოთა აგენტურის წინააღმდეგ, აგრეთვე — ცვარები ცერეუს 30 თანამშრომლისა, ინდონეზიაში რომ ირჯებოდნენ (როგორც შემდგომში გაირკვა, ბარნეტისთვის სულ გადაუხდიათ 92 600 დოლარი).

1980 წლის 18 მარტს გამოძიებათა ფედერალურმა ბიურომ (ეფ-ბი-აი) ბარნეტი დააპატიმრა შპიონაჟის ბრალდებით. 1981 წლის 8 იანვარს მიუსაჯეს 18 წელი (კარგი ყოფაქცევის გამო ვადაზე ადრე გაათავისუფლეს 1990 წელს).

ედვარდ ჰოვარდი. დაიბადა 1951 წელს. 1972 წელს დაამთავრა ტეხასის უნივერსიტეტი (ეკონომიკისა და საერთაშორისო ვაჭრობის ფაკულტეტი). სხვადასხვა სამსახური გამოიცვალა და 1980 წელს მოულოდნელად დაუკავშირდნენ ცერეუს კადრების განყოფილებიდან; მიიწვიეს გასაუბრებაზე, ჩაუტარეს მრავალრიცხოვანი შემომწებანი და მიიჩნიეს ვარგისად აშშ დაზვერვაში მუშაობისათვის. სპეცმომზადების კურსები გაიარა და 1981 წლის 28 იანვარს ჰოვარდი მიამაგრეს სსრკ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განყოფილებაში. ამზადდნენ მოსკოვის რეზიდენტურაში ოპერატიულ მუშაკად გამწესებისათვის.

საუცხოო კარიერა ელოდა, მაგრამ 1983 წლის გაზაფხულზე უხიმანდრა სიცრუის დეტექტორმა. მორიგი შემომწებისას გამოირკვა, რომ ჰოვარდი ახერხებდა დაემალა თავისი გატაცება ალკოჰოლითა და ნარკოტიკებით, აგრეთვე — მიდრეკი-

ლება თალთობისაკენ. რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ და-
ითხოვეს ცერეუდან.

ოჯახს მატერიალურად ძალიან გაუჭირდა.

რა უნდა ელონა, რა წყალში ჩავარდნილიყო? რომანი დაენე-
რა? მაგრამ ფიცჯერალდისა და ვულფის სამშობლოში ზედაც
არ დააფურთხებდნენ ვიღაც ჰოვარდის რომანს. ერთადერთი
გამოსავალია დარჩენოდა და ბევრი არ უფიქრია, 1948 წლის
სექტემბერში, აბა თუ გამოიცნობთ, ვის მიადგებოდა? ვის მი-
ადგა და საბჭოთა საელჩოს. მიადგა და თავისი სამსახური შეს-
თავაზა საბჭოთა დაზვერვას. სიამოვნებით დათანხმდნენ.

ძალზე ძვირფასი შენაძენი გამოდგა ეს ჰოვარდი.

აი, რა ვასცა: ცერეუს ოპერაციები საბჭოეთის წინააღმდეგ,
საბჭოეთში ცერეუს ოპერაციული მუშაობის მეთოდები, საშუა-
ლებანი ტექნიკური დაზვერვის საწარმოებლად, ფსევდონიმები
ცერეუს რამდენიმე მსხვილი აგენტისა საბჭოთა კავშირში.

აი, რა მიიღო: 789 500 რუბლი, ამასთან, შეერთებულ შტა-
ტებში გაუხსნეს საბანკო ანგარიში და თითქმის 2 მილიონი
დოლარი დაუგროვდა. შვეიცარიის ბანკში გადაურიცხეს 150
ათასი დოლარი.

ჰოვარდი ჩაუშვა ამერიკაში გადახვეწილმა კავებებს თა-
ნამშრომელმა ვიტალი იურჩენკომ, მაგრამ სასამართლომ
ბრალდება ვერ დაუმტკიცა. 1985 წლის სექტემბერში ჰოვარ-
დმა, მიუხედავად მასზე დაწესებული თვალთვალისა, მოა-
ხერხა გაქცევა შტატებიდან, უცნებლად ჩააღწია ჰელსინკიში,
იქიდან კი მალულად გაამგზავრეს „ახალ სამშობლოში“. მშვი-
დად და კომფორტულად ცხოვრობდა, ცოტას ლოთობდა კი-
დეც. გარდაიცვალა მოსკოვში 2002 წელს.

ოლდრიჩ ეიმსი. დაიბადა 1941 წელს. 1967 წელს დაამთავრა
ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი (ისტორიის ბაკალავრის
ხარისხით). იმავდროულად მუშაობდა ცერეუსში, ჯერ კლერკად,
შემდგომში — ანალიტიკოსად საარქივო განყოფილებაში.

1969 წელს იწყებს თურქული ენის შესწავლას და გზავნიან
ანკარაში. მისი ცდანი, გადმოებირებინა საბჭოთა მოქალაქე-
ნი, წარუმატებელი აღმოჩნდა. 1972 წელს დაუმთავრდა მიე-
ლინება. უარყოფითი დახასიათება მისცეს. აგენტთა გადმო-
ბირება დამოუკიდებლად არ ძალუძსო.

დანიშნეს სსრკ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გან-
ყოფილებაში კონტრდაზვერვის ქვედანაყოფის უფროსად.
ანალიტიკოსად უფრო გამოდგა, ვიდრე ოპერატიულ მუშა-
კად. ცერეუს გენერალური ინსპექტორი ასე ახასიათებდა მას:
„მოქნილი გონება და ინტელექტუალური ცნობისნადილი,
სურვილი თვითგანათლებისა იმ დარგებში, რომლებიც სცდე-
ბა მისი სამსახურებრივ ამოცანათა ჩარჩოებს“.

მაგრამ... 1976 წელს მეტროს ვაგონში დარჩა პორტფელი
საიდუმლო დოკუმენტებით.

მაგრამ... სმა უყვარდა, მთვრალს რამდენჯერმე ჩაეძინა
თავის კაბინეტში.

ცოლს გაეყარა, განქორწინების პროცესი დიდძალ თანხას
მოითხოვდა. ვალებში ჩავარდა — 50 ათასი დოლარი სასწრა-
ფოდ უნდა გადაეხადა.

როგორ ფიქრობთ, რას გააკეთებდა? არა, რომანის დასა-
წერად დრო აღარ ჰქონდა. თანაც — ფოლკენერი, ჰემინგუეი,
ვულფი... ნუთუ ვერ ხვდებით, რას გააკეთებდა? ბევრი არ
უფიქრია და საბჭოთა დაზვერვას შესთავაზა თავისი სამსა-
ხური. რატომაც არა!

1985 წელს ხელი მიუწვდებოდა ცერეუს ყველა ოპერაცია-
ზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

გამაზადა თავისი აღსარება: „მე, ოლდრიჩ ეიმსი, ვმუშაობ
კონტრდაზვერვის ქვედანაყოფის უფროსად სი-აი-ვის სსრკ
და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განყოფილებაში... სასწ-
რაფოდ მჭირდება 50 ათასი დოლარი გარკვეული ინფორმა-
ციის საზღაურად...“

50 ათასი მყისვე მიართვეს. მადა ჭამაში მოდისო და მერე
მოაწყდა დოლარების ნიაღვარი.

ეიმსის წყალობით დააპატიმრეს საბჭოთა სამშობლოს მოლა-
ტეთა მთელი პლეადა კავებებს და გერეუს რიგებში. ადვილი მი-
სახვედრია, რა დღეც დაადგებოდათ. მაიორებსა და პოლკოვნი-
კებს ვინ ჩივის, 1988 წელს დახვეწილ იქნა გენერალ-მაიორი პო-
ლიაკოვი (ორი-სამი წელი რომ დასცლოდა, ვილა დახვეწდა!).

აშშ სენატის დასკვნით, „ეიმსის მოღვაწეობამ გამოიწვია
ინფორმაციის ყველა ფასეული წყაროს დაკარგვა საბჭოთა
კავშირში — გაგანია ცივი ომის დროს“.

ამერიკული მონაცემების მიხედვით, რამდენიმე წლის მან-
ძილზე ოლდრიჩ ეიმსმა საბჭოთა დაზვერვისგან მიიღო 2 მი-
ლიონ 700 ათასი დოლარი.

1994 წელს დააპატიმრეს. ძირითადი ბრალდება იყო შპიო-
ნაჟი და (არ გაგეცინოთ!) საბჭოთა დაზვერვის ჰონორარები-
დან გადასახადთა გადაუხდელობა.

ამგვარი ბრალდება სადმე გაგიგონიათ?! სამშობლოს და-
ლატით მოხვეჭილი შემოსავლიდან გადასახადები რატომ არ
გადაიხადეთ?

მიუსაჯეს უვადო პატიმრობა და დღესაც ზის. განაჩენი
ითვალისწინებდა მთელი უძრავ-მოძრავი ქონების კონფისკა-
ციას, მათ შორის — მომავალ შემოსავალს წიგნებიდან, ფილ-
მებიდან, ინტერვიუებიდან (თუკი ამას ადგილი ექნებოდა. რო-
გორ არ ექნებოდა! ამგვარ მსუყე ლუკმას ხელიდან ვინ გაუშ-
ვებდა ამერიკაში).

ახალი „ბრწყინვალე შვიდეულიდან“ ვიკმაროთ სამი წამყ-
ვანი სპეციალისტის ასავალ-დასავალი. დანარჩენი ოთხის შე-
სახვე გაკვრით მოგახსენებთ შემდეგს:

პაროლ ნიკოლსონი. დაიბადა 1950 წელს. დაამთავრა
ორგონის შტატის უნივერსიტეტი. როდესაც ცოლს გაეყარა,
განქორწინების პროცესის ხარჯებმა გააკოტრა. რომანის და-
წერა არც კი უფიქრია, პირდაპირ რუსეთის საელჩოს მიადგა.
ერთგული სამსახურისთვის წილად ერგო 180 ათასი დოლარი.
ამერიკელებმა მიუსაჯეს პატიმრობა 23 წლით. დღესაც ზის.

ედვინ პიტსი. დაიბადა 1953 წელს. დაამთავრა მისურის
შტატის უნივერსიტეტი. მუშაობდა ცერეუსში და წუნუნებდა
დაბალი ხელფასისა გამო (3 ათასი დოლარი თვეში). უნივერ-
სიტეტი მაქვს დამთავრებული და მენაგვეზე ნაკლებს მიხდი-
ანო. მიადგა რუსეთის საელჩოს. რუსებმა გარჯისათვის სულ
გადაუხადეს 224 ათასი დოლარი. ამერიკელებმა კი 1997 წელს
მიუსაჯეს პატიმრობა 27 წლით. დღეს ისევ იხდის სასჯელს.

ჯეკ დანლაპი. დაიბადა 1928 წელს. „ბრწყინვალე შვიდეუ-
ლიდან“ ერთადერთია, ვისაც უმაღლესი განათლება არ მიუ-
ღია. სამაგიეროდ, კორეის ომში გამოჩენილი გმირობისათვის
დააჯილდოვეს ორდენით „მენამული გული“ და მედლით
„ბრინჯაოს ვარსკვლავი“. დანლაპს შვიდი შვილი ჰყავდა და
ცერეუს ხელფასით როგორ უნდა ერჩინა?! რომანის დაწერის
ნიჭი არ ჰქონდა და ერთადერთი გზა დარჩენოდა — საბჭოთა
დაზვერვა, საიდანაც მოიხვეჭა სულ 600 ათასი დოლარი. ეჭვი
რომ მიიტანეს მასზე, ციხეში ჩაჯდომას თავის მოკვლა ამჯო-
ბინა. როგორც ომის ვეტერანი განისვენებს არლინგტონის
ეროვნულ სასაფლაოზე აშშ პრეზიდენტის ჯონ კენედის სამა-
რიდან ასიოდ მეტრის დაშორებით.

რონალდ პელტონი. დაიბადა 1942 წელს. დაამთავრა ინ-
დიანას შტატის უნივერსიტეტი. სახლს აშენებდა და ერთ
მშვენიერ დღეს სამშენებლო მასალები ერთიანად მოჰარეს.
დაზღვევამ ვერ აუნაზღაურა ზარალი. ეროვნული უსაფრ-
თხოების სააგენტოში დაბალი ხელფასი ჰქონდა (2 ათასი დო-
ლარი თვეში) და ამერიკელ მზვერავთათვის ჩვეულ გზას და-
ადგა — მოსკოვს მიჰყიდა აშშ უსაფრთხოების საიდუმლოება-
ნი. მისი ჰონორარი მთლიანობაში შეადგენდა 350 ათას დო-
ლარს. 1986 წელს დააპატიმრეს და სასამართლომ მიუსაჯა
სამი უვადო პატიმრობა! დღესაც იხდის ამ სასჯელს.

...მანი, მანი, მანი — ალბათ გახსოვთ ეს პოპულარული
სიმღერა, შვედურმა „აბბა“-მ რომ გვაჩუქა უმშურველად, უან-
გაროდ, უსასყიდლოდ.